



2016/10

ცოდნის ლიტერატურა –  
საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი  
**ამირან გომართელი**

მთ. რედაქტორის მოადგილეები  
**ბალათერ არაბული**  
**სოსო გოლიაძე**

რედაქტორთა ჯგუფი  
**ანდრო ბუაჩიძე**  
**თამარ გელიტაშვილი**  
**ელზა მეტრეველი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
და დიზაინი  
**ქეთევან მერკვილაძე**  
**თამარ გელიტაშვილი**

---

ჟურნალის გარეკანზე –  
თურქი მხატვრის – **ჰაბიბ გერეზის**  
ნახატები

---

ჟურნალი გამოდის  
თბილისის მუნიციპალიტეტის  
ფინანსური მხატვრობით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1  
ტელ.: 2-98-36-43  
ciskari1852@gmail.com  
<https://www.facebook.com/ciskari1852>



# სარჩევი

ილია ჭავჭავაძე უარმყოფელობა ჩვენში	3	თარგმანი ველიმირ ხლებნიკოვი <i>ლექსები</i> თარგმნა ნორიკ ბადოიანმა	61
პოეზია გიორგი ხულორდავა ნინო სინარულიძე	8 12	დინო ბუცატი პანიკა ლა-სკალაში თარგმნა <i>ლაშა ხეცურიანმა</i>	64
პროზა გიორგი ლორთქიფანიძე <i>მოთხრობები</i>	17	პროზა ნაირა ბეპიევი ცხინვალში ომობანას ალარავინ თამაშობს <i>მოთხრობა</i>	95
პოეზია გიორგი ხორბალაძე თამარ შაიშმელაშვილი	36 41	ქართული მოთხრობა ოსურ ენაზე ნაირა ბეპიევის მოთხრობა „ცხინვალში ომობანას ალარავინ თამაშობს“ თარგმნა <i>რაზიათ ქუმარიტოვმა</i>	101
ხრიტიკა. ესეისტია ლევან ხაინდორავა – 100 ანდრო ბუაჩიძე სისხლიანი ეპოქის მატთანე	48	არტრევიუ ალინა ქადაგიშვილი ჰაბიბ გერეზის საათი	106

ილია ჭავჭავაძე

## უარყოფილება ჩვენში



ჩვენ ადრევეც გვითქვამს, რომ ეხლანდელს დროს რაღაც ხიფათი შეემთხვა და ადამიანის ლოლიკამ გზა შეიშალა, თითქო ან მართულები მოეშალა, ან ღერძი გაუბრუნდდაო. სულ ყველაფერი აირივ-დაირივა, ტყუილი და მართალი ველარავის გაურჩევია, ქვენა-გრძნობანი ზენა-გრძნობათა ადგილას გამეუფდნენ, ცოდვამ მადლის პირბადე ჩამოიფარა, ყალბი ხალასად გადის და ნაძირალა თავანკარად, თითქო ჭკუისა და გულის აღებ-მიცემობაში აღარ იშოვება საწყაო ცოდვისა და მადლისა, ტყუილისა და მართლისა.

ყველანი ვხედავთ ამას, ყველას თვალნინ ათასი ამისი მაგალითი გვიდგა და ყველანი ვიშენევთ და ვიწყნარებთ ამისთანა ყოფას, თითქო ამ არევ-დარევაში, ამ გაურჩევლობაში ვპოულობდეთ მაგარს ტინს, რომელზედაც უნდა აშენდეს ჩვენის ბედნიერების ციხე-სიმაგრე, თითქო კეთილს, მართალს, მადლს უღონობა შეაჩნდათ, და ამის გამო ბოროტს, ტყუილს და

ცოდვასლა მივენდენით სრულის იმედით, რომ იგი ჰქმნან კაცის ბედნიერებისათვის, რაც კეთილმა, მადლმა და მართალმა ვერ შესძლეს.

ამ უნუგემო ყოფას ხშირად ჩავუფიქრებია ჩვენ და ხშირად მოგვწყურებია გამორკვევა მიზეზისა, უფრო იმიტომ, რომ ეს არევ-დარევა აზრებისა, ეს გაურჩევლობა ტყუილისა და მართლისა, ბოროტისა და კეთილისა, არსად სხვაგან ისეთის თავმოწონებით არ გათამამებულა, არ გაკადნიერებულა, როგორც ჩვენში. ეს ადვილი მისახვედრიც არის: სულელობას, ოღონდ მეცნიერების სახელით-კი მოვიდეს მოედანზედ და ლიბერალობა მიენეროს ქვეშ, არსად იმისთანა უვიცობის ხნული არ დახვდება ფესვის მოსაკიდებლად, როგორც ჩვენში. საცა ჭკუა და გული ადამიანისა დღეს-აქამომდე სხვისის ნასუფრალით იკვებება აუნონ-დაუნონველად. ჩვენში, გაიგებენ თუ არა აღია მომკვდარაო, იმას აღარ დაეძებენ, მართლა მომკვდარა თუ არა, და თუ მომკვდარა, რომელი აღიაა.

საკმაოა მხოლოდ ყური მოჰკრან ჰოსა თუ არას, და გათავდა საქმე, ყოველს სასაცილობას წამოაყრანტალევენ, გამოუძიებლად, საბუთის უკითხველად, ნამეტნავად მაშინ, თუ ყურში წასჩურჩულეთ, რომ ეს უკანასკნელი სიტყვაა მეცნიერებისა, ახალი მოძღვრებაა, ახალი მიმართულება და უეჭველი ნიშანია ლიბერალობისა.

ამის მაგალითებს ბევრი ძებნა არ უნდა. კაცი, მაგალითებზე, მოგიტხრობთ, რომ საქართველოს სამი ათასი წელიწადი უცხოვრია და ამ სამი ათას წელიწადში არც ხელი გაუწივია, არც ჭკუა და გონება უმოქმედებია, არც გული და გრძნობა გამოუჩინია, არც წესი და რიგი ცხოვრებისა გამოურკვევია, არც არაფრის ცოდნა და გაგება ჰქონია, ერთის სიტყვით, ისტორია არა ჰქონიაო. ეუბნებით, თუ ყოველი ეს მართალია, მამ როგორ-ღა გაუძლია საქართველოს დღემდე, რას შეუნახავს ამ სამი ათას წელიწადში და რატომ მტვრად არ ქცეულა ამოდენა მტრებ შორის მოქცეული? ეჰ, თქვენ რა იცითო? გიპასუხებთ: თქვენ ჰოს მთქმელები ხართ და მე უარმყოფელიო, თქვენ ძველ მოძღვრებას მისდევთ და მე ახალსაო. გამოდის მეორე და იძახის: შექსპირი რა კაცია, ერთხელ ერთს ვილაცა სულელს წამოურახუნებია – დიდი მწერალიაო, და თქვენ არა-ნაკლებ სულელებს გჯერათო. აბა რა მწერალია, რომ იმდენი რალაცები დაუნერია და აბა თუ ერთგან ნახსენები ჰქონდეს *паисий* *вопрос*-იო. გამოდის მესამე და იძახის: ჩვენი მწერლები სულ მუხანათები და ქვეყნის მოლალატენი იყვნენო, რადგანაც ბატონ-ყმობის სიმწარეზედ ხმა არ ამოუღიათო. ეუბნები: კაცო, ეგ რა ადლი დაგიჭერია ხელში? არისტოტელი არამც-თუ სწუნობდა დღეს სამართლიანად გაკიცხულსა და მოსპობილს ბატონ-ყმობას, არამედ იგი უფრო უარესის მონობის მომხრეც იყო, და აქედამ განა ის გამოდის, რომ არისტოტელი სულელი იყო და ქვეყნის მუხანათი? ეგრე ხელა-

ლებით უარყოფა გაგონილა! მამ ჰომე-როსიც მჩვარმი გასახვევია, რომ ბატონ-ყმობა არ უხსენებია თავის ილიადაში? მამ დარვინიც ქვეყნის მოლალატეა და ჭკუის-გლახა, რომ თავის სახელოვან თხზულებაში ერთი სიტყვაც არ დაუხარჯავს ბატონ-ყმობის თაობაზედ?

გამოდის მეოთხე, სულ სხვა ჯურისა და მოდგმის კაცი, და იძახის: თქვენ, ქართველები, ვინა ხართო? გუშინ ჩამოთრეულხართ საიდღამაც მთებიდამ და დიდად თავი მოგაქვთ – ძველი მკვიდრი ვართ საქართველოსიო. თუ დაუსაბუთებელს სიტყვას შეუბრუნებთ, ის მაინც თავისას არ იშლის და გეუბნებათ: თქვენ თქვენს თავის-მოყვარეობას მთლად გაუტაცინხართ და მართალ-მოყვარეობა დაგკარგვითო. თქვენს თვალში მართლა თავისი ფასი არა აქვს, თუ თქვენთვის სასიამოვნო არ არისო. მართალი კია, რაცა სთქვით? – ეკითხებით დაჟინებულს უარმყოფელს. მე-კი უარყოფ და მართალია თუ არა, ეგ ჩემი საქმე არ არისო. მაგისათვის თავი შენ გაიცხელე, თუ გესიამოვნებაო. გამოდის აქაც იგივე ქებული უარყოფა, ხოლო სხვა სარჩულზედ ამობლანდული. ეს უკანასკნელი სხვა ჯურის უარყოფაა და სხვა სათავიდამ მოდის. ამას ყური არ ეთხოვება. სულ სხვაა ჩვენი შინაური უარმყოფელობა. იგი რალაც სიბრძნესა, ცოდნასა და ლიბერალობას ჩემულობს და თუ გამვლელ-გამომვლელი თავს არ უკრავს და მუხლს არ უყრის, ყველანი სულელები ჰგონია, უცოდინარი და რეტროგრადი. ამის მსმენელს ბალღებსაც სჯეროდათ ეს ყველაფერი და ვნებაც აქ არის.

აკი მოგახსენებთ, ჩვენში იმისთანები არიან, რომ სახელად მიაჩნიათ გამოვიდნენ და იყვირონ – დღისით დღე არ არის და ღამით ღამეო. თითქოს მართო იმისთვის, რომ ბალღებს მოაწონონ თავი და ტაშის ცემით ათქმევინონ: აი უარმყოფელი და, მაშასადამე, ბრძენი, მცოდნე და ლიბერალი. თორემ გონებაში ჩავარდნილი კაცი ამ უარმყოფელს

საგიჟეთში ამოუყოფდა თავსა. ამ უარმყოფელს რომ უთხრა: კაცო, რას ჰროშავ! როგორ თუ დღისით დღე არ არის და ღამით ღამე, – გიპასუხებთ: შენ რა იცი, ხურმა რა ხილია! მე უარმყოფელის მიმართულებისა ვარ და ეს მიმართულება უკანასკნელი სიტყვაა მეცნიერებისა, ახალი მოძღვრებაა და განა არ ვიცი, – შენს გაცვეთილსა და დაობებულს მიმართულებას ვერაფრით ეჭაშნიკებაო. ამასაც ხომ არ გაკმარებთ. რადგან ტაშს არ უკრავთ, წამების გვირგვინსაც დაინწავს ამ სასაცილო მჩვრისაგან, დაიდგამს თავზედ, გამარჯვებულსავით დონიჯსაც შემოიყრის და თავმონონებულად დაინწყებს სიარულს. ბალები უცქერიან ამ ბერიკად მორთულს დონკიხოტსა და ქება-დიდებას მისდახიან: „აღა ბაღში მიბრძანდება, მიხედ-მოხედვის ჭირიმეო“. დონკიხოტსაც სჯერა ეს „მიხედ-მოხედვის ჭირიმე“ ბალებისა და შუბლზედ ბუზსაც არ აიფრენს.

ჩვენა გვსურს ამ სასაცილო მიმართულებაზედ მკითხველთა ყურადღება მივაქციოთ, ამ მოძღვრებას გზა-კვალი გავუსინჯოთ, მიზეზი ვუპოვოთ, თავისი მიუწყნაო და ამ გზით, ჩვენის შეძლები-სამებრ, ტყუილი მართლისაგან გავარჩიოთ, გამოვარკვიოთ. დროა ბალების საცთუნალო სიტყვებს ფერუმარილი ჩამოვაცალოთ, პირისპირ გავუსწოროთ თვალი და ნათხოვარი ფრთები ჩამოვაკვეცოთ. ეს შემდეგისათვის იყოს.

## II

ჯერ ეს ვიკითხოთ, – რა არის ბუნებითად ეგრეთ-წოდებული უარმყოფელობა? ამას რომ გამოვარკვევთ, თავისთავად გამომზევდება, რა წითელი კოჭია თითონ უარმყოფელი მიმართულებაა.

თითონ სიტყვა რო ასო-ასოდ გამოვწლათ, დავინახავთ, რომ უარმყოფელობა „არას“ თქმაა, ანუ, – მდაბიოდ რო მოგახსენოთ, ჩვენებურად, ქართულად, – ჰაშას კვრაა და სხვა არაფერი. არ

ვიცი, იქნება ეს სიტყვა ჯეროვანად არ არის შედგენილი ქართულად, ხოლო ეს-კი უეჭველია, რომ იგი თარგმნილია რუსულისაგან. რუსულად ამ უარყოფას, ანუ უარმყოფელობას, отрицание ჰქვია. თითონ რუსულადაც, საიღამაც ნათხოვარსავით გადმოგვიღია ეს отрицание, ჰაშას კვრაა, თუ ამ სიტყვას პატარა ენა არ დავუმოკლეთ და ნება მივეცი მთელის თავის სიგრძე-სიგანით იმეცყველოს. ამიტომაც, ვინც ამ სიტყვას ჰხმარობს რუსულ ლიტერატურაში, იმას ამ სიტყვის სარბიელი ვინრო ფარგლითა აქვს შემოვლებული, რომ „არას თქმას“ არავინ „ჰაშას კვრა“ არ შესწამოს, რადგანაც „ჰაშას კვრა“ მტყუანისა და სულელის ხელობაა და არა მართლისა და ჭკვათა-მყოფელისა.

ეს-გვარი უარმყოფელობა, რომელიც არსად მიღებული არ არის, მარტო რუსულს ლიტერატურას-კი როგორღაც აეკვიატა, ძველის-ძველი ამბავია, და სტყუიან ისინი, ვინც ახალის სახელით ამ უარმყოფელობას ასაღებენ. მას აქეთ, რაც კაცთა ენამ „ჰო“ და „არა“ მოიგონა და სამეცყველოდ თვის სიტყვიერებაში შეიტანა მყოფობისა და არმყოფობის გასარჩევად, ეს უარმყოფელობა არის ქვეყნიერებაზედ და იქნება კიდევ, ვიდრე კაცის გონება არ დასცხრება ჭეშმარიტების ძიებისაგან. ხოლო ამ ძიებაში მარტო „არა“ კი არ მოქმედობს, „ჰო“-საც ისეთივე ღვანლი მიუძღვის, როგორც „არასა“.

მთელი ისტორია კაცობრიობისა ყოველ-გვარს სფეროში, საცა-კი ადამიანს წარმატების ძლევა მოსილობა მიუძღვის და არ მიუძღვის, სხვა არა არის-რა, გარდა გაუთავებელის ჭიდილისა „ჰოსა და არას“ შორის. ყოველივე ჭეშმარიტება, ყოველივე საქმე, რაც კაცობრიობას აღმოუჩენია კაცთა ცხოვრების გულის, გონების განსაკარგებლად, გასაძლიერებლად, წარსამატებლად, ამ ჰოსა და არას ჭიდილით მოუპოვებია. ჭეშმარიტების აღმოჩენას, საქმეს ცხოვრების

ასე თუ ისე განყოფილებასა და გარიგებისას, სხვა გზა არა აქვს ამ ერთადერთის გზის მეტი. რა საგანსაც, რა მოვლენასაც-კი, კაცთა ხელიდამ თუ გონებიდამ გამოსულს, გულში ჩაჰხედავთ, დაინახავთ, რომ ჰო-არაობის ჭიდილსა და ქარცეცხლშია გამოტარებული. მართალია, გამარჯვება ერთისა თუ მეორისა, ჰოსი თუ არასი, ყოველთვის არა ჰნიშნავს ჭეშმარიტების გამარჯვებასა, მაგრამ მაინც ჰოსა და არასი ჭიდილია ერთად-ერთი გზა ჭეშმარიტების აღმოჩენისა და პოვნისა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი ერთის მეცნიერის ბრძინისაგან, რომ ცდომისაკენ ათასი გზა მიდისო და ჭეშმარიტებისაკენ-კი მარტო ერთადერთიო. ეს ერთადერთი გზა ჰოსა და არასი დაპირისპირებაა.

ამიტომაც, უარყოფა ცალკე, ჰოსთან არ-დაპირისპირებული, არ-მეჭიდებული, ჭეშმარიტებისათვის სვის გატანაში სრულად უღონოა, როგორც ჰო, ამ შემთხვევაში ცალკედ უღლის მწველი. შეჭიდება ჰოსი და არასი, მათი ერთმანეთთან დაპირისპირება და ამ გზით კვლევა მართლისა, კრიტიკაა. კრიტიკა ბუნებითად ისეთი რამ არის, რომ ერთსა და იმავე დროს, ერთისა და იმავე საგნის კვლევაში ჰოსაცა და არასაც ამოქმედებს მართლის გამოსარკვევად და გამოსაჩენად. იგი ნებას არ იძლევა, რომ ან ერთმა და ან მეორემ ცალკე გაიწიოს და ცალ-კერძ სჭიმოს ჭაპანი ძიებისა და კვლევისა. როგორც ურემი სწორედ ვერ გაივლის, თუ ცალმხრივ გაანვიხივებ ხარსა, ისეც ძიება და კვლევა ჭეშმარიტებისა, ცალ-კერძ ტარებული და განზიდული.

აი, ჩვენის ფიქრით, ჭეშმარიტი მნიშვნელობა უარყოფელობისა და მისის არსებობის მიზეზი, საბუთი და ადგილი. ეგ ერთი მოჭიდავეა კრიტიკის მბრძანებლობის ქვეშ, ერთი ხელია, ხოლო უმეოროდ წარმოუდგენელი და სასაცილოდ ასაგდები. ჩვენ ამაზედ შორსაც წავალთ: უარყოფელობა, კრიტიკაზედ დამოუკი-

დებლად ცალკედ დაბინავებული კაცის გონებაში, დიდი სულელობაა. რა არის უარყოფა ცალკედ? ჰოს გაბათილება და მის სამაგიეროდ „არას“ გაჰოება, თუ ესე ითქმის. თუ ამ უარყოფას თავის-თავად შეუძლიან რამ, ხომ ამ გაჰოებულს არასაც თავისი ქამანდი უნდა უგდოს და ტახტიდამ გადმოაბრძანოს, თუ ბოლომდე თავის საკუთარს წერას ჰსურს, რომ აჰყვეს და თავის-თავს არ უღალატოს, თავისი თავივე უარი არა ჰყოს, არ გააბათილოს. ნუთუ ამისთანა ნაჯეგ-უკუჯეგობა, მოძღვრებად გადაქცეული, მომცდარი ჭკუის სასაცილო ცულლუტობა არ არის! თუნდ ამასაც თავი ვანებოთ: უარყოფა სხვა მხრითაც რაღაც ჭკვა-შეშლილის მასხარაობას მოგვაგონებს, იმიტომ რომ „ჰოც“ ისეთივე უარყოფაა „არასი“, როგორც „არა“ „ჰოსი“, და თუ სიმართლე, სიბრძნე და ლიბერალობა მარტო უარყოფაშია, „ჰოსაც“, ვით „არას“ უარყოფელს, ისეთივე პატივი უნდა ჰქონდეს, როგორც „არას“, „ჰოს“ უარყოფელს.

შორს რომ არ წავიდე, განა, მაგალითებრ, სქოლასტიკა უარყოფელობა არ იყო გონების თავისუფლად მსჯელობისა? განა ეგრეთ-წოდებული „ეპოქა განახლებისა“ უარყოფა არ იყო სქოლასტიკისა? განა ერთსაცა და მეორესაც ერთსა და იმავე დროს თავისი ჰო არა ჰქონდათ, რომლის სახელითაც სხვის ჰოს უარსა-ჰყოფდნენ! ორივე ერთმანეთის უარყოფელნი იყვნენ და თუ ცარიელი უარყოფა სასახელოა და საპატივო, მამ განახლების ეპოქის უარყოფელი სქოლასტიკა ისეთივე სასახელოდ მისაჩნევი უნდა იყოს უარყოფელთა მოძღვრებისათვის, როგორც განახლების ეპოქისაგან უარყოფა სქოლასტიკისა. უფრო ახლოდამ მოვიყვანთ მაგალითს. „Московские Ведомости“ დღეს უარყოფენ ყველა იმ სახელოვან რეფორმებს, რომელიც მოახდინა განსვენებულმა იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ, და მთელი დასი ლიბერალებისა რუსეთში ებრძვის

„Московские Ведомости“-ს და ყოველს მის „არას“ ერჩის „ჰოს“ თქმითა. ამ ჭიდილში რომ უარყოფა საშველად მიუშვას კაცმა, – აბა შენს მომხრეს დააძლევინე მოჭიდავეო, არ ეცოდინება ვის მიეშველოს, რადგანაც „ჰოს“ მთქმელნიც ისეთივე უარმყოფელნი არიან „Московские Ведомости“-ს „არასი“, როგორც ეს უარმყოფელია ლიბერალთა დასის „ჰოსი“.

თუ ეს სულელური უარყოფა ამ სასაცილო ყოფაში ჩაიგდებს ხოლმე თავსა, როცა კრიტიკის მბრძანებლობიდან გამოდის და ცალკე ჰბატონობს, მამრილას მაქნისია, რომ ესე ებლაუჭებიან და მაგ კრიტიკის საბრძანებლიდან გამოპარულს ყმასა კალთაზედ რაღას ეჭიდებიან, წადი და წაგვათრიე სამრადაო. ეს ხომ იმასა ჰგავს, მკვდარი მკვდარს აეკიდა, სამარემდე წამილეო. მართლა-და, – რა არის ეს ცალკე უარმყოფელობა, თუ არა „ჰამას კვრა“ ყველგან და ყველაფერზედ! ეგ „ჰამას კვრა“ დიდი ხანია შემოღებულია და ნაგეში ყველგან საერთოდ და ჩვენში ცალკედ. ერთს ქურდსა და ავაზაკსაც ვერა ჰნახავთ, რომ ამ „ჰამას კვრაში“ გაოსტატებული არ იყოს. ნუთუ ესეთი ხელობა, ესეთი ოსტატობა მომასწავებელია სიბრძნისა, ლიბერალობისა და სხვა ამისთანა საქებურ სახელოვანებისა! ნუთუ ეს ჭემმარიტების ძიება და კვლევაა და არა სოროსა და ხერელის თხრა, რომ ტყუილი შეძვრეს და თავი შეიფაროს! გვიკვირს, უარმყოფელო-

ბა თავის-თავად, როგორც ერთი რამ ცალკე განსაკუთრებული მოძღვრება, – როგორ ჰბოგინობს ადამიანის საღს გონებაში და ან კაცის გონება როგორ იშენევს და ჰკადრულობს ამ სასაცილოებას. ეს ხომ ადამიანის ჭკუის გაუქმება და გაბათილებაა. ამ დუდგულას თოფით სვლას უარმყოფელ მიმართულებას ეძახიან და, წარმოიდგინეთ, არც-კი ჰთაკილობენ...

თუ ჩვენს შინაურ უარმყოფელებს ამის თქმით ისა ჰსურთ აუნყონ ქვეყანას, რომ „არას“ ჭემმარიტების ძიებაში თავისი კუთვნილი ადგილი უნდა ეჭიროსო, როგორც თანასწორ მოპირისპირეს „ჰოსას“, მაშინ რაღა საჭირო იყო ახალის სახელის მოგონება, როცა უკვე მოგონილი სახელი უფრო უკეთ გვამცნევს საგანს და ყველგანაც მიღებულია, როგორც საგანის ზედგამოჭრილი სახელი. ეგ სახელი კრიტიკაა და იგი ერთსა და იმავე დროს „ჰო“-საცა და „არა“-საც ერთნაირად და მიუდგომელად ამოქმედებს და როგორც ტალსა და კვესსა ერთმანეთს ახვედრებს ჭემმარიტების დასაკვესებლად. თუ უარმყოფელობის სახელ-ქვეშ კრიტიკა ეგულებათ, მაშინ მარტო ეს-ღა გვეთქმის ჩვენს შინაურ უარმყოფელობაზედ: ღმერთო, შეუნდე, რამეთუ არ იციან რას იქმან, და სწორედ შესანდობარნიც არიან, იმიტომ რომ არცოდნა არ-ცოდვაა.



გიორგი ხულორდავა



ქალღმად იშრობს მოგონების ფერად ნახანაგებს,  
ხსოვნა ლექსივით მეორდება (ლექსივით ჩუმი),  
ზოგჯერ ცხოვრება არიფებსაც იამხანაგებს,  
ზოგჯერ მოვა და დანასავით გაგვიყრის დუმილს.

ავყურებ ზეცის ჩამორღვეულ ჩარდახს თუ ერდოს,  
კაპილარებით იტოტება ბოლო ზმანება,  
დავდივარ ხალხში, როგორც სიტყვა, ნათქვამი ერთ დროს,  
დავინწყებისთვის რომ არავის დაენანება.

ასეთივეა, მგონი, შენი გზაც და კარიბჭეც,  
ფუჭ მოლოდინში მიღებული ჩვენი მელანი,  
მერე რა მოხდა, ბოლო ორმო თუკი გაგვიჭრეს,  
მე კი არადა, რილკე ამბობს: „ვცვივით ყველანი“.

მზერა გვიშრება სიტყვასავით, ხავსის მოდებით,  
სიმწვანე ასდით ტკივილივით დროის ლიანებს,  
შენ როგორ ფიქრობ, ქვეყანაზე ვის ველოდებით –  
ჯერ ჩვენს ხსოვნამდე მოუღწეველ ადამიანებს.

მოუსვლელს არა, ჩავლილს ვნაღვლობ, სიმწარედ ჩვენდა,  
ვიღაცის ხელი, უჩინარი, თიბავს კალოებს  
და რომ იცოდე, საათივით აწყობილ სევდას  
ზოგჯერ პატარა სიხარულიც აუბრალოებს.

ტკივილს ტკივილი უშველის და კაცსაც იარა,  
ამიტომ გახდნენ ნაცნობები ასე უბრები,



საკუთარ თავსაც, შეხვედრების ნოტივით კი არა,  
სიშორის ფერით ვეცნობი და ვესაუბრები...  
ასეა, ვტოვებთ შემოდგომის შავ-თეთრ სავანეს,  
დილის გაზონზე ფრინველივით იბუდებს ღამე  
და თვალში შეყრილ ნაცარივით დრო დაგვანანებს  
ჭიქა ღვინისთვის ცხოვრებიდან მოპარულ წამებს.



მეც გავაცილე ერთი ზაფხული,  
ერთი ზაფხულით ნაკლები ვრჩები  
და ველოდები გარდასახული  
მათ, ვისაც მუდამ სჯეროდა ჩემი.

მეც ჩავილიე ქლოროფილივით  
მწვანე სიღრმეში ფოთოლთა ვნების  
და კენწეროდან მომწყდარ ტკივილით  
დაშვების მუქი შეგრძნება ვხდები.

ახლა სიცოცხლის ქარვისფერ სარკეს  
ვუმზერ ნანახი სახების ფითრად  
და ვფიქრობ, მეტყვი იმაზე ნაკლებს,  
რაც განშორებით ისედაც ითქვა.



ყველა შეცდომას, ყველა სისუსტეს  
სიკვდილის მწარე შეგრძნებაც ახლავს,  
მე შენ გეტყვი და ვინ დაგიზუსტებს  
პულსს, მაჯისცემას, რომ იწყებს ახალს.

ვინ ააჟღერებს მინავლულ ძარღვებს,  
სადაც ათასი ნოტი ხმინანებს,  
როცა დუმილსაც არავინ არღვევს,  
დუმილი არღვევს ადამიანებს.



ოდესმე მოხვალ, რას მიქვია ფუჭი ლოდინი,  
ძაფის სიჩუმე შეირხევა, წლების მკემსავი,  
მოხვალ უებრო, გულსავსე და გულდაკოდილი,  
სევდის კიდიდან ამოზრდილი ნატვრის ხესავით.

დროს კი ზიგზაგი, ანუ წლები, ანუ წუთები  
ჩამოეცლება, როგორც წყალი სავსე მათარას  
და ის იქნები, სევდასავით ნასათუთები,  
ქალი, რომელმაც ყველაფერი ველარ გათვალა.

მერე სიჩუმის ზედაპირსაც მოსინჯავს ღამე,  
ჩემი ფიცვერცხლი ჩაეღვრება მითოსურ ფესვში  
და ლექსის ფრთებზე დუმილივით შემოვდებ წამებს,  
ოდესღაც ყველა მათგანი რომ დუმილში შევსვით.

თოვლისფერ გამებს, ყინვაჩაზრდილ ფერების სახეს  
გამოვეყოფი, რადგან ვხვდები, სახეც ქურდია,  
რომ გახელილ თვალს, მერე სხვასთან ვერაფრით ვამხელ,  
რომ თავად მამხელს ამ სიცოცხლის ცრუ პრელუდია.

გამოვენყოფი უკანასკნელ ფერების მარშით,  
დროის ფინჯანი აივსება ცოდვის ნალექით  
და სხვა სივრცეში უკანასკნელ კამარას გაშლის  
ზღვარდაუდები აღმაფრენა, გზა წასალეკი.



დღეებს უშენოდ ლენცოფა წამლავს,  
ძნელდება სხვისთვის გულის გაყოფა,  
„ახლა სრულდება სხვაგვარი დრამა“  
და ყოფნასავით მიჭირს არყოფნა.

ვიცი, რა გზებიც ვკვალე და ვკორტნე,  
დროშაც დავუშვი რაღაც ნუთებით,  
იმ გახსნილ მკერდს თუ გაუხსნელ კონვერტს  
ახლა გულგრილად ვესათუთები.



ახლა ყველაფერს ჩამითვლი ნაკლად,  
იმას, გულიც რომ უკან იხევდა,  
ბოლო შეხვედრას სიდინჯე აკლდა,  
ბოლო შეხვედრას – ვარაზისხევთან.

სიცოცხლეს ისევ საწამლავს აკლებ,  
ახლა ფითრია, მართლა უღევი,  
ჩვენ დავიღალეთ, ოლოდ ცალ-ცალკე  
ყოფნა-არყოფნის ნართაულებით.

...და სიკვდილამდე მემახსოვრება,  
რასაც სჭირდება კდემა და კრძალვა...  
რომ მართლა უდრის ჩვენი ცხოვრება  
ვარაზისხევის დაღმართზე ჩავლას.

## მამას

ყოფნა-არყოფნა, როგორც ზმანება,  
როგორც თოვლი, თუ როგორც ისხარი,  
დრომ მიითვალა დაუნანებლად,  
შენი ნამღერი და ნარისხალი.  
ნაღდი ტრფობა და ნაღდი დიდება,  
(ახლა არ იცი, რა არის იქით) –  
თვალეზე ცრემლად მოგეკიდება  
იმ გარდასული დღეების რიგი.

სოხუმის ზეცა, შორი და ჩუმი,  
იმ ბოლო დღეთა ბოლო არია,  
გულს იმშვიდებ და ეძლევი დუმილს,  
რომ იქ უშენოდ კარგად არიან.

რომ მართლა ხელზე ხელი მოგკიდეს,  
(დუმს წერილი თუ ქების სიგელი),  
ძნელია მართლა, შენ არ მომიკვდე,  
როცა არავინ აღარ მიგელის.



## რატი ყუფუნისას ხსოვნას

სიშორე ცაზე გამკრთალი ელვის,  
მერე გადალაც დროის ბრუნებით...  
მე მაგონდები ნაცნობი ღელვით,  
კართან დუმილის მიკაკუნებით.

გულს შერჩენია, ცრემლებით ნაღბობს,  
ის ბოლო ხსოვნა ჩამქრალ ქუჩების,  
დუმხარ და ამით ყველაფერს ამბობს,  
ამ დუმილს ვერც მე გადაეურჩები.

ოღონდ მითხარი, ღელვით ფარულით,  
რა იყო შენი გზა და მისნობა,  
შენი სიცოცხლე და სიყვარული –  
ეს წარმავალი მარადისობა.

ნინო სიხარულიძე

**კოშმარი**

გადაიფიქრა ცამ განვიმება,  
შაშვმა – გალობა,  
ქალმა კი კოცნა  
და ლამისთევის ყველა რეკორდი  
დაღლილმა დარდის დღიურმა მოხსნა...  
გადაიფიქრა იასამანმა  
დილასისხამზე თვალის ახელა  
და რა გგონიათ? ამის მიზეზად  
უგუნებობა დაასახელა.  
გადაიფიქრა მთვარემ შეკრთომა,  
ქარმა – ქროლა და  
სტვენა – თოლიამ  
და არვინ იცის, სიცოცხლე ახლა  
უფრო ძნელია თუ იოლია.  
გადაიფიქრა გონებამ ხსოვნა,  
გულმა – ტრფიალი,  
ზარმა კი რეკვა  
და გედის ბოლო სიმღერის ფონზე  
ფოთლებმა იწყეს გრიგალთან ცეკვა.  
უფალო, ნუთუ გულგრილად უმზერ  
ამ უსასრულო სამყაროს ნგრევას –  
ევას გარეშე დარჩენილ ადამს  
და ადამისგან მოწყვეტილ ევას?!

P. S. ბოლო აქტია. ჩამოდგა ჟამი.  
გადაიფიქრა ღმერთმაც ღმერთობა  
და ბელზებელის პირისპირ მდგარი  
მხოლოდ და მხოლოდ მასთან ერთობა...

**განუყრელი წყვილი**

მე და ჩემი დარდი – განუყრელი წყვილი,  
არ დამტოვებს წამით, არსად გამეცლება,

ღალატს არასოდეს გაიტარებს გულში  
და არც მისამართი ჩემი შეეშლება.  
მზე ამოდის, ჩადის, დათილისმობს მთვარე  
და ვერ გავეყარე, რაც მენერა ბედად –  
ჰოდა, შევიყვარე, გულიც დავინყნარე,  
მე და ჩემი დარდი ვდარდიმანდობთ ერთად!

## ფოთოლი... ქალი...

იცო, ოდესღაც ფოთოლი ვიყავ,  
ახლა ქალი ვარ და მეორდება  
წინა ცხოვრების ეპიზოდები:  
მზეში განცხრომა, ქარში გოდება.  
ახლა ქალი ვარ – ქარის ტორები  
ნაბიჯებს ისევ მირევს და მარხევს,  
ისევ ვცახცახებ ბინდის წინაშე  
და შიშისფერი ედება სახეს.  
ამოზვირთულა ათასი ელდა,  
განმკითხველია ათასი თვალი.  
იცო, რატომღაც ვერავინ ხვდება,  
რომ განვლილ დღეთა მომყვება ვალი.  
იცო, მე ისევ ამეზნა თავგზა,  
როცა ვუცქერდი მთვარის ლოყიდან,  
როგორ გაშალა მკლავები ქარმა  
და ირიბ ქუჩებს როგორ ლოშნიდა.  
და ქანაობდა ქარის ქალაქი...  
მე კი ვინატრე მხსნელი ტოტები,  
ვით გადარჩენის პატარა შანსი –  
თუ ისევ ფოთლად განვმეორდები.

## „ვითომ“

შობა – შინიდან გამოძევება,  
ბავშვობა – ელდის, ტკივილის ჟამი,  
მერე მორევი:  
ხავსის ძებნაში შემოხარჯული რამდენი წამი.  
მერე სულ „ვითომ“: ვითომ სილაღე,  
სილამაზე და რწმენა, განდობა,  
– მადლობა ვითომ მეგობრობისთვის!  
– სიყვარულისთვის დიდი მადლობა!  
მალღდება ქვიშით ნაგები კოშკი  
და ეტმასნება მირაჟს მირაჟი:  
ვითომ კვლავ აფრქვევს ღვთაებრივ სურნელს  
ხავერდოვანი „ვარდი სილაში“;  
ვითომ დრო მართლაც ვერაფერს აკლებს  
და სევდიანი ფინალი აცდა

ქარიშხალივით მოვარდნილ გრძნობებს,  
ჩვენს გულისგულში გამოვლილ განცდას;  
ვითომ მაღლი რომ დატოვე ქვაზე,  
გაიარე და მართლაც წინ დაგხვდა,  
ვითომ ფურცლავდი სიზმრების წიგნს და  
ყველა სიზმარი კეთილად ახდა;  
არც ფიცი იქცა საპნის ბუშტებად,  
არც ნატვრის ხეზე დაობლდა კვირტი –  
რა ნეტარი ხარ, თუ შეგიძლია  
ილუზიასთან გააბა ფლირტი;  
რა ძლიერი ხარ, თუკი მხრებს გითბობს  
ტკბილი სიცრუის ფუმფულა ბოა,  
არც განზილდები, არც დაეცემი,  
რადგანაც მუდამ საშენო დროა.  
სხვამ რა ქნას, ვინაც ვერაფრით დაცხრა  
და კვლავ ილბალთან დუელიანტობს,  
ვინც ზღაპრის გუდას ვერ აიკიდებს  
და ლურჯ მირაჟებს თავს ვერ მიანდობს  
ფანტია სეტყვის შაქარყინული  
გულდაჯერებით ვინც ვერ ალოკა,  
ვინც ვერ ირწმუნა ამდენი „ვითომ“  
და ბედს პირისპირ შერჩა მარტოკა –  
მან რა ქნას?

კითხვა ზეცას აწყდება  
და პასუხამდე ძალზე შორია,  
ცას კი აჩნია მთვარის ნარჩენი,  
როგორც უმიზნო ბუტაფორია.  
და ერთადერთი, ვისაც წერტილის  
დასმის უფლება მისცა განგებამ,  
ვისაც ვერასდროს დავეკარგებით,  
თავად არასდროს დაგვეკარგება –  
ის ვის ბადეშიც ლიფსიტებივით  
გაჩენის დღიდან ყველა მოვყევით,  
ბოლოს მოუღებს ნიღბოსან „ვითომს“  
პირბასრი ცელის ერთი მოქნევით.

## უთქველი საყვედური

ღრუბლის ფთილას სურს, ღრუბელი გახდეს,  
წვიმის წვეთს კი წვიმად უნდა ქცევა –  
მე ნეკნი ვარ და ქალობას ვჩემობ,  
უფლის ნებით დამერქმევა ევა.  
უფლის ნებით შევიფერებ ედემს:  
მოკამკამე ჰაერს, წყალს და მიწას,  
სანამ ასპიტს მოუცლია ჩემთვის,  
სანამ ვაშლის დარდი გადამიტანს!

მერე კი სულ ბედნიერად გნახეთ,  
 (რადგან ლუკმა არ შემარგეთ ვაშლის...)  
 არაედემურს გავყვები გზანვრილს  
 და დრო მარტივ მამრავლებად დამშლის.  
 მორჩა, უკვე მინის კერძი მქვია,  
 ჩაირაზა უკვდავების კარი,  
 ნაოჭების აბლაბუდა შუბლზე  
 მრჩება, როგორც დროის სახსოვარი.  
 მეძალეა ქარიშხალი ავი,  
 ბინდი, თითქოს სულის სამოსია,  
 ტკივილ-ტკივილ ჩაიარეს ნლებმა  
 და გარშემო მუდამ ქაოსია.  
 ამ ქაოსში ორად-ორი შვილი  
 სანთელივით ჩაუქრობლად მენტო,  
 ლომისფერი ბოკვერები ჩემი  
 სად არიან, მიპასუხე, ღმერთო!  
 მხოლოდ მათით ვსულდგმულობდი, იცი,  
 გული მხოლოდ მათთვის მქონდა ღია,  
 ახლა კი თავს მიწას უნდა ვცემდე:  
 მოკლულის და მკვლელის დედა მქვია.  
 ჩემი ცოდვით აქვითინდნენ ქვებიც,  
 ქარი ჩადგა, ქროლას ველარ ბედავს,  
 შენ მიბოძე ჯალათიც და მსხვერპლიც,  
 შენ გამხადე ბედდამწვარი დედა.  
 უფალო, მე აღარა ვარ ქალი,  
 გოდება ვარ, აცრემლილი ცამდე,  
 ნელ ცეცხლზე რომ დამინარცხე გული,  
 თქვი, უგულოდ როგორ უნდა მწამდე?!  
 ჰოდა, სანამ მომელება ბოლო,  
 შემოგკადრებ კრძალვით სიტყვას მართალს:  
 იცი, იმ დღის დაბრუნებას ვნატრობ,  
 როცა ძილში ნეკნს აცლიდი ადამს.  
 იმ წუთების გაცოცხლებას ვნატრობ,  
 იქნებ, ნება შეცვლილიყო შენი  
 და უჩემოდ აღგემართა, იქნებ,  
 სამოთხის თუ ჯოჯოხეთის ბჭენი –  
 არყოფნაში დავრჩებოდი მარად,  
 გამშრალ ცრემლად ვერ მაქცევდა ბედი,  
 კაენისა და აბელის ცოდვით  
 აღარ დამეშანებოდა მკერდი.  
 ადამი კი „შენს ხატად და მსგავსად“  
 ედემის ბაღს მოივლიდა კენტად  
 და უთუოდ შენ ეყვარებოდი  
 იმ აკრძალულ ხილზე უფრო მეტად.  
 დარჩებოდა მარადიულ ბავშვად,  
 როგორც შვილი, შენ კი – მამალმერთი

და იმ ჩემი ცოდვით სავსე ხიდან  
არც ნაყოფი გაქრებოდა ერთი.  
...მაგრამ უკვე ჩავლილია წამი,  
ნეკნსაც უკვე შთაებერა სული,  
შენს მეორედ მოსვლას ველი, გიცდი  
მოთმინების ძაფზე გამობმული.  
მერამდენე საუკუნე გადის,  
დედამინა მერამდენედ კვნესის,  
სად ხარ, ნუთუ სულ ამაღე ხელი  
და ჩივილი ჩემი აღარ გესმის...

## ტყვიის მონოლოგი

მე ვინ რა მკითხა,  
გადატენეს ცხელი დამბაჩა,  
სასხლეტს გამოჰკრეს, მომიზომეს ფრენის მანძილი,  
დრო თოქს არა ჰგავს –  
წამი უკან ვერვინ დაქაჩა,  
არც გზიდან ჩემი მობრუნება გახლავთ ადვილი...  
მე ის დავთესე,  
რასაც ვთესდი გაჩენის დღიდან,  
რის გამოც ეშმას, ჩემს ნათლიას, ვწყევლი და ვერჩი,  
ვერჩი, მაგრამ ვერ ვეუბნები:  
ვარ ერთი ციდა,  
მისი შექმნილი სათამაშო –  
სიკვდილის ელჩი!  
იმ დღესაც ისე გამისროლეს,  
მე ვინ რა მკითხა,  
იყო აგვისტოს ოცდაათი, ზაფხულის ხვატი,  
ჭრიჭინობელას ხმა არღვევდა ტყის მყუდროებას,  
ცაზე გულგრილად მიცურავდა ღრუბელი ზანტი.  
მე კი სიზანტეს ვინ დამწამებს,  
წამი დამჭირდა,  
მოხუცის შუბლზე აღვიბეჭდე სამარადისოდ,  
ასე ამბობენ: დრო უბადლო მკურნალიაო,  
ყველა ტკივილი ყუჩდება და ყავლი გასდისო –  
არ დაიჯეროთ!  
მონაჩმასხი გახლავთ ბრიყვების,  
მუდამ სირცხვილი მწვავს და ტკივილს რა დამიამებს,  
მე ვენამები, მიზნისკენ გზას როცა მივყვები,  
მე თავად ვკვდები, როდესაც ვკლავ ადამიანებს.  
და მძულს ყველასთვის საძულველი სახელი ჩემი,  
გაჩენის დღიდან სულ სატანას ვწყევლი და ვერჩი,  
ვერჩი, მაგრამ ვერ ვეურჩები, არ ჩანს საშველი  
და განწირული ვრჩები, როგორც სიკვდილის ელჩი...



გიორგი ლორთქიფანიძე

კონკურსი

ორიოდე კვირის წინათ დამესიზმრა, ოლონდ მართლა. ამდენი ხანი გავიდა, მაგრამ ვერ დავივიწყე ვერაფრით.

როგორც წესი, სიზმრებს ვერ იმახსოვრებენ ხოლმე. ტვინში ღამით აბობოქრებული ფერად-ფერადი რევოლუციებისა და ფათერაკიანი სიუჟეტების უდიდესი უმრავლესობა გამოღვიძებისთანავე უცბად, წამებში და წამის მეათედებში ორთქლდება და სამუდამოდ ქრება მეხსიერებიდან. ადამიანი ასეა მოწყობილი და მეც ადამიანი ვარ – ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. მაგრამ ეს სიზმარი გამონაკლისი აღმოჩნდა. ალბათ, იმის გამო დამამახსოვრდა, რომ ლიტერატურული სიზმარი იყო და ხომ იცით შემოქმედი ხალხის ამბავი – თითქმის ყველანი ზედმეტად მგრძნობიარე ეგოცენტრიკოსები ვართ.

მოკლედ, დიდი რია-რიაა ატეხილი გარშემო. უამრავი ადამიანი მახვევია გარს და ამ უთვალავი ნაცნობი და უცნობი სახით გარშემორტყმული რალაც ლიტერატურულ წარმოდგენაში ვმონანილეობ. რალაც მოძრაობებია, საზეიმო განწყობაა, შფოთი, ხმაური, ბურლესკი; ვილაც მღერის, ვილაც ყვირის, მგონი ლექსს კითხულობს თუ პოემას – მოფანატე და მიმზიდველი წინკვების აღფრთოვანებული შეკვივლებების თანხლებით... მერე სიტუაცია იწმინდება, სახეების რაოდენობა მკვეთრად იკლებს და ირკვევა, რომ საერთო

რია-რია დასასრულს მიუახლოვდა და მხიარული საღამო წარსულს ბარდება. მერე გარემო ერთბაშად იცვლება და უკვე გაგანია შუადღემი ვარ. ირგვლივ ყველაფერი მზით არის განათებული და ანი უკვე არა ხმაურიან ბუფონადას, არამედ ფრიად პრესტიჟული ლიტერატურული კონკურსის – „ქრომოსომას“ სახელწოდებით ცნობილსა და დამკვიდრებულს – ჟიურის გასვლით და საჯარო სხდომას ვესწრები. უფრო სწორად, რჩეულნი ვესწრებით – მთავარი ჯილდოსთვის მოპაექრე ყველა ავტორი, ოლონდ რატომ გამოგვიძახეს აქ ასე ჯგროდ, სრულიად გაუგებარია. ისიც მესმის, რომ, წესით, აქ არ უნდა ვიმყოფებოდე – რა ესაქმება ავტორს ჟიურის სხდომაზე, თუნდაც საჯაროზე? მაგრამ სიზმარია და... მოკლედ, რატომღაც ვესწრებით. გამარჯვებულს დნმ-ის მოლეკულის ორმაგი სპირალის ფორმის ოქროთი ჩამოსხმული პრიზი ელოდება. ეს „ოქროს ქრომოსომა“ გარეგნულად ხომ დიდებული და სრულიად ეროვნულია – ირიბად „ოქროს სანმისის“ ისტორიულ მნიშვნელობაზეც მიანიშნებს და ჩვენს გენეტიკურ ლიტერატურულ სიძლიერეზეც, მაგრამ კიდევ უკეთესი ის გახლავთ, რომ თან კარგად მომრგვალებული და ნარნარი ციფრით გამოხატული ფულადი ჯილდოც ერთვის – ასი ათასი ლარი.

სხდომის დასაწყისი ბუნდოვნად მახ-

სოვს, მაგრამ რაღაც მომენტიდან მოყოლებული სურათი უაღრესად მკაფიო ხდება – ციფრული ტელევიზორის ცქერისას მოხუცი კაცის სახეზე თითოეული ნაოჭის უმცირეს ხვეულს ერთნაირად მკაფიოდ რომ აღიქვამ, ისეთი... გარეთ დარია, უღრუბლო ცაა, ქუჩას მწველი მზე აწვება, ჩვენ ყველანი კი რაღაც შენობის შიგნით, ვრცელ და გაჩახჩახებულ, ჰაეროვნებითა და სივრცით სავსე ოთახში ვართ შეკრებილი. ეს ოთახი თან პიონერთა სასახლის სარკეებიანი დარბაზით გამოიყურება, თან კი ჩემი ყოფილი და კარგა ხნის წინათ გაუქმებული კვლევითი ინტიტუტის დირექტორის კაბინეტს წააგავს. ოღონდ, იმ უღიმღამო სათავსოსგან განსხვავებით, აქ – ერთი შეხედვით – თითქოს ყველაფერი გასისინებულ-განკრიალებულია. არადა, მახსოვს: იმ კაბინეტში ყველაფერი – კარის საკეტიც თუ ფანჯრის რაფებით დაწყებული და პარკეტით დამთავრებული – გვარიანად მონჯდრეული და მორყეული იყო, სად ჰქონდა იმ უბედურ და გაღატაკებულ ინსტიტუტს რემონტისა და შენახვის ფული – პატიოსანი დირექტორი გვყავდა, ინტელიგენტი კაცი, ქრთამს არ იღებდა... სიზმარში კი ბრწყინავს იქაურობა – ჯერჯერობით.

მაგრამ მოვლენები სწრაფად ვითარდება და მეც სწრაფად ვუღებ მათ აღლოს. მოპირდაპირე დიდი ფანჯრებიდან კარგად ჩანს ვარდებით, გვირილებითა და იებით მოფენილი ბაღი – ზუსტად ისეთი, როგორც იყო გაშენებული იმ ძველი ინსტიტუტის შენობის გარშემო და რომელსაც ის ჩვენი დირექტორი თავად – ხან თანამშრომლებისა და ხან დარაჯის დახმარებით – უვლიდა და ელოლიავებოდა. ოთახში კი, ბაღში გამავალი ამ ფანჯრების გასწვრივ, გრძელ პრილა მაგიდასთან, ლამაზად მოჩუქურთმებულ სავარძლებში ქვეყნის უსახელოვნესი და უჭკვიანესი ადამიანები სხედან და ერთმანეთში ბჭობენ. მეტიც, ამ კეთილმო-

ბილ პიროვნებათა კრებულში ბრიტანეთის ელჩისა და საფრანგეთის კონსულის სახეებიც კი დავლანდე, და კიდევ ვიღაც დაჭყეტილთვალეა დიპლომატის – ეტყობა, იაპონელისა ან ჩინელის... უცნაურია, მაგრამ ამ დიდებული ოთახის ბრწყინვალეობა ჩემს წარმოსახვაში მაინც ნელ-ნელა კნინდება, რამეთუ მოპირდაპირე მხარე ისევ ფუფუნებაშია ჩაფლული, ხოლო აქეთ, ჩემკენ უფრო ახლოს, ვამჩნევ, რომ იატაკიც ამოზურცულა და ჭერიც დანესტიანებულა, მერე წამით უკან ვიხედები და უარესი ეჭვები მიდასტურდება: ზურგით ლამის ვეყრდნობი ალაგ-ალაგ ბათქაშამოცვენილ და გრძელი წვრილი ნაპრალებით სავსე მორუხო-მომწვანო კედელს, გადახსნილი აგურებიც მოჩანს პლინტუსთან სიახლოვეს აქა-იქა... მოკლედ, მეუფენი ამა ქვეყნისა სავარძლებში ნებივრობენ, ხოლო ჩვენ – უმონყალო განაჩენის მომლოდინე ავტორებს – სწორედ ამ დახეთქილი და ნესტიანი კედლის გაყოლებაზე ჩამდგარი უბრალო სკამების მწკრივი გვაქვს ოკუპირებული. ნამეტნავად დიდი და თვალში საცემი სხვაობაა იმ მხარესა და ამ მხარეს შორის... როგორი სკამები იყო, იცით? აი, უბრალო „ვენსკი“, ძველ დალოცვილ დროს ლამის ყველა დაწესებულებას თავზე საყრელად რომ ებადა, გეხსომებათ ბევრს...

ამასობაში, როგორც იქნა, ბოლომდე გავერკვიე ვითარებაში და უკვე შესანიშნავად ვიცი თუ რას ეძღვნება სახელოვან ქართველთა და არანაკლებ სახელოვან უცხოელთა ამ სინკლიტისა თუ არეოპაგის სხდომა და ცოტ-ცოტა ნერვიულობას ვინყებ კიდევ, კოხტა სავარძლებში მოკალათებული ვაჟბატონებისა და ქალბატონების უმონყალო განაჩენის მოლოდინში. დიახ, სწორედ დღეს, აი აქ, ამ ოთახში და რატომღაც ჩვენი თანდასწრებით – ანუ ყიურის წევრების მიერ ხმის ღიად და საქვეყნოდ მიცემის შედეგად – სულ მალე ყველა გაიგებს თუ რომელი ჩვენგანი გახდება კონკურსის მთა-

ვარი პრემიის ლაურეატი და იმ „ოქროს ქრომოსომას“ მფლობელი, რომლის მოსაპოვებლად ამ უბრალო სკამებზე განსესებული პრეტენდენტები ასე ვიღვნით და ვიბრძვით. არც ის გახლავთ გასაკვირი, რომ ინტრიგის კვანძის გახსნამდე ავტორებს ბუნებრივად გვეჯავრება და ზოგჯერ გვეზიზღება კიდეც ერთმანეთი – დროებით, რასაკვირველია. თორემ სხვა დროს და ამ დარბაზს გარეთ ნორმალურ ურთიერთობას ვინარჩუნებთ და არცთუ იშვიათად ვმეგობრობთ კიდეც. კონკურენცია ოხერია! საზოგადოდ, ამ კონკურსებს სპორტულ შეჯიბრებას თუ შევადარებთ – ეს შედარება გამოღვიძებისთანავე მესტუმრა გონებაში – აღმოჩნდება, რომ ყოური და ავტორები სპორტის სხვადასხვა სახეობებს მისდევენ. ყოური უფრო სუმისტებისგან შედგება – როდესაც მძიმეწონიანი ათლეტები მთელი ძალით ეჯიკავებიან ერთმანეთს წრეში საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად, ხოლო ავტორები უფრო გიგანტურ სლალომში მონაწილე მოთხილამურეებს გვაგონებენ – ასეთი მიხრა-მოხრა სჭირდებათ, რათა ფინიშამდე როგორმე მშვიდობიანად მისრიალდნენ და თავისი გაინაღდონ.

ასე რომ, მეც, დარად ჩემი მეზობლებისა, ძალაუნებურად ვცქმუტავ ჩემს მონჯღრეულ „ვენსკიზე“. ჩემგან მარცხნივ და მარჯვნივ კი თავ-თავიანთ სკამებზე სხვა ავტორები ცქმუტავენ, ნაცნობებიც და უცნობებიც, ოღონდ მათ სახეებს ვერ ვხედავ (ან ვერ ვიხსენებ). მათი ვინაობა არც ვიცი და არც მაინტერესებს – ერთისა და ყველაზე საშიშის გარდა. სწორედ ეგ ერთი გახლავთ ჩემი მთავარი კონკურენტი, გვარად მენაბდე. რატომ არის გვარად მაინცდამაინც მენაბდე – აი, ეგ კი არ ვიცი. შესაძლოა, „ცისფერი მთები“ რომ

არის ცნობილი ფილმი, ის შემომისრიალდა სიზმარში და შესაბამისი ასოციაცია გამიჩინა... თუ გახსოვთ, ამ ფილმში იყო ნახსენები ვინმე მენაბდე – ვეება ტრილოგიის ავტორი – რომლის წინაშე მთელი გამომცემლობა, თვით ვაჟა ზაზაევიჩის თამადაობით, ეგრევე კრთებოდა და „სტოიკაზე“ დგებოდა – ეტყობა, იმდროინდელი ლიტერატურული გენერლის პროტოტიპი გახლდათ... ჰოდა, სიზმარში მე და ეს ვილაც „ახალი“ მენაბდე მთავარი კონკურენტები ვართ და ისიც კარგად მომეხსენება, რომ „ოქროს ქრომოსომა“ ან მას უნდა ერგოს, ან მე. საფრთხეს მხოლოდ მისგან ვგრძნობ, სხვები არ ითვლება.

დიახ, ვშიშობ, რომ ძალიან, უაღრესად სერიოზულ კონკურენციას მიწევს ეს ვაჟბატონი. მართალია, ამ მომენტში აღარც მეჯავრება და აღარც მეზიზღება, რადგან გამოიფიტა ამდენი ნერვიულობით სული, მაგრამ საქმე ის არის, რომ

# Konkurs!

სიმართლეს ვერსად გავექცევი – ძალზე სახიფათო მეტოქეა. განიხილება მისი ახალგამოცემული რომანი ცოტა უცნაური სათაურით – „ბისექსუალი“, აი ასე პირდაპირ... ნუ, დაუფინანსა გამოცემა ვილაცამ, თორემ ჯიბიდან ლარს ვერ გააგდებინებ ამ მენაბდეს, ისეთი ტიპია – სახინკლეში ლუდზე გაქაჩული არასოდეს მინახავს, თუმცა რამდენჯერმე ჰქონდა შანსი... მაგრამ ენა აქვს გამობმული კილომეტრი და, როგორც ჩანს, შეკერა ვილაც სპონსორი ან იქნებ თავად ეგ სპონსორი აღმოჩნდა ბისექსუალი და ამან გადაწყვიტა საქმე, აბა რა ვიცი... ის კი

არადა, ნემსივით გამკრა გულში ჟიურის წევრებს შორის უცხოელი დიპლომატები რომ შევნიშნე, უთუოდ თარგმანზე ეჩალიჩება მაგათ მენაბდე-მეთქი, გამიელვა აზრმა. რომანში ერთობ ორიგინალურ თემას მიაგნო, დროისა და მეინსტრიმის მოთხოვნებიც გაითვალისწინა და შიგნით ყველაფერი შეტენა: ომგამოვლილი მთავარი გმირის ლატენტური მამათმავლობიდან რუსეთის დედის სახელის სიმამაცით აღსავსე ტრიალამდე. მოკლედ, ამ ჩვენმა მენაბდემ ასეთი კონსტრუქცია მოიფიქრა: მთავარი გმირი, ერთი-ერთი კატაკომბური თეატრის მსახიობი, სახელად ტრისტანი, თავისი „უცნაურად მოცისფრო“ ლტოლვების შესახებ ჯერ სცენაზე რომ შეიტყობს და მერე ამაში გმირთა მოედნის ცირკის კიბესთან ხშირ-ხშირი და უშედეგო გავლა-გამოვლებების შემდეგ რომ დარწმუნდება, ჩამორჩენილ ქართულ საზოგადოებაში „კამინგ-აუტის“ მომწყობი ვერ არის, ამაზე ძალიან ნუხს და ჯარში მოინადინებს წასვლას – ეგ თუ მიშველის და გადაამარჩენსო. ჯარში სამსახური სულაც არ ეკუთვნის, მაგრამ, მისდა ბედად, რუსეთთან ის ხანმოკლე ომი მოუსწრებს და ესეც ეგრევე გავარდება კომისარიატში ნაცნობ თანაკლასელ ოფიცერთან, მუხლებში ჩაუვარდება – წამიყვანეთო, და ჩაირიცხება სანუკვარ რეზერვში. მერე ამ რეზერვს გორში დააყუდებენ და ძლივს გადაურჩება დაბომბვას სტალინის ძეგლს ამოფარებული... ომში დამარცხების გამო ეს ჩვენი გულგატეხილი „ლატენტური მამათმავალი“ დეპრესიაში ვარდება, საკუთარ „ცისფრობას“ ვეღარ უმკლავდება და ქალაქის ქუჩებში ერთ-ერთი მორიგი ხეტიალისას ცირკის მოედანზე ვილაც ბიჭუნას გადაეყრება. მერე წავა ურთიერთობები, მამაკაცური სიყვარული და ვნება, ეროტიკული სცენები, რამე... მაგრამ გადის რალაც დრო, ტრისტანი გამოდის დეპრესიიდან, აღმოაჩენს, რომ ისევე „ნატურალი“ და დროა ამ წუმპედან როგორმე ამობობღვაზე იფიქროს. იმ ბიჭთან კავშირს წყვეტს

– ოლონდ წინასწარ რალაც ძვირფას სუვენირს ჩუქნის. მერე ბედი გაუღიმებს და თბილისის ერთ-ერთ ცნობილ თეატრალურ დასში ინვევენ და უფორმებენ კონტრაქტს, ცოტა ხანში კი მთელ ამ დასთან ერთად რალაც დიდ ჯილდოს იღებს ერთ-ერთ პრესტიჟულ ევროპულ ფესტივალზე, თან თეატრის წამყვან მსახიობ ქალთან – ორჯერ განათხოვარ და მასზე ათიოდე წლით უფროს „პრემასთან“ – გააბამს სასიყვარულო ურთიერთობას. წყვილი უკვე „ვარსკვლავური“ ქორნილისთვის ემზადება, მაგრამ თურმე სად ბანაობ! წიგნის ფურცლებზე კვლავ ჩნდება ცირკის ბიჭუნა, აშანტაჟებს იმ საჩუქრით, მუდმივად ფულს სძალავს, თანდათან უსაზღვრო მადა ეხსნება და ჩვენ ტრისტანსაც სხვა გზა აღარ რჩება – ერთხელაც შანტაჟისტს ბნელ კუნჭულში დაუდარაჯდება, კედელთან მიამწყვდევს, საკუთარი ხელებით მიახრჩობს (მონმე არავინ არის) და გვამს ბუჩქებში მიაგდება. ისეთი მყუდრო ადგილია, მალე ვერ მიაგნებენ. მკვლელობის მერე მიდის თავის საცოლესთან, გამოუტყდება, რომ ბისექსუალია და ამიტომ ქორნილზე ლაპარაკი ზედმეტია და ემიგრაციაში ითესება, საბერძნეთში. მერე ათენში სნეული დედ-მამის სარჩენად გამგზავრებულ და ძალად გაკახპებულ ქართველ გოგონას – ვინმე ელექტრას – გადაეყრება, მასთანაც გააბამს დიდ სიყვარულობანას და ეს – მისთვის მოულოდნელად – უკვე დიდი და ნამდვილი გრძნობა აღმოჩნდება. არადა, ეს ელექტრა – მთლად ფსკერზე რომ არ დაეშვას – იძულებულია ერთ ჭარმაგ და მდიდარ ტრანსსექსუალს, მეტსახელად პანჩიტას, უწევდეს ხან ლესბოსურ და ხან სადომაზოხისტურ სექსმომსახურებას. ეროტიკული სცენები. მაგრამ ტრისტანში უკვე აფრიკული სავანის ხვადმა ლომმა გაიღვიძა. ის ბოლომდე იცავს თავის ახალ სიყვარულს – კვლავ ეროტიკული სცენები – და სხვადასხვა მანქანებით ახერხებს ელექტრას სექსუალური მონობიდან გამოხსნას, თან ამასობაში

საყვარლის შთაგონებითა და დახმარებით ძარცვავს პანჩიტას ძვირფას საგარეუბნო ვილას და საბერძნეთის არალეგალურად დატოვებამდე ნაძარცვის იაფად გაყიდვასაც ასწრებს. ბოლოს ტრისტანი და ელექტრა გამარჯვებულნი ბრუნდებიან საქართველოში მყარი და ბედნიერი ოჯახის შესაქმნელად. თუმცა... სულ ბოლო გვერდზე, ეპილოგში, ვილაც თბილისელი პოლიციელი პოულობს მეძავი ბიჭუნას გახრწნილ გვამს და ჩალიჩს იწყებს. სულ ესაა. მე თუ კაცი მკითხავს, ეგ ყველაფერი სრული ბოდვაა უამრავი სუსტი ადგილით, მაგრამ, ამბობენ, საშუალო ფენას მოსწონს ასეთი მელოდრამები და ამ ჟიური-გამომცემლობებმაც რა ქნანო. მოგებაზე ხომ უნდა იზრუნონო... თან ამ მენაბდემ ისეთ დროს განწყვიტა თხრობა, რომ მართლა გიჩნდება შეკითხვა: გახსნის პოლიცია ამ საქმეს თუ ვერა, ჩასვამენ ამ გამოსწორებულ მკვლელსა და ნიჭიერ ბისექსუალ მსახიობს ციხეში და მერე იქ რა მოელის: კამერაში საბოლოოდ „გაქათმება“ თუ რაღაც ამნისტია შეეხება და ელექტრასთან დააბრუნებენ? – ანუ სიუჟეტის გაგრძელება სავსებით შესაძლებელია. სადაც მე ასეთი კითხვა დამებადა, ტელესერიალების მოყვარულ საშუალოდ სტატისტიკურ დეიდა მაროს, ხომ გესმით, რა მოუვა, ძალად მოევროპულო პრანჭია „კეკელკებს“ კილიტერატურული ორგაზმი ნაღდად გარანტირებული აქვთ... მოკლედ, მთლად უნიჭოდ დაწერილი არ არის, რადგან დაუმთავრებლობის შთაბეჭდილებას ტოვებს და ძალაუნიებურად გაგრძელებას ელი. სერიალის მზა სცენარია, რა... არადა, ამ ყველაფერს სიზმარში ვფიქრობ და ვწონი, თორემ არავითარი ასეთი წიგნი და არავითარი ასეთი მენაბდე რეალობაში არც არსებობენ და არც არასოდეს არსებულან.

სიზმარი კი გრძელდება და იძულებული ვარ, პირუთვნელად ვაღიარო, რომ „ქრომოსომისკენ“ მიმავალ გზაზე ამ მენაბდის სახით მართლაც სახიფა-

თო კონკურენტი გამომიჩნდა, თუმცა ბრძოლაზე ხელის აღება ამის გამო ნადრევია! არა, არც მე გახლავართ ჯაბანი და იმედაგადანურული. სინამდვილეში საკმაოდ არხეინადაც კი ვარ, რამეთუ სულმნათების ამ სინკლიტში მეც მყავს პატრონი: „ქრომოსომაზე“ წარდგენილია ჩემი პატარა რომანი „წყვეტა“ (სხვათა შორის, მართლაც ოდესღაც გამოქვეყნებული), რომლის შინაარსი – განსხვავებით მენაბდის თხზულებისგან – არათუ სიზმარში, არამედ ცხადშიაც კი აღარ მახსოვს ხეირიანად, იმდენად დიდი ხნის წინათ დამინერია... უბრალოდ, სიზმარში სრულიად დარწმუნებული ვარ ჩემი წიგნის ღირსებებში და არც გამარჯვების იმედი დამიკარგავს ჯერ. ვნახოთ, რა მოხდება!

კიდევ ერთხელ ვავლებ თვალს მოპირდაპირე სივრცეს. ჟიურის თავმჯდომარისგან (რომელსაც კუთვნილი ადგილი იმ ვინრო მაგიდის თავში დაუკავებია) ხელმარცხნივ და ზუსტად ჩემ პირდაპირ პირველი ამ მენაბდის ერთი ძველი ძმაკაცი და ჩვენი ცნობილი კრიტიკოსი ნებივრობს, მის მეზობლად კი, კიდევ უფრო კოხტად მოკაზმულ სავარძელში, ჩემი ბავშვობის მეგობარი მოკალათებულია. როგორი მეგობარი, იცით? აი მთელი ცხოვრება ერთად რომ გვივლია – დაბალი კლასებიდან სტუდენტობის გავლით დღევანდელ დღემდე. ქორწილში მეჯვარე იყო ჩემი. თან შემდგარი პიროვნებაა: დაფასებული, პოპულარული – ტელევიზიებში ხშირად პატიჟობენ ხოლმე, საზოგადოებაში პატივცემული, უნივერსიტეტის ლექტორი და პროფესორი, თან კიდევ აკადემიკოსი და მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, თავისი დარგის ჭეშმარიტი და აღიარებული ავტორიტეტი – ამ პატარა ქვეყანაშიც და საზღვარგარეთაც. მართალია, ფიზიკოსია და რა უნდა ლიტერატურული კონკურსის ჟიურიში, კაცმა რომ თქვას, სრულიად გაუგებარია, მაგრამ შეუყვანიათ „ქრომოსომის“ მესვეურებს და... მოკლედ, სიზმარში ასეა.

თანაც, ურთიერთობაში ხინჯი – თუმცა, ხშირად გვიკამათია ათასგვარ თემაზე – რეალურად არასოდეს გაგვიჩენია. პირიქით, გაჭირვებისას ხშირად გაუნევი დახმარება და არც მე დამიყვებდრებია მისთვის ოდესმე ჩემი მხარდაჭერა... ამიტომაც მისი ხმა ჯიბეში მიღევს, ასე მგონია, და, მიუხედავად ნერვიულობისა, მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. გარანტირებული მომხრე ყოფილი, თან ესოდენ გამორჩენილი პიროვნების სახით – ალბათ, დამეთანხმებით – საკმაოდ ზრდის საბოლოო გამარჯვების შანსებს.

ჰოდა, დგება, როგორც იქნა, ხმის მიცემისა და განკითხვის უამი. გამარჯვებულის გამოვლენის მთელი პროცედურა ხელისგულზეა და ჩვენს თვალწინ ვითარდება. ასეთი რამ ცხადში, გასაგებია, თითქმის ნარმოუდგენელია, მაგრამ სიზმარში რა არ ხდება...

პირველი სიტყვა, ბუნებრივია, თავმჯდომარეს ეკუთვნის. და ისიც, არც აციებს არც აცხელებს და, რიხიანად აცხადებს საქვეყნოდ თავის არჩევანს: „ჩემს ხმას ვაძლევ შესანიშნავ პროზაულ ნაწარმოებს – აქ ცოტა ხნით შეყოვნდა – „წყვეტას“. და ამის გაგონებაზე სიზმარშივე დაახლოებით იგივე გრძნობა მეუფლება, რაც მოჭადრაკეს, რთულ პარტიაში მონინაალმდეგეს ლამაზ შამათს რომ ჩაუსვამს, მაშინ. ან საყვარელი საფეხბურთო გუნდი მეტოქეს გოლს რომ გაუტანს. ესეც ასე, ფრიად კმაყოფილი ვარ: ერთით ნოლი.

გამოხატა რა თავმჯდომარემ თავისი ურყევი პოზიცია, სიტყვა მარცხენა მეზობელს, ანუ მენაბდის მომხრეს გადასცა. მე ამისთვის მზად ვიყავი. იმანაც რაც შეეძლო და ფანტაზია ეყო, აქო და ადიდა თავისი ძველი თანამეინახე და ჩემი კონკურენტი – ქართული ლიტერატურული ენის ბრწყინვალე ფლობაო, ევროპული ტოლერანტიზმიო, ღრმა ფსიქოლოგიზმებიო, უღრმესი ფიზიოლოგიზმებიო, დევნილი გმირის ხასიათის უბადლო ნვდომაო, ეს ტრენდიო, ის მეინსტრი-

მიო... გეფიცებით, არც დოსტოევსკიზე და არც სარტრზე არ უსაუბრიათ ასე თავის დროზე. მაგრამ აკი გითხარით – ამას მოველოდი. ერთით ერთი.

ჩაამთავრა ამ კაცმა თავისი იაფფასიანი დითირამები და ანი ჩემს ძმაკაცზე მიდგა ჯერი. თავი ქუდში მგონია. უეჭველია, შემანევს ორიოდ კეთილ სიტყვას, თან, იმედია, არც სიტყვაკაზმულობაში ჩამორჩება წინა ორატორს. მით უმეტეს, რომ დარწმუნებული ვარ: „ბისექსუალი“ გადაშლილიც კი არ ექნება, რის ტრისტანი, რაის ელექტრა, მაგრამ კაცი ბჭობდაო... დაიწყო მისი გამოსვლა, მაგრამ რა დაიწყო – ჩემს თვალებსა და ყურებს ვერ ვუჯერებ!

მიედო და მოედო: ესაო და ისაო, „ბისექსუალი“ ჩვენი დემოკრატიული ეპოქის გენიალური ნაწარმოებია და მენაბდე ჩვენი დროის გენიოსი, ოღონდ ჯერ უღიარებელი და ეს დიდი შეცდომა დღესვე უნდა გამოვასწოროთო. ან რა ენა აქვსო, ან რა აზროვნება, ან რა ლოგიკა, რა შემოქმედებითი ძალაო. ეგ არის ჩვენი მწერლობის საუკეთესო ნარმომადგენელი და თანამედროვე ჯადოქარიო, რომელიც შორს გაიტანს თავის სასწაულმოქმედ ნიჭიერებას ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ მის სასახელოდ, ოღონდ, თუ ჩვენ ამის საშუალებას მივცემითო. ამიტომ სრულიად აუცილებელია, რომ ბატონ მენაბდეს „ქრომოსომა“ დაუყოვნებლივ, დღესვე მიენიჭოსო, სხვა შედეგი უნდა გამოვრიცხოთო! ამგვარი კატეგორიულობის გამგონეს – თან ვისგან! – ენა მუცელში მივარდება. ძალიან მსურს, გავაპროტესტო ასეთი მზაკვრობა, მაგრამ ველარც კი ვლულულელებ და პირიდან მხოლოდ უმწეობის ხავილი თუ ამომდის. იმას მაინც მინდა მივალწიო, რომ როგორმე ჩემკენ გამოვახედო, მაგრამ, ეს გარენარი აკადემიკოსი როლში ისეა შეჭრილი, რომ განზრახ მარიდებს თვალს და არც კი იხედება ჩემი მიმართულებით. მე მისთვის აღარ ვარსებობ – გრგვინავს მეხივით.

მაშ ასე, ესეც ორით ერთი ჩემი კონკურენტის სასარგებლოდ. ამ დარტყმას კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ, თურმე, რის ორით ერთი! ჯერ სადა ხარ! ამ გამოსვლის შემდეგ დარბაზში ენით აუნერვლი ვითარება იქმნება და ეს ყოფილა თუ ყოფილა საშინელება და ნამდვილი პენალტი ჩემი გუნდის კარში ოთხმოცდამეათე წუთზე. ვილას ახსოვდა ან ჟიურის საცოდავი თავმჯდომარე – პატიოსანი კაცი და ჩემი ერთადერთი მომხრე, ან ხმის მიცემის პროცედურა. რას ვიფიქრებდი, თუ მთელ ამ ლიტერატურულ სინკლიტში ეს ჩემი ფიზიკოსი ძმაკაცი ყოფილა აზრთა მთავარგამგებელი, ხოლო მისი ხმა კი გადამწყვეტი. დაამთავრა თუ არა გამოსვლა, ერთბაშად იქუხა ოვაციის გარდამავალმა ტაშმა და ამ გრილ-გრილში ფეხზე ერთიანად წამოდგა მთელი ჟიური და მორთო სკანდირება – მე-ნაბ-დე! მე-ნაბ-დე! თქვენ არ დაიჯერებთ, მაგრამ ამ სკანდირებას აჰყვა უკლებლივ ყველა იმ დარბაზში მყოფი – ჩემს დამპალ და ღარიბულ რიგში მანამდე მიყურებული ავტორების ჩათვლით (იმათ მაინც რა აყვირებდათ)! სულ ბოლოს კი ავანსცენაზე გამოვიდა ამ წარმოდგენის ჭეშმარიტი ტრიუმფატორი, ბატონი მენაბდე და „ოქროს ქრომოსომის“ მისაღებად გაემზადა... რა მაღლობები იხადა და რეები იპრუტუნა – ეგ აღარ მახსოვს.

მერე რა მოხდა, ზუსტად აღარ ვიცი. სიბრაზისგან სიზმარშივე დამიბნელდა თვალთ და, როგორც ჩანს, აზრზე მხოლოდ მაშინ მოვედი, როდესაც სხდომიდან გამოვედი. მერე მახსოვს ფერადი სურათი: მე და ეს ჩემი ბავშვობის ძმაკაცი აკადემიკოსი ფეხით მივყვებით ვარაზის ხევის აღმართს. ერთად წამოვსულვართ, მაინც რა ძალა ჰქონია ძველ მეგობრობას! ხმას არ ვიღებ, არადა, ბოლმა მახრჩობს: ეს რა კვანტი დამიღო ამ ბავშვობის ძმაკაცმა, რამხელა იმედებს ვამყარებდი ამ „ქრომოსომაზე“ და რა ახლოს ვიყავი გამარჯვებასთან. თან ასი ათასი ლარი ნამდვილად ამაშენებდა, ამ უსინდისომ კი

რა მიყო... დანა კბილს არ მიხსნის, მაგრამ ვიკავებ თავს, ჯერ არაფერს ვეუბნები, ისიც ჩუმად არის და ასე ამოვიარეთ მთელი აღმართი უნივერსიტეტის პირველ კორპუსამდე. მაგრამ, ბალის შესასვლელს რომ მივადექით ჭავჭავაძეზე, აი, მაშინ კი ველარ გავძელი და ამოვანთხიე, რადგან... რადგან გასივდა გული.

– შე უნამუსო და ყოვლად არამზადავ! ეგ რა მიქენი? რა დაგიშავე? რამხელა იმედი მქონდა შენი! ფული ხომ არ გაგიყო იმ დამპალმა, ჰა? – მაგრად ვუყვირე, თუმცა ბილნი გინება არ მიმიყოლებია. ღირსი კი იყო, მაგრამ მაინც აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, რაც გინდა იყო.

პასუხად იკადრა და ერთი კი ამოილულულა: რა ფულიო? მაგარი ყოფილა ეს „ტრისტან და ელექტრაო“, ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე, ნაღდად ახალი სიტყვაა... რა ვქნა, პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება ხომ იცი... – ეგა თქვა და გაჩერდა. ან რა ჰქონდა მეტი სათქმელი?

– რაებს ბაზრობ! - ვუთხარი მრისხანედ, – შენ ჩემი „წყვეტა“ ნაკითხული რომ არ გქონდა და ამდენ ხანს მატყუებდი, წავიკითხეო, მაგას ყოველთვის ვხვდებოდი, მაგრამ არაფერს გეუბნებოდი, ვითომ მჯეროდა, რა! მაგრამ შენ ხომ არც ეგ მენაბდის „ბისექსუალი“ გექნება ნაკითხული! რა გეტრისტანება! რომელი „ელგებეტემნიკი“ შენ მყავხარ ამხელა კაცი და ორი შვილის მამა? ან როდის იყო, წიგნებს კითხულობდი? ყველამ ვიცით, რომ ფიზიკის გარდა არაფერი გაინტერესებს და მეხუთე კურსის შემდეგ ბელეტრისტიკა არ გადაგიშლია! მოხარულს გიცნობ! ფული გექნება ალებული, ოცი პროცენტი მაინც!

გეფიცებით, ცოტაც და დასარტყმელადაც გავინევდი, ისეთ გუნებაზე დავდექი. მაგრამ მაინც არ მინდა უაზრო ხელჩართული ქალაქის ცენტრში, თანაც ამხელა მეფისტოლა კაცთან, თანაც კიდევ სიყრმის მეგობართან... ვიცი, რომ ნებისმიერ შემთხვევაში სისუსტეში ჩა-

მეთვლება და ისევ ჩემს საქციელს დაგ-  
მობენ, არადა, ამკარად ვგრძნობ: აღარც  
არგუმენტები მყოფნის და აღარც ჰაერი.  
ამიტომ უნდა გავიღვიძო, სხვა გზა არ  
არის – და მართლაც გამეღვიძა.

შუბლი კი მქონდა ოფლიანი, მაგრამ,  
სამაგიეროდ, გულზე მომეშვა. ყველა-  
ფერი კი ტყუილი აღმოჩნდა – საბედ-  
ნიეროდ. რა „ქრომოსომა“, რის „ქრო-  
მოსომა“!

ისე, ამ შლეგმა სიზმარმა ცუდად  
დამაკვალა. ორი რამ მაიძულა და  
დამიტოვა: ერთი, რომ კალამი დამაკა-  
ვებინა ხელში და მეორეც – ჩემი ბავ-  
შვობის ამ ნაცად მეგობარს, აკადემი-  
კოსსა და საზოგადოებაში პატივცემულ  
კაცს მას მერე რატომღაც ეჭვის თვა-  
ლით ვაკვირდები ხოლმე.

## ხვალ, ორის ნახევარზე

რამდენიმე დღის წინათ ჩვენს ხელთ  
აღმოჩნდა ერთი ფრიად უშუალო სატე-  
ლეფონო საუბრის კოდირებული ჩანა-  
წერი, რომლის შინაარსის დადგენას შე-  
საბამისმა სპეცსამსახურმა ორ თვეზე  
მეტი ისე მოანდომა, რომ, ტექნიკური  
მიზეზების გამო გაშიფვრის პროცესი  
ბოლომდე ვერ დაასრულა ტექნიკური  
მიზეზების გამო. მიუხედავად ამისა,  
მიღებული შედეგი მაინც საინტერე-  
სოა... დიალოგის ერთ-ერთი მონაწი-  
ლე ჩვენს ქვეყანაში ერთობ პოპულარ-  
ული მწერალი გახლავთ – ადამიანი,  
რომელიც ე. წ. „ცნობად სახეებს“ მი-  
ეკუთვნება, ვინაიდან მას არცთუ იშ-  
ვიათად სხვადასხვა ტელეგადაცემაში  
ინვევდნენ. ინვევდნენ და არა ინვე-  
ვენ – სამწუხაროდ, იძულებული ვარ,  
ეს პიროვნება წარსულ დროში მოვიხ-  
სენიო ხოლმე. ჩანაწერიდან ირკვევა  
თუ რაოდენ ფიცხლად და შეუპოვრად  
ეპაექრება ის თავის ოპონენტს, ჩვენ-  
თვის დღემდე უცნობი და იდუმალი  
უზენაესი ინსტანციის უფლებამოსილ  
წარმომადგენელს. მეტის თქმა ამის

თაობაზე ჩვენ ჯერჯერობით არ ძალ-  
გვიძს, თუმცა, იმედია, თავადაც გა-  
მოიტანთ სათანადო დასკვნებს... ისიც  
უნდა შეგახსენოთ, რომ კანონი პირადი  
ინფორმაციის შენახვის შესახებ ჩვენ-  
ში ისე ეშმაკურადაა შედგენილი, რომ  
მსგავსი ჩანაწერების გამოქვეყნება და,  
ამდენად, საჯარო სივრცეში მათი მოქ-  
ცევა მხოლოდ ცალმხრივ რედაქციაშია  
დასაშვები. უფრო მარტივად რომ ვთქ-  
ვათ, საზოგადოებისთვის ხელმისაწ-  
ვდომი ხდება მხოლოდ დიალოგში ჩარ-  
თული ერთი რესპონდენტის გამონათ-  
ქვამები – იმისი, ვინც თავიდანვე იყო  
მიჩნეული მოსმენის ობიექტად. მისი  
პარტნიორის ვერბალური რეაქცია კი –  
ამავე კანონის ძალით – გასაიდუმლო-  
ებულია და თქვენ, ჩვეულებრივ მკით-  
ხველებს, მხოლოდ ისლა დაგრჩენიათ,  
რომ იმარჩიელოთ შესაძლო პასუხების  
თაობაზე. არ ვიცი, ეს წესი ვისი მოგო-  
ნილია, მაგრამ ჭკვიანურად მოგონილი  
კი არის. ამბობენ, რომ ასეთი მიდგომა  
პოტენციალური ტერორისტების ხრი-  
კების სანინააღმდეგოდაა მიმართული  
და ამართლებსო. რა ვიცი, სავსებით  
შესაძლებელია, ასეც იყოს... ოდესმე,  
შესაძლოა, დადგება საარქივო მასა-  
ლების სრულად გახსნის დრო, მაგრამ  
არა ხვალ და ზეგ... გამოგიტყდებით, ამ  
მხრივ არც მე ვარ საკმარისად გათვით-  
ცნობიერებული, რამეთუ ოპონენტის  
ბოლომდე გაუშიფრავ გამონათქვამებ-  
ში უამრავი ლაკუნაა დარჩენილი... ასე  
რომ, მოცემულ შემთხვევაში, ჩვენც და  
თქვენც თითქმის ერთ დღეში ვართ და  
სანახევრო ტექსტით უნდა დავკმაყო-  
ფილდეთ, ხოლო ოპონენტის სავარა-  
უდო პასუხების ნაცვლად მრავალწერ-  
ტილებით შემოვიფარგლოთ. მაშ ასე,  
გთავაზობთ ჩვენს ხელთ არსებულ ამ  
იძულებით და ცალმხრივ მონოლოგს  
ყოველგვარი ჩასწორებებისა და კო-  
რექტირების გარეშე.

„დიახ, გისმენთ... გიცანით, რა თქმა  
უნდა... როგორ?.. უკვე?.. როდის?..



ხვალ, ორის ნახევარზე? რატომ ხვალ?.. სრულდება ჩემი კონტრაქტის ვადა?.. მოიცათ, მოიცათ... ძალიან გთხოვთ, ყველა გარემოების გათვალისწინებით, გამიგრძელოთ კონტრაქტი... თუნდაც უმნიშვნელო დროით, თუნდაც სასაცილო რამდენიმე წლით მაინც...

არაფრით არ შეგიძლიათ?.. მაგრამ... და თუკი მკაფიოდ გამოხატავთ თქვენს სურვილს? მაგალითად, ახალი გარემოებების წარმოქმნის გამო... დიახ, დაახლოებით ასეთი ფორმულირებით... რა?.. სურვილი არ გაგაჩნიათ? და ამას თქვენ მე მეუბნებით?.. სურვილი თქვენს უფროსს არ გააჩნია?.. ჰო-ო, შეფს აბრალებთ, არა?.. მაგრამ თქვენთვის, პირადად თქვენთვის, ამის გაკეთება ხომ ასე იოლია! შეფს უყვარხართ და პატივს გცემთ – სხვანაირად თავისი კაბინეტის კარს ახლოსაც არ მიგაკარებდათ... ამიტომ ყოველდღე გაქვთ საშუალება, ყურში ის ჩაუჩურჩულოთ, რასაც საჭიროდ მიიჩნევთ... რა თქმა უნდა, ის თქვენს მოსაზრებას ანგარიშს აუცილებლად გაუწევს!.. მე კი მაღლიერი დაგრჩებით, არ განწყენინებთ, ამ მხრივ არაფერი შემეშლება... დაგიფასებთ, დიდი სიკეთით გადაგიხდით!.. ვერ გადაგიხდით?.. რატომ, რა იცით?.. აჰ, სამსახურის დაკარგვის გეშინიათ? მე კი სიცოცხლის დაკარგვის მეშინია, ერთადერთი მაქვს და ისიც აბსოლუტურად განუმეორებელი!.. რატომ, ძალზე იოლად შემიძლია წარმოვიდგინო... დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი უწყების ღრმა და კარგად დაჯავშნილ სეიფებში უამრავი მსგავსი კონტრაქტი ისე იმტვერება, რომ არავის არასოდეს ახსენდება მათი არსებობა, არც კი შეიხედავენ... მაპატიეთ, მაგრამ სრულიად დაუჯერებელია, მათი შესრულებისთვის ვინმე გულწრფელად ზრუნავდეს... გამორიცხებულია, არ მჯერა... და ვინაა ამის შემომწმებელი? ყოველივე ეს ხომ მხოლოდ თქვენი გადამეტებული და უაღრესად ფორმალისტური მიდგომის შედეგია... ნუ, რა ხალხი ხართ

მანდ შეკრებილი!.. დამისახელეთ, ვინაა ამის გამკეთებელი?.. რაა?.. ასპროცენტინად ასრულებთ?.. გამონაკლისების გარეშე?.. დღემდე არავის უჩივლია?.. და ამით ტრაბახობთ?.. ოჰ, რომელიმე თქვენი ბაქიბუქა რევიზორის თვალეში ჩამახედა, ვიცი, რასაც გამომტყუებდა!.. ნეტავ, გადავეყარო სადმე, ნამდვილად არ დავაკლებდი კეთილ სიტყვებს!.. არა, შეუძლებელია, მართლა ასე იყოს, ყოველთვისაა რალაც გამონაკლისი... მაგრამ მე ხომ ნებისმიერ გონივრულ პირობაზე თანახმა ვარ... არაგონივრულზეც – სხვათა შორის... თავად განსაჯეთ: ხომ არ შემიძლია, ასე ერთბაშად ყველაფერს თავი დავანებო და შევეშვა? რამდენი რამეა დასამთავრებელი, გასაკეთებელი, დასაწერი... მერე რა, თუ ხვალ ორი რიცხვია? არა, არაფრით არ შემიძლია, არ ვარ თანახმა!.. გადაეცეთ თქვენს უფროსს – პირადად გადაეცით, პირადად! – რომ ეს გამორიცხებულია, კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ. გესმით, კატეგორიულად!.. მაგრამ ეს ხომ... ეს უაღრესად არაადამიანური იქნება თქვენი მხრიდან. უღმერთო საქციელი და თვითნებობა... მე პროტესტს ვაცხადებ!..

ყურადღებით მომისმინეთ, თუ შეიძლება, ბოლო-ბოლო თქვენზე უფროსი ვარ!.. არ გამაწყვეტინოთ და არ გაბედოთ ყურმილის დადება – ნურც კი ეცდებით ამას, თავს მაინც არ დაგანებებთ! მაშ ასე: მე ჯერ კიდევ უამრავი განსახორციელებელი გეგმა მაქვს, დაუსრულებელი პროექტების მთელი ნუსხა, უთვალავი ორიგინალური ჩანაფიქრი... დიახ, ტვინშიც, ფურცლებზეც და კომპიუტერშიც... დიახ, რა თქმა უნდა, უაღრესად დიდი ღირებულების მქონე გეგმებია... სერიოზულად ვამბობ... ფასდაუდებელი, აბა როგორ!.. დიახ, ღრმად ვარ ამასი დარწმუნებული... რას ბრძანებთ?.. ამას ვერ დავასაბუთებ?.. რა?.. ცინიკოსი ბრძანდებით!.. როგორ, სულაც არ ხართ ვალდებული, ადამიანობა გამოიჩინოთ? აბა, მაშ სხვა რა ასეთი ვალდებულება

გაკისრიათ? თუ ადამიანური არა, მაშინ ეშმაკისეული რჩება, ხომ ასეა?.. და თუ სმენიათ თქვენს კანცელარიაში ძველი ამბავი ზნედაცემული ანგელოსის შესახებ?.. თქვენც გსმენიათ, ხომ? აბა, სხვანაირად თქვენს სამსახურში რანაირად ჩადგებოდა?.. აი, ამჯერად ჩემს ხვალინდელ გეგმასა და განზრახვას გიმხელთ და კიდევ ერთხელ ვითხოვ თქვენს ყურადღებას... დიახ, სწორედ ხვალ, დღის სამ საათზე, დანიშნული მაქვს მნიშვნელოვანი შეხვედრა ერთ-ერთი ფრიად პოპულარული ჟურნალის რედაქციაში... დიახ, პირადად მთავარ რედაქტორთან. ნყდება ჩემი ახალი და უაღრესად აქტუალური ნაშრომის გამოქვეყნების საკითხი... დიახ, ეს ზომით საკმაოდ ვრცელი სტატია გახლავთ, ასეთები ძნელად იბეჭდება, მაგრამ მე არცთუ უსაფუძვლოდ მოველი დადებით გადაწყვეტილებას. მასალა ეძღვნება ჩემი სამშობლოს რეალურ პრობლემებს, მისი ადგილის მართებულად განსაზღვრას თანამედროვე მსოფლიოში, მის მომავალს... როგორ ბრძანეთ?.. თქვენი აზრით, მისი ადგილი ისედაც კარგა ხანია განსაზღვრულია?.. ნუ, შესაძლოა, თქვენთვის ეს ასეა, მაგრამ ჩემთვის – სულაც არა... სხვათა შორის, იმასაც მოგახსენებთ, რომ ამ პუბლიკაციას კარგა ხანი სპეციალურად უღობავდნენ გზას, ვერ ბედავდნენ მის დაბეჭდვას, მაგრამ მე მაინც ვიყოჩაღე, რამდენიმე გავლენიანი კაცი გავრიე ამ საქმეში, ძლივს დავარწმუნე – ეს არ იყო ადვილი – ჩემს მხარეს გადმოვიბირე და, ვგონებ, დავძლიე გამოქვეყნების პრობლემა... სწორად გამიგეთ, ამ ნაშრომის დაბეჭდვამ შეიძლება მეტად მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს არა მარტო ჩემს პატარა ქვეყანაზე, არამედ ჩვენს რეგიონზე და, იქნებ, მთელ მსოფლიოზეც კი... რა? დიახ, ეს ჭეშმარიტად გარღვევაა, რეალური ნაბიჯი მომავლისკენ... განდიდების მანიით ვარ შეპყრობილი?.. საკუთარ როლს აშკარად გადამეტებულ მნიშვნელობას ვანიჭებ?.. არა, გენაცვა-

ლე!.. ვერც ამაში დაგეთანხმებით... კი ბატონო, მრავლად გამიჩენია მტერიც და არაკეთილმოსურნეც – დიახაც რომ, ჩემი პრინციპულობისა და პირდაპირობის გამო, მაგრამ... მეგობრებიც გადამიკი-დია, არახალია... ტყუილად კი არ მოვაჩნივარ ჩემს საახლოლო ნრეში უმართავ და ჯიუტ პერსონად, მამამელობას, კუდის ქიცინსა და ლაქუცს ვერ ვიტან, ვილაც-ვილაცებისთვის აუტანელიც კი ვარ, თუმცა სინამდვილეში არც დიპლომატია გახლავთ ჩემთვის სრულიად უცხო... თანამედროვე ადამიანი კომპრომისების გარეშე ამ ქვეყანაზე ვერ იცხოვრებს, მონიშნულ გზას ვერ გაივლის, ზენოლებს ვერ გაუძლებს, უბრალოდ, თავს დაილუპავს, მაგრამ ყველაფერს თავის ზომა-წონა აქვს, კომპრომისებსაც... არასოდეს პირველი არ მივქრი ამბრაზურისკენ სხვათა დასანახად ან საამებლად, ბევრი მინუსი მაქვს, მაგრამ ჩვენ ხომ კონტრაქტის გაგრძელებაზე ვკამათობთ და არა ჩემს ჭეშმარიტ თუ მითურ ნაკლოვანებებს ვარჩევთ...

მაშ, ავანტიურისტიც ვყოფილვარ?.. ამას როგორ მეუბნებით? არანაირი პატივისცემა... თქვენ ამის არაფერი გაგებებათ და – კიდევ უარესი – არც გაგება გსურთ! ტვინის ხვეულების განძრევა გეზარებათ!.. ამდენი ვიბრძოლე, ამდენი ძალა შევავლიე ამ წარმატებას თუ არა, რალაც წარმატების მსგავსს მაინც, ბედმა გამილიმა და, როგორც იქნა, ხვალ სამ საათზე... არა, მე გეუბნებით, რომ სამზე, ზუსტად სამზე და არა ორის ნახევარზე!.. ანუ, მიმტკიცებთ, რომ აქედან არაფერი გამოვა და რედაქტორთან შეხვედრა არ შედგება? ვითომ რატომ? თქვენ რა – უზენაესი ცენზორი ხართ თუ გულთმისანი?.. აჰ, ამაში არაა საქმე? კეთილი, იქნებ, მიბოძოთ და ამიხსნათ... საქმე მხოლოდ და მხოლოდ კონტრაქტით დადგენილი ვადის ამონურვაშია? ჰოდა, გამიგრძელეთ ეგ დალახვრული კონტრაქტი და საქმეც ამით მორჩება – ამას არ ჩაგჩი-

ჩინებთ ამდენი ხანი!.. ნებისმიერ შემთხვევაში, ხვალ მე ბინიდან დაახლოებით პირველ საათზე გავალ... დიახ, ასეა საჭირო. თითქოს ცოტა ადრეა, მაგრამ რედაქციამდე კიდევ ერთ ადგილას უნდა შევიარო... არა, უფრო ადრე გამოსვლას არ ვაპირებ... რატომ უნდა გამოვიდე ადრე?..

არა, ამდენის უფლება თქვენ არა გაქვთ!.. თუნდაც ამ დალახვრულ კონტრაქტს მართლაც ხვალ ორის ნახევარზე ენურებოდეს ვადა... რა სისულელე და უმეცრებაა!.. ვითომ მე და თქვენ ის მაინც არ ვიცოდეთ, რომ ყველა ეს პირობა ამ ფარატინა ქალაქში თქვენი უკმეხი შეფის მიერაა ჩანერილი, ისიც ყავის მირთმევის პროცესში. უფრო სწორად, წერდა მდივანი, ის კი მხოლოდ ხელს აწერდა მდივნის ნაცოდვილარს... თქვენ არა, თქვენ რა შუაში ხართ, მაშინ თქვენს სავარძელში სხვა იჯდა... წარსულში, ეს კონტრაქტი რომ ითხზებოდა, ამ პირობებს თქვენს ნაცვლად ერთ-ერთი თქვენი წინამორბედი წერდა, ფრიად სათნო და ზრდილობიანი ქალბატონი, სხვათა შორის, მერე დაანინაურეს... არა, ნაკუნა რა შუაშია... მაშინ არც კი ვაქცევდი ყურადღებას იმას თუ რა იწერებოდა ქალაქის ამ ნაგლეჯზე... ეგ თქვენს გაცნობამდე გაცილებით უფრო ადრე მოხდა, იმ წლებში თქვენ, ალბათ, საბავშვო ბაღში ან სკოლის დანყებით კლასებში თუ დადიოდით... ამიტომაც თქვენ ამ ტექსტის შინაარსზე პასუხს, რასაკვირველია, ვერ აგებთ, აი ის სათნო ქალბატონი კი არ ყოფილა ქვემარტად სათნო – ყოველთვის ცუდად ვერკვეოდი ქალებში... ეს კი ქალაქის უბრალო ნაგლეჯია, მეტი არაფერი!.. აჰ, არაა ნაგლეჯი?.. მართლა?.. აბა რაა?.. პასუხი გამეცით, თუ შეიძლება!... არ მესმის, თუ შეიძლება უფრო ხმამაღლა და გარკვევით ილაპარაკეთ... ნუ ტირით, ძალიან გთხოვთ, რა დროს თქვენი ცრემლებია... არა, არა, არც გაბრალებთ... მაინც რატომ არ გსურთ, რომ დამეხმაროთ?.. ამ ჩემი პუბლიკაციის ბე-

დი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე... მეტსაც გეტყვით: ამ სტატიას კიდევ ერთი უნდა მივაყოლო, არანაკლებ მნიშვნელოვანი... დიახ, მთელი ციკლი მაქვს ჩაფიქრებული. და არა მარტო ეს, მოთხრობაც დგას რიგში... შემიძლია გაგანდოთ, რომ მორიგი ჩემი ლიტერატურული ოპუსი მიეძღვნება ჩვენი დროის ნამდვილი გმირის – განათლებული და კეთილშობილი ბიზნესმენის, ქვემარტი ქველმოქმედის არცთუ გავრცელებულ ტიპაჟს. მისი როლი ჯერ დაუფასებელია ჩვენში... წარმოიდგინეთ კარიერის დასაწყისში მის მიერ აგებული დიდი და თანამედროვე თავშესაფარი ძაღლებისთვის და ქუჩაში მონანნალე სხვა ცხოველებისთვის. ამით დაინყებს, სიკვდილისთვის განწირული ავადმყოფი ბავშვების ოპერაციების დაფინანსებით გააგრძელებს და მოწინავე უნივერსიტეტით დაამთავრებს, მეტიც – ასეთი უნივერსიტეტების მთელ საერთაშორისო ქსელს შექმნის. ნუ, ცხადია, სუპერმილიარდერია, სხვანაირად ვერ განვდება... დიახ, ამ მხრივ და ასეთი გამოჩენილი თანამოქალაქეების ძალისხმევით ჩვენ საკმაოდ მაღელ მთელი კავკასიის მაგნიტად უნდა ვიქცეთ... რას ბრძანებთ, რის შეუძლებელი? რატომ?.. ვერ გავქაჩავთ? ვნახოთ, ვნახოთ... როგორ? კეთილი ბიზნესმენები არ არსებობენ? როგორ გეკადრებათ! მთელი მსოფლიოს ისტორიული პრაქტიკა სავსეა ასეთი მაგალითებით... მერე ქველმოქმედება?.. აჰ, ისინი სხვანაირები იყვნენ, ესენი კი... როგორ, ყველაფერზე წამსვლელი აფერისტებიო? ჰა-ჰა... თქვენი პირადი გამოცდილებით... ვიცი, მჯერა, მაგრამ თანდათანობით ესეც უკეთესობისკენ შეიცვლება... მესმის, თქვენ არ გწამთ არც მათი სიკეთისა და არც მათი უანგარობისა, რადგან ისინი ყოველთვის რალაც სამაგიეროს ითხოვენ თქვენი შეფისგან... მაგრამ ნუთუ თქვენი გამოცდილება სხვას არაფერს გკარნახობთ?.. ცდებით, ცდებით... ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ისევე

ცდებით, როგორც ჩემს შემთხვევაში... აი, როდესაც ჩემი სტატიების ციკლი მზის სინათლეს იხილავს და თქვენ მათ წაიკითხავთ, მაშინ აზრიც შეგეცვლება... ვერ წაიკითხავთ, ვინაიდან მე მათ დასრულებას ვერ მოვასწრებ?.. რა სიმდაბლე და უსინდისობაა!.. მაგრამ ამის გამოსწორება ხომ თქვენ ხელგეწიფებათ. ერთადერთი, რაც ამისთვისაა საჭირო – არ უნდა მიყვეთ სიტყვასიტყვით და ასო-ასო ამ დაღაბვრული და ყოველად უსახური კონტრაქტის ტექსტს... თქვენც აიღეთ და საკუთარ თავზე მალლა დადექით, ეს არც ისე ძნელია... უბრალოდ, დაივიწყეთ, გვერდზე გადადევით, სხვა საქალაქდებებს ამოუდეთ ქვეშ... სპეციალურად თუ არ შეახსენებთ, თქვენ შეფასავსი წელი არ გავახსენებ... ვინ ვარ მე მისთვის, რას წარმოვადგენ ისეთს?.. დიახ, თუ ვერ აუქმებთ, დაუმალეთ – დიდი ამბავი! ნამდვილი სიკეთე ეს იქნება!.. მერე რა?..

მერე რა თუ იქ ჩემი ხელმოწერაა? არა უშავს! ჩემი თუა – მინდა დავტოვებ, მინდა უკან წავიღებ... ამიტომ ამ შემთხვევაში მისი ფასი ნულის ტოლია. ერთი სიტყვით, მე უარს ვამბობ კონტრაქტის შესრულებაზე... დიახ, ცალმხრივად უნდა დავარღვიო... უფლება არ მაქვს?.. ნუ მემუქრებით... ჩემი ცხოვრება ისედაც ჯოჯოხეთია... გამიგეთ, არ შემძლია! მარტო ორ ამ შესანიშნავ სტატიაში როდია საქმე, სხვა გადაუდებელი პრობლემებიც მახრჩობს... დიახ, ძალიან ცხოვრებისეული, შეიძლება ითქვას, ბანალურიც კი... ამას წინათ შვილიშვილს შევპირდი, კარგ სათამაშოს გიყიდი დაბადების დღეზე-მეთქი – მალეა, ორიოდე კვირაში. იცით, რა მომთხოვნი გოგონაა! ჰოდა, ავანსი მჭირდება... ხომ უნდა შევიარო წინასწარ სუპერმარკეტში, შევათვალიერო დახლები. ექვსი წლისა ხდება, შემოდგომაზე კი სკოლისაკენ ჰერი-ჰერი... რას ქვია, დაბადების დღე უჩემოდ ჩაივლის? ვითომ რატომ?.. რადგან იმ

დროისთვის მე უკვე აღარ ვიქნები? მაგრამ... ვაჰ, როგორ შეგიძლიათ ასე? ენა როგორ გიბრუნდებათ? თქვენთვის წმინდა არაფერია!..

იცით, რომ დაუმთავრებელი რომანი მიდევს მაგიდაზე?.. სრულიად ახალი სიტყვა ხელოვნებაში. აბსოლუტურად ორიგინალური კონსტრუქცია და უაღრესად ნაყოფიერი იდეა... რაზეა?.. გახსოვდეთ, ყველა რომანი ცხოვრების აზრზეა... როგორ მიბედავთ, ასე დამცინოთ, მე თქვენ ვილაც ხელოვნურად გაბერილი ლიტერატურული ვიგინდარა ხომ არ გგონივართ!.. არა, ეს სრულიად შეუძლებელია... მაგრამ რომანი ჯერ დამთავრებული არაა, ლამაზი დაბოლოებაა მოსაფიქრებელი, ამის გარეშე ცოტა ძნელია... ტექსტი კომპიუტერშიც ჩანერილი მაქვს და ფლემკაზეც ატვირთული, მაგრამ ფინალი... ხომ არ შეიძლება, დაუშვებელია, გენიალური ნაწარმოების სასწრაფო ტემპში დამთავრება მხოლოდ იმის გამო, რომ იმ სულელურ კონტრაქტში რაღაც ჰარი-ჰარალედ ჩანერილი ვადაა მონიშნული!.. არა, დღეს საღამოთი ვეღარ დავასრულებ. ჩვენს საქმეში თუ იჩქარებ, მკითხველსაც გააცინებ და რედაქტორსაც. თანაც, ჩემ გარდა, არავის ძალუძს ამ ნაწარმოებისთვის დასრულებული და მომრგვალებული სახის მიცემა... ყველაფერს გააფუჭებენ და წყალში ჩამიყრიან ამდენ შრომას... აბა, მაშინ, თუ წარმოგიდგენიათ, ამით კაცობრიობა რამდენს დაკარგავს?.. საიდან ვიცი?.. და თქვენ რა იცით? იქნებ, სწორედ მე ვიქნები ის ერთადერთი და განუმეორებელი გენიოსი... იქნებ, ჩემი სიტყვებია ის წამალი, რომელიც მილიონობით ადამიანის ბედს სასიკეთოდ შეცვლის... რაც მთავარია, ისინი მოელიან ასეთ სიტყვას, გაუცნობიერებლად, მაგრამ მოელიან, სულიერი წყურვილი კლავთ... თქვენ ხომ თავადაც ხედავთ და ხვდებით თუ რას დაემსგავსა კაცობრიობა? უტყვთა სამარცხვინო ბრბოდ გადაიქცა... ელიან, ჩემგანაც

ელიან, რატომაც არა?.. არ ელიან?.. რატომ ხართ ამაში ასე დარწმუნებული? იქნებ, ერთად შევამოწმოთ?.. რომანის დასრულების საშუალება მაინც მომეცით!.. სულ რამდენიმე დღე მაინც, წელი აღარ მინდა, სულ ერთი შანსი, ერთი!.. გაითვალისწინეთ თქვენი მორალური პასუხისმგებლობის ზომა და წონა... ეგ არ განუხებთ? ანუ თქვენ მიმტკიცებთ, რომ დღეს აღარავის კითხულობენ და თვით ნობელის ლაურეატების ნაწერებსაც კი აღარ ეკარებინ... და ყველა როგორაა გაბერილი ფიგურა?.. არა, ამქვეყნად ძალით გაბერილ ხვითოებზე მეტი რაა, მაგრამ ამის ასე განზოგადება მაინც გაუმართლებელია, არ შეიძლება... თქვენ ცრუობთ!.. და თუნდაც არ ცდებოდეთ და ზოგადი ტენდენცია მართლაც ასეთი იყოს, განა ეს საგანგაშო არაა?.. ისევ თქვენი გამოსასწორებელია!.. მორალის თემა არ გაინტერესებთ? არადა, ზარებს უნდა რეკავდეთ, ჩემნაირებს სანთლით ეძებდეთ და გვერდში იყენებდეთ, თქვენ კი რაღაც კონტრაქტიო... ეს ბლუყუნია... უბედურება ისაა, რომ ამ კონტრაქტებისა და შოუბიზნესის გარდა არაფერი გაინტერესებთ, ამის იქით ვერ იყურებით... თქვენი ბრალია, აბა, ვისი?.. არც ვფიქრობდი თქვენს შეურაცხყოფას, უბრალოდ ყველასთვის ცხადი და ცნობილი ფაქტი აღვნიშნე და რატომაა შეურაცხყოფა?.. თქვენ ჯერ კიდევ შეგიძლიათ დამეხმაროთ, ყველაფერი შეცვალოთ... არ გნებავთ? სამწუხაროა, ძალზე სამწუხარო...

არა, არც კი მთხოვოთ. რანაირად უნდა დავმშვიდდე?.. გაიგეთ მთავარი და ძირითადი: ჩემში დაუხარჯავი ძალების ისეთი მარაგია, რომ... დიახ, ცეცხლი მიგიზგიზებს და კვამლიც ამდის... ენით აღუწერელი!.. ვხუმრობ, ცხადია!.. დიახ, არც ისეთი მოხუცი ვარ, რომ... არა წიგნითა ერთითა... მე ბევრი რამ შემიძლია კიდევ... შემიძლია დავაარსო მსოფლიოში საუკეთესო უნივერსიტეტი, შევქმნა ახალი პოლი-

ტიკური პარტია, გადავარჩინო მიგრანტები ხმელთაშუა ზღვაში, გავეფრინდე მთვარეზე... იმდენია კიდევ გასაკეთებელი... და რატომ მაინცდამაინც ხვალ ორის ნახევარზე? რა საჩქარო ესაა?.. ბედისწერაა? რას მიქვია ბედისწერა?.. არც მესმის და არც მინდა გაგება! უბრალოდ სიცოცხლე მწყურია და სიცოცხლე მინდა!.. რას ქვია, ყველა უნდა – ეგ, აბა, რა პასუხია?..

და განა მე მხოლოდ ჩემს დაუმთავრებელ რომანზე და მსოფლიოს პრობლემებზე ვდარდობ? სიმართლე გითხრათ, ჩემი ცხოვრების განმავლობაში ბევრი შეცდომა მაქვს დაშვებული – ზოგი გამოუსწორებელი, უფრო მეტი კი შეიძლება გამოსწორდეს. განსხვავებული ტიპის შეცდომები ჩამიდენია, დაუფიქრებელი ნაბიჯებიც გადამიდგამს, სისულელეებიც მიკეთებია, სისასტიკეც გამომივლენია ზოგჯერ, გაუმართლებელი ეგოიზმიც, ელემენტარული გულგრილობაც... ვალებიც მაქვს გასასტუმრებელი, მარტო ფულად ვალებს არ ვგულისხმობ... ზოგიერთი შეცდომის გამოსწორების დაუოკებელი სურვილი მკლავს და მახრჩობს, აქამდეც შევეცდებოდი, უბრალოდ, მომენტის შერჩევა მინდა... დიახ, ოპტიმალური მომენტისა... დღემდე მეგონა, რომ მოვასწრებდი, ნაწილობრივ მაინც... მოვინანიებდი, ასე ვთქვათ, ცოდვებს... არა, ტრადიციული გაგებით ეკლესიური არა ვარ და ვინ, თუ არა თქვენ, ყველაზე უკეთ და ადრე იცით ამის შესახებ?.. ასეთი მონანიების საშუალება მაინც მომეცით... ისევ არა? ეგეც არ შეიძლება?.. ასე ხომ ველარაფერს მოვასწრებ... და მოგონებები, მათ შორის ყველაზე სანუკვარი?.. რომ იცოდეთ, რა კარგად ვთამაშობდი სიჭაბუკეში ფეხბურთსა და ჭადრაკს! მართალია, ვერც ბომბარდირი გავხდი და ვერც გროსმაისტერი, მაგრამ იცით, რა გოლი მაქვს გატანილი სკოლის მოედანზე მეცხრე კლასში – ქუსლით, კარის კუთ-

ხეში, მეკარემ და დამცველებმა ეგრევე პირი დააღეს, ოქროს გოლი იყო, მოვიგეთ თამაში! ან რა ლამაზ შამათებს ვუსვამდი მეტოქეებს მესამე კურსზე, ხშირად აუდიტორიაშიც გვითამაშია, მერხქვეშ, ნაკლებად საინტერესო ლექციისას. ბურთს რომ მეკარეს თავზე გადაატარებ ან შამათმილებული მონინალმდეგის გაოგნებულ სახეს რომ შეხედავ, ბედნიერი ხდები და ცხოვრება უსასრულო გგონია... ეჰ, თქვენ ამას რას გაიგებთ!.. და ნუთუ ყველა ეს ჩემი უძვირფასესი მოგონება ხვალ ორის ნახევარზე ნაგავში იქნება მოსასროლი?.. ნუთუ ყველაფერი, რაც საკუთრივ ჩემს სამყაროს ეკუთვნის, ბუნებიდან უნდა ამოიშალოს და ამოიძირკვოს, თან სამუდამოდ?... შვილი და შვილიშვილი რა შუაშია, ეგ სულ სხვა რამეა... ანუ ერთბაშად უნდა გაქრეს ყველა ჩემ მიერ ოდესღაც ნაკითხული მშვენიერი ნიგნი, მათ შორის საჭადრაკო ნიგნებიც?.. რომ იცოდეთ, რა მდიდარი საჭადრაკო ბიბლიოთეკა შევავროვე წლების განმავლობაში, რა ეგზემპლარების პატრონი ვარ – კაპაბლანკა, ტალი, ფიშერი, ლარსენი... განსაკუთრებით მათი პარტიების კრებულები მეცოდება... აღარავის დასჭირდება, ჩემს შთამომავლებს ჭადრაკი საერთოდ არ აინტერესებთ, სხვა პლანეტის ბინადრები არიან, ადრე თუ გვიან მართლა სანაგვეში მოისვრიან ამ კრებულებს... და ასე, სულ ტყუილად... ცხოვრების ესოდენ ნაადრევი და უბადრუკი ენდშპილი. მერე რა, რომ ჩემპიონი არ გავხდი, რაში მჭირდებოდა?..

ესე იგი, რა გამოდის? ხვალ, ზუსტად ორის ნახევარზე, თქვენ გსურთ წამართვათ მე ყველაფერი, რაც კი მზადაა... დიახ, ჩემი ცხოვრების ყველაზე ძვირფასი და ნათელი წამები... თან ერთი დარტყმით... პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ თქვენ არაფრით სჯობიხართ ჩემი სიჭაბუკის წლების გამოჩენილ ცენზორებსა და ბიუროკრატებს

– იქნებ, უარესიც კი ხართ, რადგან პირადად თქვენგან მეტს ველოდი, რაც ილუზიები მქონდა, უკეთესი ნარმოდგენა მქონდა თქვენზე... ვალიარებ, თქვენი ლოგიკა, მართლაც, რკინა-ბეტონითა და მოლიბდენითაა გამაგრებული, ისეთი მტკიცე და შეუვალია. ეს არ შეიძლება, ის არ შეიძლება, არაფერი არ შეიძლება... ისმის კითხვა: მაშინ რა შეიძლება? რაა დასაშვები?.. გაფრთხილებთ, ბოლოს ეს ყველაფერი ძალიან ცუდად შემოგიტრიალდებათ. ადამიანები დაკარგავენ თქვენდამი რწმენასა და ნდობას. საბოლოო ჯამში, მთელ ინტელიგენციას კიდევ ერთხელ თქვენს სანინალმდეგოდ განაწყობთ და გადამიტერებთ... არ მშურს თქვენი, იცოდეთ, არ გაპატიებენ...

თუ შეიძლება, კონტრაქტის შესრულების კონკრეტული მეთოდი მაინც გამაცანით... იმის უფლება ხომ გამაჩნია, წესიერად წარმოვიდგინო თუ რა მელის ხვალ ორის ნახევარზე? ფორმას ვგულისხმობ და არა შინაარსს, შინარსი უკვე გასაგებია ჩემთვის... ანუ, შემიძლია გავიგო?... ამისთვის დიდი მადლობა!.. მიბრძანებთ, თავად წავიკითხო ყველაფერი, რაც კონტრაქტშია მითითებული? ვერ ვხედავ... პეტიტიტაა აკრეფილი?... დიახ, ახლა ვხედავ, დავინახე... სამწუხაროდ, მიჭირს წაკითხვა, მაგრამ გავარჩევ როგორმე, ოღონდ დამელოდეთ რამდენიმე წუთი...

ო, არა, არა! ეს საშინელებაა... სრულიად მიუღებელია! ამას მე ვერ გავივითან... ეს უაღრესად დამამცირებელია, ასეთი მოპყრობა არ დამიმსახურებია! არ მეკუთვნის ეს საზიზღრობა თქვენგან... ეს არასწორია, მცდარია, უნამუსობაა... თქვენ უსულგულო მანქანები ხართ, ურჩხულები, ნამდვილი რობოტები საშინელებათა ფილმიდან!.. ამდენს რატომ და როგორ მიბედავთ, ეს რამ მოგაფიქრებინათ?.. ესე იგი, თქვენი სურვილით, მე ხვალ ორის ნახევარზე ქალაქის ცენტრში ნეხვის ნუმპე-

ში ამომხდება სული?.. გმირთა მოედ-  
ნის ქვეშ არსებულ გადასასვლელში?..  
რა?.. აჰ, თურმე, ნეხვი არაა? მაშ, რა  
არის?.. ჩვეულებრივი და ხშირი წვიმე-  
ბის გამო გაუვალ მინისქვეშა ჭაობად  
ქცეული ტლაპო... მაპატიეთ, მაგრამ  
დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ!.. ხელი  
რატომ მოვანერე? ახლომხედველი ვარ  
და პეტიტის გარჩევის თავი არ მქონ-  
და, დამეზარა, სადღაც მეჩქარებოდა –  
ალბათ, რომელიღაც გადაუდებელ წვე-  
ულებზე... რა მნიშვნელობა აქვს, სად  
და რატომ? მაშინ გენდობოდით, უფრო  
სწორად თქვენს შეფს ვენდობოდი... ვა-  
ლიარებ, ახალგაზრდა და ზედმეტად გუ-  
ლუბრყვილო ვიყავი, დიდი შეცდომა და-  
ვუშვი, მიამიტობა დასჯადი ყოფილა...

მომისმინეთ, გეთაყვა! მე ამ ქვეყანაში  
და ამ ქალაქში საკმაოდ ცნობილი კაცი  
ვარ. რა საჭიროა ასეთი... ასეთი ეგზო-  
ტიკა, როდესაც საქმე ესოდენ სერიო-  
ზულ საკითხს ეხება? აი, მოგეწყობა ჩემ-  
თვის რაიმე არაფრით გამორჩეული პა-  
ნაშვიდი და გასვენება... თუნდაც საგზაო  
შემთხვევა, ჩქარი მატარებლის ვაგონის  
რელსებიდან გადმოვარდნა, ბოლო-ბო-  
ლო, ავიალაინერი აგეფეთქებინათ, ქუ-  
ჩაში სისხლიანი ტერაქტი მოგეწყობა და  
იქ სადმე ახლოს გამეველო... რა?.. არაჰუ-  
მანური იქნებოდა ერთი ადამიანის გუ-  
ლისთვის ამდენი დაუგეგმავი ცოცხალი  
არსების დაღუპვა?.. ო, რა ჰუმანისტები  
ხართ!.. კაი, ბატონო! მაშინ ინფარქტი  
ან ინსულტი შეგერჩიათ ჩემთვის, რაღაც  
კეთილშობილური კომა, საიდანაც ველარ  
გამომიყვანდნენ... აჰ, ამის კვოტაც ამო-  
გენურათ? ასეთი დეფიციტი აღარ გამი-  
გია! მაშინ გრიპის ტრივიალური ვირუსი  
გამოგეყენებინათ... ის შემომიგზავნეთ,  
რაც გათამაშებამ მარგუნა?.. სულ ესა  
ხართ, თქვე ჰუმანისტებო? ასეთ უმნიშ-  
ვნელოვანეს საკითხს კაზინოს და ლატა-  
რიას ანდობთ, უსულგულო ალბათობის  
საშუალებით წყვეტთ?.. თუმცა რა, ამის  
წარმოდგენაც კი შემეძლო – ინტელექტი  
არ მაკლია, მაგრამ ბრმად გენდობოდით,

არ ვიცოდი თუ ვისთან მქონია საქმე...  
გამოტყდით, თქვენ ასეთი უღირსი სიკ-  
ვდილი სპეციალურად ჩამინყვეთ, გსურ-  
დათ, მაქსიმალურად დაგემცირებინეთ,  
დაგეკნინებინათ ჩემი პიროვნული ღვაწ-  
ლი ხალხის თვალში, ასე არაა?.. მოკ-  
ლედ, თქვენი მხრიდან ასეთი საქციელი  
ამ საზიზღარი კონტრაქტის ჩარჩოებშიც  
კი ვერ ჯდება. თქვენ მახეში გამაბით,  
მარგუნეთ არა ღირსეული და კეთილ-  
შობილური, ინტელექტისა და ფიზიკური  
ძალების გამოფიტვაზე დაფუძნებული  
გაცილება ამქვეყნიდან, არამედ, უბრა-  
ლოდ, დამსაჯეთ... დიახაც, ვისჯები –  
თანაც, ვისჯები განსაკუთრებით სას-  
ტიკი და დახვეწილი ფორმით... და მე  
ამას ვაპროტესტებ მთელი ჩემი სულითა  
და გულით, მთელი ჩემი სუსტი ძალების  
მოშველიებით!.. დიახ, ვალიარებ, რომ  
სუსტი ვყოფილვარ, არასაკმარისად ძლი-  
ერი. იძულებული ვარ, ვალიარო ეს...

რა პლუსი, სად ხედავთ პლუსებს?..  
მაშ, ჩვენი ქალაქისთვის ეს საუკუნის  
გაუჩინარება უნდა გახდეს?.. კარგა ხა-  
ნია, ჩემზე ვერავინ ვერაფერს შეიტ-  
ყობს და ქვეყანაში დაიბადება ახალი  
მითები და ლეგენდები? ძალზე სახა-  
ლისოა, მეტი არ შეიძლება... და ამის  
გამო მე, თურმე, კმაყოფილიც კი უნდა  
დავრჩე? მდაა... ორიგინალური შეხე-  
დულებები გაგაჩნიათ კმაყოფილება-  
ზე... მახსოვს თუ არა ზაფხულის დიდი  
წყალდიდობა? რა დამავიწყებს! ამის  
დავიწყება ძნელია – მრავალი დაღუ-  
პული და წყალნალებული – რასაკვი-  
რელია, ამ სიტყვის პირდაპირი, ტრა-  
გიკული მნიშვნელობით. ბევრმა სახ-  
ლის დატოვებაც კი ვერ მოასწრო, ზო-  
გი გზაშიც დაიკარგა უგზო-უკვლოდ,  
ქონებაზე არც ვლაპარაკობ... წყალმა  
ახალი გზატკეცილიც ჩაიტანა, კარგი  
ტრასა იყო, მაგრამ მიჩვევაც ვერ მო-  
ვასწარით ხეირიანად, ვერ შევირგეთ...  
მოკლედ, წყალდიდობას დიდი ნგრე-  
ვა და მსხვერპლი მოჰყვა... ვინ უნდა

გავხდეთ? წყალდიდობის უკანასკნელი მსხვერპლი?.. უთუოდ ძალზე უცნაურად ხუმრობთ... მსმენია თუ არა წყალდიდობისას ზოოპარკიდან გაპარულ ვეფხვზე? დიას, ტელევიზიითაც აშუქებდნენ... კი ბატონო, ვიცი... ამ საქმეში დიდად ჩახედული არ ვარ, მაგრამ წყალდიდობის ერთ-ერთ უკანასკნელ მსხვერპლად, ალბათ, მართლაც გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე გაქცეული ვეფხვის მიერ დაგლეჯილი ადამიანი შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ მე ამ ამბავთან, აბა, რა კავშირი შეიძლება მქონდეს?... არა, რა შესაშური ეგაა!.. და ხვალიდან მე გავხდები ბოლო მსხვერპლი?.. მაშ, თქვენი მადლიერი მხოლოდ იმის გამო უნდა ვიყო, რომ ვეფხვის კლანჭებში ჩაგდების მაგივრად თქვენმა ჯადოსნურმა „ბედის კაზინომ“ დალუპვის ვადა ორიოდე თვით გადამინია და ქალაქის ცენტრში, გმირთა მოედნის გაუქმებულ მიწისქვეშა გადასასვლელში დაგროვილ და ჭაობად გადაქცეულ ლაფში დასახრობად გამწირა? თან გუშინინდელი თავსხმის ფონზე, რომელმაც, თურმე, ეს მტვრიანი ლაფი გააცოცხლა და დაარბილა? ბარაქალა თქვენ!.. ისე, გაუგებარია, რა მინდა ხვალ ორ საათზე გმირთა მოედნის მიდამოებში, რა დამკარგვია მანდ, რედაქცია ქალაქის სულ სხვა უბანში მდებარეობს... მოედნის მოპირდაპირე მხარეს სასწრაფოდ გადასვლის აუცილებლობა გამიჩნდება?... წარსულთან დაუგეგმავი შეხვედრა ავტობუსი გაჩერებასთან?.. მაგრამ გაუქმებულ მიწისქვეშეთში რა მინდა, დებილი ვარ? ასე რატომ უნდა გამერისკა?.. შესასვლელთან ყვითელი ამკრძალავი ლენტის არარსებობის გამო იქაურობა უსაფრთხო მეგონება?.. და კიდევ ჩემთვის დამახასიათებელი სიზარმაცე და წუნურაქობა? წუნურაქობა რა შუაშია?.. როგორ არ უნდა მენწყინოს, ეს თქვენ გკიდიათ ფეხებზე... მეორე მხარეზე გადასასვლელად იქ ტაქსით რომელი

ერთი ისარგებლებს, ეგ მართლა უტვინობა და ფულის გადაყრაა... არა, სხვა ტრანსპორტი არაა, მოკლე მანძილია, ყველა ფეხით მისვლას ამჯობინებდა, ეგ ყმობა არაა... არც გმირთა მოედნის ზევიდან გადაჭრას ვურჩევდი ვინმეს, ისეთი მოძრაობაა იქ... დავაზუსტებ: თქვენი ვერსიით, მე შეცდომაში შემეყვანს და წამაქეზებს ის გარემოება, რომ ეს უკაცრიელი გვირაბი, ერთი შეხედვით, მოქმედის შთაბეჭდილებას ტოვებს, ფიქრებში ვიქნები გართული და ამ მარშრუტს არ მოვერიდები, თითქმის მივალწევ კიდევ მიზნამდე, ათიოდე მეტრილა დამრჩება დასაძლევია, მაგრამ გვირაბის სიბნელეში უნებლიეთ ვერ შევამჩნევ, რომ ასასვლელ კიბესთან მიახლოებისას ნამდვილი ჭაობი მელოდება და შიგ ისე ვიძირები, რომ ვერავინ ვერაფერს იგებს... არსადან ხმა, არსით ძახილი... მაგრამ სულ ახლოს, ორ ნაბიჯში, ჩემ ზემოთ მანქანებით სავსე ქუჩაა, უამრავი ხალხი ტროტუარზე და გაჩერებაზე... ხმაურის გამო არაფერი ისმის და იყვირე, რამდენიც გინდა... და მე რამდენ ხანს მომიწევს ყვირილი და ხელების ქნევა?.. დავპანიკდები და თითოეული ჩემი მოძრაობა მხოლოდ დააჩქარებს ჩაძირვას... ანუ ყველაფერი ხუთიოდე წუთში მორჩება? დაუჯერებელი ამბავია!.. და რა გახდა ერთი ამკრძალავი ყვითელი ლენტის გაჭიმვა გვირაბის შესასვლელთან?.. არა, აი ეგ კი ნამდვილად მჯერა, ჩვენი სახელისუფლებო ბიჭები რისი მაქნისებიც არიან ძალიან კარგად ვიცი... ეს ყველა მთავრობის დროს ასე იყო – წესრიგი მხოლოდ სათავისოდ, საკუთარ ბინებში, პირადი სარგებლობისთვის. ოჯახისთვის... ეჰ, ყოველთვის ყველაფერში დამნაშავე ხელისუფლება როდემდე უნდა გვყავდეს? მხოლოდ გარეკანს იცვლიან, არსი კი მუდმივი და უცვლელია, ინვარიანტული, ამის შესახებაც ვწერ, სხვათა შორის... წყალდიდობიდან ორ თვეში,



აღბათ, კი შეიძლებაოდა მიწისქვეშა გა-  
დასასვლელის გაწმენდა და იქაურობის  
წესრიგში მოყვანა...

მაგრამ, ძვირფასო ჩემო ქალბატო-  
ნო, ერთ ლოგიკურ შეუსაბამობას მა-  
ინც ვამჩნევ... თუკი მე ამ წუთებში  
თქვენთან ესოდენ საამური საუბრით  
ვტკბები, თან ცალი თვალი კონტრაქ-  
ტზე მიჭირავს და პეტიტს ვაკვირდები,  
გამოდის, რომ, ფაქტობრივად, უკვე  
გაფრთხილებული ვარ და შემიძლია ეს  
უბედურება თავიდან ავიცილო... რა-  
ტომ არ გამოვა, ჩემო ძვირფასო?... იმი-  
ტომ, რომ ბედს ვერ გავექცევი?... ანუ,  
მე ნებისმიერ შემთხვევაში განწირული  
ვარ იმ ბნელ და ნესტიან ჯურღმულში  
შესაღწევად და არანაირი ალტერნატი-  
ვა ამას არ გააჩნია? ყველაფერი უკვე  
დადგენილი და ბეჭედდასმულია?... რა  
ვიცი, საიდან ასეთი ფატალიზმი?... ისე,  
მართლაც ადვილად წარმომიდგენია,  
რომ, ამ ჩემი მოსაბეზრებელი ართრი-  
ტისა და მუხლის ტკივილის გადამკიდე,  
იმ მომენტში დამეზარება ტელესტუ-  
დიაშივე ასვლა და იქ გაჭრილი ნორმა-  
ლური და მოვლილი მიწისქვეშათი მე-  
ორე მხარეს გადასვლა მომინდება, ტე-  
ლესტუდიაშივე მისვლა ხომ ორასიოდე  
მეტრით მაინც გამიგრძელებდა გზას...  
არადა, ცოცხალი გადავრჩებოდი... ამ  
კონტრაქტს რა ვუყო?... გაფრთხილე-  
ბული რომ ვარ!.. რა შემთხვევის ხელს,  
თქვენი გეგმა ჩავშალო?... ბოლომდე არ  
ჩამიკითხავს? ნეტავ, კიდევ რა სიურ-  
პრიზი მელიოდება ამ პეტიტში?..

მაპატიეთ, მაგრამ, სანამ ბოლომდე  
ჩავალ, ერთ მარტივ კითხვას დაგისვამთ,  
თქვენი ნებართვით... ხომ შემიძლია, ეს  
საკითხი ჩემს სასარგებლოდ ელემენტარ-  
ულად გადავწყვიტო? უბრალოდ, ხვალ  
სახლიდან გარეთ არ გავალ, მორჩა და  
გათავდა! რედაქციაში დანიშნული შეხ-  
ვედრის გადატანას კი როგორმე გავუძ-  
ლებ... რედაქტორს წინასწარ დავურე-  
კავ, მოვიბოდიშებ, სიცხე მაქვს-მეთქი,  
საბაბს რა გამოლევს, თანაც ქალაქში

ამჟამად ძალიან ცუდი გრიპი მძვინვა-  
რებს, ადვილად დამიჯერებს... ამასაც კი  
ვერ გავაკეთებ სიჯიუტისა და რომან-  
ტიზმის გამო?... რა დროს სიჯიუტე და  
რომანტიზმია, ნუ მაცინებთ!.. რა საინ-  
ტერესოა!.. ესე იგი, ხვალ დილით მოუ-  
ლოდნელად დამირეკავს ერთი პატივცე-  
მული და ოციოდე წლის წინათ ფრიად  
მიმზიდველი ქალბატონი, რომელიც ჯერ  
კიდევ ჩემს დაოჯახებამდე სხვას გაჰყვა  
ცოლად და შეხვედრაზე დამიყოლიებს?...  
მისი გვარი?... ვადასტურებ, ოდესღაც  
მართლაც არ ვყოფილვარ გულგრილი  
მის მიმართ, ძველი ამბავია, ვის არ გა-  
მოუცდია... ვეჭვიანობდი, რა თქმა უნ-  
და... და რისთვის დამირეკავს?... რაღაც  
საბინაო პრობლემა და არასატელეფონო  
საუბარი... არ მიკვირს, ქართველი დედა  
თითქმის ყველა გიჟი დედაა... რატომ  
ვულგარულად, გავრცელებული გამოთ-  
ქმაა... მოკლედ, გამოდის, რომ საკითხი  
მისი გათხოვილი ქალიშვილის ოჯახს ეხე-  
ბა და ჩემი საშუალებით საქმის ჩანყობა  
უნდა ქალაქის მერთან, რადგან გაუგია  
ჩვენი მეგობრობის შესახებ... ჰო, თბილი-  
სი ჭეშმარიტად პატარა ქალაქია... დიდი  
მადლობა, რომ ასე მენდობა, მაგრამ მე  
რა შემიძლია? უკანონობის ჩადენას ჩემს  
ძმაკაცს მაინც ვერ ვთხოვ... ეგ სასა-  
მართლოს საკითხია... თავს მაინც ვერ  
შევიკავებ?... და იმ გაჩერებასთან მხო-  
ლოდ იმის გამო დამინიშნავს შეხვედრას,  
რომ შორეულ ახალგაზრდობაში ზოგჯერ  
იქ ვუნიშნავდი პაემანს, რადგან ახლოს  
ცხოვრობდა, თერთმეტსართულიანში?  
არ მახსენდება ასეთი დეტალები, ბევრმა  
წყალმა ჩაიარა... დიახ, ქალებს უკეთესი  
მეხსიერება გაქვთ, ნამდვილად ასეა...  
ჰოდა, რა მერე? რაკილა გაფრთხილე-  
ბული ვარ, მასაც იმავეს ვეტყვი... რას  
და იმას, რომ სიცხე მაქვს და სახლი-  
დან ვერ გავდივარ, მოვახერხებ რაღა-  
ცას... და რატომ ვერა?... იმიტომ, რომ  
ხვალ დილით ჩვენი ამ საუბრის შესახებ  
არაფერი მეხსომება?... ასე წერია კონ-  
ტრაქტში?... ვერ ჩავაღწიე ამ პეტიტის

ბოლომდე, რა!.. კი, მართალია, ასეა – აბა, ყველაფერი გაგითვისალისწინებით!.. მაპატიეთ, მაგრამ მაინც მსურს, საბოლოოდ დავაზუსტო: როგორც ამიხსენით, ხვალ, ორის ნახევრამდე რამდენიმე წუთით ადრე მე ვარაზისხევით ფეხით ჩავალ გმირთა მოედნამდე და საპირისპირო მხარეს ავტობუსის გაჩერებასთან – ანუ იმ ადგილთან, სადაც ოდესღაც ჩემთვის ძვირფასი ქალიშვილი მელოდებოდა ხოლმე, – მისაღწევად გამოვიყენებ პრაქტიკულად გაუქმებულ, ჩაბნელებულ, მაგრამ ფორმალურად მოქმედ მიწისქვეშა გადასასვლელს. ვინაიდან არავითარი აკრძალვის ნიშანი მის შესასვლელთან არ დამხვდება, მე, რომანტიკული მოლოდინის ბებრულ ფიქრებში გართული, ამაყად შევტოპავ უკაცრიელ გვირაბში, რომლის ბოლოს სინათლის ნაცვლად წყალდიდობიდან მორჩენილი და ნაგვით სავსე ბინძური ქაობი მელის. ჩაძირვის პროცესში მე გაბრძოლებისთვის სულ რაღაც ხუთიოდე წუთი მექნება. მიუხედავად იმისა, რომ სულ რამდენიმე მეტრში ჩემ ზევით მანქანებისა და ადამიანების უწყვეტი ნაკადი მიედინება, ჩემს ძახილს ვერავინ გაიგებს, ვერავინ შემეშველება, ხელის მომწოდებელი ჩემს სიახლოვეს არ გამოჩნდება და აი ასე, უჟმურად და სამარცხვინოდ, ჩემი ქალაქის ცენტრში ამოიწურება ჩემი ცხოვრების გზა დედამიწაზე... არც შევლა, არც გადარჩენა... ისე, ალბათ, ღირსიც ვარ – რა დროს რომანტიკული მოგონებებია ჩემს ასაკში! შვილიშვილზე მეფიქრა ჯობდა... აბა, რა უნდა ასეთ ადგილას ნორმალურ ადამიანს, ერთი მე გამოვდექი მამალი გიჟი!.. მესმის, მძიმე ვითარებაა... და ჩემს გვამს მოიძიებენ მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ, როდესაც ყველა სარემონტო სამუშაო გმირთა მოედნის მიდამოებში, ბოლოს და ბოლოს, დასრულდება... წუთუ გვამის ამოცნობა შეუძლებელი გახდება? ეს მაინც... როგორ, წუთუ პოლიციას დნმ-ის ანალიზიც კი არავითარ ხელმოსაჭიდს არ მისცემს?..

აჰა, ამით არ დაკავდებიან კვლევის სიძვირის გამო?.. ჩემს ხარჯზე უნდათ ფინანსური კრიზისის დაძლევა? ჰო, მაგარი ქვეყანაა, უმაგრესი, ვერაფერს იტყვი... ანუ, თქვენი უწყებისთვის მე ალგვილ ვიქნები პირისაგან მიწისა ზუსტად ხვალ ორის ნახევარზე, იმ წამს, როდესაც ჩემი ფილტვები ბინძური ტალახით გაივსება, ქალბატონი გაჩერებაზე ინერვიულებს და ნახევარსაათიანი უშედეგო ლოდინის შემდეგ, ჩემზე უკიდურესად ნაწყენი და გულდანწყვეტილი, მიბრუნდება სახლში, ხოლო ნათესავებისთვის და მთელი ქალაქისთვის მე, როგორც წესი და რიგია, გაუჩინარდები უკვე ზეგ საღამოთი, დღის ბოლოსთვის... ასეთ პერსპექტივას მართლაც ველარაფერს დაამატებ კაცი...

მოკლედ, ამ ყოველად უსამართლო და საზიზღარი კონტრაქტის გამო, რომელსაც მე ოდესღაც ჩემივე სისულელის, გამოუცდლობისა და სულსწრაფობის გამო თავად მოვანერე ხელი, ხვალ ორის ნახევარზე მე აუცილებლად უნდა გავხდე საკუთარი უკიდუგანო ამბიციისა და საქალაქო კომუნალური სამსახურის საარაკო უნიათობის მსხვერპლი, ისე უნდა დავიხრჩო წუმპეში, ქალაქის შუაგულში, რომ ჩემს გვამსაც კი ვერ მიაგნებენ, ხოლო, როცა მიაგნებენ, რაღა ეშველება – ვერც კი ამომიცნობენ, იმ დონემდე იქნება გახრწნილი... წუ, გასაგებია მაშინ მრავალნაირი ვერსიების, მითებისა და ლეგენდების წარმოქმნის წყარო... ვილაც ენთუზიასტი, ალბათ, მოთხრობასაც კი დანერს... გარდა ამისა, ჩემს ახლობლებსა და მემკვიდრეებს ასეთი გაურკვევლობის ნიადაგზე დიდი ხნის განმავლობაში წმინდა სამართლებლივი პრობლემები დახვდებათ წინ, რადგან მათ ჩემი გარდაცვალების საბუთი არ ექნებათ ხელთ, ანუ ნააწყდებიან სამემკვიდრეო სირთულეებს... მდაა, დიდი მადლობა, უდიდესი, მეტი რომ არ შეიძლება!.. ნამდვილ ბომჟთან გამათანაბრეთ! ეჭვიანობის ნიადაგზე ბანა-

ლური მკვლელობაც კი უკეთესი იქნებოდა, უფრო ღირსეულ შთაბეჭდილებას დატოვებდა საზოგადოებაზე...

ასე რომ, ჩემო ძვირფასო ქალბატონო, კეთილ ინებეთ და გამიგრძელეთ ეს ცოდვით სავსე კონტრაქტი და ერთად ავიცილოთ თავიდან ყველა ეს სისაძაგლე და უბედურება, თორემ გეფიცებით, მე აქედან არსად წავალ და დილამდე გავაგრძელებ თქვენთან ლაქლაქს, რათა არ ჩამეძინოს და არაფერი დამავინწყდეს ხვალ ორის ნახევრამდე. მერე მთელი ხვალინდელი დღე სახლში დავრჩები, ცხვირსაც კი არ გავყოფ გარეთ და არც ერთ ტელეფონს არ გავიკარებ – არც საქალაქოსა და არც მობილურს. ორივეს გავთიშავ და არც ის ქალბატონი დამირეკავს დილით და თქვენც არაფერი გამოგივით...

ამალამ მაინც ჩამეძინება?.. არ ჩამეძინება, არც ისეთი ბრიყვი ვარ!.. რა მითხარით, ზუსტად ასეთი ვარ? ვნახოთ, ვნახოთ... ყველა ვარიანტში ჩამეძინება? მესმის, ნავიკითხე – მესხიერების კორექცია საუბრის შეწყვეტის შემთხვევაში ჩადებულია კონტრაქტის პირობებში, მაგრამ მე სულაც არ ვაპირებ ჩვენი საინტერესო დიალოგის შეწყვეტას, ბოლო-ბოლო, მონოლოგის რეჟიმში გადავალ, მაგრამ ხვალის ორ საათამდე ამ ყურმილს არ დავკიდებ, ასე რომ, უძილო ღამისთვის გაემზადეთ... აჰ, თქვენ დაკიდებთ? მაგრამ ეს ძალზე არათავაზიანი და უღირსი საქციელი იქნება თქვენი მხრიდან. მე შეგახსენებთ, რომ ასეთი საქციელი ძირშივე ეწინააღმდეგება თქვენი დანესებულების ოფიციალურ კონცეფციას და თქვენი დაკავებული თანამდებობიდან გამომწვევის მიზეზი შეიძლება გახდეს. ასე რომ, არაა გამორიცხული, ასეთ შემთხვევაში თბილ საგარძელთან დამშვიდობება და ერთბაშად რამდენიმე კატეგორიით დაქვეითება მოგიწიოთ... მაშინ თქვენც უბრალო მოკვდავების უსასრულო რიგს

შეუერთდებით და გინდათ ეს?.. კი ბატონო, შანტაჟია, მაგრამ თქვენ ხომ სხვა გამოსავალს არ მიტოვებთ, მე მხოლოდ თავს ვიცავ... საყოველთაოდ ცნობილია, რომ თქვენს შეფს გართულებები არ უყვარს, რეპუტაციაზე მუდამ ზრუნავს და სწრაფად პოულობს ხოლმე დამნაშავეებსა და პასუხისმგებელ პირებს... მდივნებსაც ხშირ-ხშირად იცვლის, ადვილად ბეზრდება, თქვენ არც პირველი იქნებით, არც უკანასკნელი... იმიტომ, რომ, რასაც თქვენ ახლა ჩემ მიმართ ახორციელებთ, ეს პირდაპირი და უპრეცედენტო მუქარა და ძალადობაა! თქვენთან ხანგრძლივი გასაუბრების უფლება ასევე დაფიქსირებულია კონტრაქტში, კონსულტაციის ხანგრძლივობა შეზღუდული არაა და მე თქვენგან დაჟინებით მოვითხოვ, პატივი სცეთ ჩემს უფლებებს..."

ამ საინტერესო ადგილზე საინფორმაციო ჩანაწერი, სამწუხაროდ, წყდება. თავისთავად ცხადია, რომ მისი კვლევა მრავალ უპასუხო კითხვას წარმოშობს, რადგან ამ ცალმხრივ დიალოგში მოცემული მასალა ნაირ-ნაირი ინტერპრირების საშუალებას იძლევა. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ ჯერჯერობით გვიჭირს ცალსახა და საბოლოო აზრის ჩამოყალიბება, თუმცა ინფორმაციის მოცულობა და მისი ხასიათი პირველადი დასკვნების გამოტანისა და, მით უფრო, სხვადასხვა ჰიპოთეზების წარდგენის სრულ შესაძლებლობას გვაძლევს. იმავდროულად, ყველასთვის გასაგები უნდა იყოს, რომ ამჯერად ყველაზე ნაკლებად გვსურს, შესაძლო შედეგებზე მთელი პასუხისმგებლობა მხოლოდ ჩვენ ვიტვირთოთ. ეს მაინც საერთო საქმეა და ამიტომაც გადავწყვიტეთ, გაგვესაჯაროებინა ეს ყველაფერი.

ასე რომ, იაქტიურეთ, იფიქრეთ, მოგვწერეთ! ველით თქვენს პოზიტიურ წინადადებებს, ჩემო შეგნებულო თანამოქალაქნო!

გიორგი ხორბალაძე



●  
თავზე შემომადნა შუქთა ილუზია,  
ლამე სადაცაა თვალნი და მიჯდება,  
შენზე გაგიჟება, იქნებ, ვირუსია?!  
იქნებ, ვირუსია შენით გაგიჟება?!

ყინვამ დააკანრა სარკმელს ყველა მინა,  
ტკივილს უდრტვინველად იტანს დარაბები.  
მე დღეს ავად ვარ და მე დღეს შველა მინდა,  
შენ კი ისე ცხოვრობ – ვითომ არაფერი...

იქნებ, ჩემი სენი ცოტა გადაგედოს –  
თუნდაც ნახევარი, თუნდაც მეხუთედი,  
თორემ ველარ მშველის ლექსად ქადაგება,  
როცა შორსა ხარ და სულში მეხუთები...

მოდი, გამიბრაზდი, თუ არ მეფერები,  
მოდი, სიძულვილი გულში დამახალე...  
ერთი გაღიმება თუკი გებევრება,  
ერთი ღიმილითაც თუკი არ მახარებ...

თავზე ჩამომექცა შუქთა ილუზია,  
დილა ფანჯარაზე როდის დამიჯდება?  
შენზე გაგიჟება მართლაც ვირუსია,  
მართლა ვირუსია შენით გაგიჟება...

●  
აღარც გეხები და აღარც გეფერები,  
შორი მანძილები ჩვენი საზღვარია.  
ვგავარ დღეგამოცლილ „ბებერ“ ეფემერიდს,  
აღარც გეგმები მაქვს უკვე სახვალაო...

ღრუბლებს ჩამოსცვივდა ცრემლთა ნიაღვარი,  
ირგვლივ ყველაფერი მუქად ჩანაცრისფრდა,  
ცივი უშენობის სივრცეს მივებხალე,  
თითქმის თვითმკვლელობის ვდგავარ ჩანაფიქრთან.

მარტო ველოდები უკვე სასწაულსაც,  
ვხედავ, უკულმართი ბედის მსხვერპლი ვხდები,  
ვიცი, უშენობას ვერსად ვერ წაფუვალ,  
მაინც შენით ვცოცხლობ, შენ კი ვერა ხვდები...

აქვე, შორიახლოს ვლანდავ აგონიას,  
წამებს დამითვლიან, როგორც ეფემერიდს,  
ხელი შემაშველო, რაღაც არ მგონია,  
რადგან თუ გადავრჩი, შემომეფერები...

## პოეტის ძმაკაცი

მთვარე პოეტების ძმაკაცია,  
მზე – უფრო მამიდა ყვავი-ჩხიკვის.  
სხეულზე პირდაპირ ცა გვაცვია  
და იღბალს არ ვეძებთ ყავის ჭიქით.

პოეტი არავის ემალება,  
თუნდაც, ამინდებში ამ ქარიან,  
დარდებს მყავედ ლეჭავს ტყემალივით,  
გული ცხელი აქვს და ზამთარია...

ზოგჯერ ერთი ლექსის ფასად არ ღირს  
ურითმო სიცოცხლე, თვალწინ როა,  
პოეტს ყველასა ჰყავს ფარსადანი,  
ისიც რაღაცაში საჭიროა...

მაგრამ პოეტები არ დრკებიან,  
სიყვარულს ურევენ სიკეთეში,  
სიბრძნის სამიჯნუროდარგებიან  
მაგარ კოქტილეებს გვიკეთებენ...

პოეტებს სხეულზე ცა გვაცვია  
და იღბალს არ ვეძებთ ყავის ჭიქით,  
მთვარე პოეტისთვის ძმაკაცია,  
პოეტი მთვარისთვის და პირიქით...



მებრძვიან დარდთა გარნიზონები  
ილუზიებით თუ რეალობით,

გულო, ფართობით არ იზომები,  
არამედ ნალდი გულიანობით.

გამხადეთ ტანზე ქრელი სამყარო,  
ქაოსის ბული მაღრჩობს და მთანგავს,  
ის ჩინ-მედლებიც სრულად ამყარეთ,  
სინამდვილეში სულაც რომ არ მაქვს.

დამტოვეთ მარტო გულის ამარა,  
გულის ფეთქვას კი ხელი არ ახლოთ.  
ქარს გაატანეთ, მომცა ქარმა რაც,  
ის ოცნებებიც, თან რომ მახლეთ,

დამძიმდა, როგორც რკინის ზოდები  
და ლოლოსავით ფიქრებს ჰკიდია,  
გადამაყლაპეს დარდი ზონდივით,  
არადა, დარდი ზონდზე დიდია.

ჩარჩოში ჩასვეს ჩემი სურათი,  
სულს ათი ზომით არ ჰყოფნის ჩარჩო,  
არც გამიზარდეს ზომით სულ ათით  
და მართალია, სულიდან მაღრჩობს,

მაგრამ გულია სამშობლო როცა,  
თავისუფლება – ნესი არსობის,  
ვიდრე ვარსკვლავი ჰკიდია შორ ცას  
სული საზღვრებში არ იარსებებს!

## სოფლელი

მოვდივარ სოფლიდან „ცალ-ცალი კალოშით“,  
სოფელიც მაცილებს „ყურშა“ და „მურათი“  
და თვალეში მიდგას ფერდობზე ამოშლილ  
გვირილის არმიის ფერადი სურათი.

დავტოვე კონტური მშობლიურ მწვერვალთა,  
არ მომწონს, ასფალტის ქუჩაა რო სველი.  
ქალაქი ამ ღრუბლებს რა უშნოდ წველავს და  
დღეს ისიც არ ვიცი, ხვალისგან რას ველი?!

სოფელში წვიმები შხაპუნა ვიცოდით,  
ო, თურმე მინდორში ეს თოვაც რად ღირდა...  
მანძილებს ვაქრობდით ბილიკით ვინროთი,  
ვიყავით უბრალო სოფლელი ხალხი და

სხვა დილას ვუმზერდით სარკმილიდან ოდების,  
რამდენჯერ მზემ ცაზე თეთრ ღრუბელს ურქინა...  
ფესვებში სოფელი მომდგამდა ოდითგან,  
მერე კი მოვირგე ქალაქის ქურქი და  
ნელ-ნელა ქალაქმა ნირი მთლად მიცვალა,  
ვებრძვი ნკიპურტებით მტვრის მომცრო ნაწილებს...  
სოფლის სანახავად დღეს ველარ ვიცლი და  
თავს ვიქებ – ქალაქის მკვიდრი ვარ ანი მე!

ეგ არის – სიზმრები სოფელის შემომრჩა  
და სოფლად ვიღვიძებ მე ყოველ ცისმარე...  
ზოგიერთ სიზმარს რომ სჭირდება შელოცვა,  
ისეთი არ არის სოფლური სიზმარი.

ამ დღით მზემ ცის ცურს ურქინა ხბოსავით,  
ბავშვობის რიჟრაჟი მეცნო, ვით ბერდედა...  
ახლა ჩემს ფერდობებს გვირილით მოსავენ,  
მე სოფლურ სიზმრებში ქალაქში ვბერდები...



მიჭირს უფსკრულებთან შეფეთება,  
სული მეფერფლება ნაცარივით,  
მგონი, უბედობა მებედება,  
ზოგჯერ კი ვარ, მაგრამ „არცარივით“...

ირგვლივ ნისლია და უკუნია,  
წყვიდადს ისევ ვებრძვი შიშველ ხელით,  
ყველა სწორი გეზი უკანაა,  
წინ ღრმა უფსკრულებში ვიჩეხებით.

ისე დავიღალე ჭიდილითაც,  
ყოფის ველური და ავ ფინტებით,  
მაინც ფრთებდამტვრეულ ჩიტივით ვარ –  
მგონია, რომ ცაში ავფრინდები.

სხვა სულ არაფერი არ მჭირდება –  
მხოლოდ სიყვარული უანგარო,  
რომ არ ამამტვერონ ქარ-წვიმებმა  
და რომ არსებობა მოვაგვარო...

თორემ უფსკრულებთან შეფეთებით  
სული მეფერფლება ნაცარივით,  
მგონი, უბედობა მებედება,  
ზოგჯერ კი ვარ, მაგრამ „არცარივით“...



შეეშვი ამ ტვინის ჩახვეულ ლაბირინტს,  
არევა აკმარე გონებას, ეყოფა,  
აბრუებს ეგ ტანი პირდაპირ ბანგივით,  
კაცები საშენო მზერასაც ვერ ვიყოფთ...  
მე უკვე მიყვარხარ საზღვრამდე სიგიჟის,  
დამითმე მაგ გულის სულ ერთი კუთხე და  
გულს გარეთ არ ვეძებ ანგელოსს – შიგ მიზის,  
რომ ვხედავ შენს ღიმილს ზეციურ კურთხევად.

კრიალა ზეცაზე ვარსკვლავთა ჭორფლია...  
იქნებ, მთვარის ნაცვლად თავადვე აენტო...  
ვის რაში სჭირდება უშენო მსოფლიო?  
უშენოდ რად გვინდა სამყარო საერთოდ?

საგრძნობლად გამოდი გრძნობებით კავშირზე,  
თორემ გათენებაც, პრინციპში, ღამეა,  
ბარემ მოექცევი ღრუბლების თავში მზედ,  
მინაზე ხომ მაინც ვნებები ბლავიან...

იქნებ, მთვარის ნაცვლად თავადვე აენტო...  
კრიალა ზეცაზე ვარსკვლავთა ჭორფლია...  
უშენოდ ვის უნდა სამყარო საერთოდ?  
ვის რაში სჭირდება უშენო მსოფლიო?!



თამარ შაიშმელაშვილი



●  
ფერსინანულით მოვდივარ და ვალეიძე ღამეს,  
ვარ ლოლოების ქარლიმილი მიღმა მხარეში...  
შენს ბილიკებზე სასიცოცხლო სიჩუმე სად მღერს,  
რად მენატრები თიბათვეში მზეთა თარეში...

მანვიმს თვალებში, ვით გვირილას სევდაუხსოვარს,  
მიხმობს ისხარი – მზეშეუცნობ გზების მპოვნელი...  
მოდი, ნატკენი ღიმილიდან სული გახსენი,  
მოდი, ჭრილობის ღიობიდან ცისკარს მოჰყევი...

**რეკავზ ინანიშვილს**

სულის ტკივილია ხაშმი,  
ცრემლით საგოდებელს გაშლის,  
ყველა ნაბილიკარს ვჩემობ,  
როგორ დაბზარულხარ, ჭერო...  
ქარი სამერცხლურებს არ შლის,  
მთელი სამყაროა ვალში...  
ამ მზის, ამ მთების და... სევდის,  
ივრის ჩქერალებში შემხვდი.  
ივრის ყაყაჩოებს შავშლილთ  
რიდეს მოულოცავს შაშვი...  
სადღაც ცისკიდურთან ახლოს,  
ნისლის ენძელებთან სახლობ...  
სულის საგოდებელს გავშლი –  
ჩემი ტკივილია ხაშმი...



შენ, ჩემო სულო,  
გაზაფხული შემომახვიე,  
წვიმს და სიცოცხლე  
იყვავილებს  
ახლა მარჯნებად...  
მწველი სიშორე სიყვარულის  
ისე მახელებს,  
რომ ივლისის მზე ბადაგივით  
ამომაჭრდება...

ჩემი გულია აზარფეშა –  
სისხლი ზაფხულის...  
ვსვამ უშენობას უშენობის  
თბილი უპიდან...  
სად ბედისწერა სიჩუმეში  
ფეთქავს ხახულის...  
ვით ჩემი ცრემლი,  
მონყვეტილი –  
ხელისგულიდან...



გიავდრიანებ,  
ამ ლოდინშიც გიავდრიანებ,  
რომ ცრემლმა დაწვას მონატრების  
შლეგი მდინარე,  
ნოემბრის ღამე  
სიყვარულის ცეცხლით  
ბრდღვიალებს...  
ბრონეულებად ჩამოგიკრეფ  
წამებს მზიანებს,  
მერე სიკვდილსაც  
საუკუნით დავაგვიანებ...

## **ალარაფერი მიჰვირს...**

ვინავლებ ფიქრების ღადარს,  
ცხოვრება ქარი (ვით) მიქრის...  
თანდათან ვეჩვევი ღალატს,  
თანდათან ვეჩვევი სიკვდილს...

## კოჯორთან

იუნკრების სიმღერა

ქარებს ცრემლებით ვღებავდით  
და ენდროსფერში ვრთავდით...  
სპიდან ჩუქურთმის მჭრელამდი  
ტკივილს ირგებდა ქართლი...

მზე მდინარეში წვებოდა  
სისხლის წვიმებით წრომთან...  
მწკრივს მივყვებოდით წეროთა –  
შლილანგელოზებს თოვლთა...



როგორც სიზმრის მომღერალი ბორანი  
სიკვდილიდან სიცოცხლისკენ  
მოვდივარ...  
მომაქვს ნისლი, ლექსით ნაამბორალი,  
სიყვარულის ხელთუქმნელი კოშკიდან...

## ისე ნუ მომკლავს...

სამშობლოს სადარაჯოზე  
დრტვინვით არაგვნი დიანო,  
მეფე ერეკლეს ძვლებზედა  
მირონნი გადმოდიანო...  
ისე ნუ მომკლავს სანუთრო,  
მტერი არ მივანყვდიადო...

## თუნგია

ეს გაზაფხული ვერცხლისფერი  
დედის თუნგია –  
აყვავებული ცრემლის ზედაშე.

დედამ მზისფერი ჩქერალები  
ჩამონურა  
სპილენძის ნისლში,  
ზანზალაკებად ჩაუდგა სევდა,  
თეთრი ტკივილი,  
როგორც ვენახში წინგორგოლაზე,  
მღერის სული, სიტკბობას ნაზიარები...

დედის ხელები წინგორგოლის მტევნებია, –  
გაკრეფილ ვენახს შერჩენილი ქარის სურნელით...  
სივრცეს რომ რთავენ, ბიბინებენ, ბინულს იბნევენ  
და მიაქვთ სევდა ზეცის ნაპირთან...

დედის რთველია ძველი თუნგი  
ნათითურებით,  
ვარდის ფურცლებით,  
იების ღამით...

შებინდებისას იღვიძებენ დედის იები,  
შებინდებისას ფეხაკრეფით  
შემოდის ნისლი, ლურჯი შუქი...  
ვით უსამბარის <sup>1</sup> ერდობების ნაპრალები,  
იხსნება გული და ყვითელი მოკაშკაშე  
ყვავილი მღერის...  
ოთანში დადის  
სენპოლია,  
დედა-ზმანება...

ნათითურები, –  
თუნგის  
სევდა-ზედაშეები,  
მზის აიაზმით ივსებიან...  
მეც მზეს ვილოცვი,  
ყოველთვის, როცა ამ თუნგიდან  
წყალს ვენაფები...



არსებობს ასეთი  
გულისწვეტაც –  
როცა არაფერს აღარ ამბობ...  
როცა მუნჯდება სივრცეც...

ციდან კი, თვალია  
კურცხალივით მაინც  
ვარდება  
ოქტომბრის ფოთოლი –  
სისხლმემშრალი  
რეკვიემი სულის...

---

<sup>1</sup>უსამბარა (Usambara) მთის მასივია აღმოსავლეთ აფრიკაში, კერძოდ, ტანზანიაში. უსამბარაში აღმოაჩინეს უცნობი იისფერი ყვავილი სენპოლია. აქ გერმანიის კოლონია არსებობდა, მისმა მმართველმა ბარონმა უოლტერ სენ პოლმა და მისმა საცოლემ აფრიკის მწველ მზეში, ნაპრალებში, ხავსიან ლოდზე იპოვეს ეს ყვავილი.

●  
ჩაივლის ეს დღე  
და არასოდეს აღარ ამოივლის...  
ჩაივლით ჩვენც და  
ჩვენს ნაფეხურზე დაუცდება ფეხი  
ლამაზ წყვილს...  
და...  
გაიშლება სამოთხის ვარდი...

●  
ჭავჭავაძეზე, ვარაზის ხევთან,  
მომძებნა ცამ და ცოტათი შევთვრი...  
ქარი ნოემბრის ალერსში მხვევდა  
თეთრი ღრუბლები მომქონდა შენთვის!

## **ქვიზეთი**

*დიმიტრი ყიფიანის ფიქრები ეგ ზარქოსთან  
ნერილის გაგ ზავნის წინ*

მოითბათვა ცრემლმა  
ქვიშხეთში,  
ქარებმა სისხლი  
გაუთბეს ცაცხვებს  
და მორიყრაყე დილა  
ფიქრებში  
იმეორებდა სამშობლოს სახელს...

სამოთხის ფერი ედო  
სველ მინდვრებს,  
თვალებს – ნანვიმარ გვირილის  
სურნელს...  
თუ ასრულებდა ღამე  
შენდობით  
ტკივილის გამას  
მოხუცის შუბლზე...

ტკივილი წვავდა კალამს  
შემალვით,  
წყევლა ქვეყნისა ზაფრავს  
ვერსარგო,  
ვით შეარჩინოს ზრახვა  
ვერაგი  
და მიუტევოს ცოდვა  
ეგ ზარქოსს?

„ცოდვიანია თქვენი  
სიტყვები  
შეურაცხმყოფელს მივუგებ  
დღესვე –  
ამ მინა-წყალზე როგორ  
იქნებით,  
უნდა დატოვოთ  
ქვეყანა ესე“...  
ნალველი სწავდა თითებს  
და გზებსაც,  
ქართლში აისიც სისხლის  
მზეს ჰგავდა...  
და სხივოსანი ტარიგი  
სევდა  
ლიტანიობდა მოხუცის  
დარდთან...

იდგა სამშობლო ცრემლში,  
ზურმუხტი,  
გადატეხილით ვადაში  
ხმალით...  
ზეცას ფერავდა დილის  
სულმწუხრი,  
თავგანწირული იმედი  
ხვალის...

## ხარისთვალა

ხარისთვალა,  
ხარ მზის თვალა,  
დილის,  
განა ღამისთვალა...  
ცრემლმა გთვალა,  
ვერ დაგთვალა  
და თავისად მიგითვალა...

გულმა გფარა,  
ქარს უფარა,  
თოვლის ჩრდილით დაგიფარა...  
იაკინთის გაზაფხული  
საბურველად აიფარა...

ელვარება ეცვა ღამეს,  
შენი სევდის  
სისხლი მლლიდა,

შენს ნაღველში  
მოღუღუნე  
სამღერალი დამიღვინდა.  
შენს ხელებში  
მოხიბინე  
მზის ჯეჯილი ამიღიმდა,  
ეს ტკივილი მიღმიერი,  
ეს სიცოცხლე ამაღ ღირდა...  
ხარისთვალა,  
ხარ ვისთანა,  
მზის და მთვარის  
ხამლის ქარვა...  
შენმა თბილმა  
სამღერალმა  
კაემანი  
განმიქარვა...  
შენი სივრცის  
თავანები  
იმგზიერშიც  
რად მინახავს?

ხარისთვალა,  
ნაღვლისთვალა,  
დილასევდის  
საზღვრით მდგარა...

ანდრო ბუაჩიძე

### სისხლიანი ეპოქის მატყანა

ლევან ხაინდრავას რუსულ ენაზე დაწერილი რომანი „ჟამი მეექვსე“ იმ იშვიათ ნაწარმოებთაგანია, რომელიც XX საუკუნის საქართველოს ყველაზე ტრაგიკულ ხანას ეხება და რომლის გამოქვეყნება მხოლოდ „პერესტროიკის“ დასასრულისათვის მოხერხდა.

ეს უკანასკნელი ვითარება რომანს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს



და მის მიმართ განსხვავებულ ინტერესს აღძრავს. ნაწარმოები 1958-1969 წლებში დაიწერა, გამოქვეყნება კი გაურკვეველი დროით გადაიდო. იმხანად, ცხადია, ვერავინ იწინასწარმეტყველებდა საბჭო-

თა იმპერიის ნგრევას. ჯორჯ ორუელის „1984“ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამოქვეყნდა და საბჭოთა რეალობა უკიდურესად გამძაფრებული ნიშნით წარმოაჩინა. თუმცა საბჭოთა რეალობაში უფრო მეტი სიმძაფრეც არსებობდა: ამ რომანის გამოქვეყნების თარიღს (1949 წ.) 1924 და 1937 წლის სისხლიანი რეპრესიები უძლოდა წინ. ეს იქ არ არის მი-

ნიშნებული, ორუელს საბჭოთა ტოტალიტარიზმზე არცთუ ზუსტი წარმოდგენა ჰქონდა და ცხადია, მის რღვევასაც ვერ იწინასწარმეტყველებდა. მან ტოტალიტარიზმის მხოლოდ ზოგადი სქემა მოხაზა.

რა თქმა უნდა, ქვეყანა, რომელიც უხეშ პროპაგანდაზე, ხელოვნურად შეთითხნილ იდეოლოგიაზე და მასობრივ ყლეტა-

ზე იყო დამყარებული, ადრე თუ გვიან დაინგრეოდა, მაგრამ სანამ აღსასრულის ჟამი არ დადგა, მანამდე ნგრევის თუნდაც მიახლოებითი თარიღი ვერავინ ივარაუდა. ამიტომაც ლევან



ხაინდრავას 60-იან წლებში დანერგილი რომანი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე იყო და არის. ეს არის მხატვრული მატრიანე, რომელიც XX საუკუნის ყველაზე მტკივნეულ დროით მონაკვეთს ეხება და რომელიც დიდი რისკის ფასად დაინერა. ეს არის მხატვრული ანალიზი ყველაზე უფრო რთული საკვანძო მოვლენებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასული საუკუნის უსასტიკეს რეალობაში. ეს არის წიგნი, რომელიც უშუალოდ ეხება საქართველოს ბედსა და ბედისწერას, ქართველ ადამიანებს, მათ ოჯახებს, მათ სურვილებსა და მისწრაფებებს, ტანჯვას და იდეალებს. აი, რას ამბობს მთავარი გმირის, ახალგაზრდა კაცის, ნოდარ ბრეგვაძის ერთ-ერთი მოძღვარი, სტალინური ტირანიის უშეღავათო განმარტებული ქრისტეფორე მირიანაშვილი: „მე მჯერა, რომ ჩვენს ხალხში აღორძინდება მაღალი ზნეობრივი იდეალები. ეს ისევეა სარწმუნო და მოსალოდნელი, როგორც მრუმე ლამის შემდეგ გათენება... გაჩნდება გამოხატვის ახალი ფორმები, ეს ბუნებრივია, ვინაიდან XX საუკუნის შუა წლებია დამდგარი, ჩვენ ვდგავართ ღირებულებათა დიდი გადაფასების მიჯნაზე, როგორც სულიერ, ისე სამეცნიერო სფეროში. ატომის გახლეჩის საუკუნეში ვცხოვრობთ... ამის გაცნობიერება ძნელია...“

დროის მონაკვეთი, რომელშიც ჩვენ გვინევს ცხოვრება, შეიძლება ქრისტეს ჯვარცმის საათებს შევადაროთ. ის ჯვარცმულია, ადამიანები კი იქვე, მის ფერხთით, მისსავე სამოსელს იყოფენ. საშინელება არყევს ქვეყნიერებას და წყვდიადი ეფინება მთელ დედამიწას მეექვსე ყამიდან მეცხრე ყამამდე. და ჩვენც დაგვიდგა ყამი მეექვსე და არ ძალგვიძს მომავლის წინასწარი განჭვრეტა, მაგრამ განა მწუხარებით გამსჭვალული გული არ ჩაგვჩურჩულებს, რომ ხსნის დრო დადგება? და თუ ასე არ არის, მაშინ რისთვის არის მონო-

დებული დედამიწის – ჩვენი სახლის ეს ენითაუწერელი სილამაზე? რისთვის არის ჩადებული ჩვენში საკუთარი ღირსების გრძნობა? ის ხომ მთავარი ძალაა, რომელიც ადამიანს ადამიანის სახეს ანიჭებს? რა აზრი აქვს მის არსებობას, თუკი ის ყოველწამიერად ტალახში იქნება ამოსვრილი?“

მაშასადამე, „ყამი მეექვსე“ საქართველოს უკიდურესი ძნელბედობის ყამია და ამ ყამს ეხება ლევან ხაინდრავას რომანი. ავტორი ყოველგვარი მოიარების, სხვაგვარად თქმის და ეზოპეს ენის გარეშე ამბობს სათქმელს. ეს არის ეპიკური ტილო, რომელიც საკმაოდ ვრცელ დროით მონაკვეთს და მძიმე კატაკლიზმებს აღბეჭდავს. ამ დროით მონაკვეთში პერსონაჟთა ხასიათების არა მარტო ფორმირება ხდება, არამედ მეტამორფოზაც. ყოველივე ტოლსტოის „გაუხუნარი რეალიზმის“ (თომას მანი) ნიშნით არის აღბეჭდილი.

რეალიზმი მხატვრული მეთოდია, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა და თავისი არსისმიერი დანიშნულება არც მომდევნო პერიოდში შეუცვლია. ის მხატვრული თხრობის კონტექსტში დროისდა კვალად რამდენადმე იცვლიდა სახეს, მაგრამ მისი ძირითადი პრინციპები უცვლელი რჩებოდა. ცვლილებათა ხასიათს დრო, ვითარება, კონკრეტული სოციალური ატმოსფერო განაპირობებდა. ლევან ხაინდრავამ თავის რომანს „ყამი მეექვსე“ უწოდა, რითაც თვითონვე განსაზღვრა თხრობის ხასიათი. როგორც უკვე ვთქვით, „ყამი მეექვსე“ ქრისტეს ჯვარცმის ყამია, ანუ პირდაპირი მნიშვნელობით – სალამოს ექვსი საათი. მათეს სახარება გვამცნობს: „ხოლო მეექვსით ყამითგან დაბნელდა ყოველი ქვეყანა, ვიდრე მეცხრე ყამამდე“.

ლევან ხაინდრავას რომანში აღწერილი დრო – 1951 წლიდან 1956 წლის 9 მარტის ჩათვლით – რა თქმა უნდა, ჯვარცმული საქართველოს და სრული წყვდიადის დროა, მაგრამ ეს წყვდიადი

37 წლის რეპრესიებიდან იღებს სათავეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ – 1951 წელს – ვალმოხდილ და წელში გატეხილ ქართველობას სტალინური რეპრესიების ახალი ტალღა წამოეწია. გაგრძელდა გადასახლებები ყაზახეთში. ასახლებდნენ იმათ, ვისაც ოჯახის რომელიმე წევრი ოცდაჩვიდმეტ წელს ჰყავდა დაჭერილი, ასახლებდნენ ომში ტყვედყოფილებს, თითქოს ისინი საკუთარი სურვილით ჩავარდნილიყვნენ ტყვედ; ასახლებდნენ ბერძნებს. გადასახლებულებს ყოველგვარი იმედი ეწურებოდათ, ხალხში შიშის სინდრომი ხელახლა იკიდებდა ფეხს, მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ: 1953 წელს დიდმა დიქტატორმა სული განუტევა და ვითარება რადიკალურად შეიცვალა. გადასახლებულები უკან დაბრუნდნენ, 1937 წელს დახვრეტილთა გამო კი ხრუშჩოვის ხელისუფლებამ ბოდიში მოიხადა...

თითქოს მცირედი შვება იგრძნო ხალხმა, დიდი დრო არ იყო გასული და საქართველოში 1956 წლის 9 მარტს ახალი ტრაგედია დატრიალდა. ლევან ხაინდრავას ბნელი ეპოქის მომცველი თხრობა ამ ტრაგედიით გვირგვინდება. ამ ტრაგედიას ეწირება მისი მთვარი გმირი ნოდარ ბრეგვაძე, რომელიც უკომპრომისოა, ამ გაურკვეველი წყვილის სუფევაში გარკვევას ცდილობს და საბოლოოდ ამავე წყვილადს ეწირება. უცნაურია, მაგრამ ფაქტია: თბილისში ბელადისადმი გამოხატულ მხარდაჭერას საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა მოჰყვა, და უცნაურია აგრეთვე ისიც, რომ სტალინის მხარდაჭერებს სტალინისავე შემოღებული სასჯელით – ავტომატის ჯვრით გაუსწორდნენ.

●  
ამ გორდიასის კვანძივით ჩახლართული ეპოქის მხატვრული კვლევა ზნეობრივი პრობლემების აქცენტირებას გულისხმობდა. ადამიანების ზნეობრივი სახის გამჟღავნება რეალობის სრული გამოაშკარავების ხარჯზე უნდა მომხდარიყო.

დრო, ეპოქა, ანტიურაჟი, მიკროეპოქის თანამდევნი ნიშნები გარემოსთვის ნიშანდობლივი მრავალი ტიპობრივი ნიუანსი თუ დეტალი პერსონაჟების ხასიათების ძერწვას უწყობდა ხელს და ამიტომაც ჰქონდა მნიშვნელობა. ლევან ხაინდრავა, რა თქმა უნდა, მხატვრულ ნაწარმოებს ქმნიდა და არა დოკუმენტურს, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მან მიზნად დაისახა ამ მხატვრულობის მეშვეობით შეექმნა უმნიშვნელოვანესი ისტორიული ეპოქის სრული, ხელშესახები სურათი. ამ სურათში ჩანერილი უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ პერსონაჟების ცოცხალი და ცხოველმყოფელი სახეები, არამედ ფონი, საარსებო სივრცე, საგნობრივი სამყარო, ზოგადი ატმოსფერო, რეალობის დროით-კონკრეტული წყობა.

ლევან ხაინდრავას თხრობა ნათელია, მკაფიო და ამავე დროს თანმიმდევრული. მწერლის რეალიზმი ყველაფერთან ერთად ადამიანის არისტოტელესეულ იმ განსაზღვრებასაც ეყრდნობა, სადაც ნათქვამია, რომ ადამიანი სოციალური არსებაა. ლევან ხაინდრავა მოგვითხრობს ზოგადად საბჭოთა დიქტატურაზე და კონკრეტულად იმ სოციალურ გარემოზე, მრავალი სპეციფიკური ნიშნით აღბეჭდილ იმ სოციუმზე, რომელიც 1937 წლის შემზარავი რეპრესიების შემდეგ ჩამოყალიბდა საქართველოში.

ამ სოციუმში იზრდება რომანის მთვარი გმირი ნოდარ ბრეგვაძე. მისი პიროვნებად ჩამოყალიბების წლები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს ემთხვევა. როგორც უკვე ვთქვით, ამ პერიოდში ხელახლა იჩენს თავს შემზარავი შიშის სინდრომი, რომელსაც ცრუ პროპაგანდაზე დაფუძნებული ფარული ძალადობა წარმოშობს. 1951 წელს „ხალხის მტრად“ შერაცხილ უდანამაულო ადამიანებს კვლავ ყაზახეთისკენ აგზავნიან, ჩრდილოეთ ყაზახეთისკენ, ფაქტობრივად, ციმბირისკენ მიემგზავრებიან ეშელონები.

ნოდარ ბრეგვაძე გამჭრიახი გონების

და გამახვილებული ინტუიციის წყალობით ხვდება, რომ რთულ სოციუმში უნევს ცხოვრება და იმთავითვე ცდილობს იმის გარკვევას, თუ რამ გამოიწვია ეს სირთულე, რა წნეხქვეშ უხდება ამ სოციუმს არსებობა. ნოდარი ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეა, უფროსკლასელია და მას უკვე აინტერესებს ირგვლივ შექმნილი ვითარება, აინტერესებს, ვინაიდან უშუალო შეხება აქვს ამ გარემოსთან. ეს ახალგაზრდა კაცი ეჭვით ეკიდება ყოველდღიურ გარემოს. ეჭვის საფუძველი კი ნამდვილად არსებობს.

რომანი სკოლაში გათამამებული სცენით იწყება. ნოდარი თავის შეყვარებულს, ნანას გამოეყომაგება. ნანა შეურაცხყო თანაკლასელმა სულიკო შარაშენიძემ. ნოდარის და სულიკოს შეჯახება სკოლის კედლებშივე ხდება: სულიკო ნოკაუტირებულია და იატაკზეა გართხმული. მათ ერთ-ერთი მასწავლებელი წამოადგებათ თავს და წარმოჩნდება ტოტალიტარული სახელმწიფოს დამსჯელი მანქანა: მიუხედავად იმისა, რომ ნოდარი ცამდე მართალია, დამნაშავედ შეირაცხება და სკოლიდან ირიცხება.

„რატომ ელაპარაკებოდი დირექტორს ასე?“ – შესჩივის ის დედას. „როგორ ასე?“ – ჩაეძიება დედა. ნოდარი ატყობს, რომ, ჩვეულებრივ, მეუღლესთან ან შვილებთან საუბრისას, დედის სიტყვას გულწრფელობის ინტონაცია ახლავს, დირექტორთან ლაპარაკი კი სხვაგვარია – თავშეკავებული და დამთმობი. ეს ასეცაა, ვინაიდან ამ შემთხვევაში დირექტორი დამსჯელი ტოტალიტარული აპარატის მოხელეა. ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ ნოდარ ბრეგვაძის მამა მაღალი რანგის პარტიული ფუნქციონერია და დედა ოჯახის სასიკეთოდ მის სოციალურ სტატუსსაც უფრთხილდება. არადა, ნოდარი საკუთარი სინდისის წინაშე მართალია: მის შეყვარებულს შეურაცხყოფა მიაყენეს და სიტყვიერი გამოქომაგების შემდეგ კი მასვე ფიზიკურად დაესხნენ თავს. არსებითად ნოდარი თავის პიროვ-

ნულ ღირსებას იცავს და ორთაბრძოლაში ამარცხებს თავგასულ მეტოქეს.

მაგრამ ნოდარ ბრეგვაძე ისჯება, ვინაიდან მისი საქციელი თავისუფალი ნების მქონე ადამიანის საქციელია. ასეთი ადამიანები კი ტოტალიტარული სივრცის ყველა მონაკვეთზე ისჯებიან. აქ განმკითხავი და დამსჯელი თვითონ სახელმწიფო მოხელე უნდა იყოს და არა რიგითი მოქალაქე, ანუ პიროვნება. თავისუფალი ნების გამომჟღავნება უკვე დანაშაულია. ტოტალიტარული სახელმწიფოს ლოგიკით „გზავნილი“ უნდა მისვლოდა მასწავლებელს ან დირექტორს, გადაწყვეტილებას ის მიიღებდა და გამოტანილ სასჯელსაც დაუყოვნებლივ „მოიყვანდა სისრულეში“. ნოდარმა კი ყოველივე ეს თვითონ იტვირთა. მას სჯეროდა, რომ ასე უნდა მოქცეულიყო და ასე მოიქცა კიდევ. ეს ერთდროულად შეგნებულადაც მოხდა და უნებლიეთაც. მას არ შეეძლო სხვაგვარად ემოქმედა, ვინაიდან ის მართალი იყო და ამავე დროს სულიკო მოულოდნელად დაესხა თავს.

დედამ გაამართლა ნოდარის რაინდული საქციელი, მაგრამ დირექტორთან საუბრისას თავისი პოზიცია სხვა ინტონაციით გაახმოვანა. ამ ინტონაციას ერთგვარი დათმობის ნოტი ახლდა. ეს ნოდარმა შენიშნა და უსაყვედურა კიდევ დედას. და აი რას პასუხობს დედა ვაჟიშვილს: „იცი რა, ნოდარ... ცხოვრება გაცილებით უფრო რთული რამ არის, ვიდრე ეს შენი ასაკის ადამიანს ეჩვენება. მას ახლავს ისეთი მომენტები, რომლებიც არ თავსდება იმ ზნეობრივ კოდექსში, რომელსაც ყოველი წესიერი ადამიანი განუწესებს საკუთარ თავს. ამას ვერ გავექცევით. გარემოებანი ჩვენზე უფრო ძლიერია და მათ უნდა შევეგუოთ. ზოგჯერ ეს ძალზე მწარეა, მაგრამ გარდუვალია და თანდათან ყოველივე ამას ეჩვევი“.

ნოდარ ბრეგვაძე დაბნეულია და მხოლოდ ერთ შეკითხვას ამოღერღავს: „შენ იმის თქმა გსურს დედა, რომ მხოლოდ

სიმართლით ვერ იცხოვრებ ამ ქვეყანაზე, არა?“ დედა ამ შეკითხვაზე არსებითად თანხმობას უცხადებს ვაჟიშვილს. ეს არის ნონკონფორმისტის წინაშე გამოვლენილი კონფორმიზმი. იძულებითი შეგუება თუ შერიგება უსამართლობასთან. ეს არის ზნეობრივი, ეთიკური რელატივიზმი, რომელიც ამკარად თვალშისაცემია.

ნოდარ ბრეგვაძის მშობლები კულტურას ნაზიარები ადამიანები არიან. მათ იციან სიმართლის ფასი, მაგრამ ისიც იციან, რომ ეს სიმართლე საბჭოთა ავტორიტარიზმთან შეუთავსებელია. ყოველივე ამის ვაჟიშვილისთვის ახსნა კი უჭირთ. მამასაც და დედასაც დიალოგის გამართვა უნევთ ჯერ საკუთარ სინდისთან და მერე ვაჟიშვილთან. ამ ბენვის ხიდზე გავლა კი არ ხერხდება, ვინაიდან საკუთარ სინდისთან დათმობა უხდებათ, ვაჟიშვილს კი ვერ ახვევენ თავს თავიანთ შემრიგებლურ, კონფორმისტულ პოზიციას... ნოდარი შეუვალია.

●  
ლევან ხაინდრავა რომანში „ჟამი მეექვსე“ რეალისტურ ეპიკურ სამყაროს ქმნის, სადაც სივრცე, დრო და კაუზალობა XX საუკუნის ექსპერიმენტული თუ მოდერნისტული რომანის გვერდით ინარჩუნებს თავის ძალას, ინარჩუნებს, ვინაიდან რეალიზმი, როგორც მიმდინარეობა, არ არის დროით და სივრცით გარშემოწერილი, არ არის ერთგვაროვანი და ერთსახოვანი. ის დროსთან ერთად ახალ გამომსახველობით ელემენტებს ეძებს, სხვადასხვა გარემოში კი სხვადასხვა ნიშნით მჟღავნდება.

ლევან ხაინდრავას რომანი აღბეჭდავს ემპირიულ, გრძნობად-კონკრეტულ სინამდვილეს, მწერალი სიცოცხლეს სიცოცხლისავე ხელშესახები, პლასტიური ფორმებით გადმოგვცემს. ეს ნაწარმოები მიმეტური ლიტერატურის, კლასიკურ-რეალისტური ბელეტრისტიკის ნიშნებს ამჟღავნებს. რასაკვირველია, შესაძლებელი იყო მწერლის მიერ აღქმული სი-

ნამდვილის ტრანსფორმირებული, გროტესკული ფორმით გადმოცემა, მაგრამ ეს არ მოხდა მრავალი მიზეზის გამო. მწერალმა მოვლენათა ისტორიულ განასერში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ძიებას მიჰყო ხელი. მისი პროზა ეპოქის მხატვრული კვლევაა, სადაც ფონს, ინტერიერს, ანტურაჟს, დროით-საგნობრივ აქსესუარს (როგორც ზემოთ უკვე ვთქვით) პერსონაჟებისაგან განუყოფელ ნაწილად, განუყოფელ რეალობად განიხილავს მწერალი. მხედველობის არეში ექცევა უმძაფრესი ქარტეხილების ეპოქა – 37 წელი, მეორე მსოფლიო ომი, 51 წლის გადასახლებები, სტალინის სიკვდილი, 9 მარტის მოვლენები – რაც არ შეიძლება იყოს მხოლოდ ფაქტოგრაფია და ამ ფაქტებს არ ახლდეს მოვლენათა ადეკვატური მხატვრული ძალმოსილება. უკვე ნათქვამს კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ლევან ხაინდრავა ქმნის მხატვრულ მათიანეს და კვლევის რეალისტური მეთოდი მისთვის, უპირველეს ყოვლისა, ისტორიული სიმართლის ბოლომდე გარკვევას, ყველა სიბრტყეზე მის გამოსახვას, წვდომას, ბოლომდე თქმას ნიშნავს. მან ამგვარი პასუხისმგებლობა იკისრა. მისი მთავარი აქცენტი გმირის ზნეობრივ მოდულაციებს მოიცავს.

●  
ნაწარმოების სიუჟეტური განვითარება უშუალოდ უკავშირდება მთავარი გმირის თვითგამორკვევის ფაზებს. სოციუმი, რომელშიც ნოდარ ბრეგვაძე ზნეობრივ სფეროში თავის ძიებას იწყებს – ოჯახია. ამ პერსონაჟის ხასიათს, მის მსოფლმხედველობას მისივე დიალოგური ბუნება აყალიბებს. ნოდარისათვის დიალოგი, მიხაილ ბახტინის სიტყვით რომ ვთქვათ, საშუალება კი არ არის, თვითმიზანია. ნოდარ ბრეგვაძე უალრესად რთული ძიების პროცესში მარტოა, ამიტომაც მუდმივი თვითანალიზის გზას ადგას.

ნოდარ ბრეგვაძის კვლევის ობიექტი

ტოტალიტარული სახელმწიფოა. მშობლები ის ადამიანები არიან, რომლებმაც იციან, გარეთ, ანუ სახელმწიფოში რა ხდება. სკოლის ეპიზოდმა, რომლითაც იწყება რომანი, ძიებისთვის აღძრა და განაწყო ნოდარ ბრეგვაძე. დედასთან დიალოგმა კი უფრო მეტად გაულრმავა ინტერესი.

აქ იწყება მისი შინაგანი მეტამორფოზა, ძიებათა სფერო და სოციალური სივრცე თანდათან ფართოვდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გმირის სივრცეში ფიზიკურ ადგილმონაცვლეობას და სხვა პერსონაჟებთან დიალოგს პარალელურად მისივე ზნეობრივი თვითგამორკვევის პროცესი სდევს თან. რომანში განვითარებული ეს ორი ხაზი კარდოგრამის სურათზე აღბეჭდილ ტეხილ პარალელურ ხაზებს წააგავს.

სიუჟეტს ნოდარის ძიებათა პროცესი და მისი შეუვალი ხასიათი განაპირობებს. აქ მთავარი ის არის, რომ გმირის ხასიათი განსაზღვრავს ნაწარმოების სიუჟეტს და არა სიუჟეტი ხასიათს და ძიებათა პროცესს. როგორც არტურ შოპენჰაუერი ფიქრობს, ადამიანის ხასიათი თანდაყოლილია.

ნოდარ ბრეგვაძის შეუვალობა და უკომპრომისობა გარკვეულ კონტრასტს ქმნის იმ სოციალურ გარემოში, რომელშიც იღვიძებს მისი ცნობიერება. შეუვალობა მისი ხასიათის თვისებაა. მშობლები, ცხადია, ზნეობრივი პრინციპების ერთგულებას უქადაგებენ მას, მაგრამ უკვე ტოტალიტარულ რეალობასთან შეჯახების შემდეგ მათშივე ამოქმედდება თავდაცვის მექანიზმი და ვაჟიშვილსაც თავდაცვისკენ უბიძგებენ. თუმცა ნოდარი სწორედ აქ ავლენს შეუვალობას, როგორც ხასიათის თანდაყოლილ თვისებას, მას არ ახსოვს შემზარავი ოცდაჩვიდმეტი წელი, როცა წამებით კლავდნენ ადამიანებს, მაგრამ ის ამ ცოდნას უკვე ოჯახის გარეთ მიიპოვებს თანაკლასელი დათოს ბიძის, ქრისტეფორე მირიანაშვილის მეშვეობით.

ლევან ხაინდრავას რეალისტური მე-

თოდი მხატვრული წესრიგის ნიშნით არის გამოხატული. მხატვრულ წესრიგს, ისევე როგორც მის რღვევას (რაც მრავალნაირად შეიძლება გამოიხატოს) თავისი მკვიდრი კანონზომიერება გააჩნია. სიუჟეტის რღვევა კომპოზიციის რღვევასაც განაპირობებს. ამგვარ ტრანსფორმაციას ექვემდებარება სხვა მხატვრული კომპონენტებიც. XX საუკუნის მხატვრული პროზისთვის ე. წ. მაღალი მოდერნიზმისეული ამგვარი რადიკალური ტრანსფორმაცია უმთავრეს მახასიათებელ ნიშნად მიიჩნევა. ამგვარი ტოტალური სტილიზაციით აღბეჭდილი ნაწარმოებები (ჯოისის „ულისე“, კაფკას „პროცესი“, ვირჯინია ვულფის „გზა შუქურისაკენ“ და სხვ.) უმთავრესად გასული საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში იქმნებოდა, 58-დან 60-იანი წლების ბოლომდე, როცა ლევან ხაინდრავამ რომანი „ჟამი მეექვსე“ დაასრულა, უკვე საქართველოშიც გახმაურდა ლათინური ამერიკის პროზა. „მაგიური რეალიზმი“ – რეალურის და ფანტასტიკურის შერწყმა სრულიად ახალი მოვლენა იყო ჩვენს სინამდვილეში. 1973 წელს მიუძღვნა ამ მოვლენას წერილი კრიტიკოსმა ოტია პაჭკორიამ, სადაც ის წერდა: „იოლი როდია ლათინური ამერიკის პროზაზე გადაჭრით მსჯელობა. შეზღუდულია ინფორმაცია. იმ ნაკადიდან, რომელსაც ახალი პროზის აღმავლობას უკავშირებენ, ხელმისაწვდომია, ისიც ნაწილობრივ: ასტურია-სი, კორტასარი, კარპენტერი, ფუენტესი, მარკესი, ლიოსა...“

პოლიტიკურად დაქვემდებარებული, ბინდმოსილი ეგზოტიკის წიაღში ჩაფლული ქვეყანა მწერლებმა გამოიყვანეს დღის სინათლეზე, მოაშორეს გაურკვევლობისა და უმწეობის საფარველი...“

„პოლიტიკურად დაქვემდებარებული“ იყო საქართველოც. ეს არ იყო მხოლოდ დაქვემდებარება, ეს იყო რეპრესიების, უმძიმესი ომის, კვლავ რეპრესიების და შემზარავი 1956 წლის 9 მარტის პერიოდი. ლევან ხაინდრავამ

სწორედ ეს დრო შემოწმდა. როგორც უკვე ვთქვით, მოვლენათა ეპიცენტრი ჯერ 1951 წლის გადასახლებებია, მერე 1953 წელი და სტალინის სიკვდილი, ბოლოს კი 9 მარტი. დროის ამ ფაზებს გაივლის ნოდარ ბრეგვაძე, როგორც პიროვნება და ადამიანი, და ის ყალიბდება არა მემბოხედ, არამედ სიმართლის დამცველად. ეს პერსონაჟი განიცდის მსოფლმხედველობრივ მეტამორფოზას, ის ირეკლავს ორაზროვან რეალობას და იღებს პიროვნულ პასუხისმგებლობას, საბოლოოდ კი 9 მარტს იღუპება და ეს სიკვდილი არ არის შემთხვევითი – ის კანონზომიერია. ყოველივე ეს რეალისტურად აღბეჭდა ლევან ხაინდრავამ. ეს რეალიზმი თავისებურია, დოკუმენტალიზმის ზღვარზეა.

თომას მანი თავის ცნობილ წერილში „რომანის ხელოვნება“ ამბობს: „როცა პროზაული რომანი გამოეყო ეპოსს, თხრობა ადამიანის შინაგანი ცხოვრების, ღრმა სულიერი სამყაროს, ღრმა განცდების გამოხატვის გზას დაადგა; ეს იყო ხანგრძლივი გზა...“ ეს გზა XX საუკუნეშიც გაგრძელდა და ამის თვალსაჩინო მაგალითი თვითონ თომას მანის შემოქმედებაა.

ცხადია, XX საუკუნის დასავლური რომანი უფრო ადამიანის შინაგანი სამყაროს გამოხატვას ესწრაფვის, სინამდვილე პერსონაჟის ცნობიერებაშია ფოკუსირებული, კოლიზიები და კონფლიქტები ემპირიულ და სოციალურ სივრცეში კი არ ხდება, არამედ ცალკეული პიროვნების ცნობიერებაში.

ლევან ხაინდრავას რომანში დაცულია ზღვარი იმ ორ სივრცეს შორის რომელშიც მოქმედება მიმდინარეობს. ეს არის, ერთი მხრივ, ემპირიული და სოციალური, მეორე მხრივ კი, ცნობიერების სივრცე. ლევან ხაინდრავას „ჟამი მეექვსე“ XX საუკუნის რეალისტური რომანია. აქ თხრობის რეალისტური ნაკადისთვის უცხო არ არის გარკვეული პირობითობის ელემენტი, რომელზეც

უფრო დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებ. ასე რომ, დოკუმენტალიზმი და პირობითობა თავისებურად ერწყმის ერთმანეთს. ეს მხატვრულობის თავისებური ნაზავია.



„ჟამი მეექვსე“ სიუჟეტური ხაზი თავიდანვე შეიცავს გარკვეულ დამინტრიგებელ ელემენტს, მკითხველს თავიდანვე აქვს საიმისო მოლოდინი, რომ რომანში „რაღაც უნდა მოხდეს“. ეს „რაღაც“ იწყება იმით, რომ ნოდარს უყვარს თავისი თანაკლასელი ნანა. თავისთავად ეს სიყვარული არაფრისმთქმელი იქნებოდა, რთული კოლიზიები რომ არ მოსდევდეს. სიყვარული უშუალოდ უკავშირდება ტოტალიტარიზმის პრობლემას. საქმე ისაა, რომ ნანას მამა მხატვარი იყო და 1937 წელს დახვრიტეს. ამ ოჯახთან ურთიერთობა ანტიტოტალიტარული მსოფლმხედველობის პირველსათავეა. ამგვარი ურთიერთობა აქვს ნოდარს თანაკლასელ დათოსთანაც. დათოს მამაც ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიებს ემსხვერპლა, ბიძა კი, ქრისტეფორე მირიანაშვილი, როგორც უკვე ვთქვით, რომანის ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი ფიგურაა – ანტისტალინისტი და ანტიტოტალიტარისტი.

ნოდარ ბრეგვაძე იკვლევს ოცდაჩვიდმეტი წლის მოვლენებს. ყოველივე ეს წარსულში მოხდა და ამიტომაც მას არ გააჩნია სასურველი ინფორმაცია. ისიც საგულისხმოა, რომ საკუთარ ოჯახში მას ამ თემაზე არავინ ელაპარაკება. ამ თემაზე საუბარი საშიშია, ვინაიდან სტალინი ჯერ კიდევ მოქმედი ფიგურაა, რაც იმას ნიშნავს, რომ რეპრესიების ჟამი ჯერ არ გასრულებულა. და მართლაც – ნანას და დედამისს მოულოდნელად ყაზახეთში გადაასახლებენ. გადაასახლებენ ქრისტეფორე მირიანაშვილსაც, ნოდარის მეგობრის, დათოს ბიძას. ყოველივე ეს

უკვე 1951 წელს ხდება. ნოდარს ნანა-სადმი არამხოლოდ სიყვარული ამოძრავებს, არამედ თანაგრძნობაც. ნანა საიდუმლოდ გამოუტყდება ნოდარს, რომ მამამისი უდანაშაულო იყო, მაგრამ მაინც დახვრიტეს. ქრისტეფორე მირიანაშვილთან ნოდარის დიალოგი ცალკე მსჯელობის საგანია, ვინაიდან ეს კაცი მის ერთადერთ მოძღვრად გვევლინება. ქრისტეფორე იმათგანია, ვინც მიუკერძოებლად აფასებს სტალინის ეპოქას. ის ირონიულად საუბრობს იმის თაობაზე, რომ სტალინი მეცნიერების მრავალი დარგის სფეროში ნოვატორად მიიჩნეოდა, რაც, უბრალოდ, ღიმილისმომგვრელია. ქრისტეფორეს მოჰყავს ვოლტერის სიტყვები: „ჩვენგან აღიარებას იმსახურებს ის, ვინც სიმართლის ძალით ბატონობს ჩვენს შეგნებაზე და არა ძალადობის მეშვეობით“. აქ უკვე ყველაფერი ნათქვამია და ნოდარ ბრეგვაძის გულუბრყვილო შეკითხვები სხვა სათქმელს აღარ აღძრავს.

მთავარი ის არის, რომ ნოდარი ყაზახეთში მიჰყვება გადასახლებულ დედა-შვილს. ის ჩასვლისთანავე ჩააკითხავს მათ და იქვე რჩება. ამ ურთულესი ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ სიყვარულით არ არის ნაკარნახევი. ნოდარმა მოიპოვა საიმისო ცოდნა და რწმენა, რომ ეს ნაბიჯი გადაედგა და გადადგა კიდევ. ამ არჩევანს ის სრულიად დამოუკიდებლად (მშობლებსაც კი არაფერს ატყობინებს) აკეთებს და ამავე არჩევანის გაგრძელებაა მისი ბედი და ბედისწერა, მისი შემდგომი ცხოვრება. ეს არჩევანი იმ ზნეობრივი მრწამსის განუყოფელი ნაწილია, რომელიც მან შეიმუშავა.



ნოდარ ბრეგვაძე რთული სულიერი ფიზიონომიის ადამიანია. ლევან ხაინდრავა ცდილობს, ირიბი შტრიხებით და ხაზებით, ცალკეული დეტალებით (პროზა დეტალების ხელოვნებაა) გამოძერწოს მისი პიროვნებისეული პორტრეტი. ნოდარმა

მართლაც საოცარი ნაბიჯი გადადგა, როცა ის დაუფიქრებლად წავიდა ყაზახეთში, ის საამისოდ უკვე მზად იყო. მაგრამ ეს მზადყოფნა ნაუცბათევად არ მომხდარა.

ლევან ხაინდრავას გამოძერწილი პორტრეტი პლასტიური უნდა იყოს, ამ პლასტიკას კი დეტალების შინაარსობრივი ტევადობა და მახვილგონიერება ქმნის. ეს, რა თქმა უნდა, ყველა დეტალზე არ ითქმის, არის ძლიერმოქმედი და ნაკლებად ძლიერმოქმედი მონაკვეთები. და სწორედ ეს დეტალები ცხადყოფენ ნოდარის მსოფლმხედველობრივ და ფსიქოლოგიურ მზადყოფნას. ანტიტოტალიტარული შინაარსის გაკვეთილებმა დამანგრეველი შთაბეჭდილება მოახდინა ნოდარზე. ამის თაობაზე უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ რაღაც მაინც უნდა დავამატოთ. რომანის მეთოთხმეტე თავში ავტორი წერს: „ის, რასაც ქრისტეფორე ამბობდა, ნამდვილად უდავო იყო. რაც უფრო მეტს ფიქრობდა ნოდარი ამის შესახებ, მით უფრო ღრმად რწმუნდებოდა, თუმცა მეორე მხრივ, მისი გული ვერ ეწყობოდა ამგვარ ლოგიკას. უფრო მეტიც, ეს ლოგიკა უცხო იყო და თითქმის მტრული მისთვის. ქრისტეფორეს სიტყვები რაღაც უჩვეულო, სულის გამყინავ სიცივეს ასხივებდა, თითქოს ნოდარმა სასტუმრო ოთახის კარები შეხსნა და იქ აკლდამას წაანყდა, მაგრამ ამ აკლდამაში რომ შეიხედა, მიხვდა, რომ აქამდე ბრმად ცხოვრობდა... მისი ცხოვრების ჰარმონია დაირღვა“.

ეს დასკვნა თუ კომენტარი მოსდევს ქრისტეფორესთან ვრცელ დიალოგს, რომელიც ყაზახეთში გამგზავრებამდე გამართა ნოდარმა. გამგზავრების შემდეგ კი უფრო საფუძვლიანი და მრავლისმომცველი საუბრები იმართება. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ნოდარმა ყაზახეთში წასვლით გადადგა ნაბიჯი, რომელიც მხოლოდ თავგანწირულ ადამიანს შეეძლო გადაედგა. ეს კი მისი ეთი-

კური მსოფლმხედველობის სიმნიფეზე მეტყველებს. მაგრამ, რადგან დეტალებზე ჩამოვარდა სიტყვა, არის სხვა შტრიხებიც, რომლებიც ნოდარის არა „დიალოგურ“ (მ. ბახტინი), არამედ მის „კათარზისულ“ (არისტოტელე) ბუნებაზე მიგვანიშნებს. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მისი რთული სულიერი წყობის მაჟნყებელია. რომანის მეთხუთმეტე თავი მთლიანად ეძღვნება კონსერვატორიაში გამართულ კონცერტს, სადაც სრულდება ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონია და სწორედ აქ ეუფლება ნოდარს ზნეობრივი განწმენდის, სულიერი ამაღლების განცდა. ეს არის არისტოტელესეული კათარზისი. მის გვერდით მისივე შეყვარებული გოგონა და ახლობლები არიან. თუმცა აქვე ისმის სნობურ-ობივატელური, პრაგმატულ-უტილიტარული ფუსფუსი, რომელიც საფუძველშივე უცხოა და შეუფერებელი ამგვარი კონცერტისთვის. „როგორ ახერხებენ მსგავს სისულელებზე ყბედობას ასეთი მუსიკის მოსმენის შემდეგ?“ – ფიქრობს ნოდარ ბრეგვაძე და აშკარაა, რომ მთელი მისი არსება მოცულია ბეთჰოვენისეული ჰეროიკით, ღრმა ლირიზმით და სულიერი ბედნიერების მომნიჭებელი ფორიაქით. ეს ნამდვილი კათარზისია, რომლის განცდაც პერსონალურად ნოდარის ხვედრია. ნოდარის ხასიათი ეთიკური და ესთეტიკური პოლუსების შერწყმაა.



ნოდარ ბრეგვაძის ყაზახეთში წასვლამდე მოხაზულ სიუჟეტურ და კომპოზიციურ რკალში თვალსაჩინოდ ექცევა მამის ფიგურა. მამა უშუალოდ ზემოქმედებს ნოდარზე. ის ქმნის იმ ფსიქოლოგიურ და კულტურულ-ღირებულებით ატმოსფეროს, რომელშიც ყალიბდება რომანის მთავარი პერსონაჟი, ახალგაზრდა კაცი. ნოდარი დიალოგს მართავს მამასთანაც, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მამა ბოლომდე გულწრფელი არ არის მას-

თან, ბოლომდე არ ეუბნება სიმართლეს ვაჟიშვილს. მიზეზი კი არსებობს: კონსტანტინე ბრეგვაძე პარტიული ფუნქციონერია, ფრთხილია და ამავე დროს ვაჟიშვილს მფარველობს და უფრთხილდება. საშიში სიმართლის თქმა, მამის აზრით, ნოდარის განირვის ტოლფასია. მშობლები, შეიძლება ითქვას, აშკარა კონფორმისტები არიან, მათი პოზიცია როგორც ვთქვით, ეთიკური რელატივიზმით არის აღბეჭდილი. ამას თვითონ ნოდარიც ატყობს და გარკვეულ დისტანციას იკავებს მშობლებისადმი. მერე კი ოჯახის გარეთ, ქრისტეფორესთან ეძებს „წყეულ“ კითხვებზე პასუხს.

მაგრამ ისიც სათქმელია, რომ კონსტანტინე ბრეგვაძე არ არის ჩვეულებრივი ფუნქციონერი, რიგითი პარტიული თანამდებობის პირი. ნოდარის მსგავსად, ამ კაცის სულიერ სამყაროშიც ტრაგიკული დრამა თამაშდება. ოღონდ, თუკი ვაჟიშვილი ცოდნით და რწმენით მოპოვებულ ზნეობრივ იმპერატივს აძლევს გზას, მამა ყველანაირი ძალისხმევით ცდილობს სინდისის ხმის ჩახშობას. რომანის მეოცე, ოცდამეერთე, ოცდამეორე თავებში მთელი ეპოქის სურათია რელიეფურად აღბეჭდილი. სწორედ აქ იგრძნობა რეალისტური მხატვრული მეთოდის შეუნაცვლებლობა და აუცილებლობა. აქ კაფკასეული და ორუელისეული ზოგადი სქემა, გროტესკი, პირობითობა და ერთნიშნა პერსონაჟები სრულიად მიუღებელი იქნებოდა, ვინაიდან განსხვავებულია შინაარსობრივი კონტექსტი. აქ საგნობრივი სამყაროს ყოველი წვრილმანი და ფსიქოლოგიური ატმოსფეროს ყოველი ნიუანსი მნიშვნელობას იძენს.

კონსტანტინე ბრეგვაძეს ღამით იძახებენ რაიკომში. ის ვერ ხვდება თუ რატომ გამოიძახეს და შიში იპყრობს. ეს გაურკვევლობის სინდრომი, მუდმივი შიში დოკუმენტური სიზუსტით არის აღბეჭდილი და უნდა იყოს კიდევ, რადგან, ვინ იქცევა ხელისუფლების



მორიგ მსხვერპლად, არავინ იცის. რაიკომში მისული კონსტანტინე ბრეგვაძე რწმუნდება, რომ ის კიდევ ერთხელ გადარჩა. ვითარება სრულიად პარადოქსულია: ამ კაცს, რომელსაც დაჭერის ემინოდა, ამჯერად, როგორც ნდობით აღჭურვილ პირს, ძალადობრივი ოპერაციის შესრულებას ანდობენ. ამჟამად ჩანს, რომ ქვეყანაში რეპრესიების ახალი ტალღა დაიწყო და სადამსჯელო ოპერაციის ერთ-ერთი შემსრულებელი თვითონ კონსტანტინე ბრეგვაძეა. ლევან ხაინდრავა ძალზე ზუსტად და სარწმუნოდ გადმოგვცემს ამ პერსონაჟის ორაზროვან ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. ეს კაცი შვებას გრძნობს იმის გამო, რომ გადარჩა, მაგრამ, ამავე დროს, უჭირს სადამსჯელო ოპერაციაში მონაწილეობა.

ისევ დეტალები, ის დეტალები, რომლებიც მკაცრია და „გაუხუნარი რეალიზმით“ არის აღბეჭდილი. კონსტანტინე ბრეგვაძე მაიორთან და ლეიტენანტთან, ე. ი. სამხედრო პირებთან ერთად მიადგება მორიგი მსხვერპლის, ექიმ გორგაძის ბინას. სადამსჯელო ოპერაციის მიზანია პროფესორის გადასახლება ოჯახითურთ. ლევან ხაინდრავა ყოველ ჩქამს, გაფაჩუნებას, ხმადაბალ ჩახველებას აღწესხავს. რაიკომიდან გაგზავნილი ფუნქციონერები მსხვერპლის კარებთან დგანან. მაიორი რეკავს ზარს. ბინიდან ისმის დიასახლისის შემკრთალი ხმა. შეკითხვაზე თუ ვინ რეკავს ზარს უდროოდ დროს, მაიორი პასუხობს, რომ ერთ-ერთ ავადმყოფს ესაჭიროება გადაუდებელი დახმარება. გაისმის კვლავ შეკითხვა, თუ ვინ არის ეს ავადმყოფი. და აქ უკვე ამჟამად ჩანს მაიორის წინასწარ შემუშავებული მზაკვრული ფანდი, ტყუილი, ძალადობრივი ხრიკი. მაიორი პასუხობს, რომ ამ ავადმყოფის გვარია „ლლონტი“. ამჟამად, იმისათვის, რათა ბინაში შეეღწია, მაიორმა შეიტყო ექიმ გორგაძის პაციენტების ვინაობა და

ერთ-ერთი გვარი ამოარჩია. კარი, რა თქმა უნდა, იღება და მაიორი დაუყოვნებლივ შევარდება ბინაში, რომ თავისი ძალადობრივი აქტი ბოლომდე აღასრულოს. კონსტანტინე ბრეგვაძე პირველად არის ამგვარი „დარბევის“ მონაწილე. მას ერთგვარი ზიზლი და შინაგანი პროტესტის გრძნობა უჩნდება მთელი ამ შემზარავი ქმედების მიმართ, რომლის პასიურ აღმსრულებლად თვითონაც მოგვევლინა.

ეს თავები მაღალმხატვრულ პროზად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ზემოთ მივუთითე რეალისტურ პროზაში შეჭრილ პირობითობის ელემენტზე. სწორედ ეს პირობითობა გამოსჭვივის იქ, სადაც კონსტანტინე ბრეგვაძის და მაიორის თვალწინ ექიმი გორგაძე ნაჯახით ამსხვრევს როიალს. ნაჯახი როიალის უფაქიზეს კლავიშებს ეხება. ეს ერთგვარი მეტაფორული პარალელიზმია. დიქტატორის მახვილი ანგრევს გორგაძის დაუცველ და უმწეო ოჯახს, რეალისტური პროზის ნაკადში ამგვარი პირობითობის შეჭრა უჩვეულოა და სწორედ ეს არის საინტერესო, ეს დეტალი იძენს ბუნებრივ ელფერს და ეწერება თხრობის დინამიკაში.

ნაშუალამევეს ოპერაციიდან შინ მობრუნებული კონსტანტინე ბრეგვაძე ჩაის ჭიქას კონიაკით გაავსებს და სულმოუთქმელად დაცლის. მისი სულიერი კონვულსია მდორე და თვითდენად ფიქრებს იწვევს. აი, ეს ფიქრები: „გარდამავალი ეპოქაა, ტყეს ჩეხავენ – ნაფოტი ცვივა, მაგრამ რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ეს ჩეხვა, ძალზე ბევრი ნაფოტი ხომ არ დაგროვდა? ასე ხომ მთელი ტყე ნაფოტად იქცევა? ვის სჭირდება ასეთი ჩეხვა? ვის მოუტანს სიკეთეს? რატომ აქამდე არავინ გაიღო ხმა? მე, ვთქვათ, პატარა კაცი ვარ, იქ, ზემოთ რატომ სდუმან სხვები?“

ამას ფიქრობს კონსტანტინე ბრეგვაძე, თუმცა ამასვე წარმოთქვამს ხმადაღმა მისი ვაჟიშვილი ნოდარი. ისინი

ერთმანეთთან დიალოგსაც მართავენ და ხშირად ისეც ხდება, რომ მამა ვაჟიშვილის შეკითხვებს დუმით პასუხობს.

ვგრძნობ, სიტყვა გამიგრძელდა და იქნებ, მთელი რომანის შინაარსის შემონერა მოვინდომე. ვფიქრობ, ეს არ იქნება საჭირო, რადგან მკითხველი უკვე თვითონ გაიგნებს გზას. სადღაც უნდა მოიკვეციოს ჩემი საუბარი, ალბათ იქ, სადაც სრულდება მთავარი გმირის ხანმოკლე სიცოცხლე. ასეთ დროს მთავარია, ამ გმირის ძირითადი საკვანძო ცხოვრებისეული მომენტები გამომზიურდეს, რათა გაირკვეს თუ რამ შექმნა მისი ბედისწერა. ვფიქრობ, ეს მომენტები გამოვამზიურე კიდევ. ნოდარ ბრეგვაძეს ბედისწერა ნამდვილად აქვს. და აქამდე იმ ცხოვრებისეული მოვლენების ჯაჭვს მივყვებოდით, რამაც შექმნა ეს ბედისწერა. მთავარი ეპიზოდები სკოლის ხანმოკლე პერიოდი და ყაზახეთში ცხოვრებაა, 1956 წლის 9 მარტი კი უკვე საბოლოო შედეგია.

მაგრამ სჯობს, ლოგიკურად განვაგრძოთ ერთი ხაზი – ნოდარის ურთიერთობა მამასთან. ის არა მარტო თვითონ განიცდის გარკვეულწილად მამის გავლენას, არამედ თვითონაც ზემოქმედებს მამაზე. მათი ურთიერთობის ფორმა დიალოგია, მაგრამ დროის და სივრცის გარკვეულ ნერტილში დიალოგი წყდება და მის ადგილს მოქმედება იკავებს. და ეს ხდება ვაჟიშვილის ინიციატივით, დიალოგი წყდება, რადგან მამას ვაჟიშვილის მთავარ შეკითხვაზე პასუხი არ გააჩნია და საუბარი აზრს კარგავს. ნოდარი მიჰყვება გადასახლებულ ოჯახს ყაზახეთში და ეს მისი ზნეობრივი წვრთნის, მისი მსოფლმხედველობის უშუალო გამოხატულებაა. ნოდარ ბრეგვაძის ლოგიკა მარტივია: რადგან გრძელდება უდანაშაულო ადამიანების დასჯა, სავალდებულოა მათდამი არა სიტყვიერი თანაგრძნობა, არამედ ქმედითი, რეალური მხარდაჭერა.

ყაზახეთში ცხოვრების მონაკვეთი ნოდარისთვის არა თეორიულ-მსოფლმხედველობრივი განვითარების ხანაა, არამედ პრაქტიკული და ცხოვრებისეული გამოცდილების მიღების პერიოდი. თითქოს რომანში სამოქმედო არეალი იცვლება, სცენა შემობრუნდება, უცვლელია თხრობის და მთავარი გმირის ზნეობრივი მეტამორფოზის დინამიკა. ყაზახეთში ცხოვრება მწარე გამოცდილებას სძენს ნოდარს და იქვე გრძელდება დიალოგი ქრისტეფორესთან. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეს კაცი ნოდარის „ალტერ ეგო“ და ცხოვრების გზაჯვარედინებზე მუდმივად თან ახლავს მას. თუკი მტკივნეული ქარტეხილების შემდეგ თბილისში სიცოცხლე ისევ მძაფრად პულსირებს, ყაზახეთი მკვდარ ადგილსამყოფელს წააგავს. განკულაკებამ, ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიებმა, იქაურობა საბოლოოდ გააჩანაგა. იქ ჯერაც არ ნაშლილა მუდმივი დასმენების, ბოროტი ბიუროკრატიული აპარატის, უსასოობის, გაურკვეველობის და გამოუვალობის კვალი. ამ ღმერთისგან დავიწყებულ მხარეში სამი მნიშვნელოვანი მოვლენა – ნანასთან შეუღლება, ქრისტეფორესთან ხელახალი შეხვედრა და სტალინის სიკვდილი – საბოლოოდ გამოკვეთს ნოდარის ბედისწერას.

ყაზახეთში ეწვევა ნოდარ ბრეგვაძე ქრისტეფორეს და აქაც მათი საუბარი სტალინის ფენომენს და საქართველოს ბედ-ილბალს შეეხება. ქრისტეფორე უშეღავათოა და მიუკერძოებელი, რადგან სიმართლის თქმა მისთვის ამ ვითარებაში ცხოვრების საზრისის მოპოვების ტოლფასია. ამიტომაც წარმოთქვამს ამ სიტყვებს: „რა იყო ოცდაჩვიდმეტი წელი? საქართველოს ქალაქებში არ დარჩენილა არც ერთი ოჯახი, ეყოვისეულ ტერორს ზიანი რომ არ მიეყენებინა. ნურავინ იტყვის, რომ სტალინმა არაფერი იცოდა. ის მოვალე იყო, ყოველივე სცოდნოდა. ქვეყანაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო ამდენი „ხალხის მტერი“. საერთოდ, ეს

ტერმინი უაზრობის შემცველია. „ხელისუფლების მტრებზე“ თუ ვისაუბრებთ, მათი პროცენტი ისეთი მაღალია, რომ ხელისუფლება ამაზე საგანგებოდ უნდა დაფიქრდეს – აბა, ის რა ხელისუფლებაა, რომელსაც ამდენი მტერი ჰყავს?.. ისევ საქართველოს დავუბრუნდეთ: ბოროტება, რომელიც სტალინმა ჩვენს ქვეყანას მიაყენა, ალურიცხველია“.

ნოდარ ბრეგვაძე თვითგამორკვევის სამ ეტაპს გაივლის. პირველია ტოტალიტარული ატმოსფეროს შეცნობის ყველაზე დაბალი საფეხური, ანუ მონაწილეობის წლები, მეორე – ცხოვრება ყაზახეთში, მესამე – 1956 წლის 9 მარტის ტრაგიკულ მოვლენებში მონაწილეობა. ბოლო ეტაპი საბედისწერო გამოდგა რომანის მთავარი პერსონაჟისთვის. 9 მარტს ხალხი სტალინის მხარდასაჭერად გამოვიდა, მაგრამ საბოლოოდ ამ გამოსვლას ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნა მოჰყვა. ნოდარ ბრეგვაძე აქტიური მონაწილეა ამ გამოსვლების. ოღონდ არა როგორც მხარდამჭერი, არამედ როგორც ქვეყნის მამულიშვილი და გზასაცდენილი ადამიანების თანამგრძობელი. აი, რას ფიქრობს ნოდარი ამ ვითარების შემხედვარე: „სტალინი ამ ადამიანებს ატყვევებდა, ასახლებდა, ხვრეტდა, თითქმის უიარაღობს აგზავნიდა გერმანელების ტანკებთან საბრძოლველად, ამათ კი, იმის ნაცვლად, რომ ახლა შვებობით ამოისუნთქონ, ახლა, როცა ის აღარ არის და წარმოთქვან, მადლობა ღმერთსო, მისთვის თავი გადაუდვიათ და მზად არიან, ჯვარს ეცვან!“

კონსტანტინე ბრეგვაძე ვაჟიშვილს ურჩევს, განერიდოს ხალხის აზვირთებულ ნაკადს, რადგან შესაძლებელია ყოველივე სავალალოდ დამთავრდეს, მაგრამ ნოდარს არ ძალუძს, მამამისივით ამ საბედისწერო მოვლენების პასიური მაყურებელი იყოს. მისი აქტიუობა უკვე მუდმივ ქმედებაში, მუდმივ ბრძოლაში ვლინდება. და აი, ფინალიც: ხელჩარ-

თულ შეტაკებაში ჯარისკაცმა გოგონა ხიშტზე წამოაცვა და მერე მტკვარში გადაისროლა. ერთი რომ მოიშორა, სხვებს გამოედევნა და ამ დროს გადაულობა მას გზა ნოდარმა. ავტომატის ჯერმა ჰაერი გაკვეთა. „ნოდარმა მკერდში მკვეთრი ბიძგი იგრძნო. საიდანღაც გამოცურდა და გაიშალა მის თავზე შორეული და უხმო ზეცა. ეს ზეცა წერტილოვანი ვარსკვლავებით დაჰყურებდა, თითქოს რალაცის თქმა სურდა. მან კიდევ ერთხელ მოჰკრა ყური სიმღერას გაფრენილ მერცხალზე და იმავდროულად მისი სიცოცხლის მერცხალი შეფრთხილდა და გამოფრინდა მისივე მკერდიდან“.

ნოდარ ბრეგვაძე იღუპება. ეს სიკვდილი კანონზომიერია და არ არის შემთხვევითი. ეს, ფაქტობრივად, ხანმოკლე, მაგრამ შეგნებულად განვლილი ცხოვრების გმირული დასასრულია.



1921 წელს სტალინის და ორჯონიკიძის მიერ განხორციელებული ანექსიის შემდეგ საქართველოში ძალადობის ახალი ერა დაიწყო. ამ ძალადობას პერმანენტული ხასიათი ჰქონდა. 1924 და 1937 წლები გამორჩეული სისასტიკის წლები იყო. ასე გაგრძელდა შემზარავი მეორე მსოფლიო ომის მომდევნო პერიოდშიც. არსებობს ამ ეპოქის ამსახველი იშვიათი, მაგრამ მართალი და მაღალმხატვრული ნიგნები. ამ ნიგნებში არა ნაწილობრივი, არამედ სრული სიმართლეა ნათქვამი. ვთქვათ, მეორე მსოფლიო ომის შესახებ დაწერილ ნიგნთაგან ასეთია ვასილი გროსმანის „ბედისწერა და ადამიანები“. ეს ნიგნი, რა თქმა უნდა, ე. წ. „პერესტროიკის“ დროს გამოქვეყნდა, როცა საბჭოთა იმპერია სულს ლაფავდა. მანამდე გამოქვეყნება მას არ ეწერა.

ასეთივე მართალი და მაღალმხატვრული ნიგნია ლევან ხაინდრავას „ჟამი მეექვსე“. ეს არის ზოგადად ძალადობის და კერძოდ, სტალინური ძალადობის წინააღმდეგ დაწერილი ნიგნი. ეს

არის წიგნი იმის შესახებ, რომ ადამიანს გააჩნია ღირსების გრძნობა, რითაც ის მშვენიერია და განუმეორებელი. ასეთი ადამიანი არ შეიძლება ბოლომდე შეეგუოს ძალადობას. ეს არის წიგნი, სადაც ასევე სრული სიმართლეა ნათქვამი და არა ნაწილობრივი. სრული სიმართლის თქმას კი საბჭოთა იმპერია არავის აპატიებდა. ამიტომაც გადაიდო ამ წიგნის გამოქვეყნება დიდი ხნით.

ოთხმოცდაათიან წლებში ერთ ქართველ მოაზროვნეს ჰკითხეს, რა სჭირდება საქართველოს საიმისოდ, რომ დამოუკიდებელი გახდესო. პასუხი ასეთი იყო: უპირველეს ყოვლისა, უნდა დაიძლიოს სტალინის სიყვარული, ვინაიდან ეს იგივე ძალადობის სიყვარუ-

ლიაო. ლევან ხაინდრავამ ყოველივე ეს უფრო ადრე თქვა – სამოციან წლებში, თავისი რომანის – „ჟამი მეექვსე“ – მეშვეობით. შეიძლება ითქვას, რომ ეს წიგნი მხატვრული არგუმენტია, სადაც, როგორც უკვე ვთქვით, უაღრესად გამომსახველად და ხელშესახებად არის გადმოცემული დროც, ეპოქაც და ადამიანებიც. უკვე საბჭოთა იმპერიის დანგრევის შემდეგაც, ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოკიდებული დღემდე, ჩვენი ქვეყნის შიგნით ძალადობა სხვადასხვაგვარი ფორმით ავლენდა თავს. შეიცვალა ფორმა, მაგრამ იგივე დარჩა შინაარსი. ლევან ხაინდრავას გმირისთვის ყოველგვარი სახის ძალადობა მიუღებელია.



## ველიმირ ხლენიკოვი



### თავისუფლება ყველას

უკვდავი გრიგალით, ერთიანი გრიგალით,  
სადაც თავისუფლებაა, იქითკენ ყველანი.  
გედისფრთებიან ადამიანებს  
მოაქვთ ამაყად შრომის ალამი.

მწველია თავისუფლების თვალები.  
ცეცხლი ყინულია, რომ შევადაროთ მათ.  
დაე, მინაზე ეყარონ ხატები!  
შიმშილი დაწერს უამრავ ხატს...

ცეცხლოვანი სიმღერებისკენ დავიძრათ ერთად,  
წინ თავისუფლებისთვის, მარშით!  
თუ გარდავიცვლებით – აღვდგებით მკვდრეთით!  
ყველა გაცოცხლდება მაშინ.

მოჯადოებული ნავიდეთ გზებით,  
ვისმინოთ გუგუნი ნაბიჯების ხმათა.  
და თუკი ღმერთებს ადევთ ბორკილები,  
გავათავისუფლებთ მათაც...

### შარი

ჩემთვის გაცილებით სასიამოვნოა  
ვარსკვლავების ცქერა,  
ვიდრე სასიკვდილო განაჩენზე  
ხელის მოწერა.  
ჩემთვის გაცილებით სასიამოვნოა,

მოვეუსმინო ყვავილების ხმებს,  
რომ ჩურჩულებენ: „ეს ისაა!“ –  
თავდახრილნი,  
როცა მე გავდივარ ბაღში,  
ვიდრე ვხედავდე გუშაგთა მუქ თოფებს,  
რომლებიც კლავენ მათ,  
ვისაც ჩემი მოკვლა სურთ.  
აი, რატომ არასდროს,  
არა, არასდროს ვიქნები მმართველი!



მე ცოტა რამ მჭირდება!  
ნაჭერი პურის  
და წვეთი რძის.  
და ეს ცა  
და ღრუბლები ამ ცის.



ტომრიდან იატაკზე  
დაიყარა ნივთები  
და მე ვფიქრობ,  
რომ სამყარო  
მხოლოდ დამცინავი ღიმილია,  
რომ ჩათბილულა  
ჩამომხრჩვალის ბაგეებზე.



ცხენები როცა კვდებიან – სუნთქავენ,  
მცენარეები როცა კვდებიან – ხმებიან,  
მზეები როცა კვდებიან – ისინი ქრებიან,  
ადამიანები როცა კვდებიან – მღეროვან სიმღერებს.



გოგონები – როცა დააბიჯებენ  
შავი თვალების ჩექმებით  
ჩემი გულის ყვავილებზე.  
გოგონები – შუბებჩამონეულნი  
თავიანთ წამწამთა ტბაზე.  
გოგონები, ფეხებს რომ იბანენ  
ჩემი სიტყვების ტბაში.



მე არ ვიცი, ბრუნავს თუ არა დედამინა,  
ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ჩაისმევა  
სტრიქონში სიტყვა.  
მე არ ვიცი, იყვნენ თუ არა ბებიაჩემი და

ბაბუაჩემი მაიმუნები,  
რადგან მე არ ვიცი, მინდა თუ არა ტკბილი ან მჟავე,  
მაგრამ მე ვიცი, რომ მინდა ვდულდე და მინდა, რომ მზეს  
და ჩემი ხელის ძარღვს აერთიანებდეს საერთო ჟრჟოლა.  
მაგრამ მე მინდა, რომ ვარსკვლავის სხივი ჰკოცნიდეს  
ჩემი თვალის სხივს,  
როგორც ირემი ირემს (ო, მათი მშვენიერი თვალები!).  
მაგრამ მე მინდა, რომ, როდესაც ვთრთი, საერთო  
თრთოლამ აიტანოს სამყარო,  
მინდა მჯეროდეს, რომ არის რაღაც, რაც რჩება,  
როდესაც საყვარელი გოგოს ნაწნავს, შეცვლი,  
მაგალითად, დროით.  
მე მინდა, გავიტანო საერთო მამრავლის ფრჩხილებს  
გარეთ,  
რომელიც მაერთიანებს მე  
მზესთან, ცასთან და მარგალიტების მტვერთან.



სპილოები ისე იბრძოდნენ ეშვებით,  
რომ გეგონებოდათ თეთრი ქვეები  
მოქანდაკის ხელში!  
ირმები ისე იბლანდებოდნენ რქებით,  
რომ გეგონებოდათ, მათ აერთიანებდათ ძველისძველი  
კავშირი  
ურთიერთგატაცებებით და ურთიერთარაერთგულეობით.  
მდინარეები ისე ჩაედინებოდნენ ზღვაში,  
რომ გეგონებოდა:  
ერთის ხელი აღრჩობს მეორის კისერს.



კიდევ ერთხელ, კიდევ ერთხელ,  
მე ვარ ვარსკვლავი  
თქვენთვის,  
ვაი მეზღვაურს, რომელმაც აიღო  
არასწორი კუთხე თავისი ნავის  
და ვარსკვლავის:  
ის დაიმსხვრევა ქვებზე,  
წყალქვეშა მეჩეჩებზე.  
და ვაი თქვენც, რომლებმაც აიღეთ  
გულის არასწორი კუთხე ჩემი მიმართულებით:  
თქვენ დაიმსხვრევით ქვებზე  
და ქვეები დაგცინებენ,  
როგორც თქვენ  
დამცინოდით მე.

თარგმნა ნორიკ ბადოიანმა

დინო ბუცატი

პანიკა ლა-სკალაში

ნაწილი I

პიერ გროსგემუტის ოპერა „ყრმათა მოკვდინების“ იტალიურ პრემიერასთან დაკავშირებით მოხუცმა მაესტრო კლაუდიო კოტესმა ფრაკი მოირგო. მაისი იდგა, რაც ლა-სკალას თეატრალებისათვის სეზონის დასასრულს მოასწავებდა. მაისი ნიშნავდა, რომ პუბ-

არ იყვნენ კოლეგათა შორის საუკეთესო, ხოლო მომღერალნი იშვიათად იმსახურებდნენ ოვაციებს – ისინი ხომ, როგორც წესი, მეორე შემადგენლობას წარმოადგენდნენ. ამ თვეში ლა-სკალას რაფინირებული მაყურებელი თავს მოდუნების ისეთ უფლებასაც კი აძლევდა, რაც შუა სეზონში წარმოუდგენელი, საშინელი სკანდალის მიზეზი გახდებოდა. ქალბატონებში კარგ ტონადაც კი ითვლებოდა, თუკი ჩვეულ ბრწყინვალე ტუალეტებს საღამოს გამოსასვლელი კაბები შეცვლიდა. მამაკაცები სპექტაკლებზე მუქ-ლურჯი ან ყავისფერი კოსტიუმებითა და ფერადი ჰალსტუხებით დადიოდნენ, თითქოს მეგობრებთან სტუმრობდნენ. აბონემენტის ზოგიერთი, სნობიზმით შეპყრობილი მფლობელი მაისის თვეში თეატრში საერთოდ არ ჩნდებოდა, თუმცა, რა თქმა უნდა, კუთვნილ ადგილებს არავის უთმობდა: „ძალიან კარგი, თუ სავარძელი ცარიელი იქნება; მით უკეთესი, თუკი ამას



ლიკას – ძირითადად ტურისტებს – ტრადიციული, ძველი, ძალიან სერიოზული სპექტაკლებით კვებავდნენ. მაისის დადგომა იმასაც გულისხმობდა, რომ მონვეული დირიჟორები სულაც



ნაცნობებიც შეამჩნევინ!“

მაგრამ დღეს სხვა დღე იყო! ლა-სკა-ლაში გალა-წარმოდგენა იმართებოდა! მილანურ სცენაზე „ყრმათა მოწყლულების“ დადგმა მოვლენად იქნა ანგაჟირებული. ოპერის პრემიერამ პარიზში, ხუთი თვის წინათ, დიდი ხმაური გამოიწვია (თვით ავტორი მას ოპერას კი არა, გუნდისა და სოლისტებისათვის შექმნილ თორმეტნაწილიან ეპიკურ ორატორიას უწოდებდა). ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი სამუსიკო სკოლის შემქმნელმა, სხვადასხვა ჟანრის შესანიშნავი კომპოზიციებით ცნობილმა ელზასელმა კომპოზიტორმა, სოლიდური ასაკის მიუხედავად, შეძლო და სრულიად ახალი, განსხვავებული რამ შექმნა. წარმოუდგენელი სითამამით აღვსილმა, მან წინასწარგანზრახვით გამოიყენა დისონანსი, რათა „ბოლოს და ბოლოს გამოეტაცა მელოდრამა ყინულების ტყვეობიდან, სადაც მუსიკის ალქიმიკოსებმა ჩაამწყვდიეს და პატიმრობაში ძლიერმოქმედი ნარკოტიკებით უნარჩუნებდნენ სიცოცხლეს... დაეხსნა მელოდრამა და ჭეშმარიტ გზაზე დაებრუნებინა“. მისი თაყვანისმცემლები საზოგადოებას არწმუნებდნენ, რომ მან დაამსხვრია უახლოესი წარსულის ბორკილები და დაუბრუნდა (თან როგორ!) მეცხრამეტე საუკუნის ბრწყინვალე ტრადიციებს; ზოგიერთი კრიტიკოსი ბერძნულ ტრაგედიასაც კი ჭვრეტდა მის ასოცირებულ მუსიკაში.

არანაკლებ ინტერესს იწვევდა ჭორები, რომლებიც კომპოზიტორის მუსიკას კი არა, მის პოლიტიკურ მრწამსს ეხებოდა. წარმოშობით გერმანელი გროსგემუტი გარეგნობით ნამდვილი პრუსიელი იყო, თუმცა ასაკმა, ხელოვნების სამყარომ და საფრანგეთში ხანგრძლივმა ცხოვრებამ საგრძნობლად დაურბილა ნაკვთები. მაგრამ ეს არ იყო მთავარი, მთავარი ის გახლდათ, რომ მის ბიოგრაფიას ხაზად გასდევდა ოკუპაციის ხანის ბნელი ლაქები.

ამბობდნენ, თითქოს გერმანელებმა გროსგემუტს საქველმოქმედო კონცერტზე დირიჟორობა შესთავაზეს, მან კი უარი ვერ თქვა. მეორე მხრივ, ავი ენები იმასაც ამბობდნენ, რომ ადგილობრივ ნაბიჭვრებს იგი დღემდე აფინანსებდა. ასეა თუ ისე, გროსგემუტი ყოველმხრივ ცდილობდა, საკუთარი პოლიტიკური შეხედულებანი საიდუმლოდ შეენახა; ცხოვრობდა მდიდრულ ვილაში, საიდანაც ევროპის გათავისუფლების დრამატულ თვეებში როიალის მქუხარე ხმა აღარ მოისმოდა. თავისთავად, გროსგემუტი დიდი მუსიკოსი გახლდათ, ამდენად, მისი კრიზისის შესახებ არც გაიხსენებდნენ, „ყრმათა მოწყლულება“ რომ არ შეექმნა. ოპერა თითქოს ადვილად განიმარტებოდა (ლიბრეტო ბიბლიური ისტორიით აღფრთოვანებულ, ახალგაზრდა ფრანგ პოეტს – ფილიპ ლაზალს ეკუთვნოდა), კრიტიკა მიიჩნევდა, რომ ეს იყო ალეგორია ფაშისტების მხეცობებზე, ხოლო ჰეროდეს გმირში ადვილად იკითხებოდა ჰიტლერის სახე. თუმცა იყვნენ კრიტიკოსები, განსაკუთრებით მემარცხენეთა შორის, რომლებიც გროსგემუტს ბრალს სდებდნენ, რომ ანტიჰიტლერული პათოსი, ფაშისტური ატრიბუტიკა მხოლოდ დეკორაციას წარმოადგენდა და სინამდვილეში, ავტორი ოპერით მიანიშნებდა გამარჯვებულთა საპასუხო სიმხეცეზე – დაწყებული ერთეულებზე ანგარიშსწორებიდან, დამთავრებული ნიურნბერგის სახრჩობელებით. მავანნი უფრო შორს მიდიოდნენ და ამტკიცებდნენ, რომ „ყრმათა მოწყლულება“ მომავალი, სისხლიანი რევოლუციის წინასწარმეტყველებას წარმოადგენდა... უფრო ზუსტად, წინასწარ განიკითხავდა ჰიპოთეტურ გადატრიალებას და აფრთხილებდა მათ, ვისაც ძალედვა, დროულად აღეკვეთა ამგვარი საშიშროება. მათი აზრით, ოპერა შუასაუკუნეობრივი ინკვიზიციის სურნელით გაფერებულ პასკვილს წარმოადგენდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, გროსგემუტმა კატეგორიულად უარყო ყოველგვარი ინსინუაციები. მისი მოკლე განცხადება მკვეთრი გახლდათ: – „ყრმათა მოკვდინება“ მხოლოდ ჩემი ქრისტიანული რწმენის დადასტურება გახლავთ, მეტი არაფერი“. მიუხედავად ამისა, პარიზულმა პრემიერამ დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია და ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაზეთები მისთვის არ იშურებდნენ არც გესლიან სტატიებს, არც მონივნებასა და არც აღფრთოვანებას.

ზემოთქმულს ემატებოდა მილანური პუბლიკის მძაფრი ინტერესი ურთულესი პარტიტურის, ახლებური, განსხვავებული და უცნაური დეკორაციების და ბრიუსელიდან მოწვეული იოჰან მონკლარის ფანტასტიკური ქორეოგრაფიისადმი. თვით გროსგემუტი მეუღლესთან და თანამემნესთან ერთად, მილანში ერთი კვირით ადრე ჩამოვიდა, რათა რეპეტიციებს მისი მეთვალყურეობის ქვეშ ჩაეველო, ამდენად, პრემიერას ავტორიც დაესწრებოდა. სიტყვა რომ არ გავაგრძელოთ, ყველა გრძნობდა, რომ პრემიერა განსაკუთრებული მოვლენა უნდა გამხდარიყო. მთელი განვლილი სეზონის განმავლობაში ამგვარი აჟიოტაჟი ლა-სკალას არ ღირსებია.

ამ ღირსშესანიშნავი ამბის გასაშუქებლად ჟურნალისტთა და კრიტიკოსთა ჯარი მთელი იტალიიდან ჩამოვიდა. გროსგემუტის პარიზელ თაყვანისმცემელთა მრავალრიცხოვანი საზოგადოება მილანს მოანყდა. ხელი-ს უფლებამ

მოსალოდნელი არეულობის თავიდან ასაცილებლად წესრიგის დამცველთა მობილიზაცია გამოაცხადა.

პოლიციელებმა და საიდუმლო აგენტებმა, რომელთაც თავდაპირველად თეატრში შესაძლო ვნებათა ღელვის აღმოფხვრა დაევალოთ, უეცრად ახალი ბრძანება მიიღეს. პრემიერის დღეს, სწორედ შუადღისას, გაჩნდა ახალი, ბევრად უფრო სერიოზული საშიშროება. ქალაქის სხვადასხვა უბნიდან ერთდროულად წამოვიდა სიგნალები, რომ თითქოს უახლოეს ხანში – შესაძლოა ამ საღამოსაც კი – „მორცისტების“ მიერ იგეგმებოდა აჯანყების დაწყება, ამ ორგანიზაციის ლიდერები ყოველთვის ღიად აცხადებდნენ, რომ მათი საბოლოო მიზანი ხელისუფლების დამხობა და ახალი, „სამართლიანი სახელმწიფოს“ ჩამოყალიბება იყო. უკანასკნელ თვეებში ისინი საგრძნობლად გააქტიურდნენ, ბოლო დღეებში კი მტკიცე პროტესტი განაცხადეს პარლამენტის მიერ „შიდა მიგრაციის“ კანონის დამტკიცებასთან დაკავშირებით. სიმართლე ითქვას, ეს კანონი საკმაო მიზეზს იძლეოდა რადიკალური გამოსვლების დასაწყებად.

დღის განმავლობაში ქალაქის ცენ-



ტრში პატარ-პატარა ჯგუფებად დაინ-  
ყეს შეკრება შეუპოვარი და გამომწვევი  
სახის მქონე ახალგაზრდებმა. მათ არც  
განმასხვავებელი ნიშნები ეკეთათ, არც  
დროშები ეჭირათ ხელში, არც არავინ  
ხელმძღვანელობდა, რათა მწკრივში  
დანყობილიყვნენ, მაგრამ დიდი მიხ-  
ვედრილობა არ იყო საჭირო, რომ გა-  
მოგეცნოთ, თუ ვინ იყვნენ ეს ტიპები.  
გულახდილად რომ ითქვას, არაფერი  
უცნაური ამასი არ ჩანდა, რადგან ამ-  
გვარი მანიფესტაციები, როგორც წესი,  
ყოველ წელს იმართებოდა და მშვიდო-  
ბიანად მთავრდებოდა. ამდენად, თა-  
ვიდან წესრიგის დამცველნი ზედმეტი  
ლელვის გარეშე ემზადებოდნენ, მაგრამ  
უკანასკნელ წუთებში პრეფექტურაში  
შემოსულმა საიდუმლო ინფორმაციამ  
ცხადყო, რომ ხელისუფლების ხელში  
ჩასაგდებად „მორცისტები“ უპრეცე-  
დენტოდ მსხვილმასშტაბიან აქციას  
გეგმავდნენ. სასწრაფო შეტყობინება  
გაიგზავნა რომში; პოლიცია და კარაბი-  
ნერები სრულ საბრძოლო მზადყოფნა-  
ში, ხოლო ჯარის ნაწილები ყაზარმულ  
რეჟიმზე გადაიყვანეს; რა თქმა უნდა,  
იყო ვერსია, რომ განგაში, შესაძლოა  
ყალბი გამომდგარიყო, ასეთი რამ ად-  
რეც მომხდარა. „მორცისტებს“ სჩვევი-  
ათ ამგვარი აჟიოტაჟის ატეხვა, ეს ხომ  
მათი საყვარელი ილეთი გახლდათ.

გაურკვეველმა წინათგრძნობამ სულ  
მალე მთელი ქალაქი მოიცვა. არ არსე-  
ბობდა არანაირი კონკრეტული ფაქტი,  
რისი დამტკიცება ან უარყოფა გახ-  
დებოდა შესაძლებელი; არ არსებობდა  
სიმართლესთან მეტ-ნაკლებად მიმ-  
სგავსებული ქორიცი კი. არავინ ფლობ-  
და სხვაზე მეტ ინფორმაციას, მაგრამ  
ატმოსფერო ყოველწუთიერად მძიმდე-  
ბოდა. სალამოს სამსახურებიდან გამო-  
სული მოქალაქენი, დაჟინებული მზე-  
რით ქუჩის უშორეს გზაჯვარედინებს  
მიმტერებულნი, ჩქარი ნაბიჯებით გაე-  
შურნენ სახლებისაკენ, ემანდ პირისპირ  
არ შეჩებოდნენ ქალაქს მოდებულ

აზვირთებულ საპროტესტო მასას. უკ-  
ვე მერამდენედ დგებოდნენ მოქალაქე-  
ნი არეულობის საშიშროების წინაშე. ეს  
ისე ხშირად ხდებოდა, რომ მათი უმ-  
რავლესობა ამას შეჩვეოდა და ისე აგ-  
რძელებდა ყოველდღიურ ცხოვრებას,  
თითქოს ამ სალამოს მნიშვნელოვანი  
არც არაფერი მოხდებოდა. ერთი რამ  
კი უნდა ითქვას, მიუხედავად იმისა,  
რომ გაურკვეველმა ავმა წინათგრძნო-  
ბამ მთელი ქალაქი მოიცვა, ამ თემაზე  
საუბარს ყველა თავს არიდებდა და უტ-  
ყვი დუმილით კიდევ უფრო ამძიმებდა  
მდგომარეობას. ეგ იყო მხოლოდ, სა-  
ლამოსეული ჩვეული საუბრები თითქოს  
რალაც ქვეტექსტებით მიმდინარეობდა;  
ადამიანები ესალმებოდნენ ერთმანეთს,  
ემშვიდობებოდნენ, თანხმდებოდნენ  
ხვალინდელ შეხვედრებზე, მოკლედ,  
ყოველ ღონეს ხმარობდნენ, არ ეჩვე-  
ნებინათ სხვებისთვის, თუ რა ფორია-  
ქი უღრღნიდათ გულს, თითქოს ერთ  
წამოცდენილ სიტყვას, წინადადებას  
შეეძლო დაენგრია სიმყარის, სიმშვი-  
დის ილუზია და ფართოდ გამოელო  
კარი უბედურებისთვის, სწორედ ისე,  
როგორც ომის დროს სამხედრო გემებ-  
ზე მყოფნი ხუმრობითაც არ ახსენებენ  
მტრის ტორპედოებს და მათ მიერ ხო-  
მალდთა შელენილ გვერდებზე.

მათ შორის, ვინც სრულიად არ  
ცნობდა და გულთან არ იკარებდა ამ-  
გვარ ამბებს, მანეტრო კოტესიც გახ-  
ლდათ – წარმოშობით რუმინელი (ამის  
შესახებ ძალიან ცოტა ვინმემ უწყობდა),  
ბუნებით მიამიტი და ასეთ საკითხებში  
სრულიად ჩაუხედავი ადამიანი. ჭაბუ-  
კი კოტესი ჯერ კიდევ საუკუნის ოციან  
წლებში ჩავიდა იტალიაში, სწორედაც  
რომ ჯადოსნურ დროს. ვირტუოზი პი-  
ანისტის განსაკუთრებულმა ნიჭმა მას  
ადრევე მოუტანა აღიარება. უკვე წლე-  
ბის შემდეგ, როდესაც მის გარშემო  
პირველი ემოციები ჩანყნარდა, კლაუ-  
დიო კოტესი მაინც პირველხარისხოვან  
შემსრულებლად დარჩა. მუზიცირე-

ბის მისეული მანერა არა ძალითა და ენერგიით, არამედ განსაკუთრებული დახვეწილობით გამოირჩეოდა. ომამდე ყველაზე ცნობილი და სოლიდური ფილარმონიული საზოგადოებები ხშირად ინვევენენ ევროპის უდიდეს ქალაქებში კონცერტის გასამართად. ეს 1940 წლამდე გრძელდებოდა. განსაკუთრებულად საამო მოგონებად მოხუცი მანესტრო ლა-სკალაში სიმფონიური ციკლის დროს მიღწეულ მქუხარე წარმატებას თვლიდა. მოქალაქეობის მიღების შემდეგ მილანის მკვიდრზე დაქორწინდა და სრულიად დამსახურებულად მიიღო კონსერვატორიის საფორტეპიანო განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობა. კარგა ხანია, კლაუდიო კოტესი ნამდვილ მილანელად იქცა. მისი საუბარი მილანური დიალექტით ისე გაჯერებულიყო, რომ ნაცნობ-მეგობრებში შურსა და აღფრთოვანებას ინვევდა.

პენსიაში გასვლის შემდეგ – კონსერვატორიაში მას საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის საპატიო სტატუსი დაუტოვეს – მანესტრო კოტესი, ცხოვრებას კვლავ მუსიკის სამყაროში განაგრძობდა. მის სამეგობრო წრეს მხოლოდ მუსიკოსები და მელომანები შეადგენდნენ. შიშნარევი კრძალვით შეპყრობილი, ბედნიერი ადევნებდა თვალს ერთადერთი ვაჟის, ოცდაერთი წლის პერსპექტიული კომპოზიტორის – არდუინოს ახალ-ახალ ექსპერიმენტებს. „განსაკუთრებულად შიშნარევი კრძალვით შეპყრობილი“ კი, ალბათ, იმიტომ, რომ არდუინო უაღრესად ჩაკეტილი, სხვებთან ურთიერთობაში ეჭვიანი და იმავდროულად, საოცრად მონყვლადი ახალგაზრდა იყო. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ კოტესი მუდმივად განიცდიდა შვილის მიმართ უცნაურ უღონობასა და დაბნეულობას. არ ესმოდა, არ იცოდა, რით ცხოვრობდა და რით სუნთქავდა შვილი. ყველაზე მძიმე იმის გაცნობიერება გახლდათ, რომ მისი რჩევები, თუნდაც მუსიკასთან და-

კავშირებით, წყლის ნაყვა იყო და მეტი არაფერი.

ახალგაზრდობაში კოტესი სილამაზით ვერ დაიკვებინდა. ახლა კი, სამოც წელს გადაცილებული, წარმოსადეგად, ელეგანტურად გამოიყურებოდა. დროთა განმავლობაში მისმა გარემოცვამ მანესტროს იერში ბეთჰოვენთან მსგავსებაც კი აღმოაჩინა, რამაც კოტესზე ძალიან იმოქმედა. ქვეშეცნეული სიხარულით აღესილი, იგი საათობით უწლიდა ხუჭუჭა, გრძელ ჭაღარას, რომელიც უაღრესად არტისტულ შესახებად აძლევდა. უნდა ითქვას, რომ, თუ მსგავსება მართლაც არსებობდა, ეს არ იყო ტრაგიკული, ყველაფრისმომცველი ბეთჰოვენი, მანესტრო კოტესი უმაღლესი კეთილი, მოღიმარი, ენაწყლიანი და თითქმის მუდამ სიკეთის დანახვის ძიებაში მყოფი ორეული გახლდათ. „თითქმის“ იმიტომ, რომ, როგორც კი საქმე თანამედროვე პიანისტებს შეეხებოდა, კლაუდიო კოტესს არაჩვეულებრივად ეხერხებოდა ცხვირის აბზუება. ეს გახლდათ მისი ერთადერთი ნაკლი, რომელსაც გარშემომყოფნი დიდი ხალისით პატიობდნენ. „რას გვეტყვი, მანესტრო?“ – ეკითხებოდნენ მეგობრები ანტრაქტის დროს. პასუხიც არ აყოვნებდა: – „თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, არა უშავს, მაგრამ ვერ გამიგია, რა შუაშია აქ ბეთჰოვენი?“ ან ასე: – „ბატონებო, განა არ უსმენდით?! მას ხომ როიალთან ჩაეძინა“. ამ ან დაახლოებით ამ ტიპის ძველ-მოდურ ხუმრობებს ისე გამოცრიდა, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ ვინ მუზიცირობდა – ბეკჰაუზი, კორტო თუ ვალტერ ჰიზეკინგი.

ალბათ, სწორედ კეთილი ბუნების გამოისობით – მანესტრო სრულიად არ ნალვლობდა, რომ ასაკის გამო, აქტიურ მუსიკალურ ცხოვრებას ჩამოშორდა, უკლებლივ ყველა გამოხატავდა მის მიმართ სიმპათიებს. ლა-სკალას დირექცია კი განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა. საოპერო სეზონის განმავლობაში, ანუ

მაშინ, როცა პიანისტების კონცერტები არ ტარდებოდა, პარტერში მჯდომი კეთილი კოტესი სპექტაკლის ჩავარდნის დროსაც კი განსაკუთრებულ ოპტიმიზმს აფრქვევდა. მისგან ყოველთვის ელოდნენ და იღებდნენ კიდევ აპლოდისმენტებს. საყოველთაოდ მიღებული აზრი ჩამოყალიბებულიყო – მოხუცი მანესტროს მაგალითი კრიტიკოსებს ხშირად ამოხრუჭებდა უკმაყოფილების ხმამაღლა გამოთქმისაგან; გაუბედავებს სპექტაკლის სასარგებლოდ აცვლევიანებდა აზრს, ხოლო უვიცებს ხმამაღალი კომპლიმენტებისკენ უბიძგებდა. ლა-სკალას დირექციისთვის მანესტროს შესაფერი გარეგნობა და წარსულის დამსახურებანი პარტერის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ ფიგურირებდა მისი სახელი და გვარი კონტრამარკების მუდმივ მფლობელთა მცირერიცხოვან და გასაიდუმლოებულ სიაში. პრემიერის დღეს, „ვია დე ლა პასიონეს“-№7-ში, კარისკაცის მაგიდაზე, დილაადრიან ჩნდებოდა დალუქული კონვერტი. თუკი ანშლაგი არ იყო მოსალოდნელი, მანესტროსთან ერთად, ბილეთი არდუინოსთვისაც გამოიყოფოდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს საჩუქარი ყმანვილს სრულიად არ აღაფრთოვანებდა. იგი ხომ მეგობრებს რეპეტიციებზე დაჰყავდათ, სადაც ფრაკის ჩაცმის აუცილებლობა არ იდგა.

უმცროსმა კოტესმა „ყრმათა მონყლულება“ წინადღეს ნახა, – გენერალურ რეპეტიციას დაესწრო. დილით, საუზმისას, მან მამას რამდენიმე, როგორც ყოველთვის, ბუნდოვანი მოსაზრება გაუზიარა. აღნიშნა, რომ „სპექტაკლში ძალიან უცნაური ტემბრული გადანყვეტილებებია“, რომ „უაღრესად გამომხატველობითი პოლიფონიაა“, და რომ „ვოკალიზაცია უფრო დედუქტიურ ხასიათს ატარებს, ვიდრე ინდუქტიურს“ და ა. შ და ა. შ. ყველაფერ ამას, როგორც მის თაობას სჩვეოდა, გაბეზრებული, უემოციო გრიმასით ჰყვებოდა. ასე რომ, საბრალო კოტესმა მაინც

ვერ გაიგო, მოეწონა თუ არა მის ვაჟს წარმოდგენა. მიუხედავად ამისა, არც შეეცადა, რაიმე კონკრეტული ამოგელიჯა შვილისაგან. ახალგაზრდების ამოუცნობ ჟარგონს და გულგრილობას მოხუცი მანესტრო უკვე დაებეჩავებინა... ასე მოხდა ახლაც.

კლაუდიო კოტესი შინ მარტო გახლდათ: მოსამსახურემ სახლი დაალაგა და გაქრა. არდუინო სადილად სტუმრად გაემურა. ღვთის მადლით, ფორტეპიანოც დუმდა. ამ სიტყვებს – „ღვთის მადლით“ – მანესტრო კოტესი მხოლოდ გულში თუ გაივლებდა; კარგა ხნის წინ დაბუდებულ ეჭვებს ხმამაღლა, ალბათ, ვერასოდეს ამოთქვამდა. როდესაც შვილი მუსიკას ქმნიდა, მოხუცს საშინელი სულიერი მღელვარება იპყრობდა. მშფოთვარე იმედით ელოდა, თუ როდის დაემსგავსებოდა მუსიკას აკორდების ქაოსი, რომელსაც არდუინო გაშმაგებით აფრქვევდა! კოტესი აღიარებდა, რომ უსაშველოდ ჩამორჩა დროს, რომ წარმოუდგენელია, მუდამ გაკვალული გზებით იარო წინ. მუდმივად ჩასჩინებდა საკუთარ თავს, რომ ის, რაც „სასიამოვნოა“ მუსიკაში, სწორედაც რომ ნიშანია უღონობის, სიბერისა და მისგან გამონვეული მომაბეზრებელი ნოსტალგიისა. მას ხშირად უმეორებდნენ, რომ ახალმა ხელოვნებამ მსმენელში მტანჯველი გრძნობები უნდა აღძრას, რათა გაუმძაფრდეს სიცოცხლის წადილი... დიახ, ასე მსჯელობდნენ დანარჩენები... საბრალო კოტესს კი პასუხი არ ჰქონდა. ხშირად, მეზობელ ოთახში მჯდომი, შვილის მუსიკას, უფრო კი მის წამებას მიყურადებული კოტესი ისტერიკულად იმტვრევდა თითებს, თითქოს ამ ტკივილს შეეძლო შეშველებოდა არდუინოს „გათავისუფლებაში“. მაგრამ უბედურება ის გახლდათ, რომ თვით არდუინოს არ სურდა თავისუფლება; ნოტები ერთმანეთში მტანჯველად და საბოლოოდ ირეოდა, აკორდები კი ნელ-ნელა მტრულ, გაბოროტებულ ჟღერადობას იძენდნენ. ამ მუსიკის სამყარო ხან საოცრად არამ-

დგრადი იყო, ხანაც წარმოუდგენლად ქაოსური. უფალო, შეენიე მას! სადღაც მუსიკა წყდებოდა და მაესტროს თითები კარგა ხანს ისე უთრთოდა, რომ სიგარეტსაც ვერ უკიდებდა.

დღეს კი დილიდან მარტოდ მყოფი მოხუცი კარგად გრძნობდა თავს. ღია ფანჯრებიდან თბილი ნიავი უბერავდა. საათი საღამოს ცხრის ნახევარს უჩვენებდა, მზე კი სულაც არ ჩქარობდა მოსვენებას. ჩაცმა დაინყო თუ არა, ტელეფონმა დარეკა.

– მაესტრო კოტესი ბრძანდებით? – იკითხა უცნობმა.

– დიახ, მე გახლავართ, – უპასუხა მოხუცმა.

– მაესტრო არდუინო კოტესი?

– არა, ბატონო, მე მისი მამა, კლაუდიო კოტესი ვარ.

ყურმილი დაკიდეს. მაესტრო თავის ოთახში შებრუნდა, მაგრამ ტელეფონმა ისევ დარეკა.

– არდუინო შინ არის თუ არა? – უხეშად იკითხა იმავე ხმამ

თავის მხრივ კოტესიც შეეცადა, რომ მკვეთრად ეპასუხა, – არა! არ გახლავთ!

– არა? მით უარესი მისთვის! – ნაისისინა უცნობმა და ყურმილი დააგდო.

რა უბედურებაა, – გაიფიქრა კოტესმა. – ან რა მანერებია! ვინ შეიძლებოდა ეს ყოფილიყო? ნეტა, ვისთან მეგობრობს არდუინო? რას ნიშნავდა ბოლო ფრაზა: „მით უარესი მისთვის?“ საუბარმა კოტესი დათრგუნა, თუმცა დროებით, მალე ყველაფერმა გაიარა.

მოხუცი პიანისტი კარადის სარკეში გულმოდგინედ ათვალიერებდა მოდიდან კარგა ხნის გამოსულ ფრაკს – განიერი, ოდნავ მოშვებული სამოსი სრულიად შეეფერებოდა მის ასაკს და ამასთან ბოჰემურ პენსაც ინარჩუნებდა. ლეგენდარული იოაჰიმის მაგალითით შეგულიანებული კოტესი მუდმივად ცდილობდა გამორჩეულიყო თანამედროვე, ზერელე ფრანტებისაგან. ახ-

ლაც იდგა სარკის წინ შავი ჟილეტით, სწორედ ისეთით, დღეს ლაქიებს რომ აცვიათ. მან ზუსტად იცოდა, რომ არ არსებობდა ადამიანი, თუნდაც ბეცი ყოფილიყო იგი, ვისაც მაესტრო კოტესი ლაქიაში აერეოდა. გარეთ სითბო იყო, მაგრამ ცნობისმოყვარე თვალთაგან მოსარიდებლად მან თხელი პალტო მოიცვა, შემდეგ თეატრალურ ბინოკლს დასწვდა და ბედნიერებით აღვსილი სახლიდან გამოვიდა.

ზაფხულის საოცარი საღამო იდგა, ერთი იმათგანი, როდესაც მილანი, რალაც ჯადოქრობის წყალობით, რომანტიკული ხდება ხოლმე – წყნარი და უკაცრიელი ქუჩებით, პარკებიდან მონაბერი აკაციის სურნელითა და ზემოთ, ცაში გაჭედული ნამგალა მთვარით. კოტესმა ვია კონსერვატორიაზე შეაბიჯა და მომავალი საღამოს მოსალოდნელმა ბრწყინვალეობამ გააბრუა... მეგობრებთან შეხვედრები, ლამაზი ქალების გუნდები, კამათი, შამპანური, რომლითაც აუცილებლად გაუმასპინძლდებიან თეატრის ფოიეში, საზეიმო მიღებაზე. მერე რა, რომ ეს გზა უფრო გრძელი იყო, ვიდრე სხვა, სამაგიეროდ იმ საზიზღარი ღია არხების ნახვა არ მოუწევდა, რომლის ატანაც არ ჰქონდა.

გზად მაესტრო სანახაობის მოწმეც შეიქნა. ახალგაზრდა, გრძელთმიანი კაცი ზედ ტროტუარზე იდგა და პირზე მიკროფონანებებული ნეაპოლიტანურ სიმღერას ასრულებდა. მიკროფონიდან გამოსული სადენი გამაძლიერებელს უერთდებოდა, საიდანაც გამომწვევად მაღალი ხმა ეფინებოდა მთელ ქუჩას. მიუხედავად იმისა, რომ სიმღერა სიყვარულზე იყო, უცნაური, მძვინვარე ნოტა ისმოდა ხმაში, თითქოს მომღერალი ვილაცას ემუქრებოდა. მის გარშემო ათიოდე აღფრთოვანებული ყმაწვილი შეჯგუფებულიყო, მეტი არავინ ჩანდა. სახლების ფანჯრები ირგვლივ ყველას დაეხურა, დარაბებიც კი დაეგმანათ, თითქოს შენობებსაც არ სურ-

დათ მომღერლის მოსმენა. როგორ, ნუთუ ამ სახლებში არავინ არის? იქნებ, რალაცის ეშინიათ და ჩაკეტილან, მიყუყულან თავიანთ ბუდეებში, ვითომ შინ არ არიან?! როდესაც მაესტრო მომღერალს გაუსწორდა, ყმანვილმა ისე ჩაბლავლა მიკროფონს, რომ გამაძლიერებლის დინამიკმა ვერ გაუძლო და ვიბრირება დაიწყო: ეს აშკარა ნიშანი გახლდათ იმისა, რომ მომღერალი იქვე, მის ფერხთით დადებულ თეფშში ხურდის ჩაყრას ითხოვდა. შეცბუნებულმა კოტესმა ნაბიჯს აუჩქარა და ამ ბაკუნალიას გასცილდა. დიდხანს, დიდხანს გრძნობდა იგი ზურგით მომღერლის გაბოროტებულ მზერას.

– უზრდელი მამაძაღლი! – ჩუმად გალანძლა მანანა მუსიკოსი მოხუცმა, რომლის მანერებმაც ნერვები მოუშალა და განწყობა წაუხდინა. თუმცა ეს რა იყო, უფრო დიდი ელდა მას წინ ელოდა, სან-ბაბილას მოედანზე, სადაც კონსერვატორიის ყოფილ სტუდენტს, ან მოჟურნალისტო ტიპს, ბომბასეს შეეფეთა.

– „ლა-სკალაში“ მიეშურებით, მაესტრო? – ჩაეკითხა ბომბასე კოტესს, როდესაც მის ყელზე ბაფთა შენიშნა.

– შენ რა, ავსიტყვავ, იმას მეუბნები, რომ თეატრში კი არა, ჩემს ასაკში... – მიამიტი გამომეტყველებით დაიწყო კოტესმა...

– ოოო, ვინ არ იცის, – ჩაიქირქილა ბომბასემ, – „ლა-სკალა“ კოტესის გარეშე „ლა-სკალა“ აღარ არის. ხო, მართლა, არდუინო საით არის? თვალი ვერ მოვკარი...

– არდუინო გენერალურ რეპეტიციას დაესწრო გუშინ, ძვირფასო, დღეს კი რალაც საქმეები გამოუჩნდა.

– აა, გასაგებია, გასაგები, – გაიღიმა ბომბესიმ. – დღეს სალამოს... მან სახლში ყოფნა გადანყვიტა...

– ვერ გავიგე? – ჩაეკითხა კოტესი, თითქოს ბომბესიმ რალაც არ დაასრულა.

– ბევრი ნაცნობი ირევა დღეს სა-

ლამოს მილანის ქუჩებში – ბომბესიმ გამვლელებს მრავალმნიშვნელოვნად გადახედა. – თუმცა, მის ადგილას რომ ვიყო, მეც შინ ჯდომას ვარჩევდი, სანამ ყველაფერი გადაივლიდეს... უკაცრავად, მაესტრო, ჩემი ტრამვაი გამოჩნდა... მშვიდობიან სალამოს გისურვებთ!

შეშფოთებული, დაბნეული მოხუცი კარგა ხანს იდგა ერთ ადგილზე. მერე ირგვლივ მიმოიხედა, თითქოს საეჭვო არაფერი ჩანდა, ეგ იყო მხოლოდ, ჩვეულ სადაგ სალამოებთან შედარებით სან-ბაბილას მოედანზე თითქოს უფრო ცოტა ხალხი სეირნობდა. ვერ გაეგო მოხუცს, ერვინებოდა თუ მართლა უშნო, ძველი სამოსი ეცვათ გამვლელებს, ერვინებოდა თუ მართლა დაძაბული მზერით იცქირებოდნენ ისინი? მართალია, ბომბასეს სიტყვები ისევ გამოცანად რჩებოდა მისთვის, მაგრამ კოტესს უახლოესი დროის მოგონებები ამოუტივტივდა გონებაში: შვილის მიერ ნასროლი უცნაური ფრაზები, მის ახალ მეგობართა სახეები, რომლებიც, ეშმაკმა უწყის, საიდან გამოჩნდნენ მათ სახლში. სალამოობით შინიდან არდუინოს ხშირი გასვლები, გამთენიისას უკან დაბრუნებული უპასუხოდ რომ ტოვებდა მამის შეკითხვებს. ნუთუ მისი ერთადერთი ვაჟი რაიმე სისაძაგლეში გაერია? ყველა-ყველა, მაგრამ დღევანდელი სალამო რით არის გამორჩეული სხვებისაგან? ან ვინ არიან ის ნაცნობები, რომლებიც დღეს ქუჩაში ირევინან?

საშინელი და გაუგებარი წინათგრძნობით აღსავსე კოტესი „ლა-სკალას“ მოედანს მიადგა. მოედანზე მონანავე „ლა-სკალას“ პუბლიკის დანახვისთანავე, თითქოს ქარმა ღრუბლები გადაყარაო, ისე გაქრა მღელვარება მის არსებაში. ღრუბელივით მოცახცახე, ჰაეროვანი აბრეშუმის მოსასხამებსა და ვუალეებში გამონყოფილი ქალბატონები; მდიდრული ავტომობილები, რომელთა დაბურული მინებიდან მრუმედ ბრწყინავდნენ ბრილიანტები და ბროლივით

ქათქათა, მოლიავებული მხრები; ეს სანახაობა აღაფრთოვანებდა მოედანზე შეკრებილ მრავალრიცხოვან ბრბოს და კიდევ უფრო ცხადყოფდა, რომ მომავალი ღამე, რაოდენ ტრაგიკულიც უნდა ყოფილიყო იგი, „ლა-სკალას“ მარადიულ ბრწყინვალეებას ვერაფრით დაამცრობდა. უკანასკნელი წლების არც ერთ თეატრალურ სეზონზე არ ყოფილა სახეთა, საგანთა და გრძნობათა ამგვარი ჰარმონიული შერწყმა, როგორც დღეს. ქალაქს მოდებული გაურკვეველი, ბუნდოვანი შფოთვა მხოლოდ ხელს უწყობდა საერთო აღტყინებას, რაც „ლა-სკალას“ მოედანზე გადმოღვრილიყო. ისინი, ვისაც ზიარებულებს უწოდებენ, იმასაც იფიქრებდნენ, რომ რომელიღაც საოცარმა, საკუთარ უპირატესობაში ღრმად დარწმუნებულმა სამყარომ საყვარელ ციხესიმაგრეში გადანყვიტა შეხიზნულიყო – სწორედ ისე, როგორც ნიბელუნგებმა შეაფარეს თავი სასახლეს, რათა ატილას თავდასხმის წინ უკანასკნელი, თავანყვეტილი, ნეტარი ღამე გაეტარებინათ. მაგრამ, ვისაც ზიარებულებს უწოდებენ, უმრავლესობას ვერ მიაკუთვნებდით. უმრავლესობისთვის დღევანდელი დღის შფოთვისა და განცდებს ცუდი ამინდებივით უკვე ჩაველო და მიამიტურად დამდგარიყო გრძელი და ცხელი ზაფხულის ჩვეული მოლოდინი.

მაყურებელთა ტალღამ გაიტაცა მანქანის და თვალისმოძრელი შუქით განათებულ პარტერში ამოაყოფინა თავი. საათზე ცხრას ათი წუთი აკლდა, დარბაზი გადავსებულიყო. კოტესი აღფრთოვანებულ ბიჭუნასავით იცქირებოდა გარშემო. ეჰ, რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველად შეაბიჯა ამ დარბაზში! გასული დროის მიუხედავად, მაშინდელი გრძნობები და შთაბეჭდილებანი ისეთი სუფთა და ცოცხალი დარჩა, როგორც ბუნების განსაკუთრებულ სურათებს სჩვევია. მრავალი მათგანი, ვისაც ამ წუთას

ესალმებოდა, იგივეს განიცდიდა – კოტესი ამაში დარწმუნებული გახლდათ. სწორედ ეს შეგრძნება ედო საფუძვლად განსაკუთრებულ ურთიერთობებს, თუ შეიძლება ითქვას, „ლა-სკალას“ მასონურ ძმობას“, რაც უცხოთათვის ყოველთვის ღიმილის მომგვრელი იყო.

ვინ არ ჩანს დღევანდელ პრემიერაზე? კოტესმა მზერა გადაავლო ნაცნობ გარემოს და ზედმინვენით დაათვალიერა გადაჭედული ლოჟები. თითქოს ყველა ადგილზეა. მის გვერდით ცნობილი პედიატრი ფერო იჯდა, რომელიც უმალ კრუპით მტანჯველი სიკვდილისათვის განირავდა ათასობით პატარა პაციენტს, ვიდრე იმას დაუშვებდა, რომ პრემიერა გაეცდინა (მანქანის თავეში დახვეწილმა კალამბურმა გაუელვა; მასში ჰეროდესა და საბრალო გალილეველ ყრმებზე იქნებოდა მინიშნება). კმაყოფილმა კოტესმა გადანყვიტა, რომ პირველი შემთხვევისთანავე მოენონებინა თავი მეგობრებთან. მის მარჯვნივ, საღამოს ტუალეტში გამონყობილი ხანშიშესული წყვილი იჯდა, რომელთაც კოტესმა „ღარიბი ნათესავები“ შეარქვა; ისინი, როგორც წესი, არც ერთ პრემიერას არ აცდენდნენ და მხურვალედ უკრავდნენ ტაშს ყველაფერს, რასაც უსმენდნენ. აქამდე არავის არასოდეს გამოსაუბრებინა, არც მისალმებინა; ეგ კი არა, ერთმანეთისთვისაც არ გაუზიარებიათ შთაბეჭდილებანი; ეჭვსგარეშე იყო, ისინი ძვირადღირებულ ადგილებზე – პარტერში მსხდომ ბეჯით, დაქირავებულ ტაშისმკვრელებს წარმოადგენდნენ, რათა მაგალითით აღეგზნოთ მაყურებელი ტაშისა და ოვაციებისათვის. ოდნავ მოშორებით მანქანის თვალი მოჰკრა ცნობილ ეკონომისტს, პროფესორ სკიასის, რომელმაც საზოგადოებაში სახელი იმით დაიგდო, რომ აგერ უკვე მერამდენე წელიწადია, ტოსკანინის ყველა კონცერტს დასწრებოდა – სადაც არ უნდა გამართულიყო იგი. იმ დროისათ-



ვის სკიასის ფინანსური მდგომარეობა არცთუ სახარბიელო გახლდათ, ამიტომ პროფესორი ველოსიპედით მოგზაურობდა, ეძინა ბალებში, ძელსკამებზე, საგზალი კი ზურგჩანთით დაჰქონდა. ოჯახის წევრები და მეგობრები სკიასის ოდნავ შექანებულად მიიჩნევდნენ, თუმც მანც ყველას უყვარდა. აი, ინჟინერ-ჰიდრაულიკოსი ბეჩენიცი, ძალიან მდიდარი, შესაძლოა მილიარდერიც, თუმცა საშუალო – შეიძლება ითქვას – უნიჭო მელომანი: სწორედ წინა თვეში იგი კვარტეტის მოყვარულთა საზოგადოებაში მიიღეს (ათეული წლების ოცნების და სრულიად წარმოუდგენელი დიპლომატიური მზაკვრობების შედეგად); ამ ამბავმა ისე გააყოყორა ბეჩენი, რომ მისი ატანა აღარ შეიძლებოდა; ან როგორ უნდა აგეტანათ, როცა სერიოზული სახით იწყებდა საზოგადოებაში პარსელზე ან დ'ენდიზე საუბარს, ვისზეც, ორიოდ თვის წინ, არათუ საუბრით, კითხვითაც ვერ შეაწუხებდა ორკესტრის რიგით კონტრაბასისტსაც კი. აი, ქონდრისკაც ქმართან ერთად მობრძანებულა მაღაზიის ყოფილი გამყიდველი, ულამაზესი, სენიორა კანესტრინი, რომელიც ყოველი პრემიერის წინ ერთი მუსიკათმცოდნე დოცენტისაგან ლექციებს იღებდა, რათა საზოგადოებაში სირცხვილი არ ეჭამა. მას თავისი, სწორედაც რომ, სახელგანთქმული მკერდი ჯერ არასდროს გამოეფინა ასე უხვად და უშურველად. როგორც მავანმა მოსწრებულად შენიშნა, სენიორა კანესტრინის სხეულის ეს გამოჩენილი ნაწილი ისე ანათებდა დარბაზში, როგორც კეთილი იმედის კონცხის შუქურა. აგერ ჩიტისნიკარტა ცხვირის მფლობელი მარკიზა ვიურც-მონტეგიუც ჩამობრძანებულა ეგვიპტიდან და ლოჟა თავისივე მსგავსი ოთხი ქალიშვილით დაუკავებია. იქით, ბენუარის ლოჟასთან, ზედ პროსცენიუმთან, ნვერებიანი გრაფი ნორეს ჩასისხლიანებული თვალები ანათებდა, რომელიც

მხოლოდ იმ დღეებში სდებდა „ლა-სკალას“ პატივს, როდესაც სცენაზე ბალერინები ცეკვავდნენ. ამ დროს მისი ლოჟიდან ხშირად ისმოდა პუბლიკისთვის ყურისმომჭრელი უხამსი შეძახილები: – „უჰ, რა ფეხებია! – როგორი თეძოები!“ პირველი იარუსის ერთ-ერთ ლოჟაში მთელი შემადგენლობით გამოფენილიყო სკალჩეტის მრავალრიცხოვანი კლანი – ძველი მილანური ოჯახი, რომელთა სიამაყის საგანს ის ფაქტი წარმოადგენდა, რომ 1837 წლიდან არც ერთი პრემიერა არ გაუცდენიათ „ლა-სკალაში“. იქ კი, პროსცენიუმის თავზე, სადღაც მეოთხე იარუსის ლოჟაში დედა, დეიდა და გაუთხოვარი ქალიშვილი მარიცონები – გაღარიბებული მარკიზები – ისხდნენ და გულდათუთქულნი შესცქეროდნენ მეორე იარუსის ლოჟა №14-ს, რომელიც ასეული წლის განმავლობაში მათ საკუთრებას წარმოადგენდა, მაგრამ სწორედ ამ სეზონზე, ხელმოკლეობის გამო, აბონემენტის მხოლოდ მერვედი ნაწილი დაითავისეს და ზემოთ, თითქმის ქანდარაზე გადარბაგებამ მოუწიათ, საიდანაც, ძველი, ხანგასული ღმერთებივით, კუშტი სახეებით გადმომდგარიყვნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ, შეუმჩნეველები დარჩენილიყვნენ. თავის სავარძელში თვლემდა ნაკლებცნობილი, შავგვრემანი ინდოელი პრინცი. უძვირფასესი, ოქროთი და ძვირფასი თვლებით მოოჭვილი „იგრეტტი“ მისი ფშვინვის ტაქტში ზემოთ-ქვემოთ მოძრაობდა – ჩნდებოდა და იმალებოდა ლოჟის სიბნელიდან. რალა თქმა უნდა, მის სიმშვიდეს სამხედროფორმიანი ადიუტანტი დასგომოდა მცველად. გვერდით ლოჟიდან ჭკუიდან შესაშლელი წითელი კაბით და ღრმა, თითქმის წელამდე ჩახსნილი დეკოლტეთი დარბაზს აფორიაქებდა ოცდაათიოდე წლის უჩვეულოდ ლამაზი – როგორც ამბობდნენ – ჰოლივუდელი მსახიობი, რომლის სახელიც არავინ უწყოდა. მის გვერდით სავარძელში გაუნ-

ძრევლად მისვენებულიყო ანგელოზის მსგავსი, მაგრამ საშინლად გაფითრებული-გადატეტცილსახიანი ბიჭუნა, რომელზეც ვერავინ დასდებდა თავს, პრემიერის ბოლომდე გაატანდა თუ არა. საერთოდ, ყველასათვის თვალშისაცემი იყო, რომ სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულმა ორმა დაჯგუფებამ, როგორც მსხვილმა ბურჟუაზიამ, ისევე არისტოკრატამ ამ საღამოს გვერდზე გადადო სნობური ამპარტავნობა და დაარღვია დამკვიდრებული ტრადიცია: ლოჟებში არც ერთი ცარიელი ადგილი არ დარჩენილიყო; ლომბარდიის ნაღები სწევოდა ამ ღირსახსოვარ საღამოს „ლა-სკალას“. ამის გამო, ლოჟები გარუჯული სახეების, ბროლის ბიუსტებისა და საუკეთესო თერძთა მიერ შეკერილი ფრაკების კონტრასტით გამონვეულ საოცარ ფერადოვნებას ასხივებდნენ. წარმატებული საღამოს გარანტიას უჩვეულოდ ლამაზი და უაღრესად თამამად დეკორირებული ქალბატონების სიმრავლე იძლეოდა. კოტესმა გადანყვიტა, ახალგაზრდობა გაეხსენებინა, ერთ-ერთ ანტრაქტზე დრო ეხელთა, ზემოთ ასულიყო და იქიდან ჩაეჭვრიტა მაცდური ჭრილების საიდუმლო სიღრმეებში. სასწრაფოდ შეარჩია სათვალთვალო პუნქტიც მეოთხე იარუსზე, საიდანაც მისი კეთილი მეგობრის, შეუდარებელი კონტრალტოს მფლობელის, ფლავია სოლის გიგანტური ზურმუხტები ბრწყინავდა. ლოჟათა სააღლუმო განწყობას მხოლოდ ერთი სავანე არ იზიარებდა. იგი მესამე იარუსზე გახლდათ და იქ ოცდათხუთმეტი-ორმოციოდე წლის სამი მამაკაცი იმყოფებოდა: ერთ-ერთი ლოჟის ცენტრში იდგა, ორნი კი გვერდითა კედლებთან ისხდნენ. ბატონები ტყუპებივით გამოიყურებოდნენ: მოლუშულნი, გამხდრები, შავპიჯაკიანები მუქი ჰალსტუხებით. ხმის ამოუღებლად, გაუძრევლად და ჯიუტად უცქერდნენ ისინი ფარდას, ერთადერთ საგანს, რომელიც ამ დარბაზში

მათ ყურადღებას იმსახურებდა. სხვა დანარჩენი, ადამიანების ჩათვლით, მათთვის თითქოს არაფერს წარმოადგენდა. მათ მხილველს ისეთი განცდა რჩებოდა, რომ ეს ტიპები „ლა-სკალაში“ პრემიერის სანახავად და მუსიკით დასატკობად კი არ მოსულიყვნენ, არამედ უზენაეს მსაჯულთა კასტას წარმოადგენდნენ და მათ მიერვე გამოტანილი განაჩენის აღსრულებას უნდა დასწრებოდნენ, რომლის მოლოდინშიც არ სურდათ, მსჯავრდებულთათვის შეეხედათ – არა გულმონყალების, არამედ უსაზღვრო სიძულვილის გამო. დარბაზში მყოფთაგან უმეტესობამ შეაჩერა მზერა ამ უცნაურ სტუმრებზე და თითოეულ მათგანს ამ წამმა უხერხულობის მიძიმე შეგრძნება დაუტოვა.

„ვინ არის ეს ხალხი? როგორ ბედავენ მგლოვიარე სახეებით ჩააშხამონ ეს საოცარი ზეიმი დარბაზში მსხდომთ? ნუთუ ეს გამონვევაა? კი მაგრამ, ვის მიმართ?“ მაესტრო კოტესიც შეცბუნებული შეტრიალდა მათგან ზურგით. „რა ავისმომასწავებელი დისონანსია!“ გაიფიქრა მან. ოდნავ მოიბუზა, თუმცა ბინოკლით მათკენ გახედვა მაინც ვერ გაბედა. სწორედ ამ დროს ჩააქრეს შუქები. ჩამომდგარ სიბნელეში ცისფრად გაანათა ორკესტრის ორმომ და ამ ფონზე, საკუთარი ჩხირივით გამხდარი, თანამედროვე მუსიკის მეტრი – დირიჟორი მაქს ნიბერლე გამოჩნდა.

იმ საღამოს, რაღაც მანქანებით, ლა-სკალას დარბაზში მხოლოდ მხდელი და ნერვული აშლილობის ხალხი რომ შეკრებილიყო და გროსგემუტის მუსიკა მოესმინა, მათ ჯანმრთელობას უზარმაზარი ზიანი მიადგებოდა. სპეციალურად აგებულ ფრიალო კლდისმაგვარ ავანსცენაზე შავი ყორნებივით გამწკრივებული გუნდის ხშირი და მქუხარე ჩართვები, რომელიც ზვირთებივით ასკდებოდა და აზანზარებდა პუბლიკას, ტეტრარქ ჰეროდეს მძვინვარება, ფანტასმაგორიული დე-

კორაციები – დამსწრე საზოგადოებას ნეტარი გრძნობებით ვერ უფსებდა გულს. ავტორი აღწევდა განსაკუთრებულ ეფექტებს, მაგრამ რის ფასად! ორკესტრის, გუნდის, კორდებალეტის სოლისტების (რომლებიც დინამიკურ, მიმიკურ დეკორაციას ქმნიდნენ გაშეშებულ პოზებში მდგარი სოლისტებისაგან განსხვავებით და რომლებიც სცენიდან საერთოდ არ გადიოდნენ), დირიჟორისა და თვით მაყურებლისაგანაც კი, გროსგემუტი მთელი სასიცოცხლო ენერჯის ამონოვას ცდილობდა და უნდა აღინიშნოს, რომ ეს არცთუ წარუმატებლად გამოსდიოდა. პირველი აქტი მქუხარე აპლოდისმენტებით დასრულდა, რაც არა მხოლოდ კმაყოფილების აღმნიშვნელი გახლდათ, არამედ უფრო მეტად დარბაზში მსხდომი მაყურებლის ფსიქოლოგიური განტვირთვის საერთო ფიზიკურ მოთხოვნილებას წარმოადგენდა. ლა-სკალას ბრწყინვალე კედლები ტაშისცემისაგან ზანზარებდნენ. მხოლოდ მესამე გამოძახების შემდეგ სცენაზე მდგარ მსახიობთა შორის ამოიზარდა აყლაყუდა გროსგემუტის ფიგურა, რომელიც მორცხვად, თითქოს ძალით ილიმებოდა და თავს უკრავდა მაყურებელს. კლაუდიო კოტესს ლოჟაში მსხდომი საშინელი სამეული გაახსენდა და ისე, რომ ტაშისკვრა არ შეუწყვეტია, მათკენ შეაბრუნა თავი. სამივენი ადგილზე იყვნენ, თითქოს ქვისაგან გამოეთალა მავანს, ოპერისაგან აღძრული არანაირი გრძნობა არ იკითხებოდა მათ სახეებზე. არც ტაში დაუკრავს რომელიმეს, არც დალაპარაკებინა ერთმანეთს. მანეკენები ხომ არ იყვნენ? მაშინაც კი არ შეცვლიათ ნირი, როდესაც დარბაზი ფოიეს მიანყდა.

სწორედ პირველი ანტრაქტის დროს გავრცელდა ხმები, რომ წუთი წუთზე ქალაქში გადატრიალება უნდა დაწყებულიყო. ამბავი ფოიეს შემადრწუნებელი სისავსით და ლა-სკალას საზოგადოებისათვის დამახასიათებელი აკა-

დემიზმით მოედო. რალა თქმა უნდა, ამან ვერ ჩაახშო გროსგემუტის ოპერის გარშემო ამტყდარი გაცხოველებული კამათი, რომელშიც მოხუცი კოტესიც იღებდა მონაწილეობას. დაკვირვებული ადამიანი შენიშნავდა, რომ მანეტრო ცდილობდა, შეფასებები კი არ გაეკეთებინა, არამედ ჩვეული კალამბურებით შემოფარგლულიყო. მალე ანტრაქტის დასრულების მაუწყებელი ზარიც გაისმა. თეატრალური მუზეუმის მხრიდან დარბაზისაკენ მიმავალ კიბეზე კოტესი ნაცნობს შეხვდა, რომლის სახელიც ვერაფრისდიდებით გაიხსენა. ნაცნობმა ეშმაკურად შეჰღიმა მოხუცს:

- ოოჰ, ძვირფასო მანეტრო, სწორედ რომ დროულად შეგხვდით – თქვა მან. – მნიშვნელოვანი ამბავი უნდა შეგატყობინოთ...

ლაპარაკობდა ნელა, ხაზგასმული სიდინჯით. ქვევით დაშვებისას ხალხის ნაკადმა მოსაუბრენი მცირე ხნით დააშორა ერთმანეთს.

- სად დაიკარგეთ? – აღმოხდა უცნობ ნაცნობს, როცა მათი გზები ისევ გადაიკვეთა. – იცით, მომეჩვენა, რომ სწორედ დონ-ჟუანივით გაუჩინარდით!

ამ შედარებამ თვითონვე იმგვარად გაამხიარულა, რომ კარგა ხანს ხმამალა იცინოდა. შესახედავად არაფრით გამოორჩეულს ეტყობოდა, რომ კარგი, მაგრამ შეჭირვებული ოჯახიდან გამოსული ინტელექტუალი გახლდათ, რასაც მისი სამოსისთვისაც დაესვა დალი – ძველმოდური პიჯაკი, დაჭმუჭნილი, საყელოზე აქექილი პერანგი. ამ ყოველივეს ურცხვად აგვირგვინებდა ფრჩხილებქვეშ გაჩენილი შავი ზოლები. უხერხულად აწურული კოტესი მოთმინებით ელოდა, თუ რას ეტყოდნენ კიდევ. როგორც იქნა, კიბეებიც ჩაათავეს.

- კარგი, – ხმას დაუნია უსახელო ნაცნობმა. – რასაც გეტყვით, იმედი მაქვს, ჩვენს შორის დარჩება, მხოლოდ ჩვენ ორს შორის, გესმით?.. სულაც არ მსურს, წარმოიდგინოთ ის, რაც არ არის... არ

იფიქროთ ჩემზე... როგორ გითხრათ... რომ ამ შემთხვევაში ოფიციალური პირი ვარ... ტრუბადური ან სულაც... რუპორი... ამ შემთხვევებში ასე ამბობენ, არა?

– დიახ-დდიახ, – გამოეხმაურა კოტესი, რომელიც ისეთივე ავისმომასწავლებელმა მღელვარებამ შეიპყრო, როგორმაც ორიოდ საათის წინ ბომბასესთან შეხვედრისას, თუმცა ღელვა ახლა უფრო ხელშესახები და მტკივნეული გახდა. – დიახ, მაგრამ გარწმუნებთ, ვერაფერს ვხვდები...

გაისმა მეორე ზარი. მოსაუბრენი დერეფანს მიუყვებოდნენ, რომელიც პარტერის მარცხენა მხარეს გაჭიმულიყო.

სავარძლებისკენ ჩამავალი კიბის თავში უცნაური ბატონი შეჩერდა.

– უნდა დაგტოვოთ, – თქვა მან. – მე პარტერში არ ვზივარ... დიახ, ასეა... სრულიად საკმარისი იქნება, თუ გეტყვით, რომ თქვენს ვაჟს, კომპოზიტორს... ურჩევნია, გაფრთხილდეს... პატარა ხომ აღარ არის! მართალი ვარ, მაესტრო?... მიბრძანდით, მაესტრო, მიბრძანდით, უკვე შუქიც ჩააქრეს... ისედაც ზედმეტი მომივიდა, ამიტომ...

მან ისევ ხმამაღლა გაიცინა, ისე, რომ ხელი არ ჩამოურთმევია, თავი დაუკრა დამშვიდობების ნიშნად და სწრაფად, თითქმის სირბილით გაუყვა უკვე დაცარიელებულ დერეფანში მოელვარე წითელ ხალიჩას. გაოგნებული მოხუცი ჩაბნელებულ დარბაზში შევიდა. ბოდიშების მოხდით მიაღწია თავის ადგილამდე და აფორიაქებული ჩაეშვა სავარძელში. „ღმერთო, რა ჩაიფიქრა ამ სულელმა არდუინომ? გამოდის, რომ მის გარდა მთელმა მილანმა იცის რაღაც, რაც ყველაზე მეტად მის ოჯახს ეხება. ნეტა, ვინ იყო ეს უცნაური ბატონი? ან სად გაიცნო იგი?“ უშედეგოდ ცდილობდა მოხუცი, გაეხსენებინა მათი წინა შეხვედრა. ფაქტია, მას მუსიკალურ სამყაროსთან შეხება არ უნდა ჰქონდეს. მაშ, სხვაგან სად უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს? იქნებ, საზ-

ღვარგარეთ? შესაძლოა, შვებულების დროს, სადმე სასტუმროში? არა. ასეთ შემთხვევას ვერ იხსენებდა. სცენაზე კი ამ დროს მარტა ვიტის მაცდური სხეული რამპისაკენ მოიკლაკნებოდა და თითქმის სრულიად გამიშვლებულს ტეტრარქ ჰეროდეს სასახლეში ბიბლიური ძრწოლა შეჰქონდა.

მეორე აქტიც მიილია. როგორც კი აინთო ჭალები, მოხუცმა მშფოთვარე მზერა მიმოავლო დარბაზს. მან აუცილებლად უნდა იპოვნოს უცნობი ნაცნობი, რათა ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხოს. ბოლოს და ბოლოს, მას სრული უფლება აქვს, იცოდეს ყველაფერი, რაც მის ოჯახში ხდება... მაგრამ უცნაური ბატონი არსად არ ჩანდა. კოტესის მზერას მაგნიტივით იზიდავდა იმ საზიზლარი სამეულის მიერ დაკავებული ლოჟა. გახედვისთანავე შენიშნა, რომ ლოჟაში სამნი კი არა, უკვე ოთხნი იყვნენ. მეოთხე სულ უკან იდგა და მიუხედავად იმისა, რომ სმოკინგში გამოწყობილიყო, ისევე ამოვარდნილიყო ლა-სკალას ბრწყინვალეებიდან, როგორც მისი თანამეინახენი. კოტესმა ამჯერად ყოველგვარი კრთომის გარეშე მიუშვირა ბინოკლი ლოჟას. დაჭმუჭნილი პერანგი, ძველმოდური სმოკინგი. ერთი არსებითი სხვაობა იყო ლოჟის ახალი სტუმრის გამომეტყველებაში – სამთაგან განსხვავებით, მის სახეზე ცინიკური ღიმილი მიხატულიყო. მაესტროს გააჟრჟოლა.

სწორედ ისე, როგორც დასახრჩობად განწირული ეპოტინება ხავსს, შემობრუნდა მოხუცი პროფესორი ფერესაკენ.

– უკაცრავად, პროფესორო, – წარმოთქვა მღელვარედ, – შემთხვევით ხომ ვერ მეტყვით, ვინ არის ის სამი საზიზლარი ტიპი, მესამე იარუსის ლოჟაში რომ სხედან... აი, იქ, იასამნისფერკაბიანი ქალბატონის გვერდით?

– თქვენ, ალბათ, იმ ნეკრომანტებზე მეკითხებით! – გადაიხარხარა პედიატრმა ფერემ. – ეგ ხომ გენერალური

შტაბია! გენერალური შტაბი სრული შემადგენლობით!

– რის გენერალური შტაბი, რას მე-უბნებით?

ფერე გახალისდა.

– მაესტრო, მუდამ ღრუბლებში დაფრინავთ! რა ბედნიერი ბრძანდებით!

მაესტრომ მოთმინება დაკარგა: – უმორჩილესად გთხოვთ, ამიხსნათ, რისი გენერალური შტაბია?

– ოჰ, ღმერთო ეს ხომ „მორცისტების“ გენერალური შტაბია!

– „მორცისტების?“ – ჩაეკითხა ავიფიქრებით შეპყრობილი კოტესი.

„მორცისტები“... რა საშინელი სიტყვაა! მოხუცი არც მომხრე გახლდათ მათი და არც მოწინააღმდეგე. ის ხომ ვერ ერკვეოდა, მეტიც, არც ინტერესდებოდა მსგავსი საქმეებით. იცოდა მხოლოდ, რომ „მორცისტები“ საშიში ხალხი იყო, მათთან არანაირი ურთიერთობა არ შეიძლებოდა. ნუთუ სულელი არდუინო მათ წინააღმდეგ გამოვიდა და შარში ჩაიგდო თავი? სხვაგვარი განმარტება, უბრალოდ, არ არსებობდა. მაშ, გამოდის, რომ ეს უტვინო ბიჭი, ნაცვლად იმისა, რომ მუსიკაში მთელი თავისი სულიერება გაენივებინა, პოლიტიკურ ინტრიგებში გაეხვა?! მამობრივ სიკეთეს, ლმობიერებას, მოთმინებასაც აქვს საზღვარი. დალაზვროს ეშმაკმა, ხვალ აუცილებლად მიიღებს საკადრისს ეს თავნება! ვის გაუგია ამ იდიოტობის გულისთვის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება! მოხუცმა მყისვე ამოიგდო თავიდან უცნობ ნაცნობთან გასაუბრების სურვილი... ეს ხომ სრული უაზრობა იქნებოდა, თუ საშიში არა! „მორცისტებს“ ხუმრობა არ უყვართ. იმაზედაც გმადლობთ, რომ ინამუსეს და გააფრთხილეს. კოტესი შემობრუნდა, მოეჩვენა, თითქოს მთელი დარბაზი მას შესცქეროდა. თან რატომღაც დაუფარავი ზიზღით. ოოო, რა საშინელი ხალხია ეს „მორცისტები“, ძლიერნი, მოუხელთებელნი. რა რჯიდა არდუი-

ნოს, მათ რომ ეჯახებოდა?

როგორც იქნა, კოტესი რეალობას დაუბრუნდა.

– მაესტრო, თავს ცუდად ხომ არ გრძნობთ? – შეეკითხა პროფესორი ფერე.

– როგორ? რა თქვით?.. არა, რატომ? – უპასუხა გონსმოსულმა კოტესმა.

– უბრალოდ, შევნიშნე, როგორ გაფითრდით. ალბათ, უჰაერობის ბრალია... უკაცრავად...

– რას ამბობთ, გმადლობთ... – კოტესმა განაგრძო: – მართლაც, რაღაც უცნაური სისუსტე ვიგრძენი. რას იზამ, ასაკი თავისას შვრება!

იგი წამოდგა და გასასვლელისაკენ გაეშურა. როგორც დილის მზის სხივები გაფანტავს ხოლმე უკვალოდ ღამეულ კომპარებს, ფოიეს მარმარილოს სიგლუვემ, ლა-სკალას მდიდრულმა, ჯანსაღმა, ელეგანტურმა, სუნამონაკურებმა, აჟურიამულეზულმა საზოგადოებამ თითქოს მაშველი რგოლი გადაუგდო მოულოდნელი აღმოჩენით უფსკრულში გადაჩხილ კოტესს. მაესტრომ გადაწყვიტა, ცხარედ მოკამათე კრიტიკოსებს შეერთებოდა.

– ყოველ შემთხვევაში, – ამბობდა ერთ-ერთი, – გუნდი მართლაც მშვენიერი, ვერაფერს იტყვი.

– გუნდი ხომ მუსიკის გარეშეა, – შენიშნა მეორემ. – ეს იგივეა, რაც ფერწერა ნატურის გარეშე. ეფექტს შესაძლოა მიაღწიო, მაგრამ ეფექტს არ უნდა სდიო.

– დავუშვათ, დაგეთანხმეთ. კი მაგრამ, საით მივდივართ?.. – გაოცებას ვერ მალავდა მესამე. – თუ დღევანდელ მუსიკაში ადგილი არ დარჩა გარეგნული ეფექტებისათვის, მელოდიურობისათვის, უშუალოებისთვის, არც უბრალოების, არც ბანალურობის, თქვენ წარმოიდგინეთ, არც სილალის ადგილი დარჩენილა... მესმის, კი ბატონო, მშვენიერია. მაგრამ, ბატონებო, ნება მიბოძეთ, ვიკითხო: მაშ, რაღა დარჩა იქიდან, რასაც მუსიკა ჰქვია?!

კოტესს შვილის შემოქმედება გაახსენდა.

მიუხედავად იმისა, რომ ძნელად მოიძებნებოდა დარბაზში ვინმე, ვინაც „ყრმათა მოკვდინების“ მუსიკით მოხიბლულიყო, გროსგემუტის ოპერის წარმატება უდავო ფაქტი გახლდათ. დამსწრეთა უმრავლესობას უბრალოდ სურდა, ეჩვენებინა, რომ სათანადოდ აფასებს ვითარებას და საერთოდ, ავანგარდში დგას. ამ საყოველთაო სურვილმა საზოგადოებაში ერთგვარად ფარული ქიშკი გამოიწვია. საოცარი თვისება აქვთ ადამიანებს; როდესაც ისინი გაცხარებით იწყებენ რომელიმე მუსიკალური ნაწარმოების გარჩევას, ჩხრეკენ ღირსებებს, აფასებენ მხატვრული სრულქმნილების ხარისხებს, ეძებენ მასში დაფარულ საზრისს, სწორედ ამ დროს მათ ბრიყვულ თავდაჯერებულობას საზღვარი არა აქვს.

კიდევ, იცით, რა?

განა შესაძლებელია, თანამედროვე მუსიკით ტკობა მიიღო?

ითავითვე ხომ ცნობილია, ამ სკოლის ფუძემდებლებისათვის ამოსავალ წერტილად, საფუძვლად სწორედაც ყოველგვარი ტკობისაგან განრიდება იქცა?! ამ მუსიკით სიამოვნების მიღების სურვილის ყოველგვარი მცდელობა ხომ უპატივებელი უგემოვნობის ნიშანია და სხვა არაფერი. მათთვის კი, ვისაც სიამოვნების მიღება სურს, არსებობს ვარიანტი ან თუნდაც ლუნა-პარკები ძველი ციხესიმაგრეების კედლებთან.

ყოველივეს მიუხედავად, გროსგემუტის ოპერის მიერ გამოწვეულმა ნერვულმა დაძაბულობამ, მომღერალთა ხმებმა, რომელიც მუდმივად მაღალ რეგისტრში გაისმოდა, დასარტყამ ინსტრუმენტთა გრიალში მიმდინარე სცენებმა მაყურებლებზე მკვეთრი შთაბეჭდილება მოახდინა. ოპერამ უცერემონიოდ, შეიძლება ითქვას, უხეშადაც კი შეათრთოლა მათი გულელები – ამას ვერავინ უარყოფდა. კომპოზიტორის სრულ

ლი ტრიუმფის დასტური გახლდათ ის უჩვეულო ალგზნება, რომელიც მასობრივი ჰიპნოზის ფორმით მოედო მთელ დარბაზს, უკანასკნელი ნოტის ჩაქრობისთანავე აიძულა, აპლოდისმენტებად აფეთქებულიყო და სახმო სიმების დაწყვეტამდე ეღრიალა – „ბრავო!“

მაყურებელთა განსაკუთრებული ენთუზიაზმი გამოიწვია ამაღლევებელმა დასკვნითმა ნაწილმა - სცენამ, როდესაც მეფე ჰეროდეს ჯარისკაცები ბეთლემს შეესევინა ყრმათა დასახოცად, დედები კი საკუთარ ჩვილებს აწვდიან მათ. ბოროტების ზეიმის ფონზე უეცრად ცის თალის დაბნელებამ და საყვირთა გამაყრუებელმა ხმამ კაცობრიობას მაცხოვრის გადარჩენა აუწყა. უნდა აღინიშნოს, მხატვარმა, დეკორატორმა და განსაკუთრებით, რეჟისორმა – იოჰან მონკლარმა შეძლეს, თავი აერიდებინათ ორაზროვნებისათვის, რაც პარიზული სკანდალის გამომწვევი მიზეზი შეიქნა. მეფე ჰეროდე არათუ წააგავდა ფიურერს, არამედ გამოკვეთილად ნორდიულ ნაკვეთებს ატარებდა და უფრო ზიგფრიდს მოგაგონებდათ, ვიდრე გალილეის მბრძანებელს. ჯარისკაცთა ჩაფხუტების მოყვანილობა კი მათს წარმომავლობაში აღარანაირ ეჭვებს აღარ ტოვებდა.

– ნუთუ ეს ჰეროდეს სამეფოა? – მხრებს იჩეჩავდა კოტესი. – ეს ხომ ობერკომენდატურაა.

შესანიშნავი გახლდათ მხატვრული გაფორმება. დაუვინყარ შთაბეჭდილებას ტოვებდა კლდის ქიმზე მროკავი გუნდის თანხმლებით მიმდინარე მკვლელთა და დედათა უკანასკნელი ცეკვა. რეჟისორ მონკლარის გააზრებით – რასაც სიახლეს ვერ უწოდებდით – ყველაფერი ძალიან მარტივი იყო. შავფორმებიან ჯარისკაცებს სახეებიც შავი ჰქონდათ; უბედური დედები კი სრულიად თეთრებში იყვნენ. ხელთ კი წითლად დაფერილი თოჯინები ეპყრათ (როგორც პროგრამაში იყო აღნიშნუ-

ლი, თოჯინები სკულპტორ ბალარენის ესკიზების მიხედვით შექმნილიყო). ფერთა ამგვარი გრადაციები წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა. მოცეკვავეთა თანხლებით იისფერ ფონზე თეთრის, წითლისა და შავის სხვადასხვა ვარიაციებმა დარბაზს მრავალჯერ მოსწევიტა მქუხარე ტაში.

– შეხედეთ ერთი, როგორ ბრწყინავს გროსგემუტი! – წამოიძახა მამესტროს უკან მჯდომმა ქალბატონმა, როდესაც ავტორი ავანსცენაზე გამოვიდა.

– აბა, რა იქნება! – უპასუხა კოტესმა. – მისი მელოტი თავიც კი სარკესავით ბრჭყვიალებს!

კომპოზიტორი მართლაც სრულიად მელოტი გახლდათ, თუმცა შესაძლოა თმა სამართებლით აელო. ასე იყო თუ ისე, მისი თავი ნამდვილად კვერცხს წააგავდა.

„მორცისტების“ ლოჟა დაცარიელებულიყო.

საერთო კმაყოფილების ფონზე მაყურებელთა უდიდესი ნაწილი თეატრის გასასვლელში გაუჩინარდა, ხოლო მცირედნი – რჩეულნი – ფოიესაკენ დაიძრნენ, სადაც ბანკეტი უნდა შემდგარიყო. შესასვლელ კარებთან საპატიო სტუმრებს ლა-სკალას დირექტორი გირში - ულამაზო, მაგრამ უაღრესად სასიამოვნო მეუღლითურთ და სამხატვრო ხელმძღვანელი, მამესტრო როსიდან ეგებებოდნენ. მათ ზურგს უკან, ისე, რომ თავისი არსებობა ყველასათვის შეეხსენებინა და არც ოფიციალურად ჩამორთმეული ძალაუფლება ეჩვენებინა, სენიორა პასალაკუა ღირსეულ მამესტრო კორალის ესაუბრებოდა. სენიორა პასალაკუა, იგივე „დონა კლარა“, როგორც მას შინაურულად მიმართავდნენ, მრავალი წლის განმავლობაში უწინდელი სამხატვრო ხელმძღვანელის – მამესტრო ტარას მდივანი და მარჯვენა ხელი იყო. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაქვრივებული „დონა კლარა“ მილანელ მრეწველთა ოჯახების ნათესავი გახლდათ. საკუთარი ნიჭის წყალობით

მან მოახერხა და ტარას გარდაცვალების შემდეგაც „ლა-სკალაში“ სრულიად შეუცვლელ პერსონას წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, ამ წლებში მან უამრავი მტერი შეიძინა, მაგრამ თვით ყველაზე შეურიგებელნიც კი მასთან შეხვედრისას მხოლოდ მოწინებასა და პატივისცემას გამოხატავდნენ. აუცილებლობა არ იგრძნობოდა, მაგრამ მისი მაინც უკლებლივ ყველას ეშინოდა. ყველა მომდევნო სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი თავს ვალდებულად რაცხდა, „დონა კლარასთან“ კარგი ურთიერთობა დაემყარებინა. მასთან ათანხმებდნენ პარტიების განაწილებას თუ აფიშების შედგენილობას. ხელისუფლებასთან ნებიმიერი კონფლიქტური სიტუაციის, მსახიობთა შორის უთანხმოების წარმოშობისთანავე სწორედ მას მიმართავდნენ – ასეთ საქმეებში ხომ ბადალი არ ჰყავდა. გარდა ამისა, მას, როგორც წესი, მუდმივად ირჩევდნენ ადმინისტრაციულ საბჭოში – ეს პრეროგატივა ფაქტობრივად სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა. მხოლოდ ერთხელ, ფაშისტების მიერ დირექტორად დანიშნულმა მანკუზომ, (ცნობისათვის, იგი საერთოდ ვერ ერკვეოდა ცხოვრებისეულ ინტრიგებში) გადაწყვიტა, თავიდან მოეშორებინა ქალბატონი, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ, სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო, თვითონ მანკუზო მოაშორეს თეატრს.

დონა კლარას ლამაზი არ ეთქმოდა – პატარა ტანისა იყო, გამხდარი, უფერული; ჩაცმულობითაც ვერასოდეს გამოიჩინებოდა. ქალიშვილობაში ცხენიდან გადმოვარდნილმა ფეხი მოიტეხა, რის შემდეგაც ოდნავ კოჭლობდა (ამის გამო, მტრების ბანაკში დაცინვით ჩოლახ ეშმაკს უწოდებდნენ). მაგრამ მასთან ორიოდე წუთის საუბარიც საკმარისი იყო, რომ დარწმუნებულიყავით, რა გონების პატრონთან გქონდათ საქმე. რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგჩვენებოდათ, მრავალი შეტრფოდა მას უიმედო სიყვა-

რულით. ასაკთან ერთად – დონა კლარა სამოც წელს გახლდათ გადაცილებული – მისი ავტორიტეტი სრულიად შეურყეველი გამხდარიყო. თეატრის დირექტორი და ხელმძღვანელი მისი მითითებების უყოყმანო შემსრულებელი ხელქვეითები იყვნენ. თუმცა ეს იმგვარი ტაქტით ხდებოდა, რომ მათ სრულიად სხვა აზრი ჰქონდათ და საკუთარ თავს ლამის თეატრის დიქტატორებად მოიაზრებდნენ.

სტუმრები ფოიეში შემოედინებოდნენ. ესენი პატივცემული და ცნობილი ადამიანები იყვნენ; აქა- იქ ბრწყინავდნენ უახლესი პარიზული ტუალეტები, თვალთა დამაბრმავებელი ძვირფასეულობა, ვნებიანი ტუჩები, მოხსნილი მხრები, მაცდუნებელი ბიუსტები, რომელთა წინაშე თვით წმინდანნიც დაეცემოდნენ. კიდევ რა შემოჰყოლოდა ამ ყველაფერს? ფოიეს დარბაზში შემოჭრილიყო რალაც იმგვარი, რაც აქამდე მხოლოდ წამიერად გამკრთალა ლასკალას ნაღები საზოგადოების გულში, ის, რაც აქამდე ვერ ეხებოდა რესპექტაბელურ ბრბოს... შემოჭრილიყო ბუნდოვანი, შორეული ექო და მას სახელად ერქვა შიში – ხელშესახები, მტკივნეული, ყოვლისმომცველი შიში! ხან ერთი, ხან მეორე ჯგუფიდან გაისმოდა ხმადაბალი საუბრები რალაც ახალი ამბების შესახებ. პასუხად უარყოფის ირონიულ ხმებს და ჟინიანი ბავშვის წამოძახილებს მოისმენდით იმ ადამიანებისაგან, ვისაც ამ ყოველივეს ხუმრობაში გატარება სწადდა. როგორც იქნა, ამალის თანხმლებით ფოიეს დარბაზში თვით გროსგემუტიც გამოჩნდა. ფრანგულად გაისმა აღფრთოვანების გამომხატველი ტექსტები (სიმართლე რომ ითქვას, მიმლოცველთა უმრავლესობა ფრანგული ენის ცოდნით ვერ დაიკვებნიდა), რის შემდეგაც კომპოზიტორი ბუფეტისაკენ წააბრძანეს. გვერდს, რა თქმა უნდა, დონა კლარა უმშვენებდა.

როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება, დამსწრე საზოგადოებამ კიდევ ერ-

თხელ გაიარა უმძიმესი გამოცდა უცხო ენების ცოდნა-არცოდნაში.

“Un chef-d’ oeuvre, ve’ritablement, un vrai chef-d’ oeuvre!“, – მოუღლედად იმეორებდა წმინდა სისხლის ნეაპოლიტანელი, თეატრის დირექტორი გირში, რომლის გონებას, ამ დაზეპირებული ფრაზის გარდა, არაფრის წარმოთქმა არ შეეძლო.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში დოფინში ლალად მცხოვრები გროსგემუტიც უჩვეულოდ შებოჭილი გამოიყურებოდა. მისი ხორხისმიერი საუბარი თითქმის შეუძლებელს ხდიდა ურთიერთგაგებას. ორკესტრის დირიჟორის, ასევე გერმანელის – მაქს ნიბერლეს ფრანგული ხომ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. მოკლედ, კარგა ხნის განმავლობაში სტუმარ-მასპინძელი გვარიანად განვალდა. ნელ-ნელა საუბარი კალაპოტში ჩადგა, მანამდე კი დამსწრეთა გალანტურ გულებს მხოლოდ ბრემენელი მოცეკვავის – მარტა ვიტის სასაცილო იტალიური ჟღერტული ახარებდა – ბოლონიური აქცენტით. შამპანურითა და ნამცხვრით სავსე სინებით დატვირთული ლაქიები მოედვნენ დარბაზს. დამსწრენი ჯგუფებად დაიყვნენ.

გროსგემუტი თავის პრესმდივანთან ხმადაბლა ბჭობდა, როგორც ჩანდა, ფრიად მნიშვნელოვან საქმეზე.

– je Parie d’avoir apercu Lenotre – თქვა მან – e^tes – vous bien su^re qu^ik n^y soit pass?

ლენოტრი გაზეთ „მონდის“ კრიტიკოსი გახლდათ, ვინაც პარიზული პრემიერის შემდეგ გროსგემუტის ნაწარმოებისაგან ქვა ქვაზე არ დატოვა. მისი აქ ყოფნის შემთხვევაში გროსგემუტს სრული რევანშის აღების მშვენიერი შესაძლებლობა მიეცემოდა. სამწუხაროდ, ლენოტრი მილანში არ ჩანდა.

– A-a quelle heure pourra – ton lire „corriere de la serra“ – დიდი ადამიანებისათვის ჩვეული უცერემონიობით



მოუბრუნდა კომპოზიტორი დონა კლარას. – ch'est? le Journal qui a le plus d'autorite^ en italie, n'est-ce pas, madame?

– Au moins on le dit – ღიმილით მიუგო დონა კლარამ. – mais jusqu'a demain metin...

– On le fait pendant la nuit, n'est ce pas, madame?

– Oui, il parait le matin. mais je crois vous donner la cartitude que ce sera une espe^se de pane^guricue. on m^a dit cue le kritikue, le maitre Frati avait l'air rudement bouleverse^.

– ,Oh, bien, ca serait trop, je pense – უპასუხა გროსგემუტმა, თან იმავდროულად კომპლიმენტის მოფიქრებას ლამობდა. – Madame, cette soire^e a la grandeur, et bonheur aussi de ceryains reves... Et a^propos, je me rappelle un autre journal... „Mesaro“... si je^ne me trompe pass...

„Mesaro?“ – მხრები აიჩეჩა სენიორამ.

– Peut-etre „Mesajero?“ – მიეშველა გირში.

– Oui, oui, „Mesajero“, je voulais dire...

– Mais c^esta Rome „Mesajero!“

– Il a envoue^ tout de me^me son critique, – ამცნო ვილაცამ დარბაზიდან კომპოზიტორს, შემდეგ კი დაამატა ბრწყინვალე ფრაზა, რომელმაც დახვეწილობით თავი დაამახსოვრა ლა-სკალას პუბლიკას. – Maintenant il est derrie^re a^ te^lefoner son reportage.

– „Ah, mersi bien, J^aurais envie de la voir, demain, ce „Mesajero“, – შენიშნა კმაყოფილმა გროსგემუტმა, შემდეგ გადაიხარა და პრესმდივანს გადაულაპარაკა – Apres tout c^est un journal de Rome vous comprenez?

სწორედ ამ დროს მათ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი მიუახლოვდა და გროსგემუტს ადმინისტრაციის სახელით ოქროს მედალი გადასცა, რომელზეც ოპერის სახელწოდება და პრემიერის თარიღი ამოეტვიფრათ. წესისამებრ, ჯილდოს მიღებას გაკვირვება,

აღფრთოვანება და სამადლობელი სიტყვები მოჰყვა, რის შემდეგაც მედალიონის ყუთი პრესმდივანს ერგო, რომელმაც იგი ზერელედ შეათვალიერა, ალტაცებულმა გაილიმა და გროსგემუტს წასჩურჩულა:

– საოცარი ნაკეთობაა! თუმცა, ვგონებ, მხოლოდ მოოქრული უნდა იყოს!

დარბაზში მყოფთა უმრავლესობის გონება კი სულ სხვა ამბის გარშემო ტრიალებდა. მათი ფიქრების საგანს არა მხოლოდ ყრმათა მოკვლის სცენები, არამედ მასობრივი მკვლელობების წარმოდგენები შეადგენდა. ის, რომ „მორცისტების“ აქცია იყო დაგეგმილი, აღარავისთვის რჩებოდა საიდუმლოდ. ამ ამბავმა იმათ ყურამდეც კი მიაღწია, ვინაც მუდამდღე ღრუბლებში დაფრინავდა, როგორც კლაუდიო კოტესი. და მაინც, ჯიუტი ბავშვებივით არავის სურდა იმ საფრთხის გაცნობიერება, რაც თეატრის მიღმა, შესაძლოა, უკვე ხდებოდა.

## ნაწილი II

– ბატონებო! – ამბობდნენ ერთნი. – ალბათ მოგეხსენებათ, რომ ძალოვანებმა დამატებითი ძალების მობილიზაცია გამოაცხადეს. ქალაქში ამჟამად ოცდახუთი ათასზე მეტი პოლიციელია. მათ ემატებიან კარაბინერები და საჯარისო ნაწილები.

– დიდი საქმე, ჯარის ნაწილები! – ამრეზით პასუხობდნენ მეორენი. – ცეცხლის გახსნის ბრძანებას რომ მიიღებენ, ვითომ არიან მსროლელები?

– სწორედ გუშინწინ გენერალ დემატიეს ვესაუბრე. მისი თქმით, ჯარში საბრძოლო სულისკვეთება ძალიან მაღალია. ერთადერთ პრობლემას უვარგისი იარაღი წარმოადგენს...

– რას ნიშნავს უვარგისი იარაღი? რატომ?

– საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ოპერაციისათვის... მათ ბევრად მეტი ცრემლსადენი ყუმბარა სჭირდე-

ბათ... კიდევ ამბობენ, რომ ამგვარი აქციების დასაშლელად ცხენოსანთა ასეულს ბადალი არა ჰყავს... მსხვერპლი პრაქტიკულად გამორიცხულია – შედეგი კი ასპროცენტური. მაგრამ ამდენი ცხენი სად იპოვნონ?..

– ძვირფასო, იქნებ, სახლში ნავსუ-ლიყავით?

– სახლში? ღმერთო დიდებულო! თქვენ მართლა გგონიათ, რომ სახლში უფრო უსაფრთხოდ იქნებით?

– ღვთის გულისათვის, ქალბატონო, ნუ დაამძიმებთ სიტუაციას. ჯერჯერობით ხომ არაფერი მომხდარა... და თუ მაინცდამაინც უნდა მოხდეს, ეს იქნება არაუადრეს ხვალისა ან სულაც ზეგ... როდის ყოფილა, ასეთი გადატრიალებები ღამით მოენყოთ?.. ყველაფერი დაკეტილია... ქუჩაშიც არავინ დადის... ეს ხომ პოლიციისთვის ყველაზე კარგი ვარიანტი იქნებოდა!..

– რაო? გადატრიალება? უფალო, შეგვიწყალო! ბეპე, გესმის, რა თქვეს? ეს ბატონი ამტკიცებს, რომ გადატრიალება გარდაუვალია... ბეპე, ძვირფასო, როგორ მოვიქცეთ? რა ვქნათ? ბეპე, გამოფხიზლდი! რა გჭირს? დამდგარა აქ მუმიასავით!..

– თუ შეამჩნიეთ, რომ მესამე მოქმედების დროს „მორცისტების“ ლოჟაში აღარავინ იჯდა?

– სხვათა შორის, კვესტურისა და პრეფექტურის ლოჟებიც დაცარიელდა... რაც შეეხება სამხედროებს, მათი ქალბატონები, თითქოს განგაში გამოცხადდაო, ერთად გაიკრიფნენ და რაბაზიდან...

– პრეფექტურაში მძიმე ღამე ექნებათ... მათ ხომ სრული ინფორმაცია აქვთ... ხელისუფლებას აგენტურა „მორცისტების“ მხოლოდ სათავეში კი არა, რაიონულ ორგანიზაციებშიცა ჰყავს.

ფოიეში სიტუაცია დამძიმდა. რას არ გაიღებდა ნებისმიერი აქ მყოფთაგან, რომ შინ ყოფილიყო, მაგრამ ნასვლას ვერავინ ბედავდა. ყველას ეშინოდა მარტო დარ-

ჩენის, სიჩუმის, გაურკვეველობის. ეშინოდათ საწოლში ღამის თეთრად გატეხვის; ზარავდათ კოლოფი სიგარეტის უაზროდ მოწევის პერსპექტივა ყიჟინისა და სროლის მოლოდინში. აქ კი, ნაცნობ, პოლიტიკისაგან შორს მდგომი ადამიანების გარემოცვაში, თითოეული მათგანი თავს, როგორც ნაკრძალში, დაცულად გრძნობდა; თითქოს „ლა-სკალა“ დიპლომატიურ იმუნიტეტს ფლობდა; საერთოდაც, ამ ჩამოყალიბებული, ბედნიერი, არისტოკრატიული და ცივილიზებული სამყაროს გაცამტვერება სრულიად წარმოუდგენელი გახლდათ.

ოდნავ მოშორებით ოციოდე წლის წინათ, „იტალიელ ანატოლ ფრანსად“ შერაცხულმა ახალგაზრდულად ლოყებულაჟა, ქალთაგან განებივრებულმა თეოდორ კლისიმ, რომელსაც მოდიდან გამოსული, ინტელექტუალის უცილო ატრიბუტი – ჭალარა უღვაში ამშვენებდა, ...დრო იხელთა; მაღალი წრის შესაფერი ცინიზმით აღიჭურვა და ხმამაღალი სიცილით დაიწყო აღწერა იმ მომავლისა, რაც დამსწრე საზოგადოებას შიშის ზარს სცემდა:

– ფაზა პირველი! – გამოაცხადა მან ზარ-ზეიმით და თითქოს პატარებს თვლას ასწავლიდა, მარჯვენით მარცხენა ხელის ერთი თითი მოკეცა. – პირველი ფაზა – სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტების დაკავება... – მან მაჯის საათზე დაიხედა და სიცილით დააყოლა: – იმედი მაქვს, მათ ეს ჯერ ვერ მოასწრეს... ქალბატონებო... მეორე ფაზას წარმოადგენს მტრულად განწყობილი ინდივიდებისა და ჯგუფების განადგურება...

– ღმერთო! – შეჰკივლა ფინანსისტი გაბრიელის მეუღლე მარიამ. – ბავშვები შინ მარტო დავტოვეთ!

– ძვირფასო, ბავშვები არაფერ შუაში არიან, ასე ასაღელვებელიც არაფერია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მსხვილი, მომნიჭებული ნადირის დევნა. – კლისის საკუთარ ხუმრობაზე გულიანად გაეცინა.

– როგორ, ძვირფასო, ძიძა არა გყავთ?

– როგორც ყოველთვის, უადგილოდ ნა-  
მოისროლა მშვენიერმა ქეთი ინტროციმ.

უცებ ხმამაღლა და მკვახედ გაისმა:

– უკაცრავად, ბატონო კლისი! ნუთუ, თქვენი ლაყბობა მახვილგონივრულად მიგაჩნიათ?!

ეს ლიზელორა ბინი გახლდათ, მილანის ერთ-ერთი მშვენიერა. საოცარ სილამაზესთან ერთად, იგი გასაკვირი პირდაპირობით გამოირჩეოდა, რის უფლებასაც, საზოგადოდ, ან ბრწყინვალე გონება, ან უაღრესად მაღალი სოციალური სტატუსი იძლევა ხოლმე.

– იცით, რა ხდება? – ისე დაიწყო შეცბუნებულმა კლისიმ, რომ ირონიული ტონი შეენარჩუნებინა. – მინდოდა, ძვირფასი ქალბატონები ყოველგვარი მოულოდნელობისათვის შემეგუებინა...

– მაპატიეთ, კლისი, მაგრამ მიპასუხეთ, ასე რომ იჭაჭებით, რაიმე გარანტიებს ფლობთ?

– რას გულისხმობთ?

– კარგი რა, ბატონო კლისი! ნუ გამამეორებინებთ იმას, რაც ყველამ კარგად უწყის. თუმცა, საძრახისი სულაც არ გახლავთ, ადამიანს ყველგან ჰყავდეს ახლო მეგობრები, თუნდაც მემობილურ შორის... პირიქით, მე თუ მკითხავთ, ამგვარი შორსმჭვრეტელობა მხოლოდ შესაშურია. ნესითა და რიგით, ამაში მალე ყველანი დავრწმუნდებით. ყველა-ყველა და თქვენ ნამდვილად არ გემუქრებათ...

– რა არ ემუქრება?! რა არ ემუქრება?! – შეჰყვირა გაფითრებულმა კლისიმ.

– რა? რა და კედელთან არ მიგაყენებენ, დალახვროს ეშმაკმა! – ამ სიტყვებით ლიზელორამ მას ზურგი აქცია და თან პუბლიკის თავშეკავებული სიცილი გაიყოლა.

ჯგუფი დაიშალა და საბრალო კლისი მარტო დარჩა. დანარჩენები გვერდზე გასულ ლიზელორას გარს შემოერტყენ. მრავალჭირნახული მეომარივით, რომელმაც სულ ახლახანს უკანასკნელი, სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა გადაიხადა, ლიზელორა იატაკზე, სიგარეტის ნამ-

წვებსა და დაქცეული შამპანურის ლაქებთან ჩაჯდა; მოხდენილად გაისწორა ბალმენის სალამოს კაბა, რომელიც ორასი ათას ფრანკზე ნაკლები არ ეღირებოდა და წარმოსახვითი ბრალმდებლის წინაშე გაცხარებულმა დაიწყო საკუთარი კლასის პოზიციის დაცვა. იმის გამო, რომ გარშემომყოფთაგან არავის გაუპროტესტებია მისი არგუმენტები, ლიზელორამ ჩათვალა, რომ მეგობრებს სათანადოდ არ ესმით მისი, ამიტომ ხშირ-ხშირად მიაპყრობდა მზერას ზემოთ, ხალხის სახეებისაკენ.

– განა ცნობილია მათთვის, რამხელა მსხვერპლის გაღება გვინევს ჩვენ ყოველდღიურად? იციან თუ არა, რომ ჩვენს საბანკო ანგარიშებზე ერთი სოლდოც აღარ დევს?.. ძვირფასეულობა?.. ოოჰ, ძვირფასეულობა! – იმეორებდა იგი და ისეთ მოძრაობას აკეთებდა, თითქოს უნდოდა ჩამოეგლიჯა ორასგრამიანი ტოპაზებით მოოჭვილი ოქროს სამაჯური. ამას შეხედეთ!.. თუნდაც სულ დავურიგოთ მათ ეს ბრჭყვიალა ნივთები, შეიცვლება რამე?.. არა, ბატონებო, საქმე ეს არ გახლავთ... – მის ხმაში ქვითინის ნოტამ გაიჟღერა. – მათთვის ჩვენი ფიზიონომიაა მიუღებელი... მათ ატანა არა აქვთ კულტურული ადამიანებისა... ვერ გვითხარენ, რადგან მათსავით არ ვყარვართ... აი, ეს გახლავთ ახალი „რეალობა“, ახალი „სამართლიანობა“, რისკენაც მიილტვიან ეს ღორები!..

– ლიზელორა, ძვირფასო, გაფრთხილდი! – მიმართა ვიღაც ახალგაზრდამ. – აქ კედლებსაც ყურები ასხია!

– ეშმაკსაც წაუღია სიფრთხილე! გგონია, არ ვიცი, რომ მე და ჩემი ქმარი პირველნი ვართ მათ სიაში? მოსაფრთხილებელი არაფერი მჭირს! ჩვენმა სიფრთხილემ დაგვლუპა სწორედ. ახლა კი... – მან დაასლოკინა, – მართლაც რომ საკმარისია...

კლაუდიო კოტესი ერთადერთი გახლდათ დარბაზში მყოფთაგან, ვინაც ამ ორომტრიალში ფეტვის მარცვალის

დაიბნა. ის წააგავდა (წარსულის შედარებას თუ გამოვიყენებთ) გამოცდილ მეძებარს, რომელმაც, შარს რომ არ გადაყროდა, ფრთხილად შემოუარა კაცი-ჭამიების სოფელს, საკუთარ კარავთან, უხიფათო ადგილას მისულმა კი იქვე, ბუჩქებში, „შეგსანსლავთ“ ტომის ველურების შუბის წვერები შენიშნა... შემდეგ, დაკვირვებით რომ მიმოიხედა, გარშემო ასობით მბრწყინავი, მშვიერი თვალი დალანდა.

მოხუცი პიანისტი ციებიანივით ააკანკალა ამბავმა, რომ „მორცისტები“ მოქმედებაზე გადავიდნენ. მთელი დღის განმავლობაში რამდენი ელდა ერგო მოხუცს წილად: ჯერ ბუნდოვანი, ავი წინათგრძნობა, სატელეფონო ზარმა რომ დატოვა მერე გაიძვერა ბომბესის ნართაულები; უცნაური ბატონის მუქარანარევი გაფრთხილება ანტრაქტის დროს და ბოლოს, თავსდამცეადარი ხმები უცილობელი კატასტროფის მოახლოების შესახებ! რა იდიოტია არდუინო! არეულობის დაწყებისათანავე გაუსწორდებიან „მორცისტები“! საშველი არ არის – ახლა, რა თქმა უნდა, ძლიერ გვიანია!

„კაცმა რომ თქვას, განა კარგის მაუწყებელი არ არის უცნაური ნაცნობის გამაფრთხილებელი ტონი? – თავს იმშვიდებდა მოხუცი. – ეს ხომ ნიშნავს, რომ არდუინო მხოლოდ ეჭვმიტანილია და მეტი არაფერი?“ „მერე რა, რომ ეჭვმიტანილია?“ – გააპროტესტა ვილაც მეორემ მანესტროს სხეულში. „პუტჩისტებისთვის ნებისმიერი ეჭვი უკვე ხელმოსაჭიდი ფაქტია! გამორიცხული არ არის, რომ ამ გაიძვერებმა არდუინო დღეს მხოლოდ იმიტომ გააფრთხილეს, რომ უკვე ძალიან გვიანია და თავის გადარჩენას მაინც ვერ შეძლებს!“ დაზაფრული მოხუცი ნერვიული, დათრგუნვილი სახით გადადიოდა ჯგუფიდან ჯგუფში, იქნებ, რაიმე დამამშვიდებელი ამბავი გაეგო, თუმცა კარგი ამბების ადგილი ამ დარბაზში თითქოს აღარ დარჩენილიყო. მუდამ მოლიმარი, კეთილი, ენამახვილი კოტესი ისე მოეგე-

ხა ელდას, რომ ნაცნობ-მეგობრები მის დანახვაზე უხერხულად იმშუშნებოდნენ, თუმცა საკუთარი სადარდებელი იმგვარად მოსწოლოდათ, მოხუცის დამშვიდების თავი არავის ჰქონდა. უფრო მეტიც, მათთვის რომ გეკითხათ, ვის, ვის და კოტესს რისი უნდა შინებოდა, ვინ რას დაუშავებდა.

ფოიეში მობორიალე კოტესი შამპანურს მიეძალა, რომელსაც მსახურნი უშურველად დაარბენინებდნენ აქეთ-იქით. ეს გარემოება მის აბნეულ აზრებს კიდევ უფრო გაურკვეველს და აბურდულს ხდიდა.

უეცრად თავში ყველაზე მარტივი და ყველაზე სწორი აზრი მოუვიდა. სასაცილოც კი იყო, ეს აქამდე რად არ მოაფიქრდა. სასწრაფოდ უნდა დაბრუნდეს შინ და არდუინო გააფრთხილოს, რომ მცირე ხნით მიიმალოს. მას ხომ უამრავი მეგობარი ჰყავს, ვინც შეიფარებს! კოტესმა საათს დახედა – ორის ათი წუთი შესრულებულიყო – და კიბისაკენ გაემურა.

კარებთან მიახლოებული კოტესი შეაჩერეს.

– ამ შუალამისას საით გაგინვეიათ, მანესტრო? რა სახე გაქვთ? ცუდად ხომ არა ხართ? – მის ბრწყინვალემა დონა კლარას საპატიო სტუმრების ჯგუფი მიეტოვებინა და ვილაც ახალგაზრდა მამაკაცთან ერთად გასასვლელთან დაეკავებინა ადგილი.

– ოოჰ, ძვირფასო დონა კლარა! – გონს მოვიდა კოტესი. – განა სად უნდა მიდიოდეს ჩემი ასაკის კაცი, თუ სულ არ გამობენტერებულა? რალა თქმა უნდა, შინისაკენ.

– ძვირფასო მანესტრო, – დონა პასალაკუას ხმა უაღრესად მზრუნველად ჟრერდა. – დაბეჯითებით გირჩევთ, მცირე ხანს შეიცადოთ. ახლა გარეთ გასვლა ნამდვილად არ ღირს... ქუჩაში რალაც არეულობაა... ხომ გესმით ჩემი?

– რაო? წუთუ დაინყეს?

– ნუ ღელავთ, ძვირფასო, გვედრებით, ნუ ღელავთ. არანაირი საფრთხე

არ გვემუქრება. ნენე, გთხოვთ, მასტრო ადგილამდე მიაცილო! იქნებ, საგულე ნვეთებიც დააღვივინოთ ვინმემ...

ნენე კოტესის ძველი მეგობრის, კომპოზიტორ ჯიბელის ვაჟი გახლდათ.

ამასობაში დონა კლარამ გზა სხვა ჯგუფს გადაუჭრა, რომელიც გასასვლელისაკენ მიემუხრებოდა. ახალგაზრდა კაცმა კოტესს ხელკავი გამოსდო და ბუფეტისაკენ წაიყვანა, გზადაგზა კი ახალი ამბები ამცნო. სულ რამდენიმე წუთის წინ მოსულა ადვოკატი ფრიჯერიო, უალრესად გათვითცნობიერებული ადამიანი, პრეფექტის ძმის უახლოესი მეგობარი. მან სპეციალურად შემოირბინა თეატრში, რათა გაეფრთხილებინა ყველა, ქუჩაში გამოსვლისაგან თავი შეეკავებინათ. „მორცისტებმა“ თავიანთი ძალები ქალაქის გარეუბნებში განალაგეს და წუთი წუთზე აპირებდნენ ცენტრის მიმართულებით დაძვრას. პრეფექტურა, ფაქტობრივად გარშემორტყმულია. პოლიციის რამდენიმე რაზმი მოწყვეტილი აღმოჩნდა მთავარი ძალებისაგან... მოკლედ, ქალაქში მდგომარეობა დაძაბულია. აქედან გამომდინარე, ფრაკებში გამონყობილი ადამიანების „ლა-სკალადან“ გასვლა გამართლებული არ იქნებოდა. თეატრში დარჩენა ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან „ლა-სკალა“ „მორცისტებისთვის“ სტრატეგიულ ობიექტს არ წარმოადგენდა.

ახალმა ამბავმა, რომელიც დარბაზს ელვის სისწრაფით მოედო, იქ მყოფებზე საშინლად იმოქმედა. საზოგადოება დარწმუნდა, რომ საქმე სერიოზულად იყო და გაირინდა. მხოლოდ გროსგემუტის გარშემო იგრძნობოდა გარკვეული გამოცოცხლება. არავინ იცოდა, რა უნდა ექნათ მისთვის. კომპოზიტორის გადაღლილი მეუღლე ჯერ კიდევ ერთი საათის წინ ითხოვდა შინ, სასტუმროში წასვლას. როგორ უნდა გაეყვანათ აღმოდებულ ქუჩებში საპატიო სტუმრები? ერთი მხრივ, უცხოელ, ხანშიშესულ სტუმარს არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ სასტუმრო

ხომ სადგურთან, „ლა-სკალადან“ შორს იყო. იქნებ, პოლიციელების ესკორტის თანხლებით გაეყვანათ? არა, ეს კიდევ უფრო სახიფათო შეიძლება ყოფილიყო.

თეატრის დირექტორ გირშს იდეა დაეებადა.

– დონა კლარა, მომისმინეთ, გეთავაზ... როგორმე „მორცისტების“ ხელმძღვანელობას რომ დავკავშირებოდით... აქ ხომ არ მოგიკრავთ თვალი რომელიმე მათგანისთვის?.. სანერვიულო აღარაფერი გვექნებოდა...

– ვცადოთ?! – დონა კლარა ჩაფიქრდა. – რა თქმა უნდა! ყოჩაღ, გირშ, ფანტასტიკური აზრია!.. ჩათვალეთ, რომ გაგვიმართლა: ერთ-ერთი მათგანი მართლაც დავინახე წელან. დიდი ფიგურა არ უნდა იყოს, მაგრამ, ასეა თუ ისე, პარლამენტის დეპუტატია... ლაიანის ვგულისხმობ... დიახ, დიახ, ლაიანის... ახლავე მოვნახავ.

დეპუტატი ლაიანი გახლდათ სწორედ ის, ძველმოდურ სმოკინგსა და გაქეჩილ პერანგში გამონყობილი უსახო კაცუნა, რომელსაც ჭუჭყიანი ფრჩხილები ჰქონდა. ლაიანი ძირითადად აგრარულ საკითხებზე მუშაობდა. მილანში იშვიათად უწევდა ყოფნა, რის გამოც ქალაქში არ იცნობდნენ. სპექტაკლის დასრულების შემდეგ, დანარჩენებისგან განსხვავებით, იგი ბუფეტისკენ კი არ გაემართა, არამედ თეატრალურ მუზეუმში შევიდა და კარგა ხანს დაჰყო იქ. მუზეუმიდან გამოსული სავარძელზე ჩამოჯდა და იაფფასიანი სიგარეტი გააბოლა.

დონა კლარა მტკიცე ნაბიჯით მიუახლოვდა მას. დეპუტატი ფეხზე წამოდგა.

– ბატონო დეპუტატო, აღიარეთ, – მიკიბე-მოკიბვის გარეშე დაიწყო ქალბატონმა პასალაკუამ, – ჩვენი მეთვალყურეობა დაგავალეს?

– უკაცრავად! რატომ მეთვალყურეობა? რისთვის?! – დეპუტატმა გაოცების ნიშნად წარბები დაქაჩა.

– მე მკითხებით? ვის-ვის და თქვენ კარგად უნდა მოგეხსენებოდეთ, რაც

ხდება! თქვენ ხომ „მორცისტი“ ხართ!

– ააჰ, ამას გულისხმობდით? რა თქმა უნდა, რალაცები მეც ვიცი... გულახდილად რომ გითხრათ, თავიდანვე ვიცოდით... მეტიც, ვიცი იერიშის გეგმაც... დიახ, დიახ.

დონა კლარამ ურყევი სახით გადაიტანა ეს საშინელი „დიახ, დიახ“ და გაანაგრძო:

– მისმინეთ, ბატონო დეპუტატო, შესაძლოა თქვენ არ გადარდებდეთ, მაგრამ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით. გროსგემუტი დაიღალა, დასვენება სჭირდება, ჩვენ კი არ ვიცით, როგორ მივაცილოთ სასტუმრომდე. ხომ გესმით? ქუჩებში არეულობა... ყველაფერი შეიძლება მოხდეს... გაუგებრობა, ინციდენტი, ხიფათი ერთ ნამში ხდება... მეორე მხრივ, როგორ ავუხსნათ მაესტროს შექმნილი სიტუაცია? უცხოელთან ამ თემაზე საუბარი, ცოტა არ იყოს, უხერხულია. ამასთან...

ლაიანიმ პასალაკუას სიტყვა შეანყვეტინა:

– თუ სწორად ჩავხვდი თქვენს სიტყვებს, თქვენ მოითხოვთ, რომ ვისარგებლო ჩემი ავტორიტეტით და გროსგემუტი სასტუმრომდე მივაცილო? ჰა-ჰა-ჰა! – მან ისე გადაიხარხარა, რომ საბრალო დონა კლარას ძარღვებში სისხლი გაეყინა. ლაიანი კი იცინოდა! იცინოდა და თან მარჯვენა ხელს ისე იქნევდა, თითქოს აჩვენებდა, რომ ესმის, რა თქმა უნდა, ესმის, ასეთი ხარხარი უზრდელობაა, რომ იგი ბოდიშს იხდის, მაგრამ თავს ვერაფერს უხერხებს. ბოლოს სული ოდნავ მოითქვა, სხეული ჯერ კიდევ უთრთოდა და მისთვის ჩვეული მანერულობით წარმოთქვა:

– ჩემო ძვირფასო ქალბატონო, მე უკანასკნელი ვარ... გესმით, რას ვგულისხმობ?... დიახ, მე უკანასკნელი ვარ თქვენს შორის, ლაქიებისა და კაპელდინერების ჩათვლით... უკანასკნელი, ვისაც გენიალური გროსგემუტის დაცვა შეუძლია, ეს ასეა... ჩემი ავტორიტეტი? არა,

პირდაპირ განსაცვიფრებელია! იცით თუ არა, ქალბატონო, ჩვენს შორის, რომელს მოიცოლებენ „მორცისტები“ პირველ რიგში? იცით თუ არა? – ლაიანი პასუხს ითხოვდა.

– არა, რა თქმა უნდა, არ ვიცი, – უპასუხა დონა კლარამ.

– თქვენს მონა-მორჩილს, ჩემო ძვირფასო ქალბატონო! დიახ, დიახ! სწორედ მე მომიღებენ ბოლოს.

– ნუთუ იმის თქმა გსურთ, რომ თქვენც შავ სიაში აღმოჩნდით? – ძლივს ამოლერღა დონა კლარამ.

– ვაი, რომ ასეა.

– როგორ? მაინცდამაინც დღეს საღამოს?

– დიახ! ბედი არ გინდა? სწორედ მეორე და მესამე აქტს შორის მოხდა ეს ამბავი – მცირე შეხლა-შემოხლის შემდეგ. თუმცა, ვფიქრობ, რომ ჩემი მოცილება კარგა ხნის გადაწყვეტილი იყო.

– ასეა თუ ისე, ამ გადაწყვეტილებას, როგორც ჩანს, თქვენს განწყობაზე მაინცდამაინც არ უმოქმედია...

– ჰმ. სხვა რა დამრჩენია! – მწარედ ამოიოხრა მან. – ყოველთვის ველი უარესს... მიჩვეული გახლავართ... სხვაგვარად ხომ გავგიჟდებოდი...

– როგორც სჩანს, ჩემი მისია ჩაიშალა. გიხდით ბოდიშს და წარმატებას გისურვებთ, ვგონებ, ამ შემთხვევაში ამგვარი სურვილები სწორედ რომ დროულია, – ისროლა უკანასკნელი სიტყვები უკვე ზურგით შებრუნებულმა დონა კლარამ.

– არაფერი გამოგვივიდა, – ამცნო მან დირექტორ გირშს. – ჩვენი დეპუტატის მხარდაჭერა გახვრეტილ შაურადაც არ ღირს... არ იღელვოთ, გირშ... გროსგემუტზე მე ვიზრუნებ...

სტუმრები, სრულ სიჩუმეში რომ ადევნებდნენ თვალყურს გამართულ მოლაპარაკებას, ხარბად იჭერდნენ ცალკეულ ფრაზებს, რაც ავ წინათგრძნობას კიდევ უფრო უმძიმებდათ. მაგრამ ისე აშკარად არავის დაეჭყიტა თვალეები, როგორც მაესტრო კოტესს: დეპუტატ ლაიანიში

მოხუცმა სწორედ ის უცნაური ბატონი ამოიცნო, ანტრაქტზე არღუინოს შესახებ რომ ესაუბრა.

დონა კლარას ძალდაუტანებელმა დი-ალოგმა „მორცისტ“ დეპუტატთან, ამის შემდეგ იმ ფაქტმა, რომ სენიორა პასალაკუამ თვით განიზრახა გროსგემუტის სასტუმრომდე გაცილება, იქ მყოფ საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მაშ, სიმართლეს შეესაბამება ის ჭორები, – გაიფიქრა ზოგიერთმა: ესე იგი, მიუხედავად პოზისა, რომ პოლიტიკა საერთოდ არ აინტერესებდა, დონა კლარა სულაც არ იყო უბრად „მორცისტებთან“. ჩანდა, იგი მშვენივრად ახერხებდა ორ მტრულ ბანაკს შორის ლავირებას. თუმცა, ვინც ამ ქალბატონს იცნობდა, ამ ამბავს სრულიად არ გაუკვირვებია. განა შეიძლებოდა იმის დაშვება, რომ საკუთარ მდგომარეობას ასე გააფთრებით ჩაჭიდებულ დონა კლარას ყველა შესაძლო ვარიანტი არ გაეთვალა და თავიდანვე არ გაება ძაფები „მორცისტებთან“? ფოიეში მყოფი ქალბატონები აღშფოთებას ვერ მალავდნენ, მამაკაცები კი მის მიმართ თანაგრძნობითაც კი განიმსჭვალნენ.

გროსგემუტისა და პასალაკუას წასვლამ, რაც მიღების დასრულების ნიშანი გახლდათ, დარბაზისერი კიდევ უფრო ააფორიაქა. ეტიკეტით გათვალისწინებული აღარც ერთი მიზეზი აღარ არსებობდა იმისათვის, რომ სტუმრები თეატრში დარჩენილიყვნენ. ყველა ნიღაბი ჩამოიხსნა. ფრაკები, დეკოლტეები, ძვირფასეულობა – მთელი ეს სადღესასწაულო „არსენალი“ საცოდავ ძონძებად იქცა, სწორედ ისე, კარნავალის დასრულების შემდეგ რომ ხდება: ზეიმი დამთავრდა და სადაგ დღეებს დაუთმო ადგილი... უბრალოდ, სადაგ დღეებს კი არა – კარსმომდგარი დილა საშინელებას უქადდა ყველას.

სტუმრების ერთი ჯგუფი აივანზე გავიდა, რათა ქვემოთ გადაეხედათ. „ლასკალას“ წინამდებარე მოედანი სრულიად უკაცრიელი იყო. მიტოვებული, შავზე

უფრო გაშავებული ავტომობილები თითქოს სიზმრებს ხედავდნენ. მძლოლები? სად წავიდნენ მძლოლები? იქნებ, უკანა სავარძლებზე მოკუნტულან და თვლემენ შეცივებულები? ან გაიქცნენ და აჯანყებას შეუერთდნენ? ქუჩების ლამპიონები ისე ანათებდა, როგორც ყოველთვის; ქალაქს ეძინა. აივანზე მდგომნი გაფაციცებულნი უსმენდნენ, ელოდნენ, როდის გაისმებოდა ავი გუგუნი, როდის მოაწყდებოდა „ლასკალას“ კედლებს განწირული ყვირილის ექო, სროლის ხმა, ჯავშანმანქანების გრიალი, მაგრამ ირგვლივ სიჩუმე ჩამოწოლილიყო.

– ხალხო, რა სისულელეს ჩავდივართ! – წამოიყვირა ვილაცამ. – ეს ილუმინაცია რომ დაინახონ, რას გვიზამენ? ერთი განათებული სამიზნე ვართ ყველანი!

სასწრაფოდ დაბრუნდნენ დარბაზში და თვითონვე ჩამოუშვეს ფარდები; ვილაც ელექტრიკოსის საძებნელად გაიქცა. სულ მალე ფოიეს დიდი ჭალები ჩააქრეს. კაპელდინერებმა ერთი დუჟინი შანდალი მოიტანეს და იატაკზე წრიულად დაამწკრივეს. თითქოს ცუდი ნიშანი ყოფილიყოს, ისე დაამძიმა სტუმრების გულები ამ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალმა. რადგან სავარძლების ნაკლებობა იგრძნობოდა, ლაბადები და პალტოები სასწრაფოდ დააფინეს იატაკზე. მუზეუმის გვერდით, ტელეფონიან პატარა ოთახთან, რიგი დადგა. მათ შორის კოტესიც იმყოფებოდა, იმ იმედით, რომ ტელეფონით მაინც შეძლებდა არღუინოს გაფრთხილებას.

არავინ ხუმრობდა, არავის ახსოვდა გროსგემუტი და მისი „ყრმათა მოკვდინება“.

მოხუცი პიანისტი რიგში ორმოცდახუთი წუთი იდგა. ბოლოს, ოთახში მოხვედრილი (სადაც ნათურა, უფანჯრობის გამო, ანთებული დაეტოვებინათ) გვარინად დაიტანჯა, სანამ სწორად აკრეფდა ნომერს – ხელები უკანკალებდა. როგორც იქნა, ზარი გავიდა. ეს ხმა მოხუცის გულს მოესალბუნა – ეს მისი სახლის ხმა იყო.

მაგრამ ყურმილს რატომ არავინ იღებდს? ნუთუ არდუინო ჯერ არ დაბრუნებულა? არადა, შუალამის სამი საათი იდგა. „მორცისტებმა“ ხომ არ დაიჭირეს? კოტესი უშედეგოდ ცდილობდა, შინაგანი თრთოლა დაეძლია. რატომ არ იღებს? ოჰ, გმადლობთ, უფალო!..

– დიახ, გისმენთ, – ყურმილში არდუინოს ნამძინარევი ხმა გაისმა. – რა უბედურებაა!..

– დიახ, დიახ, – წარმოთქვა მამამ.

წარმოთქვა და ინანა. უნდა გაჩუმებულიყო, აჯობებდა: მას მოეჩვენა, რომ ტელეფონი ისმინებოდა. როგორღა გააფრთხილოს შვილი? რა უთხრას? გაქცევა ურჩიოს? როგორ აუხსნას, რა ხდება გარეთ? იქნებ, ისინი საბაბს ეძებენ და ამიტომაც უსმენენ მათ საუბარს?

კოტესი შეეცადა, რაიმე უმნიშვნელო მოეფიქრებინა. მაგალითად, დაებარებინა შვილი „ლა-სკალაში“, ვითომდაც რეპეტიციასზე. არა! მისი შინიდან გამოსვლა არაფრით არ შეიძლება! აჯობებს, უთხრას, რომ პორტმანი დარჩა სახლში და ამის გამო ნერვიულობს? ეს კიდევ უარესი... შვილი ვერ მიხვდება, რა უნდა ქნას, „მორცისტები“ კი რალაცას იეჭვებენ.

– იცი... – დროის მოსაგებად კოტესმა სიტყვა განელა. ყველაფერს აჯობებს, უთხრას, რომ შესასვლელი კარის გასაღები დარჩა სახლში: ეს კი ნამდვილად კარგი საბაბია ასეთი გვიანი ზარისათვის. – იცი? – გაიმეორა მან, – გასაღები დამრჩა. ოციოდ ნუთში მოვალ.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ეცა ელდა. ვაითუ, არდუინო გარეთ გამოვიდეს და ქუჩაში დაუნყოს ლოდინი? იქნებ, მის დასაპატიმრებლად ვილაცები გაგზავნეს და ახლა კართან ელოდებიან?

– არდუინო! – ხმის ამოღება არ აცალა მან შვილს. – სანამ არ მოვალ, ქვემოთ არ ჩამოხვიდე. მოვალ და დაგისტვენ.

„რა იდიოტი ვარ!“ – შეუკურთხა თავის თავს. „მაინც ვუკარნახე „მორცისტებს“, როგორ გამოიტყუონ გარეთ!“

– ყურადღებით მომისმინე, შვილო, –

განაგრძო მოხუცმა. – ყურადღებით... მანამ არ ჩამოხვალ, სანამ თემას არ დავუსტვენ „რომანული სიმფონიიდან“, გამიგე?... კარგი, შევთანხმდით. გევედრები...

მან სასწრაფოდ დააგდო ყურმილი, რათა ზედმეტი შეკითხვები არ დასმულიყო. „ღმერთო დიდებულო, ეს რა ჩავიდინე! არდუინო აზრზეც არ არის, ისე დავაყენე „მორცისტები“ მის კვალზე. რა მოხდება, თუკი მათ შორის ვინმე მელომანი აღმოჩნდება, რომელმაც იცის ეს სიმფონია? აი, უახლოვდება იგი საკუთარ სახლს, ისინი კი ჩასაფრებულან და ელიან მიამიტ მოხუცს, როგორ გამოიყვანს შვილს შინიდან. ოჰ, ამაზე მეტ სისულელეს მართლაც ვერ მოიფიქრებდა. იქნებ, თავიდან დარეკოს და ყველაფერი პირდაპირ უთხრას?“ ამ დროს, კარი გაიღო და ვილაც გოგონამ შეშინებული თვალებით შემოიხედა. კოტესმა შუბლზე ცივი ოფლი მოიწმინდა და გარეთ გამოვიდა.

მის არყოფნაში მდგომარეობა დარბაზში კიდევ უფრო დამძიმებულიყო. ფოიეს უსასოობისა და განწირულების შარავანდი დაჰფენოდა. სავარძლებში ერთმანეთთან მჭიდროდ მიმსხდარი, დაზაფრული ქალბატონები ხმამაღლა ოხრავდნენ. ზოგიერთ მათგანს ძვირფასეულობა მოეხსნა და საგულდაგულოდ შეენახა ჩანთებში; სხვანი სარკეებთან მიყურსულიყვნენ და როგორც შეეძლოთ, საგულდაგულოდ იუბრალოებდნენ ვარცხნილობას; მესამე ნაწილს ვუალები და მოსასხამები თავზე ისე აეხობოლავებინათ, რომ მონანიე ცოდვილებს დამსგავსებოდნენ.

– ლოდინი უკვე აუტანელი გახდა, ამ ყველაფერს ბოლო უნდა მოეღოს – ან ისე, ან ასე.

– ესლა გვაკლდა... გეფიცებით, გული მიგრძნობდა... სწორედ დღეს ვაპირებდით ტრამეცოში წასვლას, მაგრამ ჯორჯოს ისე უნდოდა პრემიერის ნახვა; ვეუბნებოდი: ჯორჯო, იქ გველიან, მან კიდევ, პასუხად – დავურეკოთ და გა-



ვაფრთხილოთ... გეფიცებით, ნამდვილად მიგრძნობდა გული... ახლა კიდევ ეს დაწყევლილი შაკიკი... საბრალო ჩემო თავო!..

– ძალიან გთხოვ, არ გინდა... შენ მაინც არაფერი გემუქრება...

– ნარმოგიდგენიათ, ჩემი მეზაღე ფრანჩესკო მარწმუნებდა, თითქოს საკუთარი თვალთ აქვს ნანახი მათ მიერ შედგენილი შავი სია!.. თვითონაც „მორცისტების“ წევრია... ამბობენ, მხოლოდ მილანში ორმოცი ათას კაცამდე ჰყავთ დასაპატიმრებელი.

– ღმერთო, დიდებულო, ნუ დაუშვებ ამ საშინელებას...

– ხომ არ არის რაიმე სიახლე?

– არა, არაფერი ისმის.

– ხალხი უკვე შეიკრიბა?

– ხომ გითხარით, არაფერი ისმის-მეთქი – არაფერი...

ერთ-ერთ ქალბატონს ხელები უნებლიეთ ისე აღეპყრო, თითქოს ლოცულობსო, რაც სრული სიმართლე გახლდათ; სხვა გაცხარებული სახით, შეუჩერებლად, ისტერიკულად ეჩურჩულებოდა მეგობარს.

მამაკაცები იატაკზე დამსხდარიყვნენ. ზოგიერთ მათგანს ფეხსაცმელები გაეძრო, პერანგი გაეღელა, ჰალსტუხი მოეხსნა; ეწეოდნენ, ამთქნარებდნენ, ხვრინავდნენ, ხმადაბლა კამათობდნენ, მოოქრული კალმებით პროგრამის ბუკლეტის გვერდებზე რაღაცას გამალებით წერდნენ. ექვსიოდე კაცი ჩამოშვებული ჟალუზების ღრიჭოებს აკვროდა და გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ქუჩას, რათა დარბაზისთვის საშიშროების შესახებ სასწრაფოდ ემცნო. იქით, კუთხეში, მარტოდმარტო, მობუზული და გაფითრებული დეპუტატი ლაიანი ჩამომჯდარიყო და თავის იაფფასიან „ნაციონალს“ ღერს ღერზე ეწეოდა.

კოტესის არყოფნაში ალყაშემორტყმულთა რიგებში უცნაური დაჯგუფებები გაჩნდა. ჯერ კიდევ იქამდე, სანამ მათგან დასარეკად წავიდოდა, სანტე-

ნიკის ქარხნის ინჟინერმა კლემენტიმ დირექტორი გირში გვერდზე გაიყვანა და დაჟინებით დაუნყო რაღაცის მტკიცება. ცოტა ხნის შემდეგ, ისე, რომ საუბარი არ შეუწყვეტიათ, მათ თეატრის მუზეუმისკენ გადაინაცვლეს და იქ სიბნელეში დაბანაკდნენ. შემდეგ გირში ისევ გამოჩნდა ფოიეში, ოთხიოდე კაცს რაღაც ჩასჩურჩულა და თან წაიყვანა. ესენი გახლდნენ: მწერალი კლისი, სოპრანო ბარი, მანუფაქტურით მოვაჭრე პროსდოციმი და ახალგაზრდა გრაფი მარტონი. ყველანი შეუერთდნენ ინჟინერ კლემენტის და მუზეუმის ბნელ ოთახში საიდუმლო ორდენისმაგვარი კავშირი შეკრეს. კაპელდინერმა უბოდიშოდ წაავლო ხელი ერთ-ერთ შანდალს, რომელიც დარბაზს ანათებდა და თეატრის მუზეუმში, მათთან გადაიტანა.

ამ მანევრებმა, რომლებსაც თავიდან ყურადღება არავინ მიაქცია, ბოლოს და ბოლოს, ფოიეში დარჩენილებში ცნობისმოყვარეობა და მეტიც, მღელვარება გამოიწვია; მართლაც, ხალხი ისეთ მდგომარეობამდე მისულიყო, რომ ნებისმიერი უმნიშვნელო მიზეზიც კი საკმარის საფუძველს ქმნიდა ვნებათა ღელვის გამოსანვევად, ასაფორიაქებლად. მუზეუმის ახლომახლო შემთხვევით მოხვედრილებმა გადაწყვიტეს, შესულიყვნენ შეკრებილ საზოგადოებასთან და გაერკვიათ, რა ხდებოდა... ცნობისმოყვარეთა დიდი ნაწილი ფოიეში აღარ დაბრუნებულა. გირში და კლემენტი, იმის მიხედვით, თუ ვინ შეიხედავდა ოთახში, ან წყვეტდნენ საუბარს, ან დაჟინებით მოითხოვდნენ სტუმრის შესვლას. ძალიან მალე სეპარატისტების რიცხვი ოცდაათამდე გაიზარდა.

ვინც კი მათ იცნობდა, წამსვე მიხვდებოდა, თუ რა ხდებოდა. კლემენტიმ, გირშმა და დანარჩენებმა სასწრაფოდ გადაწყვიტეს, გამოყოფოდნენ სხვებს და „მორცისტების“ მხარეს გადაბარებულყვნენ. ზოგიერთ მათგანზე ადრეც დადიოდა ჭორები, რომ ძღვევამოსილი სექტის წინაშე ლმობიერებას, შემწყნა-

რებლობას იჩენდნენ. რაც შეეხებოდა კლემენტის, ყველაფერი ნათელი იყო. მისი შვილი (ვირიშვილი!) „მორცისტებთან“ რალაცას ხელმძღვანელობდა. ცოტა ხნით ადრე კლემენტი ტელეფონის ოთახში შევიდა და იქ მთელი თხუთმეტი წუთის განმავლობაში ვილაცას ესაუბრებოდა. საგარაუდოდ, როგორც კი ხიფათი იგრძნო, კლემენტიმ შვილს დაურეკა და დახმარება სთხოვა. თავის მხრივ, უმცროსმა კლემენტიმ, ისე, რომ საკუთარი თავის კომპრომეტაცია არ მოეხდინა, მამას ურჩია, დამოუკიდებლად ემოქმედა, სასწრაფოდ შეექმნა სოლიდარობის კომიტეტი, ასე ვთქვათ, „ლა-სკალას“ ხუნტა, რომელსაც „მორცისტები“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ტაქტიკური თვალსაზრისით, ალბათ, არაფერს დაუშავებენ. ბოლოს და ბოლოს, სისხლი – შენიშნა ვილაცამ, – წყალი ხომ არ არის!

კლემენტისგან განსხვავებით, სხვათა ქმედება ახსნას არ ექვემდებარებოდა. ისინი სწორედ იმ წრეს წარმოადგენდნენ, „მორცისტებს“ სხვებზე მეტად რომ ეზიზღებოდათ. თანდაყოლილი ნაკლის, მორალური ხრწნის, სოციალური უსამართლობის მატარებელნი – ასეთი მძიმეწონიანი არგუმენტებით ამკობდა მათ „მორცისტების“ პროპაგანდა. ასე უეცრად, თვალის დახამხამებაში მტრის ბანაკში გადაბარგება, წარსულის უარყოფა და სულ რალაცა წუთების წინ საკუთარი მჭევრმეტყველური ნიაღვრების საწინააღმდეგო საქციელი სრულიად გაუგებარი გახლდათ დანარჩენთათვის. ცხადზე ცხადი იყო, რომ ისინი კარგა ხანია, ფარულ მოლაპარაკებებს მართავდნენ, რათა, გადატრიალების შემთხვევაში, თავი ნებისმიერ ფასად გადაერჩინათ; რა თქმა უნდა, მოლაპარაკებებს შუამავლების მეშვეობით აწარმოებდნენ, ემანდ, საკუთარი წრის თვალში ჩირქი არ მოსცხებოდათ. მაგრამ ჩამოჰკრა ზარმა, დადგა ის წუთი, რისიც ასე ემინოდათ და ამიტომაც დაირღვა დეკორი, ჩამოიხსნა ნიღბები; ჯანდაბას მემკვიდრეობითი თუ

მოპოვებული ადგილი საზოგადოებაში, წყალსაც წაუღია ყველა გავლენიანი ნაცნობი; რა დროს პრესტიჟზე ფიქრია – სიცოცხლეა ფსონზე დადებული!

თუკი თავიდან ზემოაღწერილი მანერები შეუმჩნევლად მიმდინარეობდა, ახლა წილი ნაყარი იყო, ღიად მოქმედების დრო დადგა. მუზეუმის მცირე დარბაზში კვლავ აანთეს ელექტროობა და ფართოდ გამოაღეს ფანჯრები, რათა ქუჩიდან ყველაფერი გამოჩენილიყო: „მორცისტები“ მოედანს მოადგებიან თუ არა, წამსვე მიხვდებიან, რომ „ლა-სკალაში“ საიმედო მოკავშირეები ჰყავთ.

ფოიეში დაბრუნებულ კოტესს თვალი მოსჭრა მუზეუმში ანთებული ელექტრონის შუქსხივებმა, რომლებსაც ძალუმად ირეკლავდა დარბაზის სარკეები. მერე გაცხოველებული კამათის ხმაც შემოესმა. მომხდარმა ცვლილებებმა მაესტრო დაარეტიანა. რატომ ჩართეს მუზეუმში შუქი, ფოიე კი ისევ ჩაბნელებულია? რა ხდება?

– კი მაგრამ, რას აკეთებენ ისინი იქ? – ხმამაღლა იკითხა ბოლოს.

– რას აკეთებენ? – ექოდ გაისმა ლიზელორა ბინის ნარნარი ხმა; იგი ისევ იატაკზე იჯდა მეუღლის მხარს ჩახუტებული. – წმინდაო სიგლახაკე! მაკიაველის შთამომავლობამ თეატრალური დაჯგუფება შექმნა. დროს ხომ არ დაკარგავდნენ... იჩქარეთ მაესტრო, იჩქარეთ, თორემ, შეიძლება აღარც მივიღონ. ვერაფერს იტყვი, ქებათა ქება მათ!.. ისინი შეგვპირდნენ, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებენ ჩვენს გადასარჩენად... ახლა კი სადღესასწაულო ნამცხვარს ინანილებენ, საკუთარ კანონებს აწესებენ... წარმოგიდგენიათ, იმდენად გაკეთილშობილდნენ, რომ შუქის ანთების უფლებაც კი მოგვცეს... მიდით, მაესტრო, ერთ რამედ ღირს, ნახოთ, რა საყვარლები არიან... მსუქანი, ბინძური ღორები!.. – ლიზელორა უკვე გაჰკიოდა: – თუ არაფერი მოხდა, ვფიცავ ყველა წმინდანს...

– კარგი რა, ლიზელორა, გეყოფა,

დამშვიდდი, – წარმოთქვა ბინიმ, რომელიც თვალდახუჭული, ღიმილით უსმენდა მეუღლეს, თითქოს მისთვის მთელი ეს ამბავი მხიარულ თავგადასავალს ან სპორტის რაღაც განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენდა.

– ხომ არ იცით, დონა კლარა სად არის? – წამოილულულა თავგზააბნეულმა კოტესმა.

– ოოო, მისი უდიდებულესობა ჩოლახი, როგორც ყოველთვის, მოწოდების სიმალეზეა! მან გენიალური გადაწყვეტილება მიიღო... თუმცა, საკმაოდ რთულად შესასრულებელი... დონა კლარა კურსირებს... გესმით? კურსირებს. მიდის, მოდის, მიდის, მოდის... ორი სიტყვა აქ, ორიც იქით. აბა, რა?! რაც უნდა მოხდეს ამ დაწყველილ ქალაქში, მასთან ყველაფერი რიგზე იქნება... მთავარია – წონასწორობა არ დაკარგოს... არ შეჩერდეს... ზედმეტს არაფერს იტყვის არც იქ, არც აქ... ჩვენი შეუდარებელი თავმჯდომარე!

ყველაფერი მართლაც ასე იყო. კლარა პასალაკუამ, როგორც კი გროსჰემუტი სასტუმროში მიაცილა, უკან დაბრუნდა, რათა მართვის სადავეები კვლავ ხელში აეღო. ყოველგვარი შფოთის გარეშე დაიწყო საპირისპირო პარტიების თამაში. პირველ ყოვლისა, ისეთი პოზა დაიჭირა, თითქოს მუზეუმში ჩაკეტილთა გეგმების შესახებ არაფერი უწყოდა: თითქოს სტუმართა ჯგუფის ერთ ჩვეულებრივ კაპრიზთან ჰქონდა საქმე. მის შეუჩერებელ მოძრაობებს სხვადასხვა დაჯგუფებებთან პრაქტიკული გათვლა ედო საფუძვლად..... სადმე დიდხანს შეჩერება ხომ რაღაცით დაინტერესებას, რაღაცით დავალებულებას ნიშნავდა. სწორედ ამიტომ, განუტყვევტივ დადიოდა თეატრის დარბაზებში, ამხნევებდა განსაკუთრებით შეშინებულ ქალბატონებს. გონივრულად იზრუნა, რომ შამპანურით უხვად გამასპინძლებოდნენ სტუმრებს. კოჭლობით მოარული კლარა თვითონ

დაატარებდა ლანგრებსა და ბოთლებს და ცდილობდა, კეთილგანწყობა მოეპოვებინა ორივე ბანაკში.

– ეჰეი, ეჰეი... – ფარდის უკან დამალულმა ერთ-ერთმა მოთვალთვალემ ნიშანი მისცა და მოედნისკენ მიუთითა.

ექვსიოდე კაცი მივარდა ფანჯარას. კომერციული ბანკის ფასადის გასწვრივ, ვია კაზე-როტეს მხრიდან უჯიშო ძალლი მორბოდა: თავჩაქინდრული ყნოსვა-ყნოსვით გაუჩინარდა იგი მანძონის ქუჩაზე.

– რატომ დაგვიძახეთ, სენიორ?

– რა ვიცი, ვიფიქრე, ძაღლის უკან...

სიტუაცია უკვე რამდენადმე გროტესკული გახდა. იქ, გარეთ, თვლემდნენ ქუჩები, იდგა სიჩუმე და მეფობდა სიმშვიდე – ყოველ შემთხვევაში თეატრიდან ასე ჩანდა, სადაც საპირისპირო სურათი დახვდებოდა უცხოს – შიში და პანიკა: რამდენიმე ათეული მდიდარი, პატივცემული და ძალაუფლებით აღჭურვილი ადამიანი მორჩილად იტანდა სამარცხვინო საფრთხეს, რომელიც რეალურად არც კი გაცხადებულიყო.

დრო გადიოდა და მიუხედავად იმისა, რომ დაღლილობა და დაბნეულობა კიდევ უფრო მოერიდა საზოგადოებას, ზოგიერთთა გონებაში უცნაური კითხვა დაიბადა: თუკი „მორცისტები“ მართლა გადავიდნენ შეტევაზე, რატომ არც ერთი მზვერავი არ გამოჩნდა ამდენი ხნის განმავლობაში ლა-სკალას მოედანზე? საშინელება იქნებოდა, ესოდენმა შფოთვამ და ლელვამ ტყუილად, ყოველგვარი მიზეზისა და საბუთის გარეშე თუ დაიპყრო მათი გულები... არა, ამაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა.

სანთლების მოცახცახე შუქზე შამპანურით სავსე ბოკალით ხელში პატივცემულ ქალბატონებს ადვოკატი კოზენცი მიუახლოვდა. ერთ დროს მილანელ ქალთა გულთამპყრობელი, ბებრუცანათა შორის დღესაც სახიფათო მამაკაცად ითვლებოდა.

– მისმინეთ, ჩემო ძვირფასებო, –

დაიწყო მან შემპარავად. – შესაძლოა, ხაზს ვუსვამ – შესაძლოა, ხვალ სალამოს მრავალი ჩვენგანი, ვგულისხმობ აქ მყოფებს, თქვენი ნებართვით, ევფემიზმს გამოვიყენებ, კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს... – (ამ სიტყვებს პაუზა მოჰყვა). – მაგრამ, ამავე დროს, ძალიანაც შესაძლებელია, – ჩვენ ხომ არ ვიცით, რომელი ჰიპოთეზა გამართლდება, – სავსებით შესაძლებელია, რომ ხვალ სალამოს მთელი მილანი გაიგებს ჩვენს ამბავს და სიცილით იჯერებს გულს. უკაცრავად, ნუ შემანყვეტინებთ... მოდით, ფხიზლად განვსაჯოთ სიტუაცია და ჩამოვთვალოთ ის შემამოფოთებელი მიზეზები, რამაც გვაიძულა, დაგვეჯერებინა საშიშროება. პირველი ნიშანი: მესამე აქტის მსვლელობის დროს დარბაზიდან „მორცისტების“, პრეფექტის, კვესტორისა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების გაუჩინარება. შეიძლება თუ არა, დაფუშვით, რომ, მათ, მაპატიეთ გამოთქმისთვის, უბრალოდ მობეზრდათ მუსიკა? ნიშანი მეორე: ჩვენს თავებზე, ყველა მხრიდან დამტყდარი ქორები, რომ ჰა-და-ჰა, აჯანყება იწყება. ნიშანი მესამე, შევნიშნავ, ყველაზე დამაფიქრებელი: საშინელი ცნობები, რომლებიც, როგორც ამბობენ – ვიმეორებ: როგორც ამბობენ, – ჩემმა პატივცემულმა კოლეგა ფრიჯერიომ მოგვანოდა. გაითვალისწინეთ, რომ იგი ისე სწრაფად წასულა, აქ მყოფთაგან არავის უნახავს. ეს არაფერი. ფრიჯერიომ განაცხადა, რომ „მორცისტები“ იკავებენ მთელ ქალაქს, რომ ისინი უკვე გარს შემოერთყნენ პრეფექტურას და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ... ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: ღამის პირველ საათზე საიდან მოიპოვა ეს ინფორმაცია ფრიჯერიომ? შესაძლებელია თუ არა, რომ მას ასეთ დროს ანდეს ესოდენ საიდუმლო ცნობები? ვინ ანდო? რისთვის ანდო? ამასთან, შევნიშნავ, რომ ჩვენს გარშემო, ახლომახლო არანაირ მოძრა-

ობას ადგილი არ ჰქონია – არადა, უკვე სამი თუ ოთხი საათია – და არაფერი საეჭვო არ მომხდარა; ხმაურიც კი არ გაგვიგონია. მოკლედ რომ ვთქვა, ეს ყველაფერი გარკვეულ ეჭვებს მიჩენს.

– თუ ასეა, მაშ, ტელეფონით მაინც რატომ ვერ ვიგებთ ვერაფერს?

– სწორი შენიშვნაა, – განაგრძო კოზენცმა და შამპანური მოწრუპა. – ეგ მეოთხე შემამოფოთებელი ნიშანია: ტელეფონების უცნაური დუმილი. ისინი, ვინც პრეფექტურაში ან კვესტურაში რეკდა, ამტკიცებენ, რომ ვერაფრით დაუკავშირდნენ, ყოველ შემთხვევაში, ვერანაირი ინფორმაცია იქედან ვერ მოიპოვეს. კი ბატონო... მაგრამ თქვენი თავი წარმოიდგინეთ რომელიმე ჩინოვნიკის ადგილზე, რომელსაც ღამის ორ საათზე აღვიძებს ტელეფონის ზარი და უცნობი აკანკალებული ხმა ეკითხებათ, აკონტროლებთ თუ არა ქალაქში სიტუაციას? საინტერესოა, რას უპასუხებდით? ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ იმ დროს, როდესაც არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა, გაზეთებსაც არ ამოუღიათ ხმა... ზოგიერთი ჩვენი მეგობარი ჟურნალისტი ცდილობდა, პასუხებში ზოგადი ფრაზებით შემოფარგლულიყო. მაგალითად, ბერტინიმ, „კორიერედან“ ასე მიპასუხა, სიტყვასიტყვით: – „ჯერჯერობით არაფერი გარკვეულად არ ვიცით“. – „კარგი“, – ჩავეძიე მე. – „გაურკვეველად რა იცით?“ მან მიპასუხა: „გაურკვეველად რაც ვიცით, იქიდან ვერაფერს ვიგებთ“. უკან არ ვიხევდი: – „კი მაგრამ, შფოთვის მიზეზი გვაქვს?“ ბერტინიმ მომიჭრა: – „არა მგონია. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით...“

კოზენცმა სული მოითქვა. დარბაზი ისე უსმენდა, თითქოს მისგან მომდინარე ოპტიმიზმის წყაროს დადგენა სურდა. სიგარეტის კვამლი ფოიეში დაცურავდა და ოფლისა და სუნამოების სუნს ერწყმოდა. აღლევებულმა ხმებმა მუხუშის დაკეტილ კარებამდეც მიაღწია.

– და ბოლოს, – განაგრძო კოზენცმა, – შევნიშნავ, რომ ტელეფონით მოპოვებული ცნობების გამო, უფრო ზუსტად, მათი არარსებობის გამო, ნერვიულობა, მე მგონი არ ღირს. როგორც სჩანს, რეპორტიორებმაც ბევრი არაფერი იციან. ეს კი ნიშნავს, რომ აჯანყება, რომელმაც ასე დაგვაშინა, ან არ დაწყებულა, ან ჯერჯერობით დიდი მასშტაბი არ მიუღია. როგორ წარმოგიდგენიათ, რომ „მორცისტებმა“ ქალაქი აიღეს და „კორიერე დე ლა სერას“ დღევანდელი ნომერი არ დააპატიმრეს?

ორიოდე მსმენელმა ხმადაბლა ჩაიციანა, დანარჩენები გასუსულები ისხდნენ.

– ჯერ არ დამისრულებია. მეხუთე, შემაშფოთებელ მომენტად მათი სეპარატული მოქმედებები იქცა. – კოზენცმა მუზეუმისკენ გაიხედა. – მოდი, გავერკვეთ. თქმა არ უნდა, „მორცისტების“ გამარჯვებაში ეჭვი რომ ეპარებოდეთ, ისინი არცთუ იდიოტები არიან, საკუთარი თავის ასეთ აშკარა კომპრომეტირებაზე წასულიყვნენ. მე კი მაინც ასე ვიფიქრე: იმ შემთხვევაში, თუ აჯანყება ჩაიშლება (თუკი იგი საერთოდ არსებობს), რამდენ მიზეზს მოიგონებდნენ თავის გასამართლებლად ეს ბატონები? რამდენსაც ინებებთ! აღმორჩნდება, რომ შეინიღბნენ, რომ ორმაგი თამაშის ტაქტიკა გამოიყენეს, რომ თურმე, „ლა-სკალას“ ბედ-იღბალზე ნუხდნენ, ასე შემდეგ და ასე შემდეგ... მერწმუნეთ, ხვალ ეს ტიპები...

კოზენცი სულ ერთი წამით შეყოვნდა, მარცხენა ხელი მაღლა ასწია, მაგრამ სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო. სწორედ იმ ერთ წამში სადღაც შორიდან – ვერ გაარკვევდით, ზუსტად საიდან, – აფეთქების ხმა გაისმა, რომელსაც ექოდ უპასუხეს მსმენელთა გულგებმა.

– უფალო, იესო! – წამოიკვნესა მარია გაბრიელიმ და მუხლებზე დაემხო. – ჩემი შვილები!

– დაიწყო! – იკვილა ვილაცამ.

– დანყნარდით! დამშვიდდით, რა დღეში ხართ! რა ისტერიკებს მართავთ! – გააფთრდა ლიზელორა ბინი.

უცებ წინ წამოდგა მაესტრო კოტესი – მხრებზე პალტო შემოეგდო, თითებით ჩაებლუჯა ფრაკის ლაცკანები. მაესტრომ გავეშებულმა მიმოიხედა ირგვლივ და საზეიმოდ წარმოთქვა:

– მე მივდივარ...

– საით? სად მიბრძანდებით? – გაისმა შემკრთალი ხმები, რომლებშიც იმედის ნაპერწკალი გამოსჭვიოდა.

– სახლში მივდივარ. სხვაგან სად უნდა წავიდე? ყოველ შემთხვევაში, აქ არ დავრჩები, – ამ სიტყვებით კოტესი ბარბაცით გამართა კიბისაკენ. მოხუცი უღმერთოდ მთვრალი გახლდათ.

– არა! არა, შეიცადეთ! რატომ ჩქარობთ? მალე გათენდება! – მისძახოდნენ უკან, მაგრამ ამაოდ.

ორმა მსახურმა, სანთლებით მიაცილა იგი ქვედა ბაქნამდე, სადაც ნამძინარევემა შვეიცარმა კარი გაუღო.

– გადმორეკეთ! – დაენია უკანასკნელი ძახილი.

კოტესმა არ უპასუხა, ისე გავიდა გარეთ.

ზემოთ, ფოიეში, ადამიანები მიანყდნენ ფანჯრებს და მათი თვალები დააკვდა ჟალუზებს. რა მოხდება ახლა? დაინახეს, როგორ გადაჭრა მოხუცმა ტრამვაის რელსები და ბარბაცით გაეშურა ახლად გაკრეჭილი გაზონისაკენ, მოედნის ცენტრში. გაცდა მდუმარედ გაშეშებული ავტომობილების რიგს, თავისუფალ სივრცეზე გავიდა... და უეცრად, თითქოს ვილაცამ ზურგში დაარტყაო, მინას სახით დაასკდა. ირგვლივ არავინ ჩანდა, არც ერთი სულიერი. გაისმა ყრუ ხმა. კოტესი გაუნძრევლად იწვა ხელებგამლილი, სახით ქვემოთ. სიბნელეში შორიდან, გასრესილ ტარაკანს მიაგავდა.

ფოიეში სუნთქვა შეეკრათ. შეძრწუნებულები იდგნენ და დუმდნენ. ბოლოს ქალის წამოკივლება გაისმა:

– მოკლეს!

მოედანზე სიჩუმე სუფევდა. არავინ გადმოსულა მანქანებიდან, რომ მოხუც პიანისტს დახმარებოდა. ირგვლივ ყველაფერი გაქვავებულიყო და მისტიკურ, საშინელ აჩრდილს დამსგავსებოდა.

– მას ესროლეს, სროლის ხმა გავიგონე.

– არა, ეს დაცემის ხმა იყო, ასფალტზე დაცემის.

– გეფიცები, გასროლის ხმა გავიგონე. პისტოლეტი იყო. მაგამი მაინც ვერკვევი.

უკანასკნელი სიტყვები არავის უარუყვია. „ლა-სკალას“ პუბლიკა ადგილზე დარჩა. ზოგმა უიმედო სახეებით სიგარეტი გააბოლა, ზოგიერთი კვლავ იატაკზე დაეშვა, სხვები ისევ ჟალუზებს მიკვროდა. ყველა გრძნობდა, კონცენტრული წრეებით, გარეუბნებიდან ცენტრისაკენ, როგორ მოიზღაზნებოდა მათკენ ბედისწერის მახვილი.

უეცრად ალიონის პირველი, გაურკვეველი ფერის სხივი დაეცა გვერდით მდგარი სახლების სახურავებს; მომვებული ჯაჭვის ჩხარუნით ჩაიქროლა მარტოხელა ველოსიპედისტმა. გაისმა ხმები, ძალიან რომ ნააგავდა ტრამვაის შორეულ დგანდგარს. ბოლოს, მოედანზე, წელში მოხრილი მოხუცი გამოჩნდა, ორთვალას მოაგორებდა. მან

სრულიად მშვიდად, ვია მარინოს კუთხიდან დაინყო დაგვა. ჰოი, საოცრებავ! საკმარისი აღმოჩნდა ცოცხის რამდენჯერმე მოსმა და ნაგავთან, ქალაღის ნაგლეჯებთან ერთად შიშიც აიხვეტა. კიდევ ერთი ველოსიპედისტი გამოჩნდა. აგერ მუშამაც გაიარა; საბარგო მანქანა გაჯანჯლარდა ცარიელ გზაზე. მილანი იღვიძებდა.

არაფერიც არ მოხდა. მეეზოვემ მხარში ნაავლო ხელი მაესტრო კოტესს, რომელიც ხვნემა-ხვნეშით წამოინია, ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, პალტოს დასწვდა და რყევა-რყევით გაეშურა სახლისაკენ.

როდესაც დილის სხივებმა თეატრის ჟალუზებში შეიჭყიტეს და ვესტიბიული გაანათეს, ფოიეში უხმაუროდ შევიდა ყვავილების გამყიდველი ქალი. რა უცნაური ჩვენება იყო! თითქოს ეს წუთია, გაპრანჭულა საზეიმო საღამოსთვის. წინა ღამის სრბოლას გვერდზე ჩაუვლია და არ შეხებია მას: გრძელი, იატაკამდე დაცემული შავი ტულის კაბა, შავი ვუალი, შავი ჩრდილები თვალის უპეებში, ხელში კი კალათა, სავსე ყველა ფერით. მან წყნარად გაიარა ფერმკრთალ, გამოციებულ სახეთა შორის და ნაღვლიანი ღიმილით გაუწოდა ულამაზესი გორდენია ლიზელორ ბინის.

*თარგმნა ლაშა ხეცურიანმა*



ნაირა ბეჰიევი

ცხინვალში ომობანას“  
ალარავინ თამაშობს

ცხინვალში დროს ორ ნაწილად ყოფენ: ომამდე და ომის შემდეგ. ცხოვრების ასეთნაირად დაყოფა, დიდებთან ერთად პატარებმაც იციან.

ომამდე ბავშვები ომობანასაც ვთამაშობდით...

ჩვენს უბანში ერთი ძველთაძველი, ბორბლებგამოცლილი, დაჟანგული ავტობუსის ჩონჩხი ეგდო. ორ ბანაკად გაყოფილი ბავშვების ერთი გუნდი ამ ავტობუსში მოთავსდებოდა და მინერჩამსხვრეული „სანგრის“ ფანჯრებიდან გადმოკიდებდა თავის „იარაღებს“, ხის ხმლებსა და „რევოლვერებს“. გარეთ ჩასაფრებულები გააფთრებით უტევდნენ – „ბახ“, „ბუხ“... გაიძახოდნენ... ყიჟინით მივინევდით წინ, ავილებდით ამ „ციხესიმაგრეს“, დავატყვევებდით მონინალმდეგეებს და ჩავსხდებოდით გამარჯვებულები და გაამაყებულები. ახლა თქვენ მონიევდით გააფთრებით... ეს „ომობანა“ იყო, ყველა ეზოს ბავშვს რომ უყვარდა იმიტომ, რომ აქ არავინ ზარალდებოდა, მხნედ და ყიჟინ-ყიჟინით დარბოდნენ „დამპყრობლები“ და არც „დაპყრობილები“ იყვნენ ცხვირჩამოშვებულები, ისინიც ჟრიაშულობდნენ...

მე რატომღაც შენ გბარდებოდი

ტყვედ, გამარჯვებულად ხომ ის მიიჩნეოდა, ვინც ტყვეს აიყვანდა..

ახლა ომობანას ცხინვალში ალარავინ თამაშობს, დაზაფრული ბავშვები ამ სახელს ალარც კი ახსენებენ. რალაცნაირი ტაბუ დაედო ბავშვებისათვის ამ სიტყვას... ჩემი მეზობლის სამი წლის ბავშვმა, ჯერ რომ გამართულადაც ვერ ლაპარაკობს, ამოოხვრით თქვა, ნეტავი, ეს ოხერი ომი მალე დამთავრდესო...



შენ ქართულ სკოლაში სწავლობდი, მე – რუსულში. გზის ერთ მხარეს ერთი იყო, გადალმა მხარეს – მეორე. ხან შენ მიცდიდი ორლობის გასასვლელთან, ხან – მე. ერთად მივდიოდით ჯერ ხელიხელჩაკიდებულები (ასე გვარიგებდნენ უფროსები), მერე, უბრალოდ, გვერდიგვერდ. თავიდან იქიდანაც ერთად ვბრუნდებოდით. მერე კი ხან შენ გქონდა ხუთი თუ ექვსი გაკვეთილი, ხან – მე და სხვადასხვა დროს გვიხდებოდა სკოლიდან შინ დაბრუნება. სახლში მისულები კი ერთმანეთს აუცილებლად მოვიკითხავდით – გოგა მოვიდა თუ არა? – ირა ჯერ არ დაბრუნებულა? ეს თავიდან, მერე...

დიდ დასვენებაზე ჩვენი სკოლის

ეზოსთან იდექი ხოლმე, ზარის დარეკვისთანავე იქა ჩნდებოდი. მერე... შენც მაშინ გიმთავრდებოდა გაკვეთილები, როცა – მე. გაკვეთილები შენც მაშინ გიცდებოდა (ასე ამბობდი) როცა – მე და უნინდებურად ერთად გვიხდებოდა სახლში დაბრუნება... გვერდიგვერდ უბრად მოვუყვებოდით გზას. თითქოს რაღაცას ვხვდებოდით, მაგრამ რას, მაშინ ამაზე არც დაფიქრებულვარ (მაშინ მეგონა, დრო უსასრულო იყო და თავისთავად გაირკვეოდა ის „რაღაც“). ისე კი ორივეს გვსიამოვნებდა სკოლაში ერთად სიარული...

მახსოვს, სასექტემბროდ წიგნებს რომ შეგვიძინდნენ, ნახატებს ერთად ვათვალიერებდით, ჯერ შენს წიგნებში, მერე – ჩემსაში, ან პირიქით, ჯერ ჩემსაში, მერე – შენსაში. ერთხელ შენს წიგნს ვფურცლავდით, ეს რა კარგი სურათიაო – სკოლისკენ მიმავალი გოგო-ბიჭები რომ ეხატა, იმაზე თქვი; ორ გოგონას ხელში ჩანთები ეჭირათ და ... ორივეს გრძელი ნაწნავები ჰქონდათ, თეთრი, ქათქათა ბანტები ეკეთათ...

ბავშვობიდან მოკლედ მქონდა თმები შეჭრილი, ალბათ, დედის მოუცლელიობის გამო, მისი აზრით, ასე უფრო მიხდებოდა. ჰოდა, წიგნების დათვალიერებისას როგორ ვინატრე, გრძელი თმები მქონოდა... მერე ვიზრდიდი კიდეც, აღარ ვაჭრევივინებდი... ახლაც მესიზმრება წელამდე ჩამოშვებული ორად დაწნული ნაწნავები, ხელში ჩანთა მიჭირავს და სკოლისაკენ მივდივარ, მხოლოდ იმ მეორე გოგონას ნაცვლად, გვერდით შენ მომყვები, როგორც ყოველთვის, სკოლაში რომ მივდიოდით...

ცხადი კი შემზარავია, ძალიან შემზარავი...



იმ თქვენეულ სახლს ცოტა ხანს გააფთრებთ ვიცავდით, სხვებსაც ვანამუსებდით, მალე დაბრუნდებიან და რა პასუხი გავცეთო, შიგ არავის ვუშვებ-

დით. დრო უსაშველოდ გაინელა (ყოველშემთხვევაში, მე ასე მეჩვენებოდა). მერე ასეთივე ხალხი მოაწყდა აქაურობას – თქვენნაირად ძალისძალად გამოყრილები თავიანთი სახლებიდან – ულებ-უსაბნოდ, ლამის შიშველ-ტიტველი ბავშვებით გამოქცეულები. გაზიდეს ყველაფერი, რაც კი მიტოვებულ სახლში იყო, აღარაფერი დატოვეს. გარეთ ველარ ვიხედებოდით სირცხვილისაგან. ერთ კვირას მიდი-მოდიოდა ხალხი თქვენს სახლში. მერე მიწყნარდნენ, ალბათ გასაზიდის გაზიდვა დაამთავრეს. კარგა ხანი გავიდა და ძლივს შევიხედე შიგ, იმ ფანჯრებიდან, ჩვენკენ რომ გაქვთ. შევიხედე და შემზარავი რბევის სურათი... მიფხრენილ-მოფხრენილი ქალაღებები, რაღაც ჭურჭლის ნამსხვრევები მიმობნეული. ერთადერთი წიგნი ეგდო ოთახის კუთხეში, გადავძვერი, შენი წიგნი იყო, მეოთხე კლასის სახელმძღვანელო, მშობლიური ლიტერატურა. სულ რამდენიმე დღეში თქვენი სახლიც გადაწვეს. ის წიგნი ახლაც მე მაქვს გადამალული და კიდეც... შენი სათამაშო – საღებავგადაცლილი პატარა სათამაშო მანქანა...

გაზაფხულობით როგორც ბევრ სხვა სახლს, ჩვენსასაც ჩვენი მერცხლების ჟრიკ-ჟრიკი ავსებდა. ერთ-ორ დღეში თქვენსასაც თქვენი მერცხალი აკითხავდა. რატომღაც ჩვენი ყოველთვის ორი-სამი დღით ასწრებდა მოფრენას. ჩვენსას თითქმის დამთავრებული ჰქონდა ხოლმე ბინა, რომ თქვენიც მოფრინდებოდა. მაინც წაეხმარებოდა ხოლმე თქვენი, მერე ეს ჩვენეულა ეხმარებოდა. მახსოვს როგორ ვცნობდით, ეს ჩვენი მერცხალიაო, ისინიც გვცნობდნენ, რასაკვირველია. თუმცა ზოგს უკვირდა, როგორ ცნობთ, მერცხალი მერცხალიაო, მაგრამ ის უფრო საკვირველი იყო, ისინი როგორ გვცნობდნენ! იმათ თვალში ჩვენც ხომ ერთნაირები ვართ – ორი ხელი, ორი ფეხი...

მოკლედ, ბარტყებსაც ერთად



ზრდიდნენ და მერე თბილი ქვეყნების-  
კენაც ერთად მიფრინავდნენ...

ახლაც მოფრინდნენ. პირველი ისევ  
ჩვენი მოფრინდა, ორი-სამი დღის შემ-  
დეგ თქვენიც გვეწვია, სახლის ნან-  
გრევეებზე ჩამოჯდა, კი არ ჩამოჯ-  
და დაეზღართა რალაცა უცნაურად,  
ალარ ჟრიკჟრიკებდა, უფრო ელდანა-  
ცემსა ჰგავდა... თითქოს თვალეებს არ  
უჯერებსო – ცერად გადახრილ თავს  
სწრაფ-სწრაფად აქეთ-იქით ამოძრა-  
ვებდა.. ქცევაც უცნაური ჰქონდა, აფ-  
რინდებოდა მალლა, მოკლე წრეს და-  
არტყამდა სახლს და ისევ დაეშვებოდა.  
ცოტა ხნის შემდეგ გავხედე... ფრთებში  
ნისკარტშემალული იჯდა, თვალეებიც  
რალაცნაირად მიელულა. თითქოს არ  
უნდოდა დაენახა ის, რაც მის გარშემო  
იყო. მთელ დღეს ასე იწრიალა, იწვალა.  
ჩვენებმა ბუდის შენებაში გართულებ-  
მა გვიან შენიშნეს, მათ ხომ შესაშური  
სიმკვირცხლით იციან ბუდის კეთება  
და ალბათ ამიტომ. მიუსხდნენ მერე  
ისინიც თქვენსას. რალაცა ჩაუსხაპას-  
ხუპ-ჩაუფრიკჟრიკეს. ისიც დროდადრო,  
უფრო კი იშვიათად ამოიფრიკჟრიკებდა  
ხოლმე (უფრო ამოიკენესებდა ხოლმე,  
როგორც მე მეჩვენებოდა). მეორე დი-  
ლით ჯერ ისევ გვეძინა, რომ რალაცა  
ფრთქილის ხმა შემოგვესმა. გამოვედი  
და მეორე ბუდეც შენდებოდა... თქვე-  
ნი მერცხლისთვისაც გამოინახა ადგი-  
ლი, აქ გაიკეთა ბუდე. ერთად მოზიდეს  
გამხმარი ბალახბულახი... მერე ბარ-  
ტყები... დააფრთიანეს და ერთად გაფ-  
რინდნენ თბილი ქვეყნებისაკენ.

გაზაფხულზე ჩვენი მერცხლები ისევ  
დაბრუნდნენ. მას შემდეგ ჩვენს აივან-  
ზე ერთი ბუდე შენდება, თქვენი კი  
ალარ გამოჩენილა. ალბათ მხოლოდ მა-  
შინ შეაფარა თავი ჩვენს სახლს... ისე  
კი ვგრძნობ, ის ახლოს არის, აქ, სად-  
ღაც, მაგრამ ბუდე არ აუშენებია. ერთი  
რალაც კი მენიშნა, მაგრამ დაჟინებით  
ვერაფერს ვიტყვი, ერთი მერცხალი  
მოფრინდება ხოლმე, თქვენი სახლის

ნანგრევეებზე ჯდება, ცოტა ხნით ზის  
გარინდებული, მერე ჩვენკენაც მოფარ-  
თქუნდება, ავა მალლა, სულ მალლა,  
რალაცნაირ წრეს დაარტყამს ჩვენსა და  
თქვენს სახლს შორის და უჩინარდება...  
ასე ხდება მათი გადაფრენის წინაც,  
მოფართქუნდება, მოწყენილი ჩამოჯ-  
დება, ნისკარტფრთებქვეშშემალული  
ცოტა ხნით გაირინდება, მერე აინევს  
მალლა, სულ მალლა და უჩინარდება...

იმ ნანგრევეებს სხვა მერცხალი ახ-  
ლოსაც არ გაჰკარებია...



ძალიან პატარა, ხელისგულისოდე-  
ნა მინა ჰქონდა იმათ სახლს. ასევე –  
ჩვენსას. ამიტომ იყო, მათი ხილიც და  
ჩვენიც მიჯნაზე იდგა. ჩვენ ლელვს იქითა  
ჰქონდა ტოტები, იმათ თხილს – აქეთ.  
არც ერთი არ იყო გაყოფილი. ეს ხილი  
მათიც იყო და ჩვენიც. თქვენი თხილით  
ჩვენი დედები (ერთის ქართველი და მე-  
ორისა – ოსი) ჩურჩხელას ნემსავდნენ.  
ჩვენი ლელვით კი მურაბას ხარშავდნენ  
და იყო სიამტკბილობა ჩვენს ოჯახებში....

ათი წელიწადზე მეტია უკვე, რაც  
თქვენ ნახვედით და იმ თხილისთვის კი  
არა მისი ფოთლებისთვისაც კი არ დაგ-  
ვიკარებია ხელი მე და დედას. ჩამოცვივა  
ჩვენს მხარეს თხილი და თავს ან თხუნე-  
ლას მიაქვს, ალბათ. ის კი არა, ლელვიც  
ზედა ლპება, ფუტკარ-კრაზანა ჭამს. ჩვენ  
ხელს ვერ ვანვდენთ, რალაცა გვბოჭავს,  
შენც გიგრძნია, ალბათ, ლუკმა ყელ-  
ში რომ გეჩხირება და არ გადაგდის. არ  
ვიცი ამას რა ჰქვია, მაგრამ ერთი კი  
არის, ორივე ხე მიჯნაზე დგას, ერთი  
თქვენს (ქართველების) მხარეს, მეორე  
ჩვენს (ოსების) მხარეს, რომელსაც ადრე  
არ ვასხვავებდით, არ ვფიქრობდით, ვის  
ეკუთვნოდა, ორივე ვხარობდით, ახლა?  
ახლა არც ერთი აღარ ხარობს....

ისეთი გამჭვირვალე ლობე გქონდა  
გავლებული, ყოველთვის ჩანდა თქვენს  
ბაღში რამდენი ღერი ხახვი იყო ამონ-  
ვერილი. ასევე ჩანდა აქეთაც.

ის იდილიაც არასოდეს დამავინყდება, ჩვენი დედების საუბრით რომ მეფედებოდა ჩვენს ეზოებში. რალაცას მხოლოდ ერთმანეთის გასაგონად ამბობდნენ და მხოლოდ გადაკისკისების დროს ახმაურებდნენ ჩვენს ეზო-კარს, ასე რომ უხდებოდა მაშინ ეს ყველაფერი.

რა კარგი იყო ის ყველაფერი, რაც ასე ლამაზად გრძელდებოდა. მოხუცივით სულ ეს (ალბათ ბებიებისაგან მოსმენილი) სიტყვები მიტრიალებს გონებაში: „ნეტაი იმ დროს“...



მარტო თქვენ არა, ოსებიც ბევრნი აიყარნენ ცხინვალიდან, განსაკუთრებით ბავშვებიანი ოჯახები. ომის საშინელებას გაარიდეს პატარები. ზოგმა ნათესავი გამონახა სადღაც, უმთავრესად კი ვლადიკავკაზში გაიხიზნენ... ვლადიკავკაზში... ლტოლვილებად მოედვნენ იქაურობას ახლა უკვე უბინაონი, უსახლკარონი და უპატრონოდ დაყრილნი...

ხანდახან წარმოვიდგენდი, აი, შეეყარეთ ჩვენც ჩვენი ავლადიდება და ჩვენც გავემგზავრეთ სადღაც, სიმშვიდის საძებნელად, ჭფიქრშიც კი მიძნელებოდა ამისი წარმოდგენა, მე ხომ ბავშვი ვიყავი, ვინ რას მკითხავდა.... მაგრამ ალბათ დედაჩემსაც იგივე ემართებოდა, რომ იმ საშინელი ტყვიების წვიმაში ხან ერთ კუთხეში მიყუჟულები, ხან მეორეში, ამას ვუძლებდით. წასვლა არც უხსენებია, ალბათ არც უფიქრია, ბებიაჩემს უკვე კარგა ხანი იყო ფიქრის თავიც აღარ ჰქონდა, უფრო ხანგრძლივი ძილი ჰქონდა მოხუცებულს, ვიდრე ღვიძილი, დაუვინროვდა, თანდათან დაუპატარავდა ის ღვიძილის დროც და ბოლოს (შვილის ნახვას მონატრებულს – ეს მამის დედა იყო) სულაც შეუნყდა. ძილმა, სამარადისო ძილმა გადაფარა ის პატარა მონაკვეთიც ღვიძილისა და ღამით რამდენიმე კაცმა ჩუმად აიტანა ზღუდერზე და იქ დაკრძალა.

და, როცა წასვლას წარმოვიდგენდი, ვფორიაქობდი, იმ ბარგი-ბარხანაში შენი წიგნის დამალვას ვერ ვახერხებდი, შენი დედაენისა, რომელიც რალაცა ძვირფას რელიკვიად შემომრჩა და ვერც ჩვენი მერცხლების მიტოვება წარმომედგინა...

ომი ახალი დანყებული იყო, რომ ლიახვიც ადიდდა, მოგლიჯა ყველაფერი და თან წამოიღო. გვერდიგვერდ მდგარი ორი მთა ჩამოწვა, ჯებირი გააკეთა და სამი დღით შეაკავა ეს საშინელი მასა, მეოთხე დღეს კი ველარ გაუძლო და წამოვიდა ხათქახუთქით, ზარითა და გრიალ-გრიალით. დიდი თუ პატარა, ყველანი ზღუდრის მთისაკენ გავცვივდით. ლოგინში მდებარე მოხუცებიც კი იქით მიბარბაცებდნენ (სული ტკბილია). წარღვნის კადრებივით ახლაც თვალწინ მიდგას ეს სურათი. ცაზე შავი, ფაფარაშლილი ყომრალი ღრუბლები წამოშლილიყვნენ... დაბლა ყველგან წყალი გაშლილიყო – მოტივტივე საგნებით, ქაფმორეული ტალღებით, დამხრჩვალნი ცხოველებითა თუ ფრინველებით.

მერე როგორღაც ნელ-ნელა ჩადგა მღელვარება, დაინია წყალმა. ჩვენც ჩამოვეფინეთ ფერდობზე. ყველას თავისი აინტერესებდა, ყველა თავისი ბუნაგისაკენ მიისწრაფოდა. ჩვენს დატბორილ, დაღენილ სახლში რომ შევედი, ველარ ვიცანი იქაურობა. ეზო ათასგვარი ჩიხაურით იყო სავსე... ვილაცის ხის სახლი მოეგლიჯა, ჩვენი ეზო გაენგრია და იქ ჩაეხიდა. ვილაცის ქვაბები, ტაშტები, ბალიშისა და საბნის მაგვარი ჩვარ-ჩვეურებადქცეული ტანსაცმელი ჩვენი თუ სხვისი, ერთმანეთში აერია, რალაცა მიჭექყილ-მოჭექყილი საგნები აეხორხოლავებინა ეზოში, აეზილ-დაეზილა ყველაფერი ერთმანეთში და შემზარავი სანახავი იყო ეს ყველაფერი. იქვე ეზოს კუთხეში ეგდო მიმხრჩვალნი ძაღლი, აქეთ-იქით ეყარა კისერგაშეშებული ქათმები. როგორც იქნა კარებებშემ-

ტვრეულ სახლშიც შევალნიეთ. ჭურ-  
ჭელი და წიგნები სახლის ერთ კუთხე-  
ში ტივტივებდნენ, ნივთს ნივთს აღარ  
ჰგავდა... გახსენებაც კი მზარავს ყვე-  
ლაფრისა, დანერა კი არა... ენით გამო-  
უთქმელი მწუხარება გვეწერა ყველას  
სახეზე, მერე ქალურმა სისიუსტემ იძა-  
ლა და ცრემლებად წამოვიდა, მხოლოდ  
ცრემლი იყო ამჯერადაც ჩვენი პატარა  
ნუგეში, რომელმაც ამოიტანა ქვემოთ  
გულის სიღრმეში გაჩხერილი ბალღამის  
კოლტები და ცრემლების მლაშე ნიაღ-  
ვრებად გადმოსკდა... ირგვლივ ყველა  
ვტიროდით, ამ ქვითინით, უსიტყვო,  
მაგრამ ზარიანი ქვითინით ცოტა სული  
მოვითქვით თითქოს... მერე დავიწყეთ  
... თვე-ნახევარზე მეტ ხანს ვეზიდე-  
ბოდით სახლიდან ბარით ამოსაღებ ნა-  
შალ-ნუშალს, ქვიშას, რალაც გაურკვე-  
ველ ნაგავს, რაც ადიდებულ-აბობოქ-  
რებულ მდინარეს დაეტოვებდა...

ერთი რამე ყველაზე ცხადად დამამახ-  
სოვრდა. იმ სტიქიას რომ გავუბოდით,  
არავის ახსოვდა, ვინ ვისთან ერთად გარ-  
ბოდა ხელჩაკიდებული. ხელი კი აუცი-  
ლებლად ვილაცაზე გვეკიდა, ბავშვებსა  
და ქალებს მითუმეტეს. ხომ შეგინიშნავთ,  
წყალში გამსვლელისთვის მეორისათვის  
ხელის ჩაკიდება გზის გაიოლებაა ორი-  
ვესათვის. ფეხებში ათასგვარი რამ გვე-  
დებოდა და ერთმანეთისათვის ხელი არ  
გაგვიშვია, ისე ავრბოდით მთის ფერდობ-  
ზე. ის საერთო უბედურება, ფეხდაფეხ  
რომ მოგვდევდა, ისე სულმოუთქმელად  
მიგვარბენინებდა, არაფრის ფიქრს არ  
გვაცლიდა, გავრბოდით რაც ძალი და  
ლონე გვექონდა, გავრბოდით ოსებიცა და  
ქართველებიც ხელჩაკიდებულნი... და ის  
საერთო უბედურება ერთად გადავიტანეთ  
ოსებმაც და ქართველებმაც.... ზოგჯერ  
ვფიქრობ, ბუნებამ მაშინ ხომ არაფე-  
რი გვითხრა, რაც ვერ გავიგონეთ, ხომ  
არაფერი გვიკარნახა, რასაც ვერ მივ-  
ხვდით, ისეთი ხომ არაფერი დაგვინერა  
იმ მდინარის ენით, რაც ვერ წავიკითხეთ,  
ვერც ოსებმა და ვერც ქართველებმა.

გავრბოდით, არც ენას ვაქცევდით ყუ-  
რადლებას, არც რწმენას, ყველას ერთმა-  
ნეთისა გვესმოდა და ერთმანეთს იმაში  
ვეხმარებოდით, გავქცევოდით უბედურე-  
ბას, აბობოქრებულ საშინელებას, გამ-  
რისხანებულ-გამძვინვარებულ ბუნებას,  
როგორც პირუთვნელ განმსჯელს ცოდ-  
ვისა და სიკეთისა, ავისა და კარგისა,  
რომელსაც ახლა ვერ ვაცნობიერებდით  
კი არა, ვერც ვუფიქრდებოდით (ნეტავი  
მერე მაინც გაგვეაზრებინა), რომელიც  
ახლა ყველას გვაერთიანებდა, ფეხდაფეხ  
მოგვდევდა, ჩვენს უსუსურობას შეგვაგ-  
რძნობინებდა და თან ალბათ ცდილობდა  
რალაცა ესწავლებინა, რალაცა ჩაეგო-  
ნებინა....

მახსოვს, ჩვენი დავრდომილი მეზო-  
ბელი საშა ჯუსოევი ველარ მოგვდევ-  
და, ძლივს მილასლასებდა, სვენებ-  
სვენებით ძლივს მიფორთხიანებდა  
ფერდობზე გამხმარი, სიფრიფანა საშა  
პაპიდა, როგორც მას ვეძახდით. მიბ-  
რუნდა კასრანთ გელა, ბავშვივით აი-  
ტატა მოხუცი ქალი ჯოხიანად და ორ-  
მეტრიანი ნაბიჯით აუყვა აღმართს.

ახლა ვფიქრობ, ბუნებას ალბათ ძა-  
ლიან უნდოდა, რალაც ჩაეგონებინა და  
ესწავლებინა მაშინ ჩვენთვის – ყველა-  
სათვის, ოსებისთვისაც და ქართველე-  
ბისთვისაც... თავისი ენით...



ომისდროიდან ერთი ასეთი ფრაგ-  
მენტი მახსოვს – გასუსულები ბნელ  
სარდაფში ვსხედვართ სამივენი – მე,  
ბებია და დედაჩემი (მამა და ჩემი პატა-  
რა და კარგა ხნის გახიზნულები იყვნენ  
უკვე). კრინტს ვერა ვძრავთ კი არა,  
გაფაჩუნებისაც გვეშინია ... ყურს ვუგ-  
დებთ გარეთ ტყვიამფრქვევების გრი-  
ალს. ამ სროლის გრიალსა და ტყვიების  
ზუზუნში მთელი ამ ხნის განმავლობა-  
ში სმენადაძაბულებს და ახლა უკვე მო-  
თენთილებს ჩვენდაუნებურად ჩაგვეძი-  
ნა, სამივეს ჩაგვეძინა. საკვირველება!  
გარეთ ყველაფერი ინგრეოდა, ზათქისა

და ზრიალის ხმა აყრუებდა იქაურობას, ამას ყველაფერს ბანს აძლევდა იქვე მთების სიღრმიდან წამოსული საშინელი ექო და ჩვენ ჩაგვეძინა...

ისიც მახსოვს, სროლა რომ შეჩერდებოდა, შიშნარევი თვალებით ერთმანეთს შევხედავდით ხოლმე – ხომ არ მოგვიახლოვდნენ და ხომ არ შემოცვივდებიან შიგნით? მერე? მერე იმის მერე რა იქნებოდა, ველარ ვაგრძელებდი ფიქრს, უფრო სწორად კი, წარმოვიდგენდი ხოლმე, აი, მოვიდნენ, იარაღიანები, დაგვადგნენ თავს, და შენც მაშინვე ჩნდებოდი, ყველა შემოგხედავდა და იარაღს დაუშვებდა (შენ მხოლოდ მე მიყურებდი და რაღაცა შეუცნობელი სასიამოვნო ჟრუანტელი მივლიდა, შენი წარმოსახვით გამონვეული). ასე მთავრდებოდა ეს საშინელი “ომობანა”, ეს იყო ჩემი ფიქრის ყველაზე ნეტარი ფრაგმენტი, როცა შენ მოდიოდი და მშვიდობა მყარდებოდა,

ყველანი ერთად ვიყავით ისევ... ყველაფერი ასე კარგად მთავრდებოდა შენთვისაც, ჩემთვისაც და, საერთოდ ყველასთვის... ჩვენთვის და ჩვენი მერცხლებისთვისაც.

იმ ზრიალ-გუგუნში რომ ჩაგვეძინა, მაშინაც ეს ერთადერთი საოცნებო ხილვები მესტუმრა...



თქვენი სახლი გადამწვარია, ჩვენს სახლს კი იქიდან, ცხინვალის შემოსასვლელიდან, ზღუდრიდან ნასროლი ნატყვიარები დღესაც აჩნევია... ეს არის ის, რაც გარედან ჩანს, ან, უფრო სწორად, რაც სახლებს დააჩნდათ გარედან...

ხომ არის რაღაც, რაც გარედან არ გემჩნევა, ან ვერ გამჩნევენ, ვერ ხედავენ... მაგრამ უფრო ღრმად, უფრო მწვავეა და უფრო ძნელად შესახორცილებელი... შენც ხომ გიგრძნია ასეთი რამ, შენც ხომ გიგრძნია?

Беппиты Наирæ



### Цхинвалы «хæстæйхъазтæй» ничуал хъазы

Цхинвалы рæстæг дыууæ хайыл дих кæнынц: хæсты агъоммæ æмæ хæсты фæстæ. Царды ахæм хуызæй адих кæнын, стыртимæ иумæ чысылтæ дæр зонынц.

Хæсты агъоммæ сабитæ хæстæйхъазты дæр хъазыдыстæм...

Нæ сыхы иу тынг зæронд, цæлхытæфтыд, згæ кæуыл схæцыд ахæм афтид автобус æппæрт уыд. Дыууæ къордыл дих сывæллæттæй иутæ ацы автобусы æмбæхстысты сæ хъазæн хæцæнгæрзты, хъæдæй арæзт хъаматы æмæ револьверты пырх рудзгуйтæй радаргæйæ. Æдде æмбæхст сывæллæттæ сæм мидаемæ бырстой æмæ \_ «Дæнг, дæнг»... хъæр кодтой... афтæ хъæргæнгæйæ æввахс кодтам автобусмæ, бацахстам иу ацы «фидары», ракодтам иу уацары ныхмæлæуджыты, сбадтыстæм иу уæлахиздзæутæй æмæ иу кастыстæм сæрыстыртæй.

Ай уыцы хъазт уыд, кæцыйæ хъазыдысты алы кæрты сабитæ дæр уымæн æмæ ам зиан ничи иста, цæрдæгæй æмæ иу хъазгæ-худгæйæ радугъ-бадугъ кодтой «уæлахиздзæутæ», нæдæр-иу «састы баззайджытæ» æруагътой сæ фындзтæ, уыдонæн дæр иу сæ хъæлдзæг уынæр хъуыстис...

Æз иу цæмæндæр мæхи дæумæ раттон,

уæлæхиздзæуыл нымад цыд уый, уацайраг иу чи ракодта...

Ныр хæстæйхъазтæй Цхинвалы ничуал хъазы, сабитæ ацы дзырды ном нал дæр ракой кæнынц. Цыдæргъуызон тæбувæрд у сывæллæттæн ацы ныхас... мæ сыхаджы сывæллон, нырма дзурын хорз дæр нæ зоны, сунæргъгæйæ загъта, тагъд ацы дзæгъæйладжы хæст куы фæуид...



Ды гуырдног скъолайы ахуыр кодтай, æз \_ уырыссаг скъолайы. Фæндаджы иу фарсæрдыгæй сæ иу уыд, йæ акомкоммæ иннæ. Куы мæм ды æнхæлмæ кастæ къулдуары рахизæны цур, куы \_ æз. Иумæ цыдыстæм кæрæдзи къухтыл хæцгæйæ (афтæ нын амыдтой нæ хистæртæ), фæрсæй-фæрстæм. Сæрæй уырдыгæй дæр иумæ здæхтыстæм. Стæй иу дæуæн куы фондз урок уыдис, куы æхсæз, куы мæнæн уыдис æмæ иу æндæр æмæ æндæр афонты здæхтыстæм фæстæмæ скъолайæ хæдзармæ. Хæдзармæ æрбаздæхгæйæ иу æнæмæнгæй кæрæдзийы æрфарстам \_ Гога æрбацыдис æви нæ? \_ Ира нæма æрбаздæхтис? Уый сæрæй, стæй...

Стыр баулафæныл иу не скъолайы кæрты лæууыдтæ, дзæнгæрæджы

цагъд иу куы айхъуыстис, уæд иу уым фæвзæрдтæ. Стæй... Дæуæн дæр иу уæд фæуд кодтой дæ уроктæ, куыд мæнæн. Уроктæ дæуæн куы нæ уыдис мæнæн дæр уæд нæ уыдис, æмæ та иу иумæ раздæхтыстæм хæдзармæ... Фæрсæй-фæрстæм иу æнæдзургæйæ цыдыстæм фæндагыл. Цыма цыдæр хатыдыстæм, фæлæ уæд ауыл нæдæр ахъуыды кодтаин (уæд афтæ хъуыды кодтон, рæстæг æгæрон уыд æмæ йæхигъæдæй бæрæг æрцыдаид уыцы «цыдæр»). Æнæуи та нæ дыууæйæн дæр æхцон уыдис скъоламæ иумæ цæуын...

Мæ зæрдыл хорз лæууы, сентябрмæ иу нын чингуытæ куы балхæдтой, уæд сын иу сæ нывтæ иумæ уыдтам, нырма дæ чингуыты, стæй та мæ чингуыты, кæнæ та иу, куы мæн уæттæ, стæй та дæуæттæ. Иу хатт дын дæ чиныджы сыфтæ фæлдæхтон, ай цы хорз нывгонд у \_ скъоламæ цæуæг чызджытæ æмæ лæппуты нывæй загътай ды; дыууæ чызгæн сæ къухты хызынтæ афтæмæй... дыууæйæн дæр дыууæ быд дзыкку уыди, хæнтурс бантитимæ...

Сабибонтæй фæстæмæ мын иуылдæр уыдис цыбырæлвйд дзыккутæ, æвæццагæн, мæ мады кæй не вдæлдис уымæ гæсгæ, йæ хъуыдымæ гæсгæ, мыл афтæ тынгдæр фидыдта. Омæ, чингуытæ куы уыдтон, уæд куыд тынг бабæллыдтæн даргъ дзыккутæ мын куы уыдаид... Уый фæстæ сæ нал бауагътон лыг кæнын. Ныр дæр ма фыны уынын байдайын, дыууæ даргъбыд дзыккуйы астæумæ, мæ къухы хызын æмæ скъоламæ фæцæуын, æрмæст дыккаг чызджы бæсты, мæ фарсмæ ды фæцæуыс, раздæр иу куыд фæцæйцыдыстæм иумæ фæрсæй-фæрстæм...

Æдæгæй та тæссаг у, тынг тæссаг...

●  
Уæ хæдзары уын цъус рæстæджы нæ бон бацис бахъахъхъæнын, иннæ сыхæгтæн дæр дзырдтам, тагъд æрбаздæхдзысты æмæ

сын цы дзуапп хъуамæ раттæм, æввахс æм никæй уагътам. Рæстæг æгæронæй ныддаргъ (кæнæ мæнмæ афтæ кастис). Уый фæстæ растдæр сымах хуызæн адæм æрбакалдысты ардæм \_ сымахау уыдон дæр тыхфæлгъуыдæй рарвыстой сæ хæдзæрттæй \_ æнæ хуыссæнгарзæй, æнæхъæццул, æнæ гобанæй, бæгънæг сывæллæттимæ ралидзгæ. Фæхастой алцыдæр, цыдæриддæр уыдис хæдзары, æппындæр ницыуал ныууагътой. Æддæмæ нал хызтæн фырхудинаяй. Иу къуырийы дæргъы дыууæрдæм кодтой адæм уæ хæдзары, цыдæриддæр дзы уыд ахастой сæ. Стæй æрсабыр сты, æвæццагæн дзы хæссинаг кæй ницыуал уыд уый тыххæй йæм ничиуал фæзынд. Дзæвгар рæстæг аивгъуыдта æмæ тыххæйты мæ бон сси хæдзармæ мидаемæ бакасын, уыцы рудзгуытæй, махæрдгæй уын куы сты. Бакастæн æмæ базыр-зыр кодтон умы уавæры фендæй... скъуыдтæ гæххæттытæ пырх алыран, цыдæр мигæнæнты цъæлтæ уыд калд къуымты. Иунæг чиныг ма уыд æппæрст уаты къуымы. Бабырыдтæн рудзынгæй, уый дæу уыд, цыппæрæм къласы ахуыргæнæн чиныг, мадæлон литература. Цалдæр боны фæстæ сымах хæдзары дæр басыгътой. Уыцы чиныг нырдæр мæнмæ ис æвæрд æмæ ма ноджы... дæ хъазæн \_ хуызивд чысыл хъазæн машинаæ...

●  
Уалдзæджы иу куыд æндæр хæдзæртты, афтæ иу махонмæ дæр æртахтысты зæрватыччытæ æмæ иу сæ цыбар-цыбыур хъуыстис. Иу дыууæ боны фæстæ сымах хæдзармæ дæр æртахтысты. Цæмæндæр иу махмæ дыууæ æртабоны раздæр æртахтысты сцæттæ иу кодтой сæхицæн ахстон. Сымах уæттæ иу куы фæзындысты уæд сын махуæттæ æххуыс кодтой. Тынг хорз æй хъуыды кæнын куыд сæ иу æвзæрстам нæ зæрватыччыты, фæлæ ноджы диссагдæр уый уыди æмæ нæ уыдон куыд

зыдтой æмæ æвзæрстой! Уыдон цæсты мах кæй зæгъын æй хъæуы æмхуызæттæ уыдыстæм \_ дыууæ къух, дыууæ къах...

Цыбыр ныхасæй, лæппынты дæр иумæ хъомыл кодтой æмæ уый фæстæ дæр хъарм бæстæмæ иумæ атахтысты...

Ныр дæр та æртахтысты, фыццаг махон æртахт, дыууæ-æртæ боны фæстæ сымахон. Хæдзары кæлæддзæгтыл æрбадтис, бадгæ не ркодта, цыдæрхуызон уæззауæй йæхи æртæпп кодта. Нал цыбыр-цыбыр кодта, цыдæр æнахуыр каст кодта, цыма йæ цæстытыл не ууæндыдис \_ фæрсырдæм йæ сæр æркълугæнгæйæ тагъд-тагъд дыууæрдæм змæлын кодта. Йæ ахаст дæр цыдæр æнахуыр уыд, стахтис иу уæлæмæ, уæлдæфы иу æрзылдис хæдзарыл æмæ иу йæхи фæстæмæ æруагъта. Чысыл фæстæдæр акастæн... йæ базырты йæ бырынкъ батыста æмæ афтæмæй бадтис, йæ цæстытæ дæр цыдæрхуызон сауæй зындысты. Цыма йæ нæ фæндыдис фенын, йæ алыварс цы уыди уый. Æнæхъæн бон афтæ арвыста. Махуæттæ сæхицæн ахстон арæзтой æмæ йæ æрæгмæ фæхатыдтой. Стæй йæ фарсмæ æрбадтысты цыдæртæ йын ацъыбар-цыбыр кодтой, уый дæр иу сын стæм хатт дзуапп кодта. Дыккаг райсом мах нырма фынаей кодтам, афтæ нæм цыдæр уынаер æрбайхъуыстис. Рахызтæн æддæмæ æмæ фæдтон дыккаг ахстон дæр арæзтой... Сымах зæрватыккæн дæр уым разынди бынат, ам сарæзта ахстон. Иумæ æрбахастой хус кæрдæджытæ... Стæй сæ лæппынты схъомыл кодтой æмæ та иумæ хъарм бæстæтæм фæтахтысты.

Уалдзæджы та фæстæмæ æртахтысты нæ зæрватыччытæ. Уæдæй фæстæмæ нæ балкъоныл арæзт ис иу ахстон. Сымахон нал разындис. Æвæццæгæн æрмæстдæр уæд баззадис мах хæдзары... Æнæуи йæ æнкъарын æмæ ам æввахс кæмдæр ис, фæлæ ахстон нал сарæзта ам. Иу цыдæр фæхатыдтæн, иу зæрватыкк æрбатаехы, сымах хæдзары кæлæддзæгтыл æрбады, цъус рæстæджы абады æрхуымæй, стæй

махырдаем æрбайсы йæхи ссæуы уæлæмæ тынг бæрзонд, цыдæрхуызон зылд æркæны мах æмæ сымах хæдзары хсæнты, стæй фæтары вæййы.

Ацы кæлæддзæгтæм æндæр зæрватыкк æввахсдæр нукуы æрбацауы...



Хæрз чысыл армыгъæпæныйас зæххы гæппæл уыд уыдон хæдзараен, афтæ уыдис махæн. Æмæ уый тыххæй уыд, уыдон дыргътæ æмæ мах дыргътæ ауæдзыл лæууыдысты. Нæ легъуийæн йæ къалиутæ уыдоны рдыгæй уыдысты, уыдоны æхсæрæн та махырдыгæй. Иу дæр дзы нæ уыд дихгонд. Ацы дыргътæ уыдоны дæр уыдысты æмæ мах дæр. Сымах æхсæртæй нæ мæдта (иуæн гуырднег, иннаемæн ирон) чурчелатæн хал кодтой. Мах легъуийæ та мураба фыхтой æмæ афтæ адджынаей хæларæй цардысты нæ бинонтæ...

Дæс азæй фылдæр уыдзæн, сымах ардыгæй куы ацыдыстут æмæ уæдæй фæстæмæ ацы хсæрмæ æвналгæ дæр нал фæкодтам, æз æмæ мæ мад, афтæ йæ бынмæ æрызгæлы æмæ йæ æвæццæгæн уырытæ æмæ мыстытæ фæхæссынц. Легъуи дæр афтæ йæ уæлæ бамбийы, мыдыбындзытæ йæ хæрын байдайынц. Мах æм нæ февналаем, цыдæр нæ нæ уадзы къуылымпы кæны. Ды дæр æй хатдзынæ, æвæццæгæн, дæ комдзаг дæ хъуыры куы нæ фæхизы. Нæ зонын уый цы хуыйны, фæлæ иу зындгонд у, дыууæ бæласы дæр лæууы ауæдзыл, иу сымах (гуырднегты) рдыгæй, инна мах (ирæтты) рдыгæй, кæцыйы раздæр не взырстам кæрæдзийæ, нæ хъуыды кодтам, кæмæ хауы, кæй у, дыууæйæ дæр дзы пайда кодтам, ныр та? Ныр дзы иуыл дæр нал зайы...

Ахæм æмбонд нын уыдис æмæ дзы алцы дæр бæрæгæй зындис, уæ цæхæрадоны цал халы хъæдындз æрзадис. Афтæ зындис ацырдыгæй дæр.

Уыцы идилийæ дæр мæ нукуы ферох уыдзæнис, нæ мадæлты ныхас нæ кæрты,

цыдæр иу дзырдтой кæрæдзийæн бамбарын кæнынæн, зæрдиагæй иу ыл фæхудтысты, алцы дæр фидыдта уыцы рæстæджы.

Цы хорз иу уыдис алцыппæтдæр, кæцы афтæ рæсугъдæй даргъ кодта. Зæрондау иуыл ацы (æвæццагæн нанатæй фехъусгæ) дзырдтæ зилдух кæнынц мæ хъуыдыйы: «Уæды рæстæг мысын»...

●  
Æрмæст сымах нæ, ирæттæ дæр бирæйæ фæлыгъдысты Цхинвалæй. Уæлдайдæр сывæллонджын бинонтæ. Хæсты тæссагдзинадæй сæ аиуварс кодтой чысылты. Чи йæ хæстæгмæ фæцыд, Сæ фылдæр Владикавказмæ фæцыдис ... Владикаказы ... лигъдæттæ систы уым, æнæ хæдзар, æнæ дуар æмæ æнæхицауæй...

Иуай-иу хатт иу мæхицæн хъуыды кодтон, мæнæ æрбатымбыл кæнæм цы ма нæм ис уыцы муртæ æмæ мах дæр искуыдæм фæцæуæм, сабыр цард агурæг, фæлæ иу ахæм хъуыдыйæ фæтæрстæн, æз уæд нырма саби уыдтæн, мæн чи фарста... фæлæ æвæццагæн мæ мад дæр афтæ хъуыды кодта, уыцы фыдзаманы иу нæмгуыты згъæлдмæ куы иу къуымы амбæхстыстæм куы иннæ къуымы, афтæмæй куыддæртæй фæрæзтам амæн. Искуыдæм ацæуыны кой никуы скодта, æвæццагæн нæдæр хъуыды кодта. Мæ нана хорз ацæргæ уыди æмæ йын ахæм хъуыдыты бон нæ дæр уыд, бафтыд ыл дæргъвæтин фынаей, йæ хъæбулы уындмæ ма бæллыдис, фæлæ йын уый дæр нал бантыст, фынаей йæ нусон базыры бын бакодта, æхсæвы йæ цалдæр лæгæй сусæгæй схастой Згъудеры уæлмæрдмæ æмæ уым ныгæд æрцыд.

Æмæ иу, ацæуыныл куы хъуыды кодтон, тыхстæн æмæ иу уыцы уаргъты дæ чиныджы нывæрын нæ арæхстæн, дæ маделон æвзаджы чыныг, кæцы мæм каст цавæрдæр зынаргъ реликвиау æмæ мæ нæдæр фæндыд нæ зæрватыччыты уым ныуадзын...

Хæст ног райдайгæ уыд, Леуахийы

дон куы раивылд, йæ разæй цы æййæфта, бæлæсты æд уидæгтæ ратыдта, стыр хъæдтæ, дуртæ иуылдæр сæ йæ разæй рахаста, йæ уынæр дармæ хуыстис. Мах стырæй, чысылæй, зæрондæй нæхи Згъудеры къуылдыммæ айстам, цæмæй доны бын ма фæуыдаиккам, абон дæр мæ цæстыты раз лæууы уыцы тæссаг ныв. Арв сау мылазон мигътæй æмбæрзт... дæле змæст ивылд доны знæт улаентæ зындысты, мигæнæнæй, фосæй, каркæй сæ дон фæласта.

Уый фæстæ куыддæртæй цъусгай-цъусгай æрсабыр ис, дон дæр фæгыццыл ис. Мах дæр æрцыдыстæм, алкæй дæр цымыдис кодта йæ мурты уавæр. Нæ донласт, пырх хæдзармæ куы бахызтæн, нал æй базыдтон. Уынг йæ тæккæ дзаг уыд алыхуызон цыдæртæй... Кæмæндæр та йæ хъæдын хæдзары стыдта, нæ кæрты æрбатыдта æмæ уым ныффидар. Кæйдæр агтæ, тастæ, базтæ, хъæццултæ, дзаумæттæ иумæ хæццæйæ мах уыдысты æви сыхæгты нæдæр æй æвзæрстай чи кæй у, бынсæфт сæ фæкодта.

Стыр уæззау уавæры ныххаудыстæм. Куыдзæй, каркæй... ницыуал аирвæзтис удгасæй. Куыддæртæй хæдзары дуар дæр бакодтам, бахызтæн. Мигæнæнæй, чыныгæй хæдзары иу къуымы доны мидæг, мигæнæн мигæнæны хуызан нал уыд... куы сыл ахъуыды кæнын уæд базыр-зыр кæнынц ме уæнгтæ, уый уыд ныхасæй зæгъæн кæмæн нæй ахæм цыдæр стыр зындзинад. Стæй сылгоймаджы лæмæгъдзинад уæддæр йæхи равдыста æмæ кæуынмæ фæкъяртт дæн. Мæ алыварс алчи дæр куыдта, ацы æнæсым куыдæй цыма чысыл нæ зæрдæты маст суагътам... Уый фæстæ райдыдтам... мæй æмæ рдæгæй фылдæр бахъуыдыстæм, цæмæй хæдзары расыгъдæг кодтаиккам уыцы быронæй, змисæй, хъæды лыггæгтæй, кæцы нын ныуагъта ивылд знæт дон.

●

Иу цыдæр алцæмæй ирддæр мæ зæрдыл



лаууы. Уыцы стихийæ куы лыгъдыстæм уæд йæ хъуыдыйы дæр никаемæн уыд, чи кæимæ лыгъд, кæрæдзийы къухтыл хæцгæйæ цыдыстæм. Къухæй та æнæмæнгæй хъуамæ искæуыл ныххæцыдаис, цæмæй афтæмæй æнцондæрæй ахызтаиккам æнцондæрæй... Афтæ лыгъдыстæм ирæттæ дæр æмæ гуырдиæгтæ дæр иумæ кæрæдзийæн æххуысгæнгæйæ. Иуæй-иу хатт иу хъуыды кæнын байдайын, æрдз дæр ныл куыд рахæтыдис, чи зоны нын исты ныффыста цæугæдоны взагæй æмæ йæ мах нæ бафарстам, нæ йæ бамбæрстам мах, ирæттæ æмæ гуырдиæгтæ. Лыгъдыстæм нæ дæр æвзагмæ дардтам нæ хъус æмæ нæ дæр динмæ, кæрæдзийы æмбæрстам æнæсымæй, кæрæдзийæн æххуыс кодтам ацы фыддзинадæй аирвæзынæн. Хъуыды ма йæ кæнын, нæ сыхаг, Джусойты Саша уатон рынчын уыд, тыххæйты ма цыд нæ фæстæ, нал нæ æййæфта, уæд æм фездæхт Къасранты Гела, сывæллонау æй фелвæста йæ къухмæ æмæ йæ хæрды уæлæмæ схаста.

Ныр ыл ахъуыды кæнын, æвæццагæн уæд æрдзы дæр тынг фæндыдис, йæхирдыгон взагæй нын бамбарын кодтаид цыдæр махæн \_ алкæмæндæр, ирæттæн дæр æмæ гуырдиæгтæн дæн...

●  
Хæсты заманæй иу ахæм фрагмент тынг хорз лаууы мæ зæрдыл \_ фыртæсæй æнæсымæй талынг ныккæнды бадæм æртæйæ \_ мæ мад, æз æмæ мæ нана (мæ фыд æмæ мæ чысыл хо раздæр ацыдысты ардыгæй). Исты сныхас кæнын дæр нæ уæндæм, фезмæлынаы дæр тæрсæм... нæ хъус дарæм æддæмæ, нæмгуытæ куыд æмбæлынц хæдзарыл, сæ къуыззит хъуысы... Ацы æхстыты хъæр æмæ нæмгуыты зыв-зывмæ æппæт ацы рæстæджы дæргъы ныффæладыстæм æмæ æрфынаы стæм

ныккæнды... Уый дæр хъуыды кæнын, æхст иу куы фæлаууыди, уæд иу кæрæдзимæ тарстхуызæй бакастыстæм, зæгъгæ нæм ма æрбаввахс уой, ма нæм æрбахизой мидæмæ? Стæй? Стæй уый фæстæ цы хъуамæ уыдаид ууыл хъуыды кæнынæй абон дæр фæтæрсын, фæлæ уæддæр ууыл хъуыды адарддæр кæнын, мæнæ, æрбацыдысты, нæ уæлхъус æрлаууыдысты æмæ ды дæр уайтагъд фæзыныс, уыдон дæумæ æрбакæсынц æмæ сæ хотыхтæ æруадзынц бынмæ (ды æрмæст мæнмæ кастæ æмæ мæнæн цавæрдæр æхцон дыз-дыз кодтой ме уæнгтæ, дæумæ гæсгæйæ расайгæ). Афтæ фæуд кодта ацы тæссаг «хæстæйхъазт», ай уыди мæ хъуыдыйы алцæмæй бæллиццаг фрагмент, ды иу куы æрбацыдтæ æмæ иу сабырад куы æрфысым кодта махмæ, иуылдæр-иу иумæ уыдыстæм фæстæмæ... Алцыдæр иу хорз фæуд кодта дæуæндæр, мæнæндæр æмæ, иумæйагæйдæр алкæмæн дæр... Махæн æмæ нæ зæрватыччыттæн дæр.

Уыцы хъæрахсты уынаермæ иу куы æрфынаы дæн, уæддæр иу мæм фæзынд уыцы иунæг бæллиццаг уынынад...

●  
Уæ хæдзар сыгъд у, нæ хæдзарыл та уырдыгæй, Цхинвалмæ æрбахизæнæй, Згъудерырдыгæй æхст нæмгуыты бынаеттæ абон дæр зыныц... Ай у уый, кæцы æддейæ зыны, кæнæ та, растдæр уыдзæн, хæдзæрттыл æддейæ цы фæдтæ баззад... Ис ахæм цыдæр, кæцы æддаг бакастæй нæ зыны, кæнæ йæ нæ хатынц, нæ йæ уынынц... æрмæст ноджы арфдæр у, ноджы тынгдæр карз у æмæ ноджы зынаы байгасгæнæн у... Ды дæр æй æнкъарыс ахæм цыдæр, ды дæр æй куы æнкъарыс.

*თარგმნა რაზიათ ქუძმაროტიოვიძა*

აღინა ქადაგიშვილი

ჰაბიბ გერეზის საათი

სტამბულის რომელ უბანშიც უნდა იყო, ზღვის სიახლოვე არ გასვენებს... უძველეს ლეგენდარულ წარსულთან



ერთად, უთუოდ, ესეცაა მსოფლიო დედაქალაქის მაგიურობის საიდუმლო. სხვადასხვა მიმართულებით სერავენ ბოსფორის სრუტეს პატარა გემები. ერთ-

ერთმა გემმა, ისევე როგორც ხუთი თვის წინათ, ევროპულ ნაწილში, ქარაქოიში, გადაგვიყვანა. ხიდს თუ გადახვალ და გალათას კოშკისკენ მიმავალ გზას დაადგები, ბეიოღლუ შორს აღარ არის... ამ უბანში რამდენიმე ეკლესიაა, გზად ნევა შალომის სინაგოგა გვხვდება... გალიფ დედეს გამზირი – ჩვენებურად რომ ვთქვათ, ვინრო, ქვაფენილიანი აღმართია, ორივე მხარეს ჩამწკრივებული ათასნაირი მაღაზიით. ზუსტად ისე, როგორც ხუთი თვის წინათ, მზიან შუადღეს, ღია რკინის გისოსებიან ჭიშკართან აღმოვჩნდით, სადაც დაფას ამშვენებს წარწერა: „ჰაბიბ გერეზის ხელოვნების სახლი“. გვერდზე მაღაზიაა – „ჰაბიბ ლოქუმი“ ჰქვია, ანუ ჰაბიბის რაჰათ-ლოქუმი. ეს სახელი აქ ძალიან პოპულარულია... ქუჩის გადაღმა, ჩვენ პირდაპირ, მეჩეთის მინარეთია...

ამ სახლის კარი ყოველთვის ღიაა – ეს სახლ-მუზეუმი. მხცოვანი მასპინძელი, ცნობილი თურქი პოეტი, მხატვარი და ჟურნალისტი ჰაბიბ გერეზი თბილად ხვდება სტუმრებს, მათ შორის უცნობებსაც. ამბობს, რომ აქაურობის ბინადარია მხოლოდ და არა მფლობელი, რადგან ეს ძველი, ბერძნული სახლი (სადაც 35-ოდე წელია, რაც ცხოვრობს) მასში დაცული

ხელოვნების ნიმუშებით, რამდენიმე წლის წინ მისივე სახელობის, ანუ ჰაბიბ გერეზის ხელოვნების ფონდს გადასცა.

ჰაბიბ გერეზი ხუთი თვის წინ გამაცნო თურქულ-ქართული წარმოშობის ფრანგ-მა მუსიკოსმა ბარიშ აიჰანმა. მახსოვს, თავდაპირველად ძლივს გავბედე მასთან სტუმრობა. პირველ სართულზე მიგვიწვიეს და სახტად დავრჩი – მართლაც, მუზეუმში ვიყავი! მთელი მისი ცხოვრება აქაა დახარისხებული და გამოფენილი. გოცნებული ვათვალიერებდი ძველებური ტექტონის ხის ქანდაკებებს შორეული აღმოსავლეთიდან, ხის ნიღბებს და სხვა საინტერესო ნივთებს, რომლებიც ხელოვნების მოტრფიალეს მსოფლიოს ქვეყნებში მოგზაურობისას შეუძენია... კედლებს ამშვენებდა მისი ფერწერული ტილოები, მხატვრობასა თუ პოეზიაში გამართულ ათეულობით კონკურსში გამარჯვების აღსანიშნავად მიღებული მედლები თუ სხვა ჯილდოები, აგრეთვე შუშის ჩარჩოებში ჩასმული მისი ნიგნების ეგზემპლარები. გერეზის დამსახურებების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. აი, მათ შორის რამდენიმე: იგი გახლავთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ექვსი აკადემიის წევრი, ევროპის აკადემიის საპატიო კონსული თურქეთში; ის ერთადერთია თურქ ებრაელებს შორის, ვინც საერთაშორისო აღიარებას მიაღწია ერთდროულად სამ სფეროში.

1998 წელს, ორმოცდაათწლიანი მოღვაწეობისთვის ხელოვნების დარგში, ჰაბიბ გერეზიმ მიიღო ევროპის დიდი პრიზი. აღსანიშნავია, რომ ამ ჯილდოს ყოველწლიურად მხოლოდ ერთ ადამიანს ანიჭებენ, მაგრამ უმთავრესი მაინც ოთხმოცდაათ წელს მიღწეული მასპინძლის – იუმორის გრძნობითა და გალანტურობით გამორჩეული მამაკაცის – გაცნობა იყო, რომელიც თავისუფლად საუბრობს ფრანგულ, იტალიურ და ესპანურ

ენებზე; საფუძვლიანად იცის ივრით და ინგლისური, ახლა კი რუსულს სწავლობს...

ლამაზი შუშაბანდი, თაროებზე – დიდი თურქული ენციკლოპედია... უეცრად იქვე ჩამოკიდებული ძველი კედლის საათი ინყებს რეკვას და ისეთ გამაყრუებელ ხმას გამოსცემს, რომ საუბარს გვანწყვეტინებს. პატრიკ მოდიანოს ერთ-ერთ რომანში ზუსტად ასეთ ხმაურიან კედლის საათზეა საუბარი და აქვე ისიც მახსენდება, რომ ცნობილი ფრანგი მწერლის მამაც სეფარადების ძველი გვარის წარმომადგენელი იყო. ჰაბიბ გერეზის საათი... მის ფრანგულენოვან ანთოლოგიაში წავაწყდი ლექსს სათაურით „ლოდინი“ : « ყველა კედლის საათი რეკავს ცხრა საათს, მე კი ველოდები, მე შენ ველოდები. ვის შეუძლია იგრძნოს უკეთ, ჩემზე უკეთ, რომ შენ აქ არ ხარ? »

მეორე სართულის დიდი ოთახი ერთდროულად სამუშაო კაბინეტის, საგამოფენო დარბაზის, სახელოსნოსა და



სანყობის როლს ასრულებს, მაგრამ ამასთან ყველგან სანიმუშო წესრიგი და სისუფთავეა – და სილამაზე, უპირველეს ყოვლისა! ტექტონის ხის ქალის ქანდაკებები და შთამბეჭდავი ფერწერული ნამუშევრები ხომ თავისთავად, მაგრამ აქ საღებავების ყუთები, ფუნჯები და სახატავი ბლოკნოტებიც ისე აწყვია, რომ თვალს ახარებს! ოთახის შესასვლელში დიდი მიკროფონი დგას. მასპინძელი თავის ერთ-ერთ ლექსს ამბობს თურქულად. სიტყვების მნიშვნელობას ვერ ვხვდები, სამაგიეროდ, ვუსმენ მელოდიას... ეს მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანი ასევე ცნობილია, როგორც კარგი დეკლამატორი. ერთმა ფრანგმა ჟურნალისტმა მას „ადგილობრივი ალენ გინსბერგიც“ კი უწოდა.

პირველ სართულზე დავბრუნდით. ჩაის ვსვამდით და მის შემოქმედებაზე ვსაუბრობდით... ბატონმა გერეზიმ დანანებით აღნიშნა: „რა თქმა უნდა, კარგია, რომ ჩემი ლექსები მსოფლიოს რამდენიმე ენაზეა თარგმნილი, მაგრამ თარგმნის დროს ლექსს აკლდება კეთილხმოვნება და ის ჟღერადობა, რაც მხოლოდ თურქული ენისთვისაა დამახასიათებელი“. მასზე უკეთ აბა, ვის შეუძლია, იმსჯელოს ამ თარგმანების აკარგვიანობაზე, მას ხომ ტექსტების შედარების საშუალება აქვს?

– თქვენ რომელ ენაზე გირჩევნიათ ჩემი ლექსების წაკითხვა – ფრანგულად თუ ინგლისურად? – მეკითხება ჰაბიბ გერეზი და პასუხის გაცემას ვერ ვასწრებ, რომ სქელტანიან წიგნს მანვდის. ეს მისი ლექსების ერთ-ერთი ფრანგული ანთოლოგიაა... ასეთ საჩუქარს არ ველოდი, თანაც ავტორის ავტოგრაფით...

სულმა წამძლია და ფრანგულ თარგმანებს უმაღვე გადავავლე თვალი. მომეწონა, ისევე როგორც მისი ტილოები. ჰაბიბ გერეზის ლექსისა და სურათის ერთი თავისებურება მაშინვე თვალში გეცემათ: ეს გულწრფელობაა. ასეთია თავად ავტორიც, კეთილი და უშუალო, დამსახურებული სახალხო აღიარებისა და თავისი სიმპათიური ნარცისიზ-

მის მიუხედავად. დამშვიდობებისას სტუმართმოყვარე მასპინძელს მოკრძალებით ისიც გავუმხილე, რომ თურქული ენის სწავლა მქონდა განზრახული.

– რადგან ასეა, ლექსების ბოლო ორ კრებულს გაჩუქებთ. ერთი გასულ წელს გამოიცა, მეორე კი სულ ახალია, 2016 წელს გამოცემული, – ჩანდა, უხაროდა, ჩემს გულწრფელ აღტაცებას რომ ხედავდა. – ხელოვნების ყურმოჭრილი მონა ვარ, ჩემს მეგობრებსაც ვუსურვებდი ასეთ მონობას, – ამ სიტყვებს ხშირად იმეორებს. ჰაბიბ გერეზის ოჯახი არ შეუქმნია. მისი ოჯახი ბეიოგლუს უბნიდან იწყება და საერთაშორისო მასშტაბებს აღწევს. უთქვამს კიდევ, რომ ათასობით შვილი ჰყავს ლექსებისა და ფერწერული ტილოების სახით...

როგორც უკვე ვთქვი, ეს ჩვენი პირველი შეხვედრა იყო. მას მერე სულ მინდოდა, რამე დამენერა ბატონი ჰაბიბის შესახებ, მაგრამ ვგრძნობდი, რომ საამისოდ რაღაც მაკლდა... საბედნიეროდ, კვლავ გამიმართლა და ხუთი თვის შემდეგ მას, როგორც ჟურნალისტი, ისე ვესტუმრე. ვისაუბრეთ ხელოვნებაზე, ძველი შთაბეჭდილებები ახალი საღებავებით შეივსო, გაძლიერდა... ჰაბიბ გერეზი დაიბადა სტამბულში, ბოსფორის ევროპულ სანაპიროზე, ორთაქიოში 1926 წლის 14 ივნისს თურქი სეფარადების ოჯახში. იგი ესპანეთიდან თურქეთში გადმოხვენილი არაბი ებრაელების მეთვრამეტე თაობის წარმომდგენელია. მისმა წინაპრებმა მეთხუთმეტე საუკუნეში უარი თქვეს კათოლიკური მრწამსის მიღებაზე და ესპანური ინკვიზიციის დევნას გადაურჩნენ თურქეთის სულთნის ბეიეზიდ მეორის წყალობით, რომელსაც უთქვამს: ჩემი ქვეყანა [ამით] გამდიდრდება და ისინი [ანუ ესპანელები] გაღარიბდებიანო.

ახალგაზრდა გერეზიმ სტამბულის უნივერსიტეტში იურიდიული განათლება მიიღო, მაგრამ მის სულს სულ სხვა რამ სწყუროდა – თხუთმეტი წლიდან წერდა ლექსებს, ოცდაექვსი წლის ასაკში კი

პირველი კრებული გამოსცა. სულ თხუთმეტი მეტი პოეტური კრებულისა და უამრავი ანთოლოგიის ავტორია, რომლებიც ნათარგმნია: ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, ინგლისურ, ივრითისა და სხვ. ენებზე. ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლისას დაიწყო მუშაობა ბერლიცის ენების სკოლაში თურქულის მასწავლებლად. ცნობილია, რომ გერეზი ზედმინვენით, სიღრმისეულად ფლობს თურქულს, რომელსაც მშობლიურ ენად მიიჩნევს, თუმცა მისი წინაპრები ლადინოზე საუბრობდნენ, რაც ესპანური, ბერძნული და თურქული ენების ნაზავია.

უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ გერეზი ჟურნალისტად მუშაობს. სულ ხუთასზე მეტი სტატიის ავტორია, რომელთა უმრავლესობაც ლიტერატურასა და ხელოვნებას

ეხება, თუმცა მწერალი ყოველთვის ადევნებდა თვალს თურქეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას და არაერთხელ, წერილობით თუ სიტყვიერად, დაუგმია დაპირისპირება ეთნიკური თუ სარწმუნოებრივი ნიშნით. სამშობლოშიც და საზღვარგარეთაც ცნობილია, როგორც მოაზროვნე-ჰუმანისტი, ყველაზე უფრო ევროპელი თურქებს შორის და ყველაზე უფრო თურქი ებრაელთა შორის – საკუთარ ქვეყანაზე, მშობლიურ ქალაქზე თავდავინწყებით შეყვარებული!.. 1960 წელი გერეზის ცხოვრებაში გადამწყვეტი აღმოჩნდა. მას დიდი პატივი ხვდა წილად: მისი დამსახურების, ერუდიციისა და პიროვნული თვისებების გამო (როგორც ყველა თავისუფლად მოაზროვნე

ხელოვანი, ისიც არასოდეს ყოფილა ძალიან რელიგიური) თურქეთის დიდი რაბინის პირად მდივნად აირჩიეს და ამ თანამდებობაზე რამდენიმე წლის მანძილზე იმუშავა. თუ აქამდე ხელოვნება მისთვის მხოლოდ ჰობი იყო, ამიერიდან მას საშუალება მიეცა, დამოუკიდებლად შეესწავლა მხატვრობა და დღეისათვის იგი ათი ათასამდე ნამუშევრის ავტორია.

გერეზი თავდაპირველად თურქეთში გავრცელებულ სამხატვრო ტექნიკას – ებრუს დაეუფლა. ამის შემდეგ მის შემო-



ქმედებაში ერთმანეთს მოსდევს ოთხი სხვადასხვა პერიოდი: 1) კლასიკური, 2) იმპრესიონისტური, 3) რომანტიზმის, 4) ავანგარდული. ეს არცაა გასაკვირი – ორმოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში იცვლებოდა მხატვრის ინტერესები და გემოვნება, მდიდრდებოდა გამოცდილება. ამასთანავე, რომელ პერიოდსაც არ უნდა მიეკუთვნებოდეს მისი ნამუშევრები, მათი თვალყურისას დაუჯერებლად გერეზებთან, რომ ის თვითნასწავლი მხატვარია...

ჰაბიბ გერეზიმ ას ოცდაათამდე პერსონალური გამოფენა მოაწყო, მათ შორის დაახლოებით ერთი მესამედი – საზღვარგარეთ. მისი ნამუშევრები დაცულია თურქეთის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის მუზეუმებში.

მხატვრის შემოქმედებაში პეიზაჟებს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ხშირად კონკრეტულ ხედებს, რეალურად არსებულ ბუნებას ნახევრადაბსტრაქტული გამოსახულებები ცვლის, თითქოს მხატვარს სწორედ ეს ამბივალენტურობა ხიბლავდეს, ზედ სიზმარ-ცხადს შორის ზღვარზე გავლა სურდეს. გერეზი დიდი გატაცებით ხატავდა მშობლიურ სტამბულს, მის შემოგარენს, ძველ ქალაქს, ციხე-სიმაგრეებს... მეორეს მხრივ, ებრაული თემატიკაც ძალიან მნიშვნელოვანია – ძველი აღთქმის არაერთი და ორი სიუჟეტი აქვს დახატული საკმაოდ ორიგინალური, საგანგებოდ ამ ტექსტებისათვის შემუშავებული ხელნერით. მისი ბოლოდროინდელი ნამუშევრების ვრცელი სერია თითქმის მთლიანად აბსტრაქტულია, მასში პორტრეტებიც ფიგ-



ურირებს, მაგრამ ადამიანების სახეები აქ უკიდურესად განზოგადებულია. ეს ციკლი ებრაელების ძნელბედობით აღსავსე ცხოვრებას ასახავს – ზოგიერთ მათგანზე წრეში ჩასმული პორტრეტის ნაცვლად, უბრალოდ, ფერადი წრე (ან წრეები) ხატია, თითქოსდა უკვალოდ გამქრალი ადამიანების აღსანიშნავად... იმის საილუსტრაციოდ, თუ რა განსხვავებაა რეალისტურ და აბსტრაქტულ მხატვრობას შორის, გერეზს ასეთი

მაგალითი მოჰყავს: „ნარმოიდგინეთ, რომ ნოტები გიდევთ წინ და პიანინოზე უკრავთ, შემდეგ კი ამ ნოტებს აგაცლიან და გეუბნებიან, ახლა თქვენით დაუკრავთო, ხომ გაგიჭირდებათ? ასეა აბსტრაქციაც. აქ ნატურა ველარ დაგეხმარება“.

არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ გერეზის ლექსები სიტყვებით გადმოცემული მხატვრობაა და მისი ფერწერული ნამუშევრები, განსაკუთრებით კი პეიზაჟები, პოეზიასთანაა წილნაყარი. გარდა ამისა, მათ შორის თემატური მსგავსებაც არსებობს, რაც სრულიად ბუნებრივია. პოეტი და მხატვარი ერთი და იგივე ადამიანია და განსხვავებულად ვერ იაზროვნებს იმისდა მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში ლექსის დაწერას აპირებს თუ სურათის დახატვას. ჯადოსნური სტამბული ჰაბიბ გერეზისთვის მისი სისხლი და ხორცია,

ამიტომ ათმაგად უფრო სტკივა და უხარია, ვიდრე ნებისმიერ, თუნდაც ძალიან მგრძობიარე უცხოელს... 1992 წელს სეფარადი ებრაელები აღნიშნავდნენ ესპანეთიდან თურქეთში გადმოსახლების ხუთას წლისთავს. ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით, გერეზის საგანგებოდ შეუკვეთეს ფერწერული ნამუშევარი და სამნაწილიანი ეპიკური პოემა, რომელიც მოგვითხრობს ებრაელების

თავგადასავალს ესპანეთში ყოფნისას, ზღვაში მოგზაურობის დროს და მათ ახალ სამშობლოში, ოსმალეთის იმპერიაში ჩამოსვლის შემდგომ... ალბათ, ძნელია, გქონდეს ორი სამშობლო – ეს ხომ ორმაგ პასუხისმგებლობას გაკისრებს?!

სტამბული კი, მართლაც, ის ჯადოსნური ქალაქია, სადაც ყოველი ნაბიჯი მოულოდნელობებით არის აღსავსე და ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება, უბრალოდ, სტუმრად შეიარო ჰაბიბ გერეზისთან!